PRIME Time
N1 (302) ორშაბათი, 12 იანვარი, 2015 წ.
ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი
www.ptpress.ge

22-მილიონიანი ინვესტიცია „პარტიზანების“ სამიზნე ხდება

EXCLUSIVE

გიორგი ზაქაიძე: „თუ ჩვენ ვარღვევთ რაიმე კანონს, ხეს ვჭრით, ან რაღაცას ვანადგურებთ, არსებობს სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები, მერიის სპეციალური სამსახურები, რომლებსაც შეუძლიათ, მოვიდნენ და ნახონ ეს ყველაფერი... გარკვეული ადამიანების ახირების გამო, ხელი არ უნდა შეგვეშალოს. აქ მუდმივად დასაქმდება 400 ადამიანი, 2 ათასამდე ადამიანი კი – უშუალოდ მშენებლობის პროცესში“

ბოკერია VS ალასანია – შემთხვევითი შეხვედრა თუ დაგეგმილი კონსპირაცია

რა მოხდა „მარიოტში“

კალაშნიკოვი თავისუფლების წინააღმდეგ

EXCLUSIVE

ბიძინა ივანიშვილის სატელევიზიო პროექტის პროდიუსერები და წამყვანები

„ყველანაირ თემას განვიხილავთ, მაგალითად, ერთ-ერთი ბოლო თემა იყო საფრანგეთში განხორციელებული ტერაქტი“

EXCLUSIVE

ციხეებში მასობრივი ბუნტი მზადდება

ვინ დგას პატიმრების პროტესტის უკან?

კახი კახიშვილი: „ეს არის ყველაზე სენსიტიური სამინისტრო, საიდანაც შეიძლება ისეთი ტიპის აფეთქება მიიღო, რომ ქვეყანამ ვერ გაუძლოს...“

ლალი აფციაური: „ხელისუფლებამ უნდა მიიღოს დროული ზომები, რადგან რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდეს“

EXCLUSIVE

ინგა გრიგოლია: „იყო ჭორები, ბიძინა გაურიგდა, ქეისით ფული მისცაო. არანაირი გარიგება არ ყოფილა, ყველამ დაინახა, რომ ერთი წელი სახლში ვიჯექი, ადვილიც არ იყო პოლიტიკიდან ჟურნალისტიკაში EXCLUSIVE დაბრუნება“

სააკაშვილი პატრიარქის წინააღმდეგ?

EXCLUSIVE

„მიშას სჭირდება ეს ამბავი!!! უარესი თქვი პატრიარქზე!!! პირდაპირ დედა აგინეთ ეკლესიას...“

EXCLUSIVE

სენსაციური პროცესი და ექსპერტების დასკვნა

ჟვანიას საქმეზე დაცვა სკანდალურ ჩვენებას მისცემს

ბექა ბასილაია, კობა ხარშილაძის ადვოკატი: „ყველა იმ უხერხულობაზეც არის მითითება, რასაც ამდენი წელი მალავდნენ და დელიკატურად იცავდნენ იმ ადამიანის ღირსებას“

მაია ნიკოლეიშვილი: „როდესაც მოწამვლაზეა ეჭვი, ბალზამირება კატეგორიულად არ შეიძლება, ვინაიდან, ამ შემთხვევაში, მოწამვლის კვალი იშლება...“

EXCLUSIVE

ზურაბ ადეიშვილის აგენტზე ინტერპოლი ძებნას აცხადებს

ოპერატიულ ინფორმაციებს რომ გადახედოთ, იქ ნახავთ მის აგენტურულ მეტსახელებს: „ზოია ტბილისკი“, „მსუქანი ზოია“ და ა.შ.“ EXCLUSIVE

EXCLUSIVE

რა ურთიერთობა აქვს მანანა თოდაძის ყოფილ ქმარს დათო ხუჯაძის ყოფილ ცოლთან

ბიძინა სირბილაძე: „ნათი რომ გავიცანი, არც ვიცოდი, ვისი ყოფილი ცოლი იყო...“

დათო ხუჯაძე: „გაგებაში არ ვარ, ვინაა ეგ სირბილაძე. ღმერთმა ქნას, გათხოვდეს...“

საკრებულო-მერიის დაპირისპირება – ელისაშვილი ნარმანიას წინააღმდეგ

EXCLUSIVE

ელისაშვილი საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება?

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

22-მილიონიანი ინვესტიცია „პ

მირიან ბოქოლიშვილი

„თბილისში მშენებლობები ვერ გაჩერდება, ქალაქს განვითარება სჭირდება“, – ეს განცხადება დედაქალაქის მერმა იმ ადამიანების საპასუხოდ გააკეთა, რომლებიც თბილისის რამდენიმე უბანში მასშტაბური საინვესტიციო პროექტების შეჩერებას ითხოვენ. ერთ-ერთი ასეთი მშენებლობა ჭავჭავაძის #68-ში, ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე უახლოეს დღეებში იწყება, თუმცა, როგორც კომპანია „ტიფლის ბიზნეს ჯგუფში“ აცხადებენ, აღნიშნული ობიექტი უკვე არაერთხელ გახდა გრანტებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთა სამიზნე. ამიტომ კომპანია შესაბამის უწყებებს მოუწოდებს, უზრუნველყონ კანონის სრული დაცვით დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები და იქ დასაქმებული ადამიანების უსაფრთხოება.





ამერიკელი ინვესტორი 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობას რესტორან „ბუდაპეშტის“ ადგილას გეგმავს. პროექტში, რომელსაც „ტიფლის ბიზნეს ჯგუფი“ განახორციელებს, 22 მილიონი დოლარის ინვესტიცია ჩაიდება და, საერთო ჯამში, ასობით სამუშაო ადგილს შექმნის.

პროექტის განხორციელება იმ ადგილას იგეგმება, სადაც წარსულში თბილისელებისთვის ერთ-ერთი საყვარელი რესტორანი „ბუდაპეშტი“ ფუნქციონირებდა. რესტორანი იქ ჯერ კიდევ XX საუკუნის 50-იან წლებში გაიხსნა და მალევე იქცა იმდროინდელი ცნობილი საზოგადოების თავშეყრის ადგილად. 90-იან წლებში ეს ტერიტორია ლამის ნაგავსაყრელად და ნარკოდამოკიდებულთა შეკრების პუნქტად გადაიქცა, თუმცა ამის გამო საპროტესტო აქციების გამართვის იდეა არავის გასჩენია, მათ შორის არც გარემოს დამცველებს.

„90-იან წლებში ეს ტერიტორია ლამის ნაგავსაყრელად და ნარკოდამოკიდებულთა შეკრების პუნქტად გადაიქცა, თუმცა ამის გამო, საპროტესტო აქციების გამართვის იდეა არავის გასჩენია, მათ შორის არც გარემოს დამცველებს“

დღეს კი, როდესაც საუბარია ამავე ტერიტორიაზე თანამედროვე ტიპის ხუთვარსკვლავიანი სასტუმროს მშენებლობაზე, აღნიშნულ პერიმეტრს პარტიზანი დამცველები გამოუჩნდნენ, რომლებიც, როგორც ინვესტორი ირწმუნება, საკმაოდ აგრესიული ფორმით გამოხატავენ პროტესტს და არა მხოლოდ საფრთხეს უქმნიან იქ დასაქმებულ ადამიანებს, არამედ ეჭვქვეშ აყენებენ ქვეყანაში სოლიდური ამერიკელი ინვესტორის შემოსვლას.

არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტიზანი მებაღეობა“ ირწმუნება, რომ ტერიტორია ვაკის პარკს ეკუთვნის და ინვესტორი იქ არსებული ხეების გაჩეხას გეგმავს. „ტიფლის ბიზნეს ჯგუფის“ პროექტით კი ხსენებულ ტერიტორიაზე არათუ ნარგავების გაჩეხა, არამედ, პირიქით, ტერიტორიის უკეთ განაშენიანება იგეგმება.

„ტიფლის ბიზნეს ჯგუფმა“ მშენებლობის ნებართვა გასულ წელს მიიღო და პროექტის დასრულება მომავალი წლის ზაფხულში იგეგმება.

„ტიფლის ბიზნეს ჯგუფის“ ხელმძღვანელი გიორგი ზაქაიძე აცხადებს, რომ პროექტის განხორციელება ხელს არ შეუშლის ადგილობრივ ეკოლოგიას, რადგანაც მშენებლობა რესტორან „ბუდაპეშტის“ ტერიტორიაზე იგეგმება, რომელიც არა ვაკის პარკის, არამედ მის მიმდებარე ტერიტორიაზეა და ადგილზე მოხვედრა მხოლოდ შემოვლითი გზით არის შესაძლებელი.

„ამ წუთას პროექტის განხორციელებას წინ უდგას მხოლოდ ერთი შეკითხვა: რა არის სახელმწიფოსთვის უფრო მნიშვნელოვანი – ინვესტიცია თუ ვიწრო ჯგუფის ინტერესი, რომელიც გრანტებზეა ორიენტირებული“

გიორგი ზაქაიძე, „ტიფლის ბიზნეს ჯგუფი“:

– ჩვენ რესტორან „ბუდაპეშტის“ ნაცვლად ვაშენებთ სასტუმრო „ბუდაპეშტს“. ეს არის ამერიკული 22-მილიონიანი ინვესტიცია. ინვესტორი, რომელიც ინვესტიციას დებს საქართველოში, მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. ეს არის პირველი სასტარტო პროექტი, რომლის განხორციელების შემდეგ ის მზად არის სხვადასხვა ინვესტიციების ჩასადებად არა მხოლოდ თბილისში, არამედ რეგიონებშიც. ამ წუთას პროექტის განხორციელებას წინ უდგას მხოლოდ ერთი შეკითხვა: რა არის სახელმწიფოსთვის უფრო მნიშვნელოვანი – ინვესტიცია თუ ვიწრო ჯგუფის ინტერესი, რომელიც გრანტებზეა ორიენტირებული. გვინდა ვთქვათ, რომ მშენებლობა ადგილზე კანონის სრული დაცვით ხორციელდება.

– ვიცით, რომ არსებობს გარკვეული წინააღმდეგობები გარემოს დამცველების მხრიდან.

– თუ ჩვენ ვარღვევთ რაიმე კანონს, ხეს ვჭრით, ან რაღაცას ვანადგურებთ, არსებობს სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები, მერიის სპეციალური სამსახურები, რომლებსაც შეუძლიათ, მოვიდნენ და ნახონ ეს ყველაფერი. ჩვენ მშენებლობის ნებართვა კანონიერად გვაქვს აღებული, მიწის ნაკვეთი 3 მილიონ დოლარად შევიძინეთ, თავის შენობა-ნაგებობებით, რომლის

ლევან მაჭავარიანი:

„იმ შემთხვევაში, თუ ვინმე აგრესიას გამოხატავს და საზოგადოებრივ წესრიგს დაარღვევს, ცხადია, ჩვენ ჩავერევით და მყისიერ რეაგირებას მოვახდენთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ARტიზანების“ სამიზნე ხდება

„ტერიტორიას პარტიზანი დამცველები გამოუჩნდნენ, რომლებიც, როგორც ინვესტორი ირწმუნება, საკმაოდ აგრესიული ფორმით გამოხატავენ პროტესტს და არა მხოლოდ საფრთხეს უქმნიან იქ დასაქმებულ ადამიანებს, არამედ ეჭვქვეშ აყენებენ ქვეყანაში სოლიდური ამერიკელი ინვესტორის შემოსვლას“

ადგილასაც ვაშენებთ ახალ შენობას. ამიტომაც, გარკვეული ადამიანების ახირების გამო, ხელი არ უნდა შეგვეშალოს. აქ მუდმივად დასაქმდება 400 ადამიანი, 2 ათასამდე ადამიანი კი – უშუალოდ მშენებლობის პროცესში.

– ფიქრობთ, რომ მშენებლობის დროს შეიძლება გარკვეული პროვოკაციები მოაწყონ?

– დიახ და ამიტომ მივმართავთ სახელმწიფოს, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს, მიიღონ კონკრეტული გადაწყვეტილება და ზომები, რომ დაიცვან კონკრეტული ინვესტორი; დაიცვან იქ მომუშავეები სხვადასხვა ინტერესის მქონე ადამიანების ფიზიკური შემოტევებისგან. მშენებლობას ვიწყებთ რამდენიმე დღეში და ოფიციალურად მივმართავთ შინაგან საქმეთა სამინისტროსაც, სახელმწიფოსაც, რომ ჩვენი უფლებები დაიცვას. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, არსებობს საფრთხე, რადგან აქ არიან ადამიანები, რომლებიც ისვრიან ბოთლებს, რკინებსა და ა.შ. ჩვენ ვაშენებთ რესტორან „ბუდაპეშტის“ ადგილას, რომელიც 1958 წლიდან არსებობდა. ეს იყო ყოველთვის ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორია და მას ყოველთვის ჰქონდა შემოვლითი გზა. არასდროს ეს გზა და რესტორანი ვაკის პარკის ტერიტორიაზე არ გადიოდა.

ძალიან ვთხოვთ გარემოს დაცვის სამინისტროს, მერიის ნებისმიერ სამსახურს მიგვითითონ, თუ რამეს ვაკეთებთ არასწორად და თუ ეს ასე არ არის, მაშინ დაიცვან ინვესტორი. თუ არადა პასუხი გასცენ იმ გაურკვეველ ადამიანებს, რომლებიც ადგილზე მშენებლობის პროცესს აფერხებენ და ხელს გვიშლიან.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ინვესტორი, რომელსაც განსაზღვრული აქვს, ინვესტიცია ჩადოს საქართველოში, არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ ობიექტით. ის მზად არის, კიდევ არაერთი ინვესტიცია განახორციელოს, და არა მხოლოდ თბილისში, არამედ რეგიონებშიც. მივმართავთ სახელმწიფოს, გააკეთოს არჩევანი 22-მილიონიან ინვესტიციას, დასაქმებულებს და რამდენიმე ადამიანისგან შემდგარ ვიწრო ჯგუფს შორის, რომელიც გრანტების მეშვეობით იღებს გასამრჯელოს ამ აქციებისთვის.

მოკლედ, „ტიფლის ბიზნეს ჯგუფში“ ეჭვობენ, რომ „პარტიზანების“ რეალური მიზანი არა გარემოს დაცვა, არამედ გრანტებია, რომლებსაც ისინი სხვადასხვა ფონდებიდან იღებენ. თავად ამ ორგანიზაციაში არ უარყოფენ, რომ რამდენიმე გრანტი მართლაც მიიღეს, თუმცა ფინანსურ დაინტერესებას კატეგორიულად გამორიცხავენ და ამბობენ, რომ გრანტის ნაწილი ნიჩბების ყიდვაში გაიხარჯა.

ნატა ფერაძე, „პარტიზანული მებაღეობა“:

„კი, ბატონო, იქ იდგა რესტორანი „ბუდაპეშტი“, მაგრამ ქალაქგეგმარების კანონმდებლობით, შენობის დანგრევის შემდეგ ავტომატურად არ იგულისხმება, რომ იქ დაშვებულია სხვა მშენებლობა. მთელი ვაკის პარკი აშენდა 1945 წელს და მოიცავდა 120 ჰექტარს, ჩვენ ბრძოლა არ გვაქვს ინვესტორთან, ჩვენ ბრძოლა გვაქვს ქალაქის მერიასთან, რომელმაც ვაკის პარკი დაანაწევრა და 120 ჰექტარის ნაცვლად დაგვრჩა 19 ჰექტარი. ჩვენი მოთხოვნაა, რომ მთელ ტერიტორიას, ციყვების რესტორნის ჩათვლით, დაუბრუნდეს პარკის სტატუსი. ჩვენ არ დავუშვებთ პარკში რაიმეს აშენებას. ამით ქალაქის მერია მიიღებს აჯანყებას. რაც შეეხება გრანტებს, ეს არის სპეკულაცია. ჩვენ არ გაქვს აქედან შემოსავლები. ჩვენმა ორგანიზაციამ აიღო ორი გრანტი, ერთი დაიხარჯა ნიჩბებისა და ბარების ყიდვაში. ეს გრანტი მოგვცა სოროსის ფონდმა, მეორე გრანტი კი გამოვიყენეთ იურიდიულ დახმარებაში. სხვა გრანტი ჩვენ არ მიგვიღია. რაც შეეხება პროტესტის ფორმებს, ჩვენ აგრესიულად არასდროს გამოგვიხატავს ჩვენი პროტესტი, თუ ასეთი რამ ინვესტორმა გითხრათ, დედის ტრ... შეაგინეთ“.

„პარტიზან მებაღეების“ აქცია სულ რამდენიმე დღის წინ პოლიციასთან შეტაკებით დასრულდა, როდესაც ორგანიზაციის წარმომადგენლები „პანორამა თბილისის“ პროექტის გასაპროტესტებლად საკრებულოსთან მივიდნენ და სხდომაზე შეჭრას ცდილობდნენ. შედეგად ორგანიზაციის რამდენიმე წევრი დააკავეს.

„ტიფლის ბიზნეს ჯგუფმა“ უკვე მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რათა უზრუნველყოფილ იქნას მშენებლობაზე დასაქმებული ადამიანებისა და ინვესტორის უსაფრთხოება. აგრესიული ჯგუფის თავდასხმის შემთხვევაში რა რეაგირებას მოახდენს პოლიცია? ამის გასარკვევად საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს, ლევან მაჭავარიანს დავუკავშირდით.

„თუ მშენებლობა კანონის დაცვით მიმდინარეობს და არსებობს მშენებლობის ნებართვა, ცხადია, ხელის შეშლას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. იმ შემთხვევაში, თუ ვინმე აგრესიას გამოხატავს და საზოგადოებრივ წესრიგს დაარღვევს, ცხადია, ჩვენ ჩავერევით და მყისიერ რეაგირებას მოვახდენთ“, – **აღნიშნავს მაჭავარიანი.**

„პარტიზანი მებაღეები“:

„ჩვენმა ორგანიზაციამ აიღო ორი გრანტი, ერთი დაიხარჯა ნიჩბებისა და ბარების ყიდვაში. ეს გრანტი მოგვცა სოროსის ფონდმა, მეორე გრანტი კი გამოვიყენეთ იურიდიულ დახმარებაში“

„თუ მშენებლობა კანონის დაცვით მიმდინარეობს და არსებობს მშენებლობის ნებართვა, ცხადია, ხელის შეშლას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. იმ შემთხვევაში, თუ ვინმე აგრესიას გამოხატავს და საზოგადოებრივ წესრიგს დაარღვევს, ცხადია, ჩვენ ჩავერევით და მყისიერ რეაგირებას მოვახდენთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ დგას რელიგიური

„დღეს ამ ფაქტით ყველა გულმოკლული მამა ილია ვართ და ვიხრჩობით სიძულვილისა და უსამართლობის ზღვაში...“

მარიამ ნადირაძე

საზოგადოების ერთი ნაწილისთვის შევარდნაძის „ავადსახსენებელ დროს“, საზოგადოებრივ არხზე ოპოზიციაში მყოფი ნაციონალების ერთი ჯგუფი მივიდა, რომელსაც რამდენიმე პირი წარმოადგენდა, მათ შორის გიგა ბოკერია, ბასილი კობახიძე და სხვათა შორის, სოზარ სუბარიც... მათ ტელევიზიის ხელმძღვანელ რგოლს ერთგვარი გეგმა წარუდგინეს, როგორი ფორმით და რა პერიოდულობით უნდა გასულიყო სიუჟეტები საპატრიარქოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. რა თქმა უნდა, ეს იქნებოდა ფაქტობრივი მასალა, თუმცა „დამხვდურების“ უმრავლესობამ ეს მიზანმიმართულ კამპანიად მიიჩნია და უარით გაისტუმრა „მომხვდურები“...

ამ ჯგუფის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საზოგადოებრივი არხი „გაინმინდა“ ამ ჟურნალისტებისგან...

ეს ისტორია ისე, შესავლისთვის, თორემ ყველასთვის ისედაც კარგად არის ცნობილი, რომ საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული კამპანიის უკან სწორედ გიგა ბოკერია და ლევან რამიშვილი მოაზრებოდნენ ყველასთვის. ამ ადამიანების სახელს უკავშირდება თუნდაც 2004 წელს გლდანის ეკლესიის დარბევაც, რომელიც არც მაშინდელ და არც ამჟამინდელ ნეოლიბერალებს არასდროს დაუგმიათ და ყოველთვის ეჭვმიტანილის აყვანის ოპერაციას არქმევდნენ სახელად, თუმცა არასდროს აუხსნიათ, რას ერჩოდნენ ასაკოვან მრევლს, რომელთა მიმართ განხორციელებული ძალადობისთვის (რასაც შესაბამისი ფოტო და ვიდეომასალაც ადასტურებს) არავის არასდროს უგია პასუხი...

უკანასკნელი სამი მმართველობის პირობებში ბოკერია და მისი ჯგუფი ყველა რელიგიური კონფესიის დამცველად გვევლინებოდა, გარდა მართლმადიდებლობისა...

გასული კვირის სკანდალის კულუარებში კი კვლავაც იგივე გვარმა გაიჟღერა...

თუმცა, არაინფორმირებულ მკითხველს სჯობს, მოკლე ქრონოლოგია შევთავაზოთ:

ჯერ იყო ნინია კაკაბაძის სკანდალური პოსტი – „სამებაში პატრიარქის birthday party-ა მგონი, დილიდან გამაყრუეს ზარებმა“...

მერე მარიამ ნატროშვილი და გვანცა ჯიშკარიანი, რომელთა შეხედულებას ხელიდან ხელში ტაატით გადასცემდა საკუთარი „ფეისბუქის“ გვერდებზე ნეოლიბერალური ფრთა. ეს ის გოგონები არიან, რომლებმაც საპატრიარქოს კარებზე 25000000 დაწერეს იმის დასტურად, რომ საპატრიარქოს ბიუჯეტი, მათი მოსაზრებით, არაამზნობრივად იხარჯება... თუმცა ეს სულაც არ იყო „მოდურების“ აღშფოთების საგანი... განგაში მას შემდეგ ატყდა, რაც ისინი თურმე პოლიციაში „გასაუბრებაზე“ წაიყვანეს...

დაბოლოს, რაღა თქმა უნდა, „იდენტობის“ ხელმძღვანელის, ირაკლი ვაჭარაძის პოსტის ყველაზე სკანდალური ნაწილი პატრიარქის ეპისტოლეზე გამოსახმაურებლად – „ქალის მთავარი ფუნქცია შვილის ყოლაა“, თქვა ილია მეორემ. ცნობილია, რომ მის ტექსტებს შორენა წერს. რა გამოდის?

ა) მონაზონი არაა ქალი ან,

ბ) ყველა მონაზონი სასწრაფოდ უნდა დაორსულდეს და გახდეს დედა...“

ეს ე.წ. ლიბერალებისთვის მხოლოდ და მხოლოდ აზრის თავისუფალი გამოხატვა გახლდათ და არავითარი რელიგიური შეურაცხყოფა, თუმცა, როგორც კი „იდენტობის“ ოფისთან აქცია დაანონსდა, აი, ეს უკვე მათთვის, რაღა თქმა უნდა, თავისუფალი აზრის წინააღმდეგ გალაშქრების აღმაშფოთებელი ფაქტი გახდა...

ქრონოლოგიას დიდხანს აღარ გავაგრძელებთ. მხოლოდ ჩვენი კოლეგის პოზიციით შემოვიფარგლებით და შემდეგ უკვე მთავარ ხაზს განვაგრძობთ...

ინგა გრიგოლია: „არც შემწვარი გოჭი მქონია ახალ წელს და არც მოხარშული ღორის თავი გადამიგორებია საშობაოდ... ძალიან ყურადღებით ვუსმენდი წუხელ პატრიარქის საშობაო ქადაგებას და სიამოვნებითაც დავესწრებოდი გუშინ წირვას, ობიექტურ მიზეზს რომ არ შეეშალა ხელი... ხოდა, ჯაან გოიმი ვარ, საშინელებად რომ არ მომჩვენებია შობის ქადაგება????? მოდაშია ეკლესიაზე თავდასხმები და ყველაზე მაგარი პრადვინუტი ისაა, ვინც ფბ-ზე ან მედიაში ღიად ლანძღავს პატრიარქს და ეკლესიას??? საოცრებათა ქვეყანა ვართ რა.... პოლიტიკურ რანგში აიყვანეს უკვე ადამიანების რწმენა და რა ვიცი... ძალიან მაგრობაა ეს ნეტავ??? ისეთები წავიკითხე ეს ორი დღეა, სრულიად უკურეაქცია გამოინვია ჩემში... შეიძლება რაღაცეები არ მოსწონთ ადამიანებს, მარა ეს ლანძღვა-გინება უკვე კომმარია. ადამიანის არჩევანია რწმენის თავისუფლება და ყველას თავისი არჩევანი აქვს. და კიდევ – ანტიდისკრიმინაციულ კანონსაც მხარს ვუჭერ და 17 მაისის დარბევასაც ვაპროტესტებ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩემი რეაქცია არ მქონდეს ამ ორდღიან ლანძღვა-გინებაზე...“

მაშ ასე, რა ტენდენცია ჩნდება საზოგადოებაში და ვინ დგას რელიგიური პროვოკაციების უკან?

„თავისუფალი თაობის“ წარმომადგენელი, ლადო სადღობელაშვილი გვარწმუნებს, რომ პროცესების „რეჟისორი“ კვლავაც გიგა ბოკერიაა და შემდეგ განცხადებას ავრცელებს: „...დამიკავშირდა „იდენტობის“ ოფისის თანამშრომელი (რომლის ვინაობასაც მისი კატეგორიული თხოვნის გამო ვერ დავასახელებ). ეს ადამიანი შემხვდა, ის ძლიერ აღელვებული იყო, რადგან როგორც მან მითხრა ოჯახის წევრებმაც კი ბოიკოტი გამოუცხადეს ვაჭარაძის ბოლო განცხადებების გამო. მოკლედ როგორც ამ პირმა მომიყვა „იდენტობა“ სერიოზულ ზეწოლას განიცდის გიგა ბოკერიას და ლევან რამიშვილის მხრიდან. ბოკერია გაცეცხლებული ყოფილა იმით, რომ საპატრიარქოს მოწოდების შემდეგ დაგეგმილი აქცია გადაიდო, რადგან მანამდე პირდაპირ დავალებებს იძლეოდა რომ რაიმე სახის პროვოკაცია მოეწყოთ „იდენტობის“ წევრებს, რომელიც შემდეგ ძალადობაში უნდა გადაზრდილიყო. როგორც ამ პირმა მაცნობა ბოკერიას საზღვარგარეთ მყოფი ვაჭარაძესთვისაც დაურეკია, სერიოზულად უგინებია იმ მონანიების მსგავსი განცხადების გამო რაც ვაჭარაძემ ბოლოს გაავრცელა. – მიშას ჭირდება ეს ამბავი!!! უარესი თქვი პატრიარქზე!!! პირდაპირ დედა აგინეთ ეკლესიას, თორემ ქუჩის მათხოვრებად გაქცევთ და კაპიკს ვერ ეღირსებით!!! – ეს ფრაზები ბოკერიას ეკუთვნის. როგორც „იდენტობის“ ამ წევრმა მითხრა ისინი ბოკერიას პირდაპირ ტერორში არიან...“

რაკი ვთვლით, რომ ჩვენს მკითხველს ეს განცხადება რიგ კითხვებს გაუჩენდა, „პრაიმტაიმი“ ლადო სადღობელაშვილთან ინტერვიუს შემოგთავაზებთ:

– მოგეხსენებათ, გიგა ბოკერიას ჯგუფი ხელისუფლებაში მოსვლამდეც საკმაოდ აქტიურად იყო ჩართული ანტიმართლმადიდებლურ პროცესებში... ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ალაპარაკებდნენ თეა თუთბერიძეს... ახლა კი ჩამოაყალიბეს „იდენტობა“ და სხვა ორგანიზაციები და თვითონ ამ ორგანიზაციიდან მითხრეს, რომ პრაქტიკულად ვაჭარაძის ყოველი განცხადება პატრიარქის წინააღმდეგ, განპირობებულია რამიშვილისა და ბოკერიას ბრძანებებით... ამ კავშირზე სხვა ფაქტებიც მიუთითებს: დეკემბრის ბოლო რიცხვებში ნაციონალებმა და მისმა სატელიტმა ორგანიზაციებმა რომ დაიწყეს მოძრაობა თავდაცვის მინისტრის წინააღმდეგ, იქ ვაჭარაძეს პოლიტიკური შინაარსის პლაკატი ეჭირა და ითხოვდა მინისტრის გადადგომას. ის აქტიური იყო 15 ნოემბრის აქციაზეც და მოუწოდებდა „ლგბტ“-ებს, ჩართულიყვნენ ამ აქციაში. ჩემი წყარო მეუბნებოდა, გვაშანტაჟებს და გვაიძულებს, მივიდეთ ამ აქციაზეო...

– შანტაჟის სახეს აკონკრეტებენ?

– ვაჭარაძე თანაგუნდელებს ემუქრებოდა, სოციალურ ქსელში გავავრცელებ თქვენ ვიდეოკადრებსო, ზოგს ემუქრებოდა, ხელფასს არ მოგცემთო და ა.შ. ვაჭარაძისგან ფიგურა ბოკერიას ცოლმა, თამარ ჩერგოლეიშვილმა შექმნა თავისი ჟურნალის, შემდგომ კი ტელევიზიის წყალობით. სწორედ ჩერგოლეიშვილის პროტეჟედ აღიქმება ვაჭარაძე...

– თქვენ ამტკიცებთ, რომ მათ ბოკერია აფინანსებს...

– ვინც გრანტებზე მუშაობს, ყველა ორგანიზაციას სჭირდება რეკომენდატორები კონკრეტულ ფონდებთან. ასეთი რეკომენდატორად ევლინებათ მათ გიგა ბოკერია, რამიშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“...

– სამაგიეროდ კი პროვოკაციების მოწყობას მოითხოვს?

– რა თქმა უნდა. პროვოკაციებს კი დიდწილად პატრიარქზე თავდასხმები გამოინვევს... ასეთი დავალების შესრულების პროცესში ვაჭარაძეს ავიწყდება, რომ მისი ნიმა სულ სხვა რამეა... მთელი რიგი არასამთავრობოების რიგებში, რომელთა რეჟისორებად ნაციონალები გვევლინებიან, მოიაზრება ვაჭარაძის „იდენტობაც“...

– ამასობაში ეკლესიის წინააღმდეგ არამარტო არასამთავრობოები, კონკრეტული პირებიც ილაშქრებენ... გახსოვთ, ალბათ, ნინია კაკაბაძის განცხადება, მარიამ ნატროშვილის და გვანცა ჯიშკარიანის პოსტი 250 მილიონზე... რა ტენდენციასთან გვაქვს საქმე? მოდური ხდება ანტიმართლმადიდებლური განცხადებები, თუ სხვა მიზანია?

– ერთადერთი ჯგუფი, რომელიც ღიად ებრძვის პატრიარქს, ბოკერიას ჯგუფია. ეს არ არის შეთქმულების თეორია. ის ყოველთვის ებრძოდა პატრიარქის ფრთას. ბოკერიას სურვილი იყო, რომ პატრიარქი როგორმე ჩამოეშორებინა ეკლესიისთვის...

– მიზეზი?...

– ყველამ ვიცით, რომ ყველაზე ურყევი და მზარდი რეიტინგი პატრიარქს აქვს. ბოკერიას მიზანი სწორედ ამ რეიტინგის წინააღმდეგ არის მიმართული... მოდური ხდებაო? – მეკითხებით. დიახ, მოდური ხდება,

ლადო სადღობელაშვილი: „ყველამ ვიცით, რომ ყველაზე ურყევი და მზარდი რეიტინგი პატრიარქს აქვს. ბოკერიას მიზანი სწორედ ამ რეიტინგის წინააღმდეგ არის მიმართული“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

პროვოკაციების უკან?

თუმცა ნინია კაკაბაძეც ერთ-ერთი იმ არასამთავრობოს წარმოადგენს, რომელიც ნაციონალების სცენარით მოქმედებს... ეს არასამთავრობები ქმნიან ტენდენციას ხელოვნურად, რომ ეკლესია საქილიკო თემა გახდეს. მე არ ვიცი, როდემდე აიტანს ამას საზოგადოება. ეს პატარა ჯგუფი, რომელიც სოციალურ ქსელებში იკიდებს ფეხს, ყველანაირად ცდილობს შელახოს ჩვენი უფლება – ჩვენ დაგვცინიან, ჩვენზე ღადაობენ. ეს უნდა შეჩერდეს. თუ ჩვენ პატივს ვცემთ მათ შეხედულებებს, იგივეს მოვითხოვთ მათგან. პატრიარქს ნუ მიგინებენ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, ვერ გთავაზობთ ვაჭარაძესთან ინტერვიუს, ვინაიდან თავად გვაუწყა, ბიშკეკში ვარ და ტელეფონი გათიშული მაქვსო (ამით იმის დადასტურებას ცდილობს, რომ ბოკერია მას ვერ დაუკავშირდებოდა. – მ.ნ.), ამიტომაც მხოლოდ მისი „ფეისბუქის“ განცხადებით შემოვიფარგლებით: „რუსული პროპაგანდა ძლიერდება. გიგა ბოკერია ცხოვრებაში პირველად 2000 წელს ვნახე და უკანასკნელად 2001 წელს. სხვა მრავალ ადამიანს შორის, გავიცანი მაშინ, როდესაც სტუდენტურ მოძრაობაში ვიყავი და მორჩა.

ჰოდა, არავითარი კავშირი მას შემდეგ ამ ადამიანთან არ მქონია. ვიყავი კრიტიკული მის მიმართ, როცა იყო ხელისუფლებაში და ახლა ვცემ ძალიან დიდ პატივს, მაგრამ არასდროს შევხვედრივარ...“

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ უფლებადამცველთაგან უფლებადარღვეულთა დაცვაც შერჩევით ხასიათს ატარებს... სხვათა შორის, ძალიან საინტერესოდ გვეჩვენება მამა პეტრეს მოსაზრება, რომელიც გვინდა ჩვენს მკითხველს გავუზიაროთ და თუ ამის შემდეგ მავანი გადაწყვეტს, რომ გაზეთი ტენდენციურია, ვადასტურებთ, რომ ჩვენთვის ეს ტენდენცია მეტად მისაღებია, ვიდრე გამუდმებით ცალ კარში თამაში...

მამ ასე, მამა პეტრე სოციალურ ქსელში განცხადებას ავრცელებს: „ჟორდანიას, რჩეულიშვილის მერე თითქოს წრე შეიკრა და მამეული რგოლის მესამე, ძირითადი ნაწილი მისი წინამორბედების სახელით მსოფლიოს გადაუგდო ქართული ეკლესიის ღირსეულმა მემკვიდრემ მამა ილიამ...

ამაყი ვარ, ამ შემზარავი უბედურებით ბედნიერიც, თითქოს ღირსებაც შემემატა მისი დაუვიწყარი ქმედებით. ამბის შეტყობისთანავე ცრემლი მომერია, მაგრამ სხვა, არა თვალებიდან, არამედ წარსულის ფესვებიდან წამოსული ცრემლი. ისევ ალაპარაკდა კაცობრიობა ქართველის კიდევ ერთ საზღვაო ტრაგედიაზე. გამაოგნებლად მიკვირს, რამ დაადუმა ჩვენი ქვეყნის „პროგრესული“, „ჰუმანური“, კოსმოპოლიტური ღირებულებების მეხოტბე ფრთა?! ეკლესიის კრიტიკას სამართლიანად თუ უსამართლოდ ენის წვერზე ატრიალებენ. მათ შენიშვნებს უფრო დამაჯერებელს გახდიდა დადებითის ჯერ დანახვა, მერე აღიარებაც, მით უფრო, როცა ქვეყნის საერთაშორისო იმიჯსა და ევროპის ოჯახის წევრობაზე ვფიქრობთ.

პირადად ჩემთვის ნებისმიერი პოზიციისა თუ ოპოზიციის, მართლმადიდებლისა თუ კათოლიკეს მსგავსი ქმედება სახოტბო-საქებარი იქნებოდა. სწორედ ამიტომ არიან ფსევდოლიბერალები, ფსევდოადამიანები, ფსევდოქრისტიანები. სწორედ ამიტომ მიუღებელია მათი კრიტიკა, ძაგება, ჭკუის სწავლება.

მამა ილიას ადგილზე ნებისმიერი რომ ყოფილიყო, შარავანდედში შემოსავდნენ და სამართლიანადაც, რადგან ქრისტიანობა ცხოვრების წესი და შინაგანი რელიგიაა. დღეს ამ ფაქტით ყველა გულმოკლული მამა ილია ვართ და ვიხრჩობით სიძულვილისა და უსამართლობის ზღვაში...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სენსაციური პროცესი და ექსპერტების დასკვნა

მარიამ ნადირაძე

მართალია, ზურაბ ჟვანიას საქმე (ასეთი სახელწოდებით) ჯერ არ არის სასამართლო განხილვის საგანი, მაგრამ ექსპერტ ლევან ჩაჩუას პროცესზე უკვე იკვეთება მისი პერსპექტივის კონტურები...

კობა ხარშილაძე და ზურაბ ჟვანია

ჟვანიას საქმეზე დაცვა სკანდალურ ჩვენებას მისცემს

EXCLUSIVE

პროცესის მიმდინარეობის ახალი დეტალები, ამჯერად პირობითად ორ თემად დავყოთ: რისი კვალი ჰქონდა რაულ უსუპოვს გულ-მკერდის არეში (ბალზამირების თუ წამების) და რა ჩვენების მიცემას აპირებენ სასამართლოში ჟვანიას დაცვის წევრები, კობა ხარშილაძე და მიხეილ ძაძამია...

საზოგადოებამ უკვე შეიტყო, რომ რამდენიმე დღის წინ სასამართლოზე ჟვანიას ცხედრის გაკვეთაში მონაწილე სანიტარი, არჩილ ჭიკაძე დაკითხეს, რომლის მიერ მიცემული ჩვენების თანახმად გამოიკვეთა, რომ მან პრემიერის ცხედარს ბალზამირება ექსპერტ ლევან ჩაჩუას დავალებით ჩაუტარა. ამ განცხადებას დაცვისა და ბრალდების მხარეები საკუთარი პოზიციის გამამყარებელ ჩვენებად მიიჩნევენ.

პროკურორი რევაზ ნადიი აცხადებს, რომ გაგუდვის ეჭვის არსებობის გამო ზურაბ ჟვანიას ცხედარს ბალზამირება არ უნდა ჩატარებოდა. ჩაჩუას ადვოკატი, ზურაბ ტაბიძე კი განმარტავს, რომ ჟვანიასთან ერთად გარდაცვლილ რაულ უსუპოვს მკერდის არეში არა დაზიანებები, არამედ ბალზამირების შედეგად მიღებული ნაჩხვლეტები ჰქონია.

მკითხველს, ალბათ, დააინტერესებს, რატომ არ უნდა ჩატარებულიყო ბალზამირება და მართლაც დასტურდება თუ არა, რომ უსუპოვზე ფიზიკური ძალის გამოყენებას ადგილი არ ჰქონია. ამიტომაც განმარტება დამოუკიდებელ ექსპერტს, მაია ნიკოლეიშვილს ვთხოვეთ:

– როდესაც მოწამვლაზეა ეჭვი, ბალზამირება კატეგორიულად არ შეიძლება, ვინაიდან, ამ შემთხვევაში მოწამვლის კვალი იშლება...

– თუმცა, ჯერ ყველა ნიმუში აიღეს ცხედრიდან და ბალზამირება მხოლოდ ამის შემდეგ ჩატარდა...

– მაინც არ შეიძლებოდა, ვინაიდან ასეთ შემთხვევებში, განსაკუთრებით კი ამ საქმეში ბალზამირება არ უნდა მომხდარიყო. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა ამ შემთხვევაში ყოველთვის გულისხმობს პერსპექტივაში განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარებას, ბოლოს და ბოლოს, თუნდაც ექსჰუმაციას. რაკი ბალზამირება ჩატარებულია, ამ კუთხით ექსჰუმაციას აზრი ეკარგება...

– ამბობენ, რომ რაულ უსუპოვის გულ-მკერდის არეში ნაჩხვლეტები სწორედ ბალზამირების შედეგი ყოფილა...

– რა წესითაც საქართველოში კეთდება ბალზამირება, ეს ნაჩხვლეტები მისი კვალი არ უნდა იყოს, რადგან შედიან ბარძაყის არეში.

ამ სურათმა შესაძლოა, მკითხველის ერთი ნაწილი დააბნიოს კიდეც, ვინაიდან თუ პროკურატურა ავითარებს მკვლელობის ვერსიას, რაში სჭირდება მას გაზით ინტოქსიკაციის ვერსიაზე მსჯელობა. და თუ თვლიან, რომ ყოფილი ხელისუფლების დაკვეთით ინტოქსიკაციის კვალი ბალზამირების შედეგად შეგნებულად წაიშალა, ამით ხომ არ აღიარებენ, რომ ინტოქსიკაციას მართლაც ჰქონდა ადგილი?

თუმცა თუ საკითხს ფაბულურად შევხედავთ – წაიშალა მოგონილი სიკვდილის მიზეზის კვალი, იმისთვის, რომ ეს არავის არასდროს გადაემოწმებინა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება. ამავდროულად კი პროკურატურას ლევან ჩაჩუას წინააღმდეგ რჩება კოზირი, რომ ყველა არგუმენტის ხელიდან გამოცლის შემთხვევაში ამით მაინც დარჩეს არგუმენტი მის მიერ უფლებამოსილების გადაჭარბების დასამტკიცებლად.

ახლა კი შემდეგი თემა:

ბოლო სხდომაზე არსებობდა მოლოდინი, რომ დაიკითხებოდნენ კობა ხარშილაძე და მიხეილ ძაძამია, რომლებიც აღწერდნენ, რა ვითარება დახვდათ მათ შემთხვევის ადგილზე. თუმცა, ბოლო მომენტში პროკურატურამ ისინი ბრალდების მოწმეთა სიიდან ამოიღო. მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ ამით მათ ხარშილაძეს მოუსპეს საშუალება, ეთქვა, რომ ჟვანიამ ტუჩზე დაზიანება მის მიერ ხელოვნური სუნთქვის ჩატარების დროს მიიღო...

პროკურორი რევაზ ნადიი ამ გადაწყვეტილებას შემდეგნაირად ხსნის: „ჩვენ ჩაჩუას ვედავებით ექსპერტიზის არასრულყოფილად შედგენას და დაცვის წევრებს, ამ შემთხვევაში ძაძამიასა და ხარშილაძეს, ამასთან რა კავშირი აქვთ? გარდა ამისა, აღნიშნულმა პირებმა რამდენჯერმე შეცვალეს ჩვენება, ხან ერთს ამბობდნენ, ხან – მეორეს, მხედველობაში გვაქვს უსუპოვის გვამის შემთხვევის ადგილიდან გატანის, მანქანაში მოთავსების და მერე ისევ შემთხვევის ადგილზე დაბრუნება. ანუ მათ ჩვენებებს სამართლებრივი ღირებულება აღარ ექნება“.

ამაში საკვირველს ვერაფერს ხედავენ ვერც ძაძამიასა და ხარშილაძის ადვოკატები, რაც შეეხება ხელოვნური სუნთქვის შესახებ დეტალს, ხარშილაძის ჩვენებიდან, ის ამას მაშინ გააჟღერებს, როდესაც ამ პროცესზე მას მოწმედ ჩაჩუას დაცვა მოიხმობს.

ჩვენების შეცვლასთან დაკავშირებით კი ადვოკატებს შემდეგი პოზიცია აქვთ:

ბექა ბასილაია, კობა ხარშილაძის ადვოკატი: „მალე მოვა დრო, როდესაც ძალიან დეტალურად მოყვება კობა ყველაფერს. თუმცა ახლა გეტყვით, რომ ამ ჩვენებებში არავითარი შეუსაბამობა არ არის. ყველა დეტალს ძალიან დეტალურად ხსნიან. ყველა იმ უხერხულობაზეც არის მითითება, რასაც ამდენი წელი მალავდნენ და დელიკატურად იცავდნენ იმ ადამიანის ღირსებას. მოვა დრო, როდესაც ამ ყველაფერს ფარდა აეხდება... ეს მოხდება დაახლოებით 2-3 თვეში, ჩვენს პროცესზე. ახლა ჯერ ნაფიც მსაჯულებს ვარჩევთ...“

გელა ქენქაძე, მიხეილ ძაძამიას ადვოკატი:

– მოგეხსენებათ, რა დროში ვიყავით რამდენიმე წლის წინათ და რა ხდებოდა მოწმის მიმართ... ახლა იტყვიან სიმართლეს. ეს სიმართლე, რა თქმა უნდა, პროკურატურას არ აწყობს, ვინაიდან მის ვერსიას არ ადასტურებს, რადგან, რაც არ ყოფილა, არც იტყვიან. დღეს არავინ ახდენს ზეწოლას ბრალდებულებზე, როგორც ადრე იყო. შესაბამისად, რაში აწყობს პროკურატურას, პროცესზე მიიყვანოს მოწმე, რომელიც მის პოზიციას არ დაადასტურებს?

– ძაძამიას რამდენი ჩვენება დევს საქმეში?

– ორი: ახალი და 2005 წელს მიცემული.

– ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებია?

– ურთიერთსაწინააღმდეგო ბევრი რამ არ არის. ჩვენებებში რაღაცები განსხვავდება, მაგრამ დიდად – არა. მაშინ მიხეილ ძაძამია სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი იყო. ჰყავდა ხელმძღვანელობა, რომელმაც უთხრა, როგორი ჩვენება უნდა მიეცა. თქვენც ხომ იცით, მაშინ რა სისტემა იყო. ადამიანს ცხოვრება უნდოდა, მუშაობა, სამსახური. ისიც ასე მოიქცა. ბევრი რამის წინასწარ დაკონკრეტებაც არ მინდა. თუმცა იმას გეტყვით, რომ მათ თუ რამე დამალეს პირველად მიცემულ ჩვენებაში, ამით დანაშაული არ ჩაუდენიათ. პირიქით, თუ რამე დამალეს, მხოლოდ ჰუმანური მიზნებით.

– ანუ თქვენც გულისხმობთ იმას, რომ ძაძამიამ და ხარშილაძემ კონკრეტული დეტალების დამალვით ჟვანიას ღირსება დაიცვეს?

– დიახ... ეს ფაქტია.

– ახალ ჩვენებაში გადაიფიქრა ამ ღირსების დაცვა?

– რას აღნერს ახალ ჩვენებაში, ამას სასამართლოზე გავარკვევთ. თუმცა ფაქტია, რომ ამდენი წლის განმავლობაში ჩუმად იყო ადამიანი და ერთი მადლობა არავინ უთხრა. პირიქით, ათასი რამე დააბრალეს – ამერიკაში ლიმუზინების ბიზნესი ააწყო და მილიონერიაო, ესეც კი ითქვა იმ დროს, როდესაც სახლი და კარი არ აქვს თავისი. არც მანქანა ჰყავს. პურის ფული არ აქვს, სამსახური არ აქვს...

– თუმცა, ხარშილაძის აღმასვლა საზოგადოებამ ნახა...

– ხარშილაძეზე მე ვერ დაგელაპარაკებით. მე გეუბნებით ძაძამიაზე. ორი ლარი არ აქვს ჯიბეში, ისეთ დღეშია. მაგას რამე რომ გაეკეთებინა, დღეს ან მკვდარი იქნებოდა, ან კიდევ სადღაც ოკეანის სანაპიროზე უზარმაზარ ვილაში იცხოვრებდა და საერთოდ არ დააინტერესებდა, აქ რა ხდება... დღეს კი ძაძამიას, ჩემ გარდა, პატრონი არ ჰყავს (არ ვგულისხმობ ოჯახის წევრებს). არავინ აქცევს ყურადღებას – არც ნაციონალები და არც სხვა ვინმე. ერთხელაც არავის ამოუღია ხმა მის დასაცავად. ვინმეს რომ ეშინოდეს, ძაძამიამ რაღაც იცის და რაღაცას იტყვისო, რაღაცას მოიმოქმედებდნენ... ბოლოს და ბოლოს, ახლა გააპარებდნენ საზღვარგარეთ, ახლა ხომ გარეთ არის?

ბექა ბასილაია, კობა ხარშილაძეს ადვოკატი: „ყველა იმ უხერხულობაზეც არის მითითება, რასაც ამდენი წელი მალავდნენ და დელიკატურად იცავდნენ იმ ადამიანის ღირსებას“

როგორც „პრაიმტაიმმა“ შეიტყო, დაცვის წევრებს მიცემული მართლაც აქვთ ჩვენება იმის შესახებ, რომ უკვე გარდაცვლილი რაულ უსუპოვი ჯერ გაიყვანეს შემთხვევის ადგილიდან და შემდეგ დააბრუნეს. ამიტომაც ყოფილა ის დასვრილი ტალახით. ეს ჩვენება ემთხვევა თავის დროზე პირველად სწორედ ჩვენს გაზეთში გაჟღერებულ პეტრე მამრაძისეულ მონათხრობს, რომლის მიხედვითაც, როდესაც სააკაშვილმა შეიტყო, რომ პრემიერი საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ბინაში ახალგაზრდა ბიჭთან ერთად ნახეს მკვდარი, ამ ბიჭის მტკვარში გადაგდება ბრძანა. ბოლო მომენტში კი გაირკვა, რომ ისიც თანამდებობის პირი იყო და უკან დააბრუნეს...

ამ დეტალში საორჭოფო ერთი საკითხი მაინც რჩება – იქმნება შთაბეჭდილება, რომ იუსუპოვის გაყვანაზე გადაწყვეტილების ავტორად არა სააკაშვილი, არამედ დაცვის წევრები წარმოჩინდნენ. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ თავის დროზე ყოფილი პრეზიდენტიც ამბობდა, პირადად კობა ხარშილაძემ დამირეკაო. ჩვენების ეს ნაწილი განსაზღვრავს სწორედ სააკაშვილის მიმართ ახალი ბრალის წაყენების ბედს უკვე ჟვანიას საქმეზე...

მაია ნიკოლეიშვილი: „როდესაც მოწამვლაზეა ეჭვი, ბალზამირება კატეგორიულად არ შეიძლება, ვინაიდან, ამ შემთხვევაში მოწამვლის კვალი იშლება...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კვიტაშვილისა და ზღულაძის მიმართ საქმე აღიძვრება?

EXCLUSIVE

მარიამ ნადირაძე

კვლავაც განსჯის საგანია, უნდა გამოცხადდეს თუ არა სააკაშვილზე ძებნა წითელი ცირკულარით. ეს თემა სულ სხვა სიმაღლეზე აიწია მას შემდეგ, რაც გავრცელდა თითქოსდა მთავარი პროკურორის ბადაშვილის პოზიცია იმის შესახებ, რომ ყველაფერი გაკეთდება ყოფილი პრეზიდენტის მიმართ საერთაშორისო ძებნის დასაწყებად. დღეს ეს თემა საკამათო გახდა, ვინაიდან პროკურატურა არასწორი ინტერპრეტაციის გამო ხელს მედიისკენ იშვერს, მაგრამ ფაქტია, რომ მას შემდეგ, რაც ყოფილმა პრეზიდენტმა საქართველოში „მალე დაბრუნება“ დააანონსა, ოფიციალური თუ კულუარული პროცესებიც დაიძრა მის მიმართ ძებნის პროცედურების განსახორციელებლად.

რა ზომების მიღებაა ამისთვის საჭირო, ამის შესახებ „პრაიმტაიმი“ შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრს, კობა ნარჩემაშვილს ესაუბრა:

– ის ქვეყნები, რომლებიც შეერთებულნი არიან ინტერპოლის წესდებასა და დებულებას, ვალდებულნი არიან, განახორციელონ ეჭვმიტანილი პირის გადაცემა, ექსტრადირება, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის სამართლებრივად არ წყდება ასეთი საკითხები. ეს პოლიტიკური გადაწყვეტილების საგანია. მე რომ მკითხოთ, მასზე წითელი ცირკულარით ძებნა აქამდეც უნდა გამოცხადებულიყო.

– რა არის საჭირო იმისთვის, რომ ინტერპოლმა წითელ ცირკულარში ჩასვას სააკაშვილი?

– ამისთვის არსებობს ფორმალური მოთხოვნები – მთელი რიგი დოკუმენტაციის ჩამონათვალი. ამას გარდა, უნდა არსებობდეს მყარი მტკიცებულებები იმისთვის, რომ კონკრეტულ პირზე წითელი ცირკულარით გამოცხადდეს ძებნა.

– აქამდე რომ არ მოხდა წითელ ცირკულარში ჩასმა, ხომ არ ნიშნავს იმას, რომ პროკურატურას უჭირს ინტერპოლის დარწმუნება სააკაშვილის ბრალეულობაში?

– ასეთი სახით არ ხდება დარწმუნება...

– ვგულისხმობთ მტკიცებულებების დონეზე...

– აქ არის, უბრალოდ, ბიუროკრატიული მიდგომა – დოკუმენტების გადაგზავნა და თუ რამე აკლია, მათი შევსება. ერთი სიტყვით, მუშა პროცესია. მე უშუალოდ საქმეს არ ვიცნობ, მაგრამ ირკვევა, რომ საუბარია ბიუჯეტის თანხების გაფლანგვაზე, მითვისებაზე, გირგვლიანის საქმეში და 26 მაისის საქმეში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაზე, ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებულ მოქმედებებზე, ეს ყველაფერი კი ერთობლივად იძლევა იმის საშუალებას, რომ ნებისმიერი პირის მიმართ გამოცხადდეს წითელი ცირკულარით ძებნა.

– თუ გახსენდებათ სხვა შემთხვევა, როდესაც სახელმწიფოს ყოფილ მეთაურზე გამოცხადებულიყო ძებნა...

– კი... ძალიან ბევრი შემთხვევა იყო ასეთი... თუნდაც მილოშევიჩი იყო ძებნაში და ა.შ...

– ეს ქვეყნის იმიჯზე როგორ აისახება...

– პინოჩეტის მიმართ იყო ასეთი მიდგომა და 90 წელს გადაცილებულ კაცს ასამართლებდნენ, მაგრამ არა მგონია, ამის გამო ჩილეს იმიჯი შელახულიყო... პირიქით, ჩილე ამის შემდეგ მოხვდა დემოკრატიული ქვეყნების რიგებში იმის გამო, რომ ყველას მიმართ დააყენა პასუხისმგებლობა, ვისაც დიქტატურის დროს დანაშაული ჰქონდა ჩადენილი.

– თუმცა, პინოჩეტისგან განსხვავებით, სააკაშვილი დასავლეთის მხარდაჭერით სარგებლობს...

– სწორედ ამაშია უბედურება, რომ სააკაშვილი პინოჩეტისგან არ განსხვავდებოდა სისასტიკით, მაგრამ არა დასავლეთის, არამედ გარკვეული ჯგუფების კონიუნქტურის გამო არსებობს მის მიმართ მხარდაჭერა. თუმცა, ეს არ ნიშნავს მის მიმართ დასავლეთის უპირობო მხარდაჭერას.

„ალბათ, დრო არის საჭირო, რომ მსოფლიომ სააკაშვილის მმართველობაც დიქტატურად შეაფასოს...“

რა პროცედურების გავლის შემდეგ დაიჭერენ სააკაშვილს?

– შევარდნაძის საქმიანობა იძლეოდა მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძველს?

– ჩემი აზრით, არა... ეს რომ ასე არ ყოფილიყო, შევარდნაძეს ნაციონალური ხელისუფლება დანაშაულის მამხილებელ მტკიცებულებას არ შეუნახავდა...

– იქნებ მაშინაც მოქმედებდა დასავლური კონიუნქტურა, რის გამოც შევარდნაძე გადაურჩა ამ დევნას და რომლის მიხედვითაც სახელმწიფოს მეთაურებზე მსგავსი ღონისძიებები არ ხორციელდება...

– მაშინ პინოჩეტი და მილოშევიჩი ვინ იყვნენ?

– დიქტატორები...

– ალბათ, დრო არის საჭირო, რომ მსოფლიომ სააკაშვილის მმართველობაც დიქტატურად შეაფასოს...

– უკრაინაში სააკაშვილის მყარი პოზიციები, თქვენი აზრით, აისახება ორი ქვეყნის ურთიერთობებზე?

– სამწუხაროდ, ეს არ აისახება პოზიტიურად, რადგან უკრაინის ხელისუფლებამ საკმაოდ არამეგობრული გადაწყვეტილება მიიღო. ვფიქრობ, ეს არ ნაადგება ამ ორი ქვეყნის ურთიერთობას. მეტიც, ვფიქრობ, რომ პროკურატურამ უნდა აღძრას საქმეები იმ ხალხის მიმართ, რომლებმაც სხვა ქვეყნის მაღალი თანამდებობების დაკავების მომენტში შეიძლება დააზარალონ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება...

– რას გულისხმობთ?

– ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებიც დღეს უკრაინაში არიან მაღალ პოლიტიკურ თანამდებობებზე, შეხება ჰქონდათ ისეთი ტიპის სახელმწიფო საიდუმლოებებთან, რომლის გადაცემა თუნდაც მეგობრული სახელმწიფოსთვის, შესაძლოა, საზიანო აღმოჩნდეს ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის. ამიტომაც, ჩემი აზრით, ამ კონტექსტში გამოძიება დასაწყებია...

– გამოძიება უნდა დაიწყოს არჩადენილ დანაშაულზე?

– ჩვენს სისხლის სამართლის კოდექსში წერია ასეთი რამ: იმ ინფორმაციის გაცემა, რომელიც ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, სხვა ქვეყნის სასარგებლოდ...

– ასეთი ფაქტი ფიქსირდება?

– ჩვენ რა გარანტია გვაქვს, რომ ის საიდუმლო ინფორმაცია, რომელსაც ეს ადამიანები ფლობდნენ, არ გახდება იმ სახელმწიფოს სპეცსამსახურებისთვის ცნობილი, რომლის ხელისუფლებასაც ისინი ახლა წარმოადგენენ. ან რატომ უნდა უარვყოთ ის, რომ ამ გზით ასეთ ინფორმაციაზე წვდომა ექნებათ იმ სპეცსამსახურში ჩანერგილი, ჩვენ მიმართ მტრულად განწყობილი ქვეყნების სპეცსამსახურების თანამშრომლებისთვის? ამიტომაც, ჩვენმა სამართალდამცველებმა გადაუდებლად უნდა დაიწყონ გამოძიება, რა სახის საიდუმლოების შემცველ ინფორმაციასთან ჰქონდათ შეხება ამ ადამიანებს... ვინაიდან ახლა ისინი დაინტერესებულები არიან, რომ სხვა ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ იმუშაონ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბოკერია VS ალასანია – შემთხვევითი შეხვედრა თუ დაგეგმილი კონსპირაცია

EXCLUSIVE

რა მოხდა „მარიოტში“

ხათუნა მგალობლიშვილი

ევროპული კოალიცია – არჩევნებზე პარტიები ცალ-ცალკე გადიან და შემდეგ ჯგუფდებიან, ქართული კოალიცია – არჩევნებისთვის დაჯგუფდებიან და არჩევნების შემდეგ ერთმანეთს სკანდალურად შორდებიან, თუ მარტივად და ქართულად: წინასაარჩევნოდაც იჩხუბებენ და მერეც? ექსპერტებს ამ თემაზე ჯერ ერთიანი პოზიცია არ აქვთ. როგორ გადაჯგუფდებიან პოლიტიკური ძალები ოპოზიციაში ამ საკითხზე ყველას საკუთარი ვერსია აქვს.

სოსო ცინცაძე:

– პოლიტიკაში გამორიცხული არაფერია. პოლიტიკურმა ისტორიამ უამრავი მაგალითი დაგვიტოვა იმისა, რომ მოსისხლე მტრები, რომლებიც ერთმანეთს ფიზიკურად ებრძოდნენ, შერიგებულან და ერთად უბრძოლიათ ერთი მიზნისთვის. ყველა პოლიტიკოსის ოცნება, რისთვისაც ისინი ეშმაკსაც კი გაურიგდებიან, ეს არის ხელისუფლებაში მოსვლა, ამაზე დიდი ოცნება პოლიტიკოსს არ აქვს. ამიტომ არ გამოვრიცხავ თავისუფალი დემოკრატებისა და ნაციონალების ერთობას...

„პოლიტიკაში გამორიცხული არაფერია. პოლიტიკურმა ისტორიამ უამრავი მაგალითი დაგვიტოვა იმისა, რომ მოსისხლე მტრები, რომლებიც ერთმანეთს ფიზიკურად ებრძოდნენ, შერიგებულან და ერთად უბრძოლიათ ერთი მიზნისთვის“

გია ხუხაშვილი, ექსპერტი:

– მე უფრო ვფიქრობ, რომ მათი ალიანსი უფრო საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, პარლამენტში იქნება შესაძლებელი, როგორც ხდება ხოლმე ევროპაში. იქ კოალიციები უფრო პარლამენტში შესულ პოლიტიკურ ძალებს შორის დგება ხოლმე.

გიორგი ცაგარეიშვილი, ალასანიას პარტიის წევრი:

– იმ დღიდან, როგორც კი „თავისუფალი დემოკრატები“ ნებისმიერი სახით დაიწყებენ თანამშრომლობას ნაციონალებთან, მე ამ პარტიაში ვეღარ მიხილავთ...

რა გამოვა ამ დაპირისპირებული და სრულიად განსხვავებული პოზიციებიდან, ჯერ უცნობია. შესაბამისად, ინტერესი, რა პოლიტიკურ კონფიგურაციებს მივიღებთ საბოლოო ჯამში, ძალიან დიდია.

ამ საარჩევნო მარათონის პირას ყოველი მათი გადაადგილება, განცხადება, შეხვედრა – განსაკუთრებით პარლამენტის გარეთ, თუ სხვა რაიმე სახის აქტივობა, მედიის ყურადღების ცენტრში ექცევა.

რამდენიმე დღის წინ „პრაიმტაიმის“ ერთ-ერთმა თანამშრომელმა, რომელიც თავის რესპონდენტს „მარიოტის“ კაფეში უნდა შეხვედროდა, ადგილზე მისვლისას დაინახა ერთ მაგიდასთან მსხდომი გიგა ბოკერია, ირაკლი ალასანია, ზურაბ აბაშიძე და გოკა გაბაშვილი. ამ შეხვედრის შესახებ ინფორმაცია სწორედ მისგან მივიღეთ.

„პრაიმტაიმის“ პაპარაცს ირაკლი ალასანია უკვე წასული დახვდა, სამაგიეროდ საკმაოდ კეთილგანწყობილად შეგვხვდა გიგა ბოკერია. მაგიდასთან მიგვიპატიჟა და ვითარებაშიც გაგვარკვია:

– ჩვენ გასვენებიდან მოვდიოდით და ყავის დასალევად შემოვედით. ალასანია და ზურა აბაშიძე ყავას სვამდნენ და შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს. არაფერზე არ გვისაუბრია, უბრალოდ, მივესალმეთ.

– ისინი ცალკე ისხდნენ?

– კი, ისინი სხვა მხარეს ისხდნენ და მალევე წავიდნენ.

- რა თემებზე ისაუბრეთ?..

– და რა თემებზე უნდა გვესაუბრა?..

– მაგალითად, იგივე არჩევნებზე.

– არა, არაფერზე არ გვილაპარაკია.

„თავისუფალი დემოკრატების“ ერთ-ერთ ლიდერს ზურაბ აბაშიძეს მოგვიანებით დავუკავშირდით:

– არ ყოფილა შეხვედრა, საიდან გაქვთ ინფორმაცია?

– თვითმხილველებმა დაგინახეს, როგორ ისხედით ერთ მაგიდასთან...

– არა, არ შეესაბამება სიმართლეს. ჩვენ იქ ვიყავით, თუმცა არა ბოკერიასთან და გაბაშვილთან ერთად. არანაირი საუბარი არ შემდგარა ჩვენს შორის.

– ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ საარჩევნოდ „თავისუფალმა დემოკრატებმა“ და ნაციონალებმა საერთო ინტერესები იპოვონ და გაერთიანდნენ, ამაზე რას იტყვით?

– გამორიცხულია ჩვენ და ნაციონალები ერთად. ეს არის ჭორები და დღევანდელი ხელისუფლების პროპაგანდა, რომ ნაციონალებს მიგვაბან. მსგავსი საკითხი არ დგას და არც განიხილება, პირდაპირ გეუბნებით. ამაზე არავინ არ ფიქრობს და არც შეიძლება, რომ იფიქროს, გამორიცხული თემაა.

P.S. „თბილისი მარიოტში“ ალასანია-ბოკერიას შორის ეს პირველი შემთხვევითი თუ დაგეგმილი შეხვედრა არ ყოფილა. მათი შეხვედრა რამდენჯერმე მაშინაც გასკანდალდა, როცა ირაკლი ალასანია დედაქალაქის მერობისთვის იბრძოდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„დიდად არც მჯერა რეიტინგების, სიმართლე გითხრათ“

ხათუნა მგალობლიშვილი

საინფორმაციო-ანალიტიკური გადაცემა ბიძინა ივანიშვილის მონაწილეობით თებერვლიდან გავა ეთერში. გადაცემა, სავარაუდოდ, ყოველდღიური იქნება და ნახევარი საათიდან ორმოც წუთამდე გაგრძელდება. „2030“-ის პროდიუსერის, ვასილ მაღლაფერიძის განცხადებით, „2030“ „ერთი რიგიანი გადაცემა“ იქნება, რომელსაც საზოგადოება ინტერესით უყურებს.

„ბიძინა ივანიშვილი ჩართული არ არის გადაცემის მზადებაში, თუმცა რამდენჯერმე რომ შეგვხვდა, დაინტერესება გამოიჩინა“

ვასილ მაღლაფერიძე: „გადაცემა ნახევარი საათიდან ორმოც წუთამდე გაგრძელდება“

ვასილ მაღლაფერიძე, „2030“-ის პროდიუსერი:

– ყოველდღიური გადაცემა იქნება და პირველი გადაცემა კონკრეტულად რას შეეხება, ჯერ არ ვიცით.

– გადაცემის ხანგრძლივობა თუ იცით უკვე?

– ნახევარი საათიდან ორმოც წუთამდე გაგრძელდება.

– რომელ გადაცემებს ემთხვევა, ეს საკითხი თუ განიხილეთ?

– ამაზე არც გვიფიქრია და არც გვაინტერესებს.

ბიძინა ივანიშვილის პარალელურად გადაცემას სამი მუდმივი თანაწამყვანი ეყოლება: მაკა ცინცაძე, გიორგი უძილაური და შადიმან შამანაძე. სამივე მათგანის ვინაობა ჯერ კიდევ ერთი თვის წინ იყო ცნობილი, თუმცა მაშინ ჟურნალისტები ინფორმაციას არ ადასტურებდნენ. უკვე დღეს ისინი აცხადებენ, რომ ყოველდღიურ რეჟიმში მუშაობენ და ეთერში გასვლას ელოდებიან.

მაკა ცინცაძე, ჟურნალისტი:

– პროექტი მზადების პროცესშია, პირველ გადაცემაზე საუბარი ჯერ ადრეა. შემიძლია გითხრათ, რომ მე ნამდვილად ვიქნები წამყვანი, ასევე, თანაწამყვანები იქნებიან შადიმან შამანაძე და გიორგი უძილაური. გადაცემას, მთავარი პროდიუსერის გარდა, ჰყავს დამხმარე პროდიუსერები, ჯგუფი მუშაობს ყოველდღიურ რეჟიმში. გადაცემის სახელწოდება, როგორც უკვე იცით, „2030“ იქნება და ის 20 საათსა და 30 წუთზე გავა.

– კონკრეტული რიცხვი თუ იცით, როდიდან გავა გადაცემა?

– ეს დეტალი ჯერ არ ვიცით, ყოველ შემთხვევაში შემიძლია გითხრათ, რომ, სავარაუდოდ, თებერვლის შუა რიცხვებიდან გავა გადაცემა. ჩვენ ყოველდღიურად ვიკრიბებით და ვემზადებით.

– ბიძინა ივანიშვილი ყოველ გადაცემაში მიიღებს მონაწილეობას?

– წამყვანები ვიქნებით ყოველ გადაცემაში და ბიძინა ივანიშვილი რა პერიოდულობით იქნება, არ ვიცი.

– ყოველდღიური გადაცემა იქნება?

– რაც შეეხება თვითონ გადაცემას, ის ან ყოველდღე გავა, ან ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, ან კვირაში ერთხელ, ჯერ არ არის გადაწყვეტილი.

– უკვე განიხილავთ, პირველ გადაცემაში რა თემებზე იქნება საუბარი?

– ჩვენ ყოველდღიურ რეჟიმში განვიხილავთ თემებს. რაც შეეხება პირველ გადაცემას, ამას იხილავთ ანონსიდან, რომელიც ეთერში გასვლამდე გავა.

შადიმან შამანაძის განცხადებით, ყოფილი პრემიერი, ბიძინა ივანიშვილი გადაცემის სტუმარი იშვიათად იქნება და ის არ არის ჩართული გადაცემის მომზადების პროცესში, თუმცა ინტერესს მის მიმართ უკვე იჩენს...

შადიმან შამანაძე, „2030“-ის თანაწამყვანი:

– ბიძინა ივანიშვილი ჩართული არ არის გადაცემის მზადებაში. ის მოდის ხოლმე საზოგადოებაში „2030“ და ხანდახან ვხვდებით ხოლმე. თუმცა რამდენჯერმე რომ შეგვხვდა, დაინტერესება გამოიჩინა, ყურადღებით არის, მაგრამ აქტიურად ჩართული ნამდვილად არ გახლავთ. ჩვენ ყოველდღიურად ვმუშაობთ გადაცემისთვის.

– უფრო კონკრეტულად რომ გვითხრათ გადაცემაზე, რა თემებს განიხილავთ?

– ყველანაირ თემას განვიხილავთ, მაგალითად, ერთ-ერთი ბოლო თემა იყო საფრანგეთში განხორციელებული ტერაქტი. ზოგი მიმდინარე თემაა, ზოგი ისეთია, რომელიც მიმდინარე თემებს არ ემთხვევა. პირველი გადაცემის თემებზე საუბარი ჯერ ადრეა, შორია იქამდე. ჩვეულებრივი საინფორმაციო-ანალიტიკური გადაცემა იქნება, თავისი მიმდინარე ამბებით, გვეყოლებიან სტუმრები და ცოტა სხვა ფორმატიც ექნება, ცოტა განსხვავებული, თუმცა განსაკუთრებული არაფერი. რომ ამბობენ, ბიძინა ივანიშვილი იქნება წამყვანიო, ასე არ არის.

– ანუ პერიოდულად გესტუმრებათ ხოლმე?

– შეიძლება ერთ-ერთი სტუმარი იყოს ხოლმე, რა პერიოდულობით იქნება, არც ეს არის ცნობილი. ალბათ, უნდა შევეხვეწოთ, რომ მოვიდეს. ბუნებრივია, მთავარი ინტერესი მაინც ის იქნება და რეიტინგიც ექნება, ამაზე ლაპარაკიც არ არის.

– რაც შეეხება რეიტინგს, უკვე ცნობილია თქვენი გადაცემის ეთერში გასვლის დრო - საღამოს 20:30 საათი. თუ იცით უკვე რომელ გადაცემებს დაემთხვევა?

– დიდად არც მჯერა რეიტინგების, სიმართლე გითხრათ.

მაკა ცინცაძე: „პროექტი მზადების პროცესშია, პირველ გადაცემაზე საუბარი ჯერ ადრეა. შემიძლია გითხრათ, რომ მე ნამდვილად ვიქნები წამყვანი, ასევე, თანაწამყვანები იქნებიან შადიმან შამანაძე და გიორგი უძილაური“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ელისაშვილი VS ნარმანია

რა დივიდენდები მოაქვს დავით ნარმანიასთან დაპირისპირებას

საკრებულოსა და მერიის დაპირისპირება სტარტზეა(?!)

მარიამ ნადირაძე

თბილისის მერი დავით ნარმანია კვლავაც კრიტიკის ობიექტი ხდება. ამ შემთხვევაში მიზეზი ონიაშვილის ქუჩაზე მშენებარე კორპუსის კედლების ჩამონგრევაა და აქაც მასზე „თავდასხმის სუბიექტი“ საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალეკო ელისაშვილია...

ჩვენმა მკითხველმა, ალბათ, კარგად იცის, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ელისაშვილი ნარმანიას უპირისპირდება... პირველად ეს მაშინ მოხდა, როდესაც ნარმანია ჯერ კიდევ მერობის კანდიდატი იყო მხოლოდ. მაშინ დეპუტატი აცხადებდა: „უგულავა კორუფციის მოსიარულე ფორმულაა, რომელიც აქამდეც უნდა დაკავებულიყო. ვიმედოვნებ, რომ პროკურატურა უგულავას ბრალს დაუმტკიცებს და საკადრისადაც დასჯის. ის დამნაშავე იყო არაერთ ეპიზოდში, თუნდაც იმის გამო, რომ „სითი პარკი“ არის კორუფციული სქემა და ასევე, იმის გამო, რომ თბილისის კეთილმოწყობის ბიუჯეტს გრიფი „საიდუმლო“ ედო. გიგი უგულავას საქმიანობა კორუფციას უკავშირდებოდა ყოველთვის. არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ, რადგან „ქართულმა ოცნებამ“ ადგილობრივი არჩევნების პირველ ტურს კარგად ვერ გაართვა თავი, ამიტომ ამ ხერხს მიმართა. ახლა ეს დაკავება „ქართულ ოცნებას“ ანყობს, რათა ამით საზოგადოების თვალში ნარმანია უკეთ გამოაჩინოს“...

მაშინ ეს განცხადება ერთგვარ სტარტს ჰგავდა და უკვე შეიძლებოდა მოხაზულიყო კონტურები, როგორ წარმართავდა ახლად გამომცხვარი დეპუტატი თავის პოლიტიკურ კარიერას...

მერე იყო „სითი-პარკის“ თემა, სადაც ელისაშვილი უკვე მერად გამხდარ ნარმანიას უნიათობაში სდებდა ბრალს და მას კონსულტაციებს სთავაზობდა...

ბოლოს კი ონიაშვილის ქუჩის ინციდენტი... ამ შემთხვევაშიც ქალაქის მერი, დეპუტატის აზრით, კვლავაც ულონო და უნიათოა: „რასაც ჩვენ აქ ვუყურებთ, ეს არის დავით ნარმანიას ულონობისა და უმწეობის შედეგი, პირველი დღიდან ვეუბნებოდი მეც და ეს ხალხიც, ვინც აქ აპროტესტებდა, რომ გაჩერებულიყო და მორატორიუმი გამოცხადებულიყო საბურთალოზე, ვერაზე და ვაკეში.

არც ღონე ჰყოფნის, არც გამბედაობა და არც ძალა დავით ნარმანიას, რომ ასეთ რამეებს მიხედოს, ნუ იყურებიან ცაში, იმიტომ რომ ყველა ინსტრუმენტი „ქართული ოცნების“ ხელშია – პარლამენტი, მთავრობა, საკრებულო, მერია. რაღა უნდათ, მიქელ-გაბრიელი უნდა ჩამოვიდეს და მშენებლობებს დაერიოს თუ რაღა უნდა მოხდეს მეტი?“ – განაცხადა ელისაშვილმა.

რაც მთავარია, ნარმანია ელისაშვილის არც ერთ განცხადებას არ ტოვებს რეაგირების გარეშე. ბოლო შემთხვევაზეც ასე უპასუხა: „მშენებლობები ვერ გაჩერდება. ქალაქს სჭირდება განვითარება. მთავარია, რომ სწორი პოლიტიკითა და გეგმაზომიერად განვავითაროთ ქალაქი... ჩვენი სამსახურები სწავლობენ, რამ გამოიწვია ჩამონგრევა. ეს იყო დაუდევრობა თუ მშენებლობის წესების დარღვევა. შესაბამისად, მუნიციპალური ზედამხედველობის სამსახური ამასთან დაკავშირებით რეაგირებას მოახდენს“...

რა თქმა უნდა, „პრაიმტაიმი“ არ აპირებს, თავის მკითხველს მხოლოდ ამ პოლიტიკური კინკლაობის შესახებ უამბოს, ვინაიდან ჩნდება სულ სხვა, შორსგამიზნული კითხვები...

წარმოიშვა ეჭვი იმის შესახებ, რომ ელისაშვილის ამ განცხადებების უკან შესაძლოა, იმალებოდეს პოლიტიკური გადაწყვეტილება – საკრებულოსა და მერიას შორის დაპირისპირებაზე... ამასთან დაკავშირებით „პრაიმტაიმს“ **გულიკო ზუმბაძე** ესაუბრება...

– თუ ასეთი გადაწყვეტილება არსებობს, იმას ნამდვილად არ შეიძლება პოლიტიკური დავარქვათ. მით უმეტეს, ეს გადაწყვეტილება სულ არ უნდა აწყობდეს კოალიციას. შეურაცხმყოფელიც კი შეიძლება იყოს ეს მოსაზრება საკრებულოსთვისაც, მერიისთვისაც და ელისაშვილისთვისაც. ის დამოუკიდებელი დეპუტატია და მას დამოუკიდებელი მოსაზრებები აქვს, შესაბამისად, დამოუკიდებლად მოქმედებს...

– ნარმანიაზე დარტყმით ხომ არ იზრდება ელისაშვილის პოლიტიკური წონა და ამით ის საპარლამენტო არჩევნებისთვის ხომ არ ემზადება?

– რაკი ის პოლიტიკაში მოვიდა, მას შესაძლებელია, ჰქონდეს პოლიტიკური ამბიციებიც...

– გაჩნდა მოსაზრება, რომ საპარლამენტო არჩევნებისთვის ის თავისუფალ დემოკრატებთან შეიძლება ვიხილოთ... ეს დინამიკა შეიმჩნევა საკრებულოში?

– თავისუფალი დემოკრატების ფრაქცია საკრებულოში არ არის აქტიური და არ არის ოპონირების რეჟიმში. ალეკო კი ბევრად აქტიურია. ამდენად, მათს შესაძლო ალიანსს კითხვის ნიშნით შევხედავდი. თუმცა პოლიტიკაში უცხო არაფერი არ არის.

აქვს თუ არა **ალეკო ელისაშვილს** შორსმიმავალი გეგმები, ცხადია, ამ კითხვაზე პასუხი სწორედ მისგან არის ყველაზე საინტერესო. ჩვენი დიალოგი კი არაორდინარულ ვითარებაში შედგა. სამდღიანი უშედეგო მცდელობის შემდეგ, მასთან ინტერვიუ ჩაგვეწერა, მისგან მივიღეთ „ესემეს“-შეტყობინება, რომ აქვს სიცხე და საუბარს ვერ ახერხებს. შესაბამისად, ჩვენს შორის კითხვა-პასუხი ისევ ამ რეჟიმში გაგრძელდა. **გთავაზობთ ერთგვარ სატელეფონო „სტენოგრამას“:**

– ქალაქის მერს ხშირად უნიათოს უწოდებთ... ნარმანიასთან თქვენი დაპირისპირება ხომ არ უნდა აღვიქვათ, როგორც პოლიტიკური გადაწყვეტილება საკრებულოსა და მერიას შორის დაპირისპირებაზე?

– მე არავის ვუპირისპირდები. მერიისგან და საკრებულოსგან ველოდები ქალაქისთვის და ხალხისთვის სასარგებლო ქმედებებს. ეს ჯერ არ ჩანს... საკრებულოს არაფერი ადარდებს, მერია წყალს ნაყავს. ეს არ მომწონს მე.

– ამბობთ, რომ მშენებლობები უნდა შეჩერდეს. ქალაქის განვითარების ალტერნატიული გეგმა გაქვთ?

– კი არ უნდა გაჩერდეს, სხვა ტერიტორიაზე უნდა გაგრძელდეს, იქ, სადაც ქალაქის გენგეგმით იქნება განსაზღვრული... მტკვრის მარჯვენა ნაპირი მეტისმეტად გადატვირთულია. განვითარებისა და მშენებლობის აქცენტები მარცხენა სანაპიროზე უნდა გადავიდეს...

– ხომ არ აპირებთ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას? თუ აპირებთ, ისევ დამოუკიდებელი კანდიდატი იქნებით?

– მე პარლამენტში არაფერი მესაქმება. სადაც ვარ, იქ დავრჩები ბოლომდე...

– თქვენ თავის დროზეც ამბობდით, პოლიტიკა არ მაინტერესებსო, მაგრამ პოლიტიკაში უკვე ხართ... ახლა ამბობთ, პარლამენტში არ ვაპირებო... თუმცა ეჭვი ჩნდება, რომ კონკრეტულად ნარმანიაზე დარტყმით თქვენი პოლიტიკური წონა იმატებს და მიზანი სწორედ პარლამენტის დეპუტატობა შეიძლება იყოს... მეტიც, გაჩნდა მოსაზრება, რომ შეიძლება ალასანიას გუნდში გიხილოთ...

– ...(პასუხი ვერ მივიღეთ)...

– ალეკო, დუმილი თანხმობის ნიშანია, თუ იდეა მოგწონათ? :)

– (დიდი ხნის ფიქრის შემდეგ...) ისე ცუდად ვარ, რომ არც მეტი ფიქრი შემიძლია და არც წერა...

შესაბამისად, ეჭვი ამჟამად საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატის პოლიტიკური მიზანსწრაფულობის შესახებ, ვფიქრობთ, გაძლიერდა, თუმცა სურათი კიდევ უფრო გამოკვეთილი იმ ფაქტის პირდაპირ-პროპორციული იქნება, რამდენად „უნიათო“ იქნება ქალაქის მერი საპარლამენტო არჩევნებამდე დარჩენილ წელიწად-ნახევარში..

ალეკო ელისაშვილი: „საკრებულოს არაფერი ადარდებს, მერია წყალს ნაყავს. ეს არ მომწონს მე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ფანატიკოსებს ყველაზე მეტად სიცილის ეშინიათ.

ცინიზმი სხვაა.

ცინიკოსები ისინი არიან, ვისაც არაფერი სწამს და თავისი მიზნების მისაღწევად გონებადაბნელებულ ფანატიკოსებს იყენებს.

ცინიკოსების მიზანი ფული და გავლენაა.

ფანატიკოსი მათი იარაღია.

ყველგან, მთელ მსოფლიოში. საქართველოშიც...

ფანატიკოსი უბედურია. მას გადარჩენის შანსი არ აქვს – არც აქ, არც იქ...

ის მოტყუებულია.

გუშინდელი დღის მერე უფრო მეტი ადამიანი აიღებს ხელში ფანქარს და მომაკვდინებლად გაიცინებს ყველა ჯურის ცნობიერად მოტყუებულ მკვლელზე.

ესაა ომი, სადაც კალმებს კალაშნიკოვები ებრძვიან.

თუმცა ფანატიკოსი ყოველთვის დამარცხდება, რადგან მას იუმორი არ აქვს.

გუშინ ოთხი კარიკატურისტი მოკლეს და გუშინვე ასობით ახალი კარიკატურა გაჩნდა, სადაც მხატვრები ბოროტებასა და სიკვდილს დასცინიან.

ასე იქნება მომავალშიც.

ასე იყო წარსულშიც.

„ათას ერთი ღამის“ ზღაპრებში სიცილი ამარცხებს შაითნებსა და ბოროტ სულებს...

ცინიკოს მეფისტოფელს უმოწყალოდ დასცინის თავდაჯერებული ფაუსტი...

არისტოფანე 25 საუკუნის წინათ დასცინოდა ფანატიზმს და დანარჩენი საუკუნეები ან მისი ატანა, ან მისი აკრძალვა უწევდათ.

ჟან-ბატისტ მოლიერი ფრანგი კარიკატურისტების მკვლელობამდე 400 წლით ადრე „ტარტიუფში“ დასცინოდა ფარისევლებსა და მათ მიერ მანიპულირებულ, ფანატიზმით დაჰიპნოზებულ იდიოტებს.

მოლიერი „დასაჯეს“: სიკვდილის წინ ზიარების უფლება არ მისცეს და 12 მეტრის სიღრმის მქონე საფლავში დაკრძალეს ღამით, „რაც შეიძლება ახლოს ქვესკნელთან“, რადგან „ტარტიუფში“ მხილებული თვალთმაქცი სასულიერო პირების აზრით, არქიეპისკოპოსის ხელმძღვანელობით, მოლიერის დაკრძალვა შეუძლებელი უნდა ყოფილიყო პარიზის კურთხეულ მიწაში.

სადღა არიან ახლა ეს „წმინდა“ ამკრძალავები?

მოლიერი კი ვიცით, სადაც არის.

ფრანგულმა სატირამ გაუძლო ფუშეს დევნას, ნაცისტებისა და „ვიშის რეჟიმის“ სისხლიან ეგზეკუციებს: ოკუპაციის დროს, „იატაკქვეშეთიდან“ („ქვესკნელიდან“) ახერხებდნენ „გესტაპოს“ მკვლელებისა და კოლაბორაციონისტების დაცინვას. სატირა ებრძოდა სტალინურ დიქტატურას: კლავდნენ და მაინც წერდნენ, კლავდნენ და მაინც ხატავდნენ... „ლიტერატურის ნაბიჭვარი“ – ასე უწოდა სტალინმა ზოშჩენკოს...

„ჯაყოს“ შეეწირა მიხეილ ჯავახიშვილი.

ეს სწორედ მისი სიტყვებია: „ფრთხილად იყავით, კალმის წვერზე მიზიხართ!“

თორემ დაგწერთ.

თორემ აღგწერთ.

თორემ დაგხატავთ.

რას ნიშნავს „რელიგიური გრძნობები“? ეს რა აბსტრაქციაა?!

ეს გამართლებაა?

გრძნობები ემოციური სფეროა. კაცმა არ იცის, ვის რა მოეჩვენება ემოციურად და ვინ რატომ იგრძნობს თავს შეურაცხყოფილად. ვინ უნდა დაადგინოს, სად გადის ზღვარი?

ადამიანის შეურაცხყოფა და დაჩაგვრა არ შეიძლება, ამაზე არავინ დაობს, მაგრამ „გრძნობები“ რაღაა? „გრძნობები“ როგორ დავარეგულიროთ? როგორ შევთანხმდეთ, ვის რა უნდა მოეჩვენოს ემოციურ-რელიგიურად შეურაცხმყოფელად?

ჩემს რელიგიურ გრძნობებს აშკარად შეურაცხყოფს, როცა ვხედავ, როგორ იგინება მართლმადიდებელი მღვდელი „ქრისტიანობის სახელით“ და ცოდვილთა ცემას აპირებს ტაბურეტით ხელში. ანდა, როცა ისევ აქ, საქართველოში, „ვერბალური ტერორისტი“ კვლავაც და კვლავაც „ქრისტეს სახელით“ გემუქრება მოკვლითა და ჩაქოლვით...

ჰოდა, იმათ რა უნდა ვქნათ, ვისაც ფსევდოქრისტიანის ამგვარი ქცევა გვეჩვენება ქრისტიანობის შებღალვა-შეურაცხყოფად? ჩვენც ტაბურეტს ან კალაშნიკოვს ხომ არ ავიღებთ ხელში?

ცხადია, არ ავიღებთ...

მაგრამ დავცინებთ.

და ყველგან დასცინებენ.

ახლა მილიონობით ადამიანს „კალმის წვერზე უზიან“ ფანატიკოსები... „კალმის წვერზე უზიან“ რეალური თუ ვერბალური მკვლელები...

რადგან „კალამი ამხელს“.

რადგან სიტყვა ამხელს.

ამის კი ყველაზე მეტად ეშინიათ.

რადიო თავისუფლება

კალაშნიკოვი
თავისუფლების წინააღმდეგ

ქეთი ხატიაშვილი

კალაშნიკოვი სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ. ტერორიზმს არ აქვს უკვე არც ეროვნება და არც რელიგია... აქვს იარაღი... კალაშნიკოვი. რუსეთის კავშირებზე ტერორისტულ დაჯგუფებებთან ბევრს წერენ...



ჯერ რთულია იმის თქმა, როგორ შეიცვლება დასავლეთის პოლიტიკა პარიზში განხორციელებული ტერაქტების შემდეგ. იქნება თუ არა ის ისეთივე ათვლის წერტილი, როგორც ეს ნიუ-იორკში ტყუპების აფეთქების შემთხვევაში იყო... მაშინ ლამის მთელი სამყარო ტერორისტების წინააღმდეგ დაირაზმა. რუსეთის ჩართვა ამ პროცესში იმდენად მნიშვნელოვანი იყო, დასავლეთი მაშინ გარკვეულ კომპრომისებზეც კი წავიდა... ახლა გაჩნდა კითხვა: და ხომ არ შეარბილებს დასავლეთი პოლიტიკას ამჯერადაც?

ჯერ კიდევ რთულია იმის თქმა, როგორი დამოკიდებულება გაჩნდება უკრაინასთან მიმართებაში... ტერაქტების სერიამ შუაგულ ევროპაში ჯერ მხოლოდ შეკითხვები გააჩინა.

კითხვები აქვთ ფრანგებსაც, „ბიბისის“ ერთმა შუახნის მამაკაცმა უთხრა: საიდან აქვთ საფრანგეთში დაბადებულ და გაზრდილ ადამიანებს ამხელა სიძულვილი საფრანგეთისა და ფრანგი ერის მიმართო!

პოლიტოლოგი, ტერორიზმის კვლევის ცენტრის დირექტორი ბადრი ნაჭყებია მიიჩნევს, რომ ამ კონკრეტული ტერაქტების უკან კონკურენცია უნდა ვეძებოთ, კერძოდ კი, დაპირისპირება „ალ-ქაიდასა“ და ისლამურ სახელმწიფოს შორის. მისი თქმით:

– ისლამურმა სახელმწიფომ წაართვა პირველობა „ალ-ქაიდას“ და ახლა, თუ დადასტურდა, რომ ევროპის შუაგულში ტერაქტი მართლაც „ალ-ქაიდამ“ მოაწყო და მათ პასუხისმგებლობა აიღეს, მაშინ მათი ავტორიტეტი უფრო აიწევს – მათ ხომ შუაგულ ევროპაში შეძლეს ტერაქტების მოწყობა. საქმე ის გახლავთ რომ ბოლო დროს ISIS-იც ძალიან გაძლიერდა, მან ბევრი ის შენაერთი შეიერთა, ვინც ადრე „ალ-ქაიდას“ დაჯგუფებაში შედიოდა. „ალ-ქაიდა“ პოზიციებს კარგავდა... ასე რომ, არ არის გამორიცხული, ამ ტერაქტით „ალ-ქაიდას“ პოზიციების გამყარების სურვილი ჰქონოდა.



სხვა ექსპერტები მიიჩნევენ, რომ კონკურენცია გამორიცხული არ არის, რადგანაც ISIS-ის მსგავსი სახელმწიფოს შექმნა „ალ-ქაიდას“ დიდი ხნის ოცნება იყო, რომლის განხორციელებაც ვერ შეძლო.

როგორც ჩანს, პასუხები ყველა კითხვაზე მოგვიანებით გახდება ცნობილი. სიმბოლურია, რომ ტერორისტებს ხელში სწორედ კალაშნიკოვი ეჭირათ. ყველა რელიგია სიყვარულს ქადაგებს, ომის რელიგია არ არსებობს, ისევე როგორც არ არსებობს ერი, რომელიც მშვიდობითა და სტაბილურობით არ არის დაინტერესებული... კალაშნიკოვი ერთადერთია, რომელიც ყოველთვის ჩნდება იქ, სადაც ქაოსი და სისხლია...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

დინების საწინააღმდე

my View
თამარ გონგაძე

ინგა გრიგოლია ამ ახალი რუბრიკის პირველი რესპონდენტია. „დინების საწინააღმდეგოდ“ – ასე ჰქვია რუბრიკას, რომელშიც ჩემი რესპონდენტები თავიანთი ცხოვრების ყველაზე კრიტიკულ და პრობლემატულ პერიოდებზე ისაუბრებენ. ყველაზე ცნობილი და წარმატებული ტელეჟურნალისტი თავის ცხოვრებაზე გვიამბობს. ორი აზრიც არ არის, რომ ინგა გრიგოლია ძლიერი ქალია და როცა ძლიერი ხარ, ცხოვრების დინების საწინააღმდეგოდაც მიცურავ. ინგა ჰოროსკოპით თევზია და ვისაც ამ ნიშნის ლოგო გახსოვთ, იცით, რომ მასში ორი ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით მცურავი თევზია გამოსახული. როგორც ჩანს, მას ვარსკვლავური კარიერის კეთებაში ვარსკვლავებიც ეხმარებიან.



„4 წელი დეპრესიაში ვიყავი. დიდი ხანი ვიღებდი ტრანკვილიზატორებს, დამაწყნარებლებს. ექიმთანაც მივედი ამის გამო. სულ ერთი გახდა ცხოვრება. 20 კილო მოვიმატე. დავკარგე ადამიანები“

„მე ძალიან მაგრად ვიცხოვრე“
ინგა გრიგოლია:

„საერთოდ, მე მიმაჩნია, რომ ცხოვრების დინების საწინააღმდეგოდ წასვლა ეს ცხოვრების წესია. წარმოუდგენლად უინტერესო იქნებოდა ცხოვრება, რომ მხოლოდ იმას იღებდე, რაც შეიძლება განგებამ და ცხოვრებამ მოგცეს. არის პერიოდები დინებას მივყვები და არის პერიოდები საწინააღმდეგოდ მიწევს ცურვა. 43 წლის ვარ და ვაღიარებ, რომ ხშირად დინების საწინააღმდეგოდ მივდივარ. ეს დისკომფორტი არ არის. ჩემი შვილი მეუბნება – რა საინტერესო ცხოვრებით გიცხოვრიაო. მეც ვთვლი, რომ ძალიან საინტერესო ცხოვრება მქონდა. სულ რომ აღარაფერი მოხდეს ჩემს ცხოვრებაში, იმდენად ბობოქარი ცხოვრებით ვიცხოვრე – მაინც ასე შევაფასებ – „მე ძალიან მაგრად ვიცხოვრე“. ამ გადმოსახედიდან ბევრ რამეს შევცვლიდი ან სხვანაირად გავაკეთებდი. არასდროს დავუღლივარ ბრძოლას, შენინააღმდეგებას, თუნდაც სურვილებს და ყოველდღიურობას, რასაც ცხოვრება გვაძლევს. ალბათ, ამიტომაც არის, რომ ყოველ 2-3 წელიწადში ერთხელ ახალ ცხოვრებას ვიწყებ“.

დეპრესია

– თევზებს დეპრესიისკენ აქვთ მიდრეკილება.

– მქონია დეპრესიები, არა უმეტეს ათი დღისა. ერთადერთხელ მქონდა ღრმა დეპრესია, როდესაც ტელევიზიაში აღარ ვმუშაობდი და ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე ცუდი პერიოდი. იმას კი არ ვნანობ, რომ პოლიტიკაში ვიყავი, ან იმ პოლიტიკურ გუნდთან ერთად არ უნდა ვყოფილიყავი-მეთქი, სულაც არა. უბრალოდ, სინანულის ხანგრძლივი პერიოდი დამეწყო, როდესაც აღმოვაჩინე, რომ ყველაზე დიდი სისულელე საკუთარი ხელით გავაკეთე და ეს ჩემს პროფესიაზე უარის თქმა იყო, რომელიც ამ სამყაროში ყველაზე ძალიან მიყვარს. ვფიქრობ, ასეთ დიდ შეცდომებს ცხოვრება ადვილად არ გპატიობს. შეცდომის გამოსწორების საშუალება მარტივად აღარ მომეცა. 4 წელი დეპრესიული ვიყავი და ეს ყველაფერზე აისახა, გავხდი უინტერესო. საკუთარი თავიც არ მაინტერესებდა, რთულად გადავიტანე. არანორმალური ნოსტალგია დამეწყო, აღმოვაჩინე, რომ საქმე და სამსახური საერთოდ არ მაინტერესებდა. უდაბნოში წყურვილით დამხრჩვალივით ვიყავი. ტელევიზია ისე მენატრებოდა, როგორც გარდაცვლილი ახლობელი. დიდი ხანი ვიღებდი ტრანკვილიზატორებს, დამაწყნარებლებს. ექიმთანაც მივედი ამის გამო. სულ ერთი გახდა ცხოვრება. 20 კილო მოვიმატე. დეპრესიის გადასალახად ათას სისულელეს ვაკეთებდი. არსად არ დავდიოდი, სახლში ყოფნა მინდოდა, იზოლირებულად. დავკარგე ადამიანები... არ ვწუწუნებ, და სულ არ არის კარგი, რასაც გიყვებით, მაგრამ სერიოზული მკურნალობის ჩატარება მომიხდა. მეგონა, არასდროს დამემართებოდა ისეთი რაღაც, რასაც ჩემი ცხოვრების მთავარ შეცდომას დავარქმევდი. მიხარია, რომ ეს გადავლახე. ესეც იმან გადამალახინა, რაც ძალიან მინდოდა და მოვინდომე. ჯერ ჯერობით მე რაც ძალიან მინდა, მადლობა ღმერთს, ყველაფერს ვაღწევ. გულწრფელად თანავუგრძნობ ადამიანებს, რომლებსაც ცხოვრების გამო (შემოსავლის) ისეთ სამსახურში უწევთ მუშაობა, რომელიც ბედნიერებას არ ანიჭებთ. ამ მხრივ ძალიან გათამამებული ვიყავი, მთელი ცხოვრება იმ საქმეს ვაკეთებ, რომელიც უზომოდ მიყვარს. არჩევნებამდე ნახევარი წლით ადრე გიორგი თარგმაძეს სპეციალური შეხვედრა დავუნიშნე და ვუთხარი, რომ აუცილებლად უნდა წავსულიყავი პოლიტიკიდან. ეს არ იყო პროტესტი პარტიული მიმართულებით. ცუდად ვიყავი და ეს ისეთი ცუდად ყოფნა იყო, რომელმაც დღემდე კვალი დამიტოვა. იყო ჭორები, ბიძინა გაურიგდა, ქეისით ფული მისცაო. არანაირი გარიგება არ ყოფილა, ყველამ დაინახა, რომ ერთი წელი სახლში ვიჯექი, ადვილიც არ იყო პოლიტიკიდან ჟურნალისტიკაში დაბრუნება. ადამიანური აგრესიის მოგერიება ფსიქოლოგიურად ძალიან გამიჭირდა. თმენის ვალდებულება მაგიჟებდა. პასუხს ვერ ვცემდი აგრესიას. და როცა ეს ყველაფერი დავიბრუნე, არანორმალური ტემპით დავიწყე ცხოვრება. მადლობა ღმერთს. რომ მომკლან, ტელევიზიიდან არსად წავალ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც ეკრანზე უნდა ვიყო. არასდროს მსგავს გადაწყვეტილებას არ მივიღებ, ჩემით აღარ დავტოვებ საქმეს, რომელიც ყველაზე ძალიან მიყვარს – არ ვტიპობ! არაფერი გამორიცხული არ არის. შეიძლება ხვალ ისევ უსამსახუროდ დარჩე. ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ჟურნალისტიკა ისეთი პროფესიაა, სადაც ყველაზე მძაფრად იგრძნობა არასტაბილურობა. სამომავლოდ მინდა პროდიუსინგით დავკავდე. ახლაც ჩემი გადაცემის ერთ-ერთი პროდიუსერი მე ვარ.

„ჟურნალისტიკაში ხელფასის გამო მოვხვდი. ერთ-ერთ სააგენტოში მაღალი ჰონორარი მომცეს. მადლობა ღმერთს, მას შემდეგ დაბალი ჰონორარი არასდროს მქონია. მერე მოვიდა საქმისადმი ინტერესი“

„იყო ჭორები, ბიძინა გაურიგდა, ქეისით ფული მისცაო. არანაირი გარიგება არ ყოფილა, ყველამ დაინახა, რომ ერთი წელი ვიჯექი სახლში, ადვილიც არ იყო პოლიტიკიდან ჟურნალისტიკაში დაბრუნება. ადამიანური აგრესიის მოგერიება ფსიქოლოგიურად ძალიან გამიჭირდა“

– რომელიმე ეტაპზე პროფესიული იმედგაცრუება გქონია?

– იყო ბევრი პრობლემა, წელიწადში ერთხელ გადაცემა მეხურებოდა. ახალ პროექტს ვიწყებდი, არხიდან არხზე, გადაცემიდან გადაცემაში გადავდიოდი, მაგრამ ეს იყო ბრძოლა. ერთკვირიანი წუწუნის შემდეგ გონებას ვმართავდი და ახალ პროექტზე ვიწყებდი ფიქრს. მადლობა ღმერთს, ყოველთვის ორმხრივი იყო ჩემი ახალი პროექტის დაწყების სურვილი.

მაღალი ხელფასი

– მატერიალურად დუხჭირი პერიოდი როდის გედგა?

– გაჭირვებაზე ლაპარაკი უხერხულად მიმაჩნია, მაგრამ ჩემი სტუდენტობის დროს ნამდვილად იყო ასეთი პერიოდი. სახლში საჭმლის ფული არ გვქონია. ადამიანი თვითგადარჩენაზე ფიქრობს. ჩემს მეგობრებთან მითქვამს, აი, მაშინ უნდა წავსულიყავი საზღვარგარეთ-მეთქი. სწავლა უსახსრობის გამო ვერ გავაგრძელე. სხვათა შორის, ჟურნალისტიკაში ხელფასის გამო და არა იდეების გამო მოვხვდი. ერთ-ერთ სააგენტოში მაღალი ჰონორარი მომცეს. 200 ლარი ჩემი პირველი ჰონორარი იყო. მაშინ ეს ჰონორარი წარმოუდგენლად მაღალი იყო. მადლობა ღმერთს, მას შემდეგ დაბალი ჰონორარი არასდროს მქონია. მერე მოვიდა საქმისადმი ინტერესი. მეცინება, როდესაც ამბობენ, გრიგოლიას მაღალი ხელფასი აქვსო. ეს წარუმატებელი ადამიანების ბრალდებებია. დიდი ბოდიში, მაღალი ხელფასი რომ მაქვს, ჩემი გადაცემით ტელევიზიაში მინიმუმ 20-წუთიანი რეკლამა შემაქვს. ჩემს გადაცემებში რეკლამების ერთი წუთი რაც ღირს, ის რომ 20-ზე გადაამრავლო, ვთვლი, რომ საამისოდ დაბალი ხელფასები მაქვს. ტელეკომპანიებისთვის დიდი მოგება მაქვს მოტანილი. რატომღაც ცუდ ტონად ითვლება, თუ მაღალი ხელფასი გაქვს, ან ახალი კონტრაქტის გაფორმება გადაწყვიტე. ეს სასაცილოა. ასეთი ტიპის თავდასხმებზე რეაქცია არ მაქვს.

– ფული რამდენად გიყვარს?

– ფული მიყვარს იმდენად, რამდენადაც ის არის საცხოვრებლად აუცილებელი. მიყვარს სიამოვნებისთვის და კომფორტის შესაქმნელად. ჩემი ჰონორარი ბევრი ადამიანისთვის არის განკუთვნილი. არც ერთ ბანკში ფინანსური კაპიტალდაბანდება არ მაქვს. კრედიტით ვცხოვრობ. აქედან გამომდინარე დაასკვენით, მიყვარს და ვაქუჩებ ფულს თუ – არა. 2 ათას დოლარს ჩასაცმელში არ მივცემ, და როცა სხვა ადამიანებისთვის ხარჯავ ფულს, ღმერთი მეტს გაძლევს.

ჯანმრთელობის პრობლემა

– კარიერის დასაწყისში თავის დამკვიდრებისთვის რა გიკეთებია?

– იმ დიდ სიამოვნებასთან ერთად, რაც ჩემს პროფესიულ საქმიანობას მოაქვს, ვირულად ვშრომობდი. ფილტვის პრობლემა რომ მქონდა, 40-გრადუსიანი სიცხით ნამიყვანია გადაცემები და ეს თვეები გაგრძელებულა. თავისთვის უფლება არ მიმიცია, რომ ამის გამო ერთი გადაცემაც ჩამეგდო. არანორმალური შრომაა. პირდაპირ ეთერში გავხდი ცუდად და სასწრაფო ოპერაცია დამჭირდა. ფრიდონ თოდუას კაბინეტში ვიჯექი და მან რეზო გაგუასთან ერთად მითხრა, აქედან უოპერაციოდ ვერ გახვალ, შეუძლებელიაო. რას ჰქვია, გამორიცხულია, პარასკევს „რეაქცია“ მაქვს-მეთქი, განვაცხადე. ისეთი სახეებით მიყურებდნენ, მივხვდი, არანორმალურის შთაბეჭდილება დავტოვე. და ეთერში გავხდი კიდეც ცუდად... როცა რამეს აკეთებ და იძულებითი არ არის, ასეთი მიდგომის მწამს. ვერ ვეგუები ჩემთან საერთო საქმეში მყოფი ადამიანებიდან ვინმე რომ ოდნავ მაინც წაიზარმაცებს. წარმოუდგენლად მიმაჩნია, იმ დღეს გადაიხადო დაბადების დღე, როდესაც რეპორტაჟი გაქვს გასაკეთებელი. „გავუჭედე“ ერთ ადამიანს, რა დროს დაბადების დღეა, დასამონტაჟებელი გაქვს გადაცემა-მეთქი.

– დაგთრგუნა ავადმყოფობამ?

– საერთოდ ჯანმრთელობის მხრივ სუსტი ვარ. ორჯერ მქონდა ამ მხრივ კრიზისული პერიოდი. არ დავთრგუნულვარ, ვიბრძოლე. ვიბძოლე და გადავრჩი. ორჯერვე საქართველოში გავიკეთე ოპერაცია და ბრწყინვალედაც. დამთრგუნა წლების წინ ნიკაპზე ხალის მოშორებამ. ონკოლოგიურში ოპერაცია გავიკეთე და ხალი ამოვიღე. ნაკერები რომ მომხსნეს, ნიკაპი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბოდ – ინგა გრიგოლია

„43 წლის ვარ და ვაღიარებ, რომ ხშირად დინების საწინააღმდეგოდ მივდივარ. ეს დისკომფორტი არ არის. ჩემი შვილი მეუბნება – რა საინტერესო ცხოვრებით გიცხოვრიაო. სულ რომ აღარაფერი მოხდეს ჩემს ცხოვრებაში, იმდენად ბოგბოქარი ცხოვრებით ვიცხოვრე – მაინც ასე შევაფასებ – „მე ძალიან მაგრად ვიცხოვრე“

„რომ მომკლან, ტელევიზიიდან არსად წავალ. ჩემით აღარ დავტოვებ საქმეს, რომელიც ყველაზე ძალიან მიყვარს – არ ვტიპობ! სამომავლოდ მინდა პროდიუსინგით დავკავდე“

EXCLUSIVE

„მეცინება, როდესაც ამბობენ, გრიგოლიას მაღალი ხელფასი აქვსო. ეს წარუმატებელი ადამიანების ბრალდებებია. დიდი ბოდიში, მაღალი ხელფასი რომ მაქვს, ჩემი გადაცემით ტელევიზიაში მინიმუმ 20-წუთიანი რეკლამა შემაქვს. ჩემს გადაცემებში რეკლამების ერთი წუთი რაც ღირს, ის რომ 20-ზე გადაამრავლო, ვთვლი, რომ საამისოდ დაბალი ხელფასები მაქვს“

„დღეს სხვანაირი ვარ. ეს თავშეკავებულობა პოლიტიკაში ყოფნის წლებმა მოიტანა. დღეს ის პერიოდი მაქვს, ნაკლებად ვანუხო საზოგადოება ჩემი მოსაზრებებით. თანაც მიმაჩნია, ჩემი აზრი დღეს არავის აინტერესებს. ალბათ, გავიზარდე“

დასიებულად მომეჩვენა. დავურეკე ექიმს, ასეთი უნდა ვიყო? პროფესიას დავკარგავ-მეთქი. ყველაფერი ჩემი საქმის ირგვლივ ტრიალებს. არ ვიცი, სხვა პროფესია ასეთ სიამოვნებას მომანიჭებდა თუ არა. სტუდენტობის დროს ვიყავი ქართულის მასწავლებელი, მაგრამ აღმოვაჩინე, არ შემიძლია, რომ ვინმეს ვასწავლო. მიფიქრია, რომ შეიძლებოდა კარგი ადვოკატიც ვყოფილიყავი...

ძაღლი – ახალი გატაცება

„ბოლო დროს ვფიქრობ, რომ ვიქნებოდი ვეტერინარი, რომელიც ასევე მშთანთქავდა და ბედნიერებას მომანიჭებდა. სამი ძაღლი მყავს – ბობო, ბობო ჯუნიორი და ბიბი. ბობო ვიყიდე როგორც ლაბრადორი და რომ გაიზარდა ყველაფერს ჰგავს ლაბრადორის გარდა. კინოლოგებთან გავარკვიე – ნაგაზის ტიპიური ნაჯვარია ლაბრადორთან. ჩემს 11 წლის პუდელს წლების წინ სიმსივნე დაემართა და მახსოვს, ოპერაციის დროს როგორ განვიცადე. მის რეაბილიტაციას დიდი ენერგია მოვახმარე. ძაღლები ჩემი ბოლო დროის გატაცებაა. ძირითადად სახლში ვარ და ძაღლების გარემოში თავს კარგად ვგრძნობ. იმის გამო, რომ ეს ბედნიერება ჩემთვის ხშირი იყოს, ნატახტართან ახლოს სახლი ვიყიდე. ჩემი ძაღლებით მივდივარ და მოვდივარ. შეიძლება ეს ასაკის თანმდევია, გავგიჟდი ძაღლებზე. მივხვდი, რომ მათ გარემოცვაში ყველაზე კარგად ვგრძნობ თავს. ჩემთვის ბედნიერებაა თვალს რომ ვახელ და სამივე ძაღლი სახლშია. ეს მოდური ტენდენციის გამო არ არის. როცა არასამუშაო დღეები მაქვს, აგარაკზე მივდივარ, სამი დღით ვთიშავ ტელეფონს და დედამიწის ზურგზე ვერავინ მპოულობს. საკრებულოში მუშაობისას რუსუდან ხუნწარია მოვიდა და ძაღლების თავშესაფართან დაკავშირებით კანონპროექტის მიღებაზე მოვილაპარაკეთ. დავპირდი, მაგრამ დედამ გადამფიქრებინა, რასაც ძალიან ვნანობ. ამ გაჭირვებულ ქვეყანაში ძაღლებზე მოლაპარაკე რომ დაგინახონ, ჩაგქოლავენო. მაშინ ძაღლებზე არ მქონდა ასეთი მძაფრი ემოციები. გული მწყდება, საკრებულოში ყოფნისას ერთადერთი სასარგებლო საქმეც ვერ გავაკეთე. გადაწყვეტილების მიმღები არ ვიყავი და ადამიანებს ვერ ვეხმარებოდი (გარდა მცირედი დახმარებისა). სულ მინდოდა ერთზე მეტი შვილი მყოლოდა და ამ ცხოველებში ვპოვე ეს სურვილი. მინდა, რაც შეიძლება მეტ ადამიანს გაუჩნდეს ცხოველების მიმართ ასეთი დამოკიდებულება“.

„ამ მხრივ რეკორდი მაქვს მოხსნილი“

– კოლეგისგან ფეხის დადება, ზურგში ვერაგულად დანის ჩარტყმა – ყოფილა?

– ეს არა მხოლოდ ჟურნალისტიკაში, ზოგადად ბევრი სფეროს განუყოფელი ნაწილია. დაუდიათ ფეხი, მაგრამ ყოველთვის ისეთი დატვირთული ცხოვრება მქონია, რომ ნაკლებად ვრეაგირებდი. ზოგჯერ პოსტფაქტუმ ვიგებდი. გული არ მტკენია, რადგანაც მე პროფესიული კონკურენციის მესმის.

– მსგავსის გაკეთება თავადაც შეგიძლია?

– არ ვიცი. მინდა შენთან ინტერვიუში კარგი ტიპი გამოვჩნდე და ვთქვა, რომ არ შეიძლება. ცუდი არავისთვის გამიკეთებია. მით უმეტეს კოლეგებისთვის, გულწრფელად ვამბობ. 1997 წლიდან მოყოლებული ჟურნალისტიკაში აქტიურად ვარ ჩართული და ღმერთს მადლობა, რომ წარმატებული ეტაპი იმდენჯერ მქონდა, რომ ჩემში ასეთი ცუდი მომენტები არ არის. ჟურანალისტებს შორის არაკოლეგიალური დამოკიდებულებები მიკვირს, თუმცა სადღაც მესმის. აქ კონკურენციაა. თუმცა იმდენი დედის გინება და თავს ლაფის დასხმა, რაც მე პოლიტიკაში წასვლისას მქონია, თამამად ვამბობ, ამ მხრივ რეკორდი მაქვს მოხსნილი.

ინგა გრიგოლია

– სახელი – ინგა გრიგოლია რის უფლებას არ გაძლევს?

– ალბათ, ბევრი რამის. ისე ვცხოვრობდი ნაკლებად მაინტერესებდა – ვინ რას იტყოდა ჩემზე, ანუ ისევ დინების საწინააღმდეგოდ. საშინელი ქორების მსხვერპლი ვიყავი. ქორაობდნენ, მიშა საკაშვილმა სახლი ბადრი პატარკაციშვილს აჩუქებინა ინგასთვისო, თითქოს მანქანა მაჩუქეს. არასოდეს არავის არაფერი უჩუქებია. ჩემი სახელი და გვარი იმის უფლებას არ მაძლევს, რომ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში დებოში მოვაწყო. თავშეკავებული ვარ. სხვა მხრივ თავისუფალი ადამიანი ვარ. დღეს უფრო სხვანაირი გავხდი. ეს თავშეკავებულობა პოლიტიკაში ყოფნის წლებმა მოიტანა. არაფერი განსაკუთრებულის გაკეთება არ მინდა. დღეს მაქვს ის პერიოდი, ნაკლებად ვაწუხო საზოგადოება ჩემი მოსაზრებებით. თანაც მიმაჩნია, ჩემი აზრი დღეს არავის აინტერესებს. ალბათ, გავიზარდე. იმიტომ რომ მე ინგა გრიგოლია ვარ, ყველა მეკითხება რატომ გავსუქდი, რატომ არ ვიცავ დიეტას და ა.შ. ჩემი სახელი მზლუდავს და ვალდებულებას მაკისრებს. ყოველდღიურად საგანგებო ვარცხნილობას არ ვიკეთებ, სახლიდან უმაკიაჟოდ გავდივარ. ამ მხრივ დისკომფორტი არ მექმნება. პატარა ამოვარდნას არ გპატიობენ, როდესაც შენ შენ ხარ.

პირადი

– დღეს ქალი გრიგოლია როგორია?

– სტაბილურად მშვიდი. სამსახურის მიღმა ჩემს ცხოვრებაში არაფერი დალაგებული არ ყოფილა. რახან ღმერთმა ისევ მომცა საყვარელი საქმის კეთების შანსი, უცებ დიდი სიმშვიდე მოვიდა ჩემში. ნაკლებად ვნერვიულობ, დიდი ხანია არაფერზე არ მაქვს რეაქცია. ფილტრაციას ვახდენ. სხვა მხრივ ამდენი წელი ვერ „გავქაჩავდი“. პირად ცხოვრებაშიც კარგად ვარ, ამის აფიშირებას ძველებურად აღარ ვახდენ.

– შეყვარებული ვარო, ერთ შოუში თქვი.

– კარგად ვარ. 43 წლის ასაკშიც თუ არ გაქვს ნორმალური პირადი ცხოვრება, ესე იგი მთლად ვერ ყოფილხარ. საბედნიეროდ, მე ეს ჯერ კიდევ მაქვს. არაფრის შეცვლას არ ვგეგმავ, გარდა იმისა, რომ „რეაქციაში“ პატარა ცვლილებების შეტანას ვაპირებ. 31 იანვარს ახალი, აღდგენილი „რეაქცია“ ერთი წლის ხდება. გასული ერთი წლით კმაყოფილი ვარ. უხერხულია თავზე ლაპარაკი, ეს გუნდის დამსახურებაა. არ მახსენდება არც ერთი „რეაქცია“, რომელზეც შემდეგ დღეებში ლაპარაკი არ იყო. ახლა ახალი სუნთქვა გამეხსნა, გადაცემისთვის რეპორტაჟებს ვაკეთებ, ძირითადად რეგიონებზე. არანორმალურად მიყვარს რეპორტაჟის კეთება, ღამეებს ვათენებ სამონტაჟოში. ადამიანებს ჩემს გადაცემაზე ისეთი რეაქცია აქვთ, ნამდვილად ვისურვებდი სულ ასე ჰქონოდეთ. ამიტომ 5 კაცი ჩასაფრებული პოზიციდან კრიტიკას რომ იწყებს, სასაცილოა.

„ვნანობ, რომ ეს წლები საჭესთან და კომპიუტერთან გავატარე“

– წარმატების ფორმულა რა არის?

– შრომისმოყვარეობა და იღბალი. ღმერთს უნდა უნდოდეს, რომ შენ მოხვდე იმ კონკრეტულ ადგილას და არა სხვა. უნდა გაგიმართლოს. მე მყარად ვდგავარ მიწაზე, ვარ პრაგმატული აზროვნების.

– ჩვენი ცხოვრების წარმმართველი ჩვენი ფიქრებია?

– გეთანხმები, ასეა. პატარა რომ ვიყავი ხელში მიკროფონად დედაჩემის დეზადორი მეჭირა და ვითომ ტელევიზორში ვიყავი. მე მქონდა ამის აკვიატება. ყველაფერი მივიღე, რაზეც კი ვიოცნებე. რაღაც აზრს რომ ავიკვიატებ, მერე მისრულდება. თან კადრებად ვხედავ, ვიზუალურად. სიზმრებიც მიცხადდება, მნიშვნელოვან სიზმარს ვნახულობ. როცა რაღაცაზე ბევრს ვფიქრობ, ისიც მისრულდება. ჩემზე პრაგმატული და მინაზე მდგომი ადამიანი არ შემხვედრია. მინდა გითხრათ, რომ ბოლო ერთი წელია მანქანით აღარ დავდივარ. სულ ჰაერის მოთხოვნილება მაქვს. ფეხით დავდივარ და ამით ენერგიას ვიღებ. მინასთან ურთიერთობა შემიყვარდა – ჰაერი, მზე. ვნანობ, რომ ეს წლები საჭესთან და კომპიუტერთან გავატარე. მივხვდი, რომ მანქანის გარეშეც მშვენიერია ცხოვრება. ალბათ, რეპორტაჟებზე სიარულის სურვილიც ამიტომ გამიჩნდა.

„ძაღლები ჩემი ბოლო დროის გატაცებაა. იმის გამო, რომ ეს ბედნიერება ჩემთვის ხშირი იყოს, ნატახტართან ახლოს სახლი ვიყიდე. როცა არასამუშაო დღეები მაქვს, აგარაკზე მივდივარ, სამი დღით ვთიშავ ტელეფონს და დედამიწის ზურგზე ვერავინ მპოულობს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„პოლიტიკური პროცესი მაქსიმალურად ეცდება რესპუბლიკელების კოალიციიდან გამოდევნას“

ხათუნა მგალობლიშვილი



გია ხუხაშვილი: „პოლიტიკური მოთამაშე დღეს ქვეყანაში არის ორი: ივანიშვილი და სააკაშვილი. მეტი მოთამაშე ქართულ პოლიტიკაში არ არის“

საარჩევნო მარათონზე ძალების მოსინჯვა უკვე წელს დაიწყება. ძირითადი მოთამაშეები ნაციონალებისა და სახელისუფლებო ჯგუფის სახით უკვე გამოკვეთილია. სხვა რა ალიანსები შეიძლება წინასაარჩევნოდ ჩამოყალიბდეს და რაც მთავარია, სად იქნებიან რესპუბლიკელები? ამ და სხვა საკითხებზე „პრაიმტაიმს“ ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრა:

– არჩევნებისთვის მზადება, რა თქმა უნდა, უკვე დაიწყო... არასაპარლამენტო ოპოზიციას მეტი საქმე არც აქვს და არჩევნებისთვის ემზადება. ისე, სიმართლე გითხრათ, არც ვიცი, ეს სამზადისი რის მომცემია.

ბუნებრივია, საპარლამენტო ჯგუფებიც ემზადებიან, მუშაობენ კიდეც და ეს ჩანს. არის მცდელობა, რომ არა ეკლექტური ჯგუფები გაჩნდეს სხვადასხვა მსოფლმხედველობით, არამედ მსოფლმხედველობის მიხედვით მოხდეს, თუნდაც ამ ეტაპზე, თემატური თანამშრომლობა, რაც შემდეგ შესაძლოა, სისტემურ თანამშრომლობაში გადაიზარდოს. ერთი ფაქტია, ყველა პარტიას ესმის, რომ დამოუკიდებლად რესურსი იმისთვის, რომ მეტ-ნაკლებად სერიოზული შედეგი მიიღონ არჩევნებზე, არ აქვთ. ალბათ, უფრო იქით განვითარდება მოვლენები, რომ ვიხილოთ პარტიების დაჯგუფების მცდელობა... ნეგატიური ამოცანები თითქმის არ არსებობს, ანუ ყველა ერთის წინააღმდეგ – ასეთი პრინციპით გაერთიანებებს, ალბათ, აზრი არა აქვს. დღეს რეჟიმი აღარ არსებობს, ასეთი გაერთიანებები კი მხოლოდ რეჟიმის წინააღმდეგ იქმნება ხოლმე. ახლა იმედი მაქვს, რომ უფრო იდეოლოგიური ან ფასეულობათა ერთიანი სისტემის მიხედვით მოხდება პარტიებს გაერთიანება და არა ნეგატიური მიზნით – დავამარცხოთ ხელისუფლება ნებისმიერი მეთოდით...

– ანუ პროდასავლური...

– ფასეულობათა გაგებით ჩვენი პოლიტიკური სპექტრი მაინც პროდასავლურია. შეიძლება გავყოთ ისინი პარტიებად, რომლებიც პროდასავლურები არიან არა მხოლოდ ფასეულობების დონეზე, არამედ გეოგრაფიულადაც, ანუ რწმენის რანგში აქვთ ეს ყველაფერი აყვანილი – კონკრეტულ ქვეყნებთან თანამშრომლობაზე აქვთ მთავარი აქცენტი გაკეთებული და არა ფასეულობებზე... არიან პარტიები, რომლებიც ფასეულობათა სისტემას აღიარებენ, მაგრამ კითხვის ნიშანს სვამენ ხისტ თანამშრომლობასთან დაკავშირებით ქვეყნების მიმართ.

რომ გითხრათ, მაინცდამაინც კარგი სურათი არ არის. პოლიტიკური ძალები ქვეყანაში არც ცალცალკე და არც ჯგუფურად სერიოზულ ძალას არ წამოადგენენ, ანუ იმ ძალას, რომელიც ხელისუფლებისთვის ან „ნაციონალური მოძრაობისთვის“ რეალური კონკურენციის გაწევას შეძლებს. თუმცა, მათ ამის მცდელობა ექნებათ.

რაც შეეხება ოპოზიციის გაერთიანებას, თუ „ნაციონალური მოძრაობის“ რებრენდინგი არ მოხდა, არა მგონია, რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები ნაციონალებს დაუკავშირდნენ. თუ მიხეილ სააკაშვილი საბოლოოდ არ ჩამოშორდა ამ პარტიას, ასეთ ერთიანობას ვერ ვხედავ. სხვათა შორის, არც „ნაციონალურ მოძრაობას“ სჭირდება ეს პარტიები მაინცდამაინც, ელექტორალურ გაფართოებას ეს ვერ გამოიწვევს. არჩევნებამდე ასეთი ტიპის ალიანსი ჩემთვის წარმოუდგენელია. არჩევნების შემდეგ თუ ორივე მოხვდა პარლამენტში, მათი გაერთიანება უფრო შესაძლებელია – კარგ შემთხვევაში უმრავლესობას შექმნიან და ცუდ ვარიანტში – უმცირესობას. ეს უფრო შესაძლებელია.

„სახელისუფლებო ჯგუფი და „ნაციონალური მოძრაობა“ ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ სხვა ძალებს სივრცე არ გაუხსნან“

– შეიძლება სააკაშვილმა ტაქტიკური სვლა გააკეთოს და თქვას, რომ ჩამოშორდა პარტიას იმისთვის, რომ აქ გაერთიანების საკითხი გადაწყვიტოს?

– ასეთი სვლები პოლიტიკაში მიღებულია, თუმცა, ეს რაიმე პოზიტივის მომტანი ნაციონალებისთვის არ იქნება, რადგანაც მისი ძირითადი ძალა მაინც სააკაშვილის პირად ბრენდზე დგას. პარტიაში ნაციონალური ლიდერი არ ჰყავთ, ასეთი ტიპის ლიდერი არ ჩამოყალიბებულა. სხვა ლიდერები დაახლოებით იმ რანგის პოლიტიკოსები არიან, როგორებიც გახლავთ დავით უსუფაშვილი და ირაკლი ალასანია.

პოლიტიკური მოთამაშე დღეს ქვეყანაში არის ორი: ივანიშვილი და სააკაშვილი. მეტი მოთამაშე ქართულ პოლიტიკაში არ არის. დანარჩენებზე ვირტუალური ილუზია იქმნება, თითქოს ისინი რამეს წარმოადგენენ.

ერთადერთი ადამიანი, ვისაც შანსი აქვს ნაციონალურ ველზე შესვლის, ეს არის მარგველაშვილი. მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ მას ამბიცია არ აქვს, აქაც თეორიული შანსი არსებობს. ორივე აქტიური იქნება: ივანიშვილსაც მოუწევს აქტიურობა 2016 წელს, მის გარეშე ხელისუფლებას პრობლემები შეექმნება...

მეორე მხარესაც სააკაშვილი იქნება აქტიური. კამპანიას საიდან წარმართავს – ვაშინგტონიდან, სარფის საბაჟოდან, რომლის ფონზეც გამოჩნდება საქართველოს ტერიტორია, თუ სხვა ექსტრავაგანტურ სვლას მოძებნის, ეს უკვე ტექნიკის საკითხია.

...სახელისუფლებო ჯგუფი და „ნაციონალური მოძრაობა“ ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ სხვა ძალებს სივრცე არ გაუხსნან.

სწორედ მათ შემდეგ მოდიან თავისუფალი დემოკრატები და რესპუბლიკელები (ისინი ეცდებიან, კოალიცია არ დატოვონ, თუმცა ლოგიკა მეტყველებს, რომ შეიძლება იძულებული გახდნენ, ასეთი გადაწყვეტილება მიიღონ და მერე დაჯგუფდებიან ალასანიასთან ერთად). მათ რანგში გადის რადიკალების ფრთაც, რასაც ჰქვია ნინო ბურჯანაძე და პატრიოტთა ლიგა... ამ პარტიების ძალები თანაბარია... ეს ძალები მთლიანობაში 5-10%-ს ვერ აცდებიან...

– რესპუბლიკელები რა მიზეზით დატოვებენ კოალიციას?

– რესპუბლიკელებს ესმით, რომ დამოუკიდებლად პოლიტიკურ ბრძოლაში შესვლა მათ ბევრს არაფერს მოუტანს. ახლა ისინი იმ სიკეთეებით სარგებლობენ, რასაც ხელისუფლებაში ყოფნა აძლევთ – ცდილობენ, თავისი წილი ძალაუფლება გაზარდონ და პოზიციები გაიმაგრონ. მაგრამ ისინი ნაციონალური ლიდერების ნაკლებობას განიცდიან. ამიტომაც შეეცდებიან, რაღაც კონფიგურაცია გააკეთონ თავის ირგვლივ.

პოლიტიკური პროცესი მაქსიმალურად ეცდება რესპუბლიკელების კოალიციიდან გამოდევნას. 2016 წლამდე, რაღაც მიზეზით, ეცდებიან, კოალიცია დატოვონ...

„გადამწყვეტი იქნება მიმდინარე წელი“

– რესპუბლიკელებიც, ალასანიას მსგავსად, იტყვიან, რომ ქვეყნის პროდასავლური კურსია საფრთხეში?

– ალასანიამ რაც დაასახელა, ცუდი სტარტაფი იყო. მან ბანალური კრიმინალური საქმე გეოპოლიტიკურ არჩევანს დაუკავშირა... ეს, რბილად რომ ვთქვათ, ცუდი იყო... რესპუბლიკელები მიზეზს მოძებნიან. ბევრი სხვა თემაც არსებობს, ხელისუფლებას ბევრი პრობლემები აქვს, რაზეც შეუძლიათ მათ თავისი დემარში ააგონ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

შეიძლება თუ არა აფხაზეთის ნავთობით დაბრუნება

„კომპრომისს უნდა მივაღწიოთ ბევრ საკითხში...“

ქეთი ხატიაშვილი

ერთხელ ეს პროექტი უკვე ჩავარდა. ერთხელ მასზე კატეგორიული უარი თქვა ედუარდ შევარდნაძემ. პრესკონფერენციაზე, სადაც ამ თემაზე შეკითხვამ გაიჟღერა, პრეზიდენტი შევარდნაძე მაშინ წყობიდანაც კი გამოვიდა, მაგიდაზე მუშტი დაარტყა და პრინციპული მკაცრი ტონით თქვა, რომ ეს თემა არც კი განიხილება.

საუბარია ჩრდილოეთ-სამხრეთის ნავთობდერეფანზე, რომელმაც აფხაზეთზე უნდა გაიაროს. ამ პროექტს მაშინ გიორგი ჭანტურია ლობირებდა. ის საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას ხელმძღვანელობდა ცხრა წლის მანძილზე, 2004 წლის სექტემბრამდე. კურირებდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზერუმის გაზსადენის მშენებლობაზე მოლაპარაკებებსა და მათ განხორციელებას. ის იყო ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა შევარდნაძის დროს.

დღეს გია ჭანტურია ისევ ჩრდილოეთ-სამხრეთის დამაკავშირებელი ნავთობსადენის მშენებლობაზე ალაპარაკდა. როგორც მაშინ, ახლაც დარწმუნებულია, რომ ეს პროექტი ხელს შეუწყობს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. მისი აზრით, ახლა უფრო მომგებიანი ვითარებაა და გეოპოლიტიკური მდგომარეობაც შეიცვალა:

– ვერ ვიტყვი, რომ შევარდნაძე ამ პროექტის წინააღმდეგი იყო, მაშინ რუსეთთან დაძაბული ვითარება გვქონდა, ელცინსა და შევარდნაძეს შორის ძალიან დაძაბული ურთიერთობა იყო. ამასთანავე, რუსეთს მაშინ უფრო ძლიერი საერთაშორისო პოზიციები ჰქონდა, შევარდნაძეს ეშინოდა, რომ რუსეთის ზეწოლა გაძლიერდებოდა და იმ პირობებს ვერ მივიღებდით, რაც გვინდოდა...

– როგორ ფიქრობთ, დღეს რუსეთი მზად არის, რამე დაგვითმოს? უკან წაიღოს აღიარება და წამოვიდეს ლტოლვილების დაბრუნებაზე? ეს თემები იდგა მაშინაც დღის წესრიგში...

– ეს მოლაპარაკებების საკითხია. რუსეთმა წინასწარი შეთანხმება მიაღწია თურქეთთან და ეს პროექტი 15 მილიარდი უჯდება, ანუ ზღვაში მილების ჩადება სერიოზულ ფინანსებს მოითხოვს, მაშინ როცა ხმელეთზე მისი გაყვანა სულ 2 მილიარდი ჯდება. ზღვაში მშენებლობა 3 წელიწადს გასტანს და რისკიანია, ხმელეთზე კი გაცილებით მარტივია...

რუსეთს ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფანი სჭირდება. სხვა შემთხვევაში ნოვოროსიისკი ზამთარში 4 თვით იყინება და იქ 150 მილიონი ტონა ნავთობი გროვდება... ბოსფორი ამას ვერ ატარებს, ეს ფაქტია. ჩრდილოეთ-სამხრეთის ნაკადი უნდა გავაკეთოთ, კომპრომისს უნდა მივაღწიოთ ბევრ საკითხში... ეს შანსია, რომლის გამოყენებაც შეიძლება. შეიძლება დაწყოს საუბარი აფხაზეთის ახალ სტატუსზე, ლტოლვილების დაბრუნებაზე, როგორც მაშინ. შევარდნაძის დროს საუბარი იყო ლტოლვილების ეტაპობრივ დაბრუნებაზე გალიდან გუდაუთამდე...

რუსეთს ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე გატანა გემით 70 დოლარი უჯდება, მილით 7 დოლარი დაუჯდება... გემებით გატანა 20 მილიარდით მეტი ჯდება, საერთო ჯამში, ვიდრე მილებით. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება სენსიტიური, როცა ნავთობზე ფასი იკლებს.

ასე რომ, ყველაფერი მოლაპარაკებების საგანია.



„ეს შანსია, რომლის გამოყენებაც შეიძლება. შეიძლება დაიწყოს საუბარი აფხაზეთის ახალ სტატუსზე, ლტოლვილების დაბრუნებაზე...“

– რაც შეეხება მეორე პროექტს, რომელიც სუფსაში ენერგეტიკული კომპლექსის მშენებლობას ითვალისწინებს...

– ეს პროექტი არის წმინდა საერთაშორისო პროექტი და აქ რუსები არ მონაწილეობენ. რაც შეეხება სუფსას, ეს არის ძალიან დიდი და სერიოზული პროექტი, რომელიც საქართველოსთვის ახალი არ გახლავთ. როდესაც ბაქო-სუფსის ნავთობსადენის მშენებლობა დავიწყეთ, თავიდანვე ჩადებული იყო, რომ ამ პროექტთან ერთად სუფსაში სერიოზული ენერგეტიკული კომპლექსის მშენებლობა უნდა განხორციელებულიყო. 1999 წელს ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება ამერიკის მთავრობამ დააფინანსა.

როცა ბაქო-სუფსის ტერმინალს ვაშენებდით, ისეთი ტერიტორია შერჩა, რომ მომავალში ენერგეტიკული კომპლექსის ინფრასტრუქტურა განვითარებულიყო. ეს ჯერ კიდევ 2003-04 წლების დასაწყისში უნდა მომხდარიყო, მაგრამ მაშინ რევოლუცია მოხდა, მოგვიანებით კი ამ პროცესს 2008 წლის ომმა შეუშალა ხელი... ომის შემდეგ ფინანსური კრიზისიც დაიწყო...

ეს პროექტი საქართველოსთვის ორი თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი: ჩვენ ვხდებით შავი ზღვის აუზში გარანტორი ალტერნატიული რესურსის მიწოდებისა აღმოსავლეთ ქვეყნებისთვის (ევროპაში), და მეორე, ძიდა ბაზარზე პროდუქციის ფასი 20%-ით ნაკლებია...

ახლა განახლდა ეს თემა იმიტომ, რომ გეოპოლიტიკური ვითარება შეიცვალა. ორი ახალი საბადოს დამუშავება იწყება კასპიის ზღვაში. ყაზახეთი მალე წელიწადში 62 მილიონს მოიპოვებს და აქედან 20 მილიონი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით გაივლის, შეთანხმებას ყაზახეთმა და აზერბაიჯანმა უკვე მიაღწიეს. ნაწილი სუფსის მილსადენით უნდა წამოვიღოთ, ამიტომაც ახლა არის რეალური პერსპექტივა, სუფსაში შესაბამისი ინფრასტრუქტურა განვავითაროთ.

მეორე გაზის საბადოა, „შაჰდენიზი“ იწყება და გაზის მეტი მოცულობა ბაქო-თბილისი-ერზერუმის მილში გაივლის. ამიტომაც ახალი მოლაპარაკებების დაწყებაა საჭირო.

სუფსის პროექტში რუსეთი არ მონაწილეობს და არც რაიმე სახის დაინტერესება აქვს. დასავლეთი დაინტერესებულია, ამერიკა – თავისთავად, თავის დროზე სწორედ მან დააფინანსა ეს პროექტი და ასევე, ევროკავშირი, იმიტომ რომ ეს ალტერნატიული წყარო ხდება. ასოცირების ხელშეკრულების შემდეგ უკვე შეგვიძლია ენერგოუსაფრთხოების ხელშეკრულება შევთავაზოთ ევროკავშირს. ამით საქართველო გამოვა გარანტი აღმოსავლეთ ევროპის ენერგოუსაფრთხოების.

სუფსაში საუბარია ხუთ მილიონ ტონაზე გათვლილ ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაზე. ამ მშენებლობაზე 10 ათასი ადგილობრივი დასაქმდება, მშენებლობის დროს ბიუჯეტში შევა 50-60 მილიონამდე... გარდა ამისა, პროდუქცია ადგილზე 20%-ით იაფი იქნება. შეგვიძლია, მივიღოთ ევროპული სასუქი. ევროასოცირების ხელშეკრულების შემდეგ ევროპისთვის სულერთი არ არის, რა ხარისხის სასუქს ხმარობს ჩვენთან პროდუქტის მოსაყვანად. ასევე, შეღავათი იქნება საწვავ „ევრო“-ზე... ყველა ფერმერს შეგვიძლია მივცეთ 1000 ლიტრამდე უფასო საწვავი იმ პირობით, რომ მერე, როცა მოსავალს მოიყვანს, მაგალითად, ყურძენს და ღვინოს დაწურავს, დღგ-ში იქნება მისი ფასი გათვალისწინებული.

ასე რომ, ვფიქრობ, ახლა მთავრობამ უნდა გამოიჩინოს ინიციატივა. ორი სერიოზული საბადოს ამოქმედება იგეგმება – „კაჩაგანისა“ და „შაჰდენიზის“ და ჩვენ ამ პროცესების მიღმა არ უნდა დავრჩეთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა ურთიერთობა აქვს მანანა თოდაძის ყოფ

ევა ბურდული

ბიძინა სირბილაძისა და მომღერალ მანანა თოდაძის სიყვარულის ამბავი ჯერ კიდევ ერთი წლის გახდა ცნობილი ჟურნალისტებისთვის. თუმცა მაშინ მომღერალიც და მომღერლის რჩეულიც ამ ამბავს არ ახმაურებდნენ. რუსეთში მოღვაწე ბევრმა ქართველმა მომღერალმა იცის, რომ წყვილი მოსკოვში თვეების განმავლობაში ერთად ცხოვრობდა. მათ ხელი ოფიციალურად მოაწერეს. იურიდიულად მომღერალი და ქუთაისელი ეკონომისტი 6 თვის წინ დაშორდნენ ერთმანეთს. როგორც მოსკოველი შოუბიზნესური ელიტა ამბობს, ცოლ-ქმარს შორის შავმა კატამ გაირბინა და ბიძინა მანანამ სახლიდან დაითხოვა. იმასაც ამბობენ, მანანამ ბიძინა ღალატში ამხილაო.

„მაღალი, ქერათმიანი, ცისფერთვალება მამაკაცი ვარ, ბანკში დეპოზიტზე 5 მილიონი მიდევს და ბენტლით დავდივარ“

დიდხანს არ უგლოვია მომღერლის პროდიუსერს. ბიძინამ, იგივე ბიბი სირბილაძემ მალე დათო ხუჯაძის ყოფილ ცოლთან, ნათია ონიანთან გააბა რომანი. წყვილს ხშირად ხედავდნენ მოსკოვის ცნობილ რესტორნებში. მათი შეხვედრების ამსახველი ფოტოებიც არსებობს. მაგრამ არც ამჯერად გაუმართლა ბიბის. როგორ გავიგეთ, ნათიას მშობლებმა წყვილის ურთიერთობას ხელი შეუშალეს.

ჩვენ ბიძინას მოსკოვში დავუკავშირდით და მასთან ინტერვიუ ჩავწერეთ.

- ბიძინა, გამარჯობა, „პრაიმტაიმიდან“ გაწუხებთ.

- ვფიქრობ, ვხვდები, რისთვისაც.

- მიხვედრილი ყოფილხართ, თქვენი ფოტოები დავათვალიერეთ. დათო ხუჯაძის ყოფილ მეუღლესთან გაქვთ გადაღებული, საკმაოდ რომანტიულ გარემოში. შეიძლება გკითხოთ, რა ურთიერთობა გაქვთ?

- მე მეგონა სხვა თემაზე მკითხავდით, რადგან რამდენიმე ჟურნალისტმა უკვე მომწერა გარკვეული შეკითხვები. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მეგობარი ჟურნალისტი მყავს, მათთანაც კი არ განვიხილავ პირადი ცხოვრების დეტალებს... რაც შეეხება ფოტოებს, ნათიასაც ჰქონდა ატვირთული. მაგასაც შეამჩნევდით, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს...

„არევითაც არაფერი აგვრევია, ეგ ჭორიც აქტიურად გავრცელდა. რა უნდა აგვრეოდა, ორი ჩამოყალიბებული, ზრდასრული ადამიანი ვართ, საღად მოაზროვნე“

- რა თემას გულისხმობთ, იმას, რომ ოფიციალურად ჯერ ისევ მანანა თოდაძესთან იმყოფებით ქორწინებაში?

- თქვენც გცოდნიათ, მაგრამ ჩვენ იურიდიულადაც დავშორდით, უკვე ექვსი თვეა... ნათიას თემას ნამდვილად არ ველოდი...

- ჩვენ ყველაფერი ვიცით! კარგი, მაშინ ჯერ ქალბატონ მანანასთან დაკავშირებით გკითხავთ. როგორც გავიგეთ, ურთიერთობა აგერიათ. მიუხედავად იმისა, რომ ახლაც მოსკოვში ხართ, ერთად აღარ ცხოვრობთ. რა მოხდა?

- მაინც გინდათ ამალაპარაკოთ იმაზე, რაზე საუბარიც ნამდვილად არ მიყვარს. ჟურნალისტების გარდა ძალიან ბევრი მეგობარი თუ ნაცნობი მირეკავს და ჩემი და მანანას თემას განიხილავს. განა დასამალია სიყვარული? ის ხომ სიგიჟეა და ადრე თუ გვიან ყველა იგებს, მით უმეტეს თავად ბრძანებთ და ისედაც ვიცი, რომ თქვენს გარდა ყველამ იცის ეს ამბავი. „არ არსებობს, რომ დამალული არ გაცხადდეს“. თუმცა დასამალი აქ არც არაფერი ყოფილა. უბრალოდ, საქვეყნოდ პირადზე საუბარი არასწორი მგონია... ეს ხომ კონცერტი ან რამე მსგავსი ღონისძიება არ არის, რომ საჯაროდ ისაუბრო... ძალიან მიხარია და ვამაყობ იმით, რომ მე და მანანამ რამდენიმე დაუვიწყარი პროექტი ვაჩუქეთ ქართველ და არამარტო ქართველ ხალხს. ამ ადამიანთან მუშაობა და ურთიერთობა, ვფიქრობ, დიდი ჯილდოა. ნიჭიერი არა მხოლოდ თავის სფეროშია, არამედ ურთიერთობებში, შვილების სიყვარულში, მეგობრობასა და ერთგულებაში. ამას საჯაროდ ყველგან ვამბობ და ახლაც ვიტყვი, რომ ის ამ მხრივ უნიჭიერესია.

„ბავშვობიდან მიყვარდა...“

დათო ხუჯაძე: „ღმერთმა ქნას, რომ გათხოვდეს“

რაც შეეხება ჩემს მოსკოვში თუ სხვა ქვეყნებში სიარულს, ეს მხოლოდ ჩემი პირადი საქმიანი ვიზიტებია. ჩვენ ვერ ვხედავთ ერთმანეთს. თუმცა, სადაც არ უნდა შევხვდე, ყოველთვის გამიხარდება და ჩემს პატივისცემას გამოვხატავ.

- ის მაინც გვითხარით, რამდენ ხანს იყავით ერთად?

- არევითაც არაფერი აგვრევია, ეგ ჭორიც აქტიურად გავრცელდა. რა უნდა აგვრეოდა, ორი ჩამოყალიბებული, ზრდასრული ადამიანი ვართ, საღად მოაზროვნე. ხომ იცით როგორც ხდება, ერთი იტყვის რაღაც სისულელეს გარკვეული მიზნების გამო და ედება მთელ ქვეყანას.

-ურთიერთგამომრიცხავ პასუხებს მცემთ. იქნებ ჩამოყალიბდეთ... ანუ ახლაც მანანა თოდაძის მეუღლე ხართ?

- არა, ჩვენ არ ვართ ერთად.

- გასაგებია. პირადი საქმეები ახსენეთ. თუ საიდუმლო არ არის, რას საქმიანობთ?

- ყველაფერს, რაც წესიერ ფულს მაკეთებინებს პატიოსანი შრომით. კონკრეტული ერთი თემა არ გამაჩნია, თუმცა, ტვინში სულ მიტრიალებს ის, რომ სადაც არ უნდა ვიყო და რა ფულიც არ უნდა ვიშოვო, ქართულ ხელოვნებას მაქსიმალურად შევუწყო ხელი, პირველ რიგში სიმღერის კუთხით.

- ეკა კვალიაშვილის პროდიუსერიც თქვენ იყავით. ხომ არ ვცდები?

- ცდებით. ეკა ჩემი მეგობარი იყო და ეს ინფორმაცია საიდან გაქვთ თქვენ, არ ვიცი. საუკუნეა არ მინახავს, ტელევიზიიდან და საერთო მეგობრებიდან ვიგებ მის ამბებს და ჩემებურად ვგულშემატკივრობ.

- მანანა თოდაძის პროდიუსერი ხომ იყავით? მისი სოლო კონცერტი თბილისში თქვენ გააკეთეთ...

- ვფიქრობ, ეგ მანანასგან გეცოდინებათ, მის მიერ მიცემული ინტერვიუებიდან. ჩვენ ერთად ვმუშაობდით და თუ გინდათ პროდიუსერი დამარქვით და გინდათ მანანას შემოქმედების გვერდში მდგომი ადამიანი. თუმცა, მე და მანანას ისეთი პროექტიც გაგვიკეთებია, სადაც მხოლოდ მანანას ნიჭის დემონსტრირება არ მომხდარა და სხვა უნიჭიერესი ქართველი ცნობილი მომღერლებიც მოხვედრილან ჩვენს პროექტში. მაგალითად, 2013 წელს სანქტ-პეტერბურგში, 6 თებერვალს, გრანდიოზულ პროექტს შევეჭიდეთ, - „добрые песни красивому городу“. სამსაათიანი კონცერტი ვაჩუქეთ იქ მცხოვრებ ხალხს. მონაწილეობდნენ: ნანი ბრეგვაძე, მანანა თოდაძე, დიანა ღურწკაია, სოსო პავლიაშვილი, ირაკლი ფირცხალავა, დათო ხუჯაძე, გიორგი მელიქიშვილი, ტრიო „სერენადა“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბიძინა სირბილაძე და მანანა თოდაძე

ბიძინა სირბილაძე და ნათია ონიანი

„სიყვარულმა ხომ ასაკი არ იცის“

- მეგობრობა და საქმიანი შეხვედრები სიყვარულში როდის გადაგეზარდათ?

- ბავშვობიდან მიყვარდა... მიუხედავად იმისა, რომ მას უამრავი რამ აქვს გაკეთებული ქართული ხელოვნებისთვის, კიდევ უამრავი გეგმა აქვს, რაც ქართველ ერს ასახელებს საქართველოს საზღვრებს გარეთაც და ვუსურვებ მალე ახდენოდეს.

- მშვენივრად ახერხებთ, რომ კითხვებზე პასუხების გაცემას თავი აარიდოთ. თქვენი ნებაა. ნათიას დავუბრუნდეთ. ჩვენ გავიგეთ, რომ თქვენსა და ნათიას შორის სიყვარულის ქარმა დაჰბერა. ამაზე რას იტყვით?

- ნათია რომ გავიცანი, არც ვიცოდი ვისი ყოფილი ცოლი იყო, ან საერთოდ თუ იყო გათხოვილი. წვეულებაზე მოვხვდით ერთად და იქ ვნახე პირველად. დათოსთან მხოლოდ ნაცნობობა მაკავშირებს, ზემოხსენებულ პეტერბურგის პროექტში მივიწვიე. რაც შეეხება ნათის, მე მქონდა სიმპათიები, მას რა ჰქონდა, მას ჰკითხეთ, ან თვითონ გამოიტანეთ აზრი. სხვის მაგივრად ვერ ვისაუბრებ. ერთს ვიტყვი, ძალიან კარგი გოგოა და როგორც აღმოჩნდა, კარგი ოჯახის შვილიც. სამწუხაროდ, ვერ მოვასწარი მისი ოჯახის გაცნობა, ქარის მერე ქარიშხალმა დაჰბერა.

- რას გულისხმობთ?

- სამწუხაროდ ამ ცხოვრებაში ბევრი რამ ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვსურს. თუმცა, ცხოვრება სავსეა სიურპრიზებით. არასოდეს თქვა არასოდეს.

- მალე დაგიყრიათ ფარ-ხმალი...

- ხმალი არც ყოფილა, მხოლოდ ფარი.

- თქვენი ყოფილი მეუღლის, მანანა თოდაძის ასაკს თუ გავითვალისწინებთ, უფროსი ქალბატონები მოგწონთ. ნათიაზე რატომ შეაჩერეთ არჩევანი?

- სიყვარულმა ხომ ასაკი არ იცის. ამ საკითხს მხოლოდ ეშმაკი განიცდის.

- პოეტიც ყოფილხართ...

- მე არ ვარ პოეტი, მაგრამ მაქვს განცდები,

და იმედი მაქვს ჯოჯოხეთს ავცდები.

- ცოტაოდენი თქვენზეც გვიამბეთ, ოღონდ არა ლექსად.

- მიყვარს უფალი, ოჯახი, მეგობრები, სიყვარული და სიმღერა. ზემოთ ჩამოთვლილის გამო მზად ვარ სიგიჟეზე... ვარ ეკონომისტი, ოფიციალურად მრავალ ადგილას მიმუშავია. დღეს, ოფიციალურად, მხოლოდ ქუთაისის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ კოორდინატორად ვმუშაობ. მომავლის ჩანაფიქრები ბევრი მაქვს. ერთ-ერთი უმთავრესი ქართული სიმღერის, კულტურის შენარჩუნება და აღორძინებაა. ამ მიმართულებით დიდი სიამოვნებით დავიხარჯებოდი, ყოველგვარი ანაზღაურებისა და მოგების გარეშე.

- პირველ ქორწინებაზე არაფერს მეტყვით? როგორც ვიცი, შვილი გყავთ, გოგონა...

- არც ერთ ქორწინებაზე არ მსურს საუბარი, ვფიქრობ, დღეს ხელოვნების დარგში ჩემი უმცირესი წვლილი და ამ მიმართულებით მომავლის გეგმები უფრო მნიშვნელოვანია ყველასთვის, ვიდრე წარსულში დაკარგული, მტკივნეულად დაკარგული სიყვარულები... გოგონა მყავს, 8 წლის ანუკა. უნიჭიერესია, როგორც ყველას შვილი.

- მაინც რა შარმი გაქვთ ასეთი, ასეთ გავლენიან და ცნობილ ქალბატონებს რომ ხიბლავთ?

- მაღალი, ქერათმიანი, ცისფერთვალება მამაკაცი ვარ, ბანკში დეპოზიტზე 5 მილიონი მიდევს და ბენტლით დავდივარ (იცინის). პირიქით, ისინი მხიბლავენ.

- ამბიციურიც ყოფილხართ...

- რაც ითქმება, ის გითხარით (იცინის).

- ახლა რა მისიით სტუმრობთ მოსკოვს?

- არა, მე ის არ მყვარებია, მომწონდა, მოწონების გამო 2 200 კილომეტრს არ გავდივარ. საქმეები მაქვს.

ჩვენ ნათიასთან დაკავშირებაც ვცადეთ, მაგრამ ტელეფონი გამორთული აქვს, „ფეისბუქი“ გაუქმებული. ამიტომ მის ყოფილ ქმარს დათო ხუჯაძეს ვთხოვეთ დახმარება.

- დათო, ნათია ონიანთან დაკავშირებას ვცდილობთ...

- ნათია ონიანი ვინ არის?

- თქვენი ყოფილი მეუღლე. ტელეფონი, რომელიც ჩვენ გვაქვს, გამორთულია. იქნებ დაგვეხმაროთ?

- რა ხდება, აქტუალური გახდა ნათია?

- რაღაც კითხვები გვქონდა მასთან.

- მოცეკვავეა ნათია თუ სიმღერა დაიწყო? რა კითხვები გაქვთ?

- გვაქვს ინფორმაცია, რომ შეყვარებულია და ამის გადამოწმებას ვცდილობთ...

- შეყვარებულია? მაგას რა სჯობია? უბრალოდ, მე ნურაფერში ნუ გამხვევთ რა.

- თქვენ ხომ არ გაქვთ ამის შესახებ ინფორმაცია?

- არანაირი ინფორმაცია არ მაქვს.

- ანუ ნათიასა და ბიძინა სირბილაძის ურთიერთობაზე არაფერი გსმენიათ?

- გაგებაში არ ვარ, ვინაა ეგ სირბილაძე. ღმერთმა ქნას, რომ გათხოვდეს.



„არა, მე ის არ მყვარებია, მომწონდა, მოწონების გამო 2 200 კილომეტრს არ გავდივარ. საქმეები მაქვს“

ნათია ონიანი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ციხეებში მასობრივი ბუნტი მზადდება

მირიან ბოქოლიშვილი

სასჯელაღსრულების სისტემაში დაგეგმილ რეფორმას, შესაძლოა, მასობრივი პროტესტი მოჰყვეს. საქმე ის გახლავთ, რომ რეფორმას მოწინააღმდეგეები თავად სისტემის შიგნით გამოუჩნდნენ.

ლალი აფციაური: „ხელისუფლებამ უნდა მიიღოს დროული ზომები, რადგან რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდეს“

ვინ დგას პატიმრების პროტესტის უკან?

უწყებაში რეფორმა მრავალი მიმართულებით იგეგმება, თუმცა ყველაზე მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ცვლილებების თანახმად, უქმდება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ავტონომიურობა, რომელიც ამ დრომდე თითქმის ერთპიროვნულად განკარგავდა 150 მილიონამდე ბიუჯეტს და ნაკლებად ანგარიშვალდებული გახლდათ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან, რომლის დაფინანსება, თავის მხრივ, სულ რაღაც 7 მილიონს შეადგენს.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სად-ის ხელმძღვანელობა და ციხეების ადმინისტრაცია მაქსიმალურად ცდილობენ ავტონომიურობის შენარჩუნებას. უკვე საუბრობენ იმაზე, რომ რეფორმის შესაფერხებლად შესაძლოა, პატიმრებიც გამოიყენონ. კერძოდ, იმ პატიმრებს, რომლებიც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის გაუქმებას გააპროტესტებენ, ციხის ხელმძღვანელობა სხვადასხვა პრივილეგიებს ჰპირდებათ.

დეპარტამენტის ავტონომიურობის გაუქმება, რომ გარდაუვალია, ამას თავად სასჯელაღსრულების მინისტრიც ადასტურებს. გიორგი მღებრიშვილის თქმით, სად-ს უუქმდება საქვეუწყებო სტატუსი.

„მისი ბიუჯეტი გადმოვა სამინისტროში და ეს იქნება ცენტრალიზებული მართვა. დეპარტამენტი მთლიანად ინტეგრირდება სამინისტროსთან და დაექვემდებარება მინისტრს“, – აღნიშნა მღებრიშვილმა.

იმას, რომ ზემოხსენებულ რეფორმას ნამდვილად ჰყავს მოწინააღმდეგეები, არ უარყოფს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილე კახი კახიშვილიც, რომელიც იმედს გამოთქვამს, რომ წარმოდგენილ ცვლილებებს საქართველოს პარლამენტი უმოკლეს ვადაში დაამტკიცებს.

„ეს არის ყველაზე სენსიტიური სამინისტრო, საიდანაც შეიძლება ისეთი ტიპის აფეთქება მიიღო, რომ ქვეყანამ ვერ გაუძლოს. ამიტომ სისტემის მდგრადობა არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, როგორი უფროსი ეყოლება სასჯელაღსრულების დეპარტამენტს, ან როგორი იქნება თავად მინისტრი. ეს უნდა

იყოს ინსტიტუციურად განმტკიცებული საკითხი. იმედი მაქვს, რომ ჩვენ მიერ შეთავაზებულ ცვლილებებს გაიზიარებს საქართველოს პარლამენტი და ახალი კანონი უმოკლეს ვადაში დამტკიცდება, რადგან თითოეულ დღეს აქვს მნიშვნელობა, გამომდინარე იქიდან, რომ არსებობენ ამ კანონპროექტის არმიღების მსურველებიც“, – **ამბობს კახიშვილი.**

მისივე თქმით, დაგეგმილი რეფორმის შედეგად სასჯელაღსრულების დეპარტამენტი სამინისტროს დაქვემდებარებაში თავის ბიუჯეტიანად გადავა.

„მთავარი არ არის საკადრო პოლიტიკა, მთავარია ინსტიტუციონალური რეფორმა. დღეს სად-ი არის სახელმწიფო სახელმწიფოში. სამინისტრო კი ცალკე ქუდია პოლიტიკური კეკლუცობისთვის, რომ რეალურად მინისტრს მხოლოდ კამერებთან კეკლუცი შეეძლოს. სად-ი არც ეკითხებოდა საერთოდ მინისტრს აზრს. ზოგ შემთხვევაში კი ტელეფონსაც არ პასუხობდა, ამიტომ გვქონდა სისტემა, სადაც შავბნელი საქმიანობები არსებობდა, ამავდროულად მინისტრს ინფორმაციაც კი არ გააჩნდა. თუ მინისტრი პოლიტიკურად არის პასუხისმგებელი, ტექნიკური პასუხისმგებლობაც უნდა იკისროს. სწორედ აქედან გამომდინარე, რეფორმის შედეგად ყოველგვარ პასუხისმგებლობას სამინისტრო აიღებს. სად-ი გაუქმდება, ის გახდება რიგითი დეპარტამენტი და მისი ბიუჯეტიც, რომლის ფარგლებშიც როგორც უნდოდათ, ისე არიგებდნენ პრემიებს, იქნება სამინისტროს დაქვემდებარებაში“, – აღნიშნა კახიშვილმა.

ექსპერტი პენიტენციარულ საკითხებში, ტატო ქელბაქიანი დაგეგმილ ცვლილებებს მიესალმება და მიიჩნევს, რომ შესაძლო სირთულეების მიუხედავად, სამინისტრომ ეს რეფორმა ბოლომდე უნდა მიიყვანოს.

„როდესაც სასჯელაღსრულების დეპარტამენტი იუსტიციის სამინისტროს შემადგენლობაში შედიოდა, მაშინ რაღაც ლოგიკა იყო იმაში, რომ ამ დეპარტამენტს მეტი დამოუკიდებლობა ჰქონოდა. თუმცა როდესაც ცალკე სამინისტრო შეიქმნა, აღმოჩნდა, რომ ამ უწყებას სასჯელაღსრულების დეპარტამენტისა და პრობაციის სამსახურის მეტი, სხვა საზრუნავი არაფერი აქვს. ამიტომ ცალკე აპარატის არსებობა მიზანშეწონილი არ არის. შესაბამისად, აბსოლუტურად მიზანშეწონილია დეპარტამენტის მთლიანი შერწყმა სამინისტროს აპარატთან. არ ვიცი, ამას კადრების შემცირება მოჰყვება თუ არა, მაგრამ, ალბათ, მოხდება სამსახურების ოპტიმიზაცია, პრაქტიკამ აჩვენა, რომ დეპარტამენტის დამოუკიდებლობამ და ერთპიროვნულმა გადაწყვეტილებებმა არ იმუშავა. ამიტომ ამ მიმართულებით რეფორმა პოზიტიურია. ფაქტია, რომ ამ დრომდე სამინისტრო პროცესებს ბოლომდე ვერ აკონტროლებდა, თუ ამ კონტროლს ბოლომდე აიღებს ხელში და შესაბამისად, პასუხისმგებლობასაც, რა თქმა უნდა, უკეთესია“, – ამბობს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ტატო ქელბაქიანი.

ადვოკატი ლალი აფციაური კი შესაძლოა, ბუნტის თავიდან ასაცილებლად დეპარტამენტსა და სამართალდამცავ უწყებებს დროული რეაგირებისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, დაუყოვნებლივ უნდა გაათავისუფლონ ადმინისტრაციის ყველა ის თანამშრომელი, ვინც მსგავსი ქაოსის შექმნაშია შემჩნეული.

„პატიმრებისთვის არა აქვს მნიშვნელობა, ვის დაქვემდებარებაში იქნება ციხის ადმინისტრაცია – სამინისტროსი თუ დეპარტამენტის. თუკი არსებობს ასეთი ინფორმაცია, ცხადია, ამის უკან დგას ციხის ადმინისტრაცია. გამორიცხულია, რომ თავად პატიმრებს გამოეჩინათ ასეთი ინიციატივა და გაეპროტესტებინათ სად-ის ავტონომიურობის გაუქმება. ხელისუფლებამ უნდა მიიღოს დროული ზომები. თუკი ვინმე მართლაც აქეზებს პატიმრებს და მათ ბუნტისკენ მოუწოდებს, ყველა დასაჭერია. როგორ შეიძლება პატიმრის გამოყენება საკუთარი პრივილეგიების შესანარჩუნებლად. ჩემთვის ეს გასაკვირი ნამდვილად არ არის, რადგან კაცმა არ იცის, როგორ განკარგავს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი უზარმაზარ ბიუჯეტს, მათ დაქვემდებარებაშია ტენდერებიც, საპატიმროებში არსებული მაღაზიები და ბუნებრივია, არ სურთ ამ ყველაფრის დაკარგვა. პატიმრების გამოყენება ნებისმიერი საკითხის გასაპროტესტებლად დანაშაულია და ყველა ორგანიზატორი უნდა დაისაჯოს, მინიმუმ დროულად უნდა გაათავისუფლონ მაინც. ეს უნდა გაკეთდეს დაუყოვნებლივ, რადგან რაიმე გაუთვალისწინებელი შედეგი არ დადგეს“, – ამბობს ლალი აფციაური.

კახი კახიშვილი: „ეს არის ყველაზე სენსიტიური სამინისტრო, საიდანაც შეიძლება ისეთი ტიპის აფეთქება მიიღო, რომ ქვეყანამ ვერ გაუძლოს... თითოეულ დღეს აქვს მნიშვნელობა, გამომდინარე იქიდან, რომ არსებობენ ამ კანონპროექტის არმიღების მსურველებიც“

ტატო ქელბაქიანი: „ამ დრომდე სამინისტრო პროცესებს ბოლომდე ვერ აკონტროლებდა, თუ ამ კონტროლს ბოლომდე აიღებს ხელში და, შესაბამისად, პასუხისმგებლობასაც, რა თქმა უნდა, უკეთესია“



გიორგი მღებრიშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვინ არის მსუქანი ზოია?

მირიან ბოქოლიშვილი

სულ ცოტა ხნის წინ ინტერპოლის წითელი ცირკულარით საქართველოს მოქალაქე ზოია ჩხაიძეზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა. 61 წლის ქალბატონი საქართველოს სამართალდამცავი ორგანოს მოთხოვნის საფუძველზე სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის იძებნება.

საჯარო ინფორმაცია | დაგვიკავშირდით | განცხადებები | საიტის რუკა | ქარ | ENG

სამინისტრო | სსიპ-ები | პროექტები/რეფორმა | საზოგადოებასთან ურთიერთობა | საჭირო ინფორმაცია | ძიება

შინაგან საქმეთა სამინისტრო

112 გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომერი | 126 გენერალური ინსპექცია

მთავარი გვერდი → სამინისტრო → სამინისტროს სტრუქტურა → ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო საქართველოში

ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო საქართველოში

მთავარი | ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს უფროსი | ძებნილები | ცირკულარების სისტემა | ექსტრადიცია | კანონმდებლობა | საკომუნიკაციო სისტემა | საკონტაქტო

ძებნილები

საქართველოს ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროს მიერ ძებნილ პირთა ჩამონათვალი (მედია გავრცელებისათვის)

ჩხაიძე ზოია

დაბადებული: 1956 წლის 28 აპრილს

მოქალაქეობა: საქართველო

ზოია რაჟდენის ასული ჩხაიძე, იძებნება საქართველოს სამართალდამცავი ორგანოს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის 2-ე ნაწილის „ა“ და 3-ე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის.

ინტერპოლმა ადეიშვილის აგენტზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადა

EXCLUSIVE

როგორც გავარკვიეთ, ზოია ჩხაიძე წინა ხელისუფლების დროს აქტიურად თანამშრომლობდა პროკურატურასა და ფინანსურ პოლიციასთან და მისი ჩვენების საფუძველზე საპყრობილეში არაერთი პირი აღმოჩნდა. მის მახეში გაბმულ მოქალაქეთა ნაწილთან პროკურატურა საპროცესო შეთანხმებებს აფორმებდა. ამ ადამიანებს თავისუფლება ათი ათასობით ლარი უჯდებოდათ.

ყოფილი პროკურორი ნანა თხელიძე, რომელიც თავადაც მსჯავრდადებული გახლდათ, ამბობს, რომ მხოლოდ ქალთა ციხეში ზოია ჩხაიძის მიერ დაზარალებული ათობით პატიმარი იხდის სასჯელს. მისი სახელი, როგორც მთავარი მოწმისა, სისხლის სამართლის არაერთ საქმეში ფიგურირებს.

ნანა თხელიძე, ყოფილი პროკურორი:

– პროკურატურაში სისტემატურად ხდებოდა აგენტურის დამუშავება, განსაკუთრებით ფინანსური კუთხით. ისინი ირჩევდნენ გარკვეულ დანაშაულში შემჩნეულ პიროვნებას, რომელსაც სთავაზობდნენ მათთან აგენტურულ თანამშრომლობას. სწორედ ერთ-ერთი ასეთი მოქალაქე გახლავთ ზოია ჩხაიძე, რომელიც იყო ადეიშვილის უწყების აგენტი ფინანსური მიმართულებით.

– რა სქემით მოქმედებდა ეს ქალბატონი?

– სქემა იყო ორგვარი: იპოთეკური სესხის გამოტანის მსურველ ადამიანებს ზოია ჩხაიძე ყალბ საბუთებს უმზადებდა, ბანკში მისვლისა და ამ საბუთების წარდგენისთანავე კი ამ პიროვნებებს აკავებდნენ. შემდეგ აგენტ ზოია ჩხაიძეს აძლევდნენ უფლებას, წინასწარი დაკავების საკანში შესულიყო და თავის მსხვერპლთან მოლაპარაკება გაემართა. ის დაპატიმრებულს არწმუნებდა, რომ აუცილებელი იყო საპროცესო შეთანხმება, წინააღმდეგ შემთხვევაში ორივეს დაგვიჭერენო. მეორე სქემით, ზოია მიდიოდა ადამიანებთან და ეუბნებოდა, – შენ უნდა გააკეთო სამსახურის ფიქციური ცნობა, რომ სესხი აიღოო. შემდეგ ეს ადამიანები უკავშირდებოდნენ თავიანთ ნაცნობებს, რომ ასეთი ცნობა გაეკეთებინათ. ამ შემთხვევაში იჭერდნენ როგორც ცნობის ამღებს, ასევე გამცემს.

– ბევრი ადამიანი დაზარალდა ამ სქემებით?

– რა თქმა უნდა. ეს ადამიანი ასეთ საქმიანობას წლების განმავლობაში ეწეოდა. მხოლოდ ქალთა ციხეში, სულ ცოტა, 35 მსჯავრდადებულია, რომელიც ამ მახეში გაება. ოპერატიულ ინფორმაციებს რომ გადახედოთ, იქ ნახავთ მის აგენტურულ მეტსახელებს: „ზოია ტბილისკი“, „მსუქანი ზოია“ და ა.შ. ძალიან ბევრი საქმეა, სადაც ეს ქალბატონი ფიგურირებს. ეს ქალი აუცილებლად უნდა მიეცეს პასუხისგებაში. სამწუხაროდ, ასეთ საქმიანობას ეწეოდა ადვოკატთა დიდი ნაწილიც. მე ვიყავი ყოფილი პროკურორი და სწორედ ასეთი ადვოკატის ჩვენების საფუძველზე დამაპატიმრეს, თითქოს ზეწოლას ვახდენდი საოლქო პროკურორზე.

ადვოკატი ლელა აბაშიძე ის ადამიანია, რომელსაც თბილისის მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე ვახტანგ იაშვილი კონკრეტული პირების მიმართ ცრუ ჩვენების მიცემას სთხოვდა.

„ვახტანგ იაშვილი, ქალაქის მთავარი პროკურორის ყოფილი მოადგილე, მაიძულებდა, რომ ამა თუ იმ ადამიანის წინააღმდეგ მიმეცა ჩვენება და მათთან მეთანამშრომლა. ის ამბობდა, რომ მათ ჰქონდათ მათთვის საინტერესო ადამიანების სია და ამ სიის მიხედვით უნდა მიმეწოდებინა მე ამ ხალხზე ინფორმაცია. ისინი მე პირდაპირ მეუბნებოდნენ, რომ იანვრიდან აპრილის ჩათვლით 87 ადვოკატი ჰყავდათ დაკავებული. ამ 87-დან კი მხოლოდ 24 გაასამართლეს. ის ადამიანები, ვინც მათთან თანამშრომლობას არ დასთანხმდნენ. ჩემი უარის შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ მე გავხდი 25-ე დაკავებული ადვოკატი. საპატიმრო კი ხელისუფლების შეცვლის შემდეგ საპატრიარქოს შეწყალების საფუძველზე დავტოვე“, **– აცხადებს აბაშიძე.**

გიორგი დემეტრაშვილი, რომელიც ციხეში ნარკოტიკის შეძენა-შენახვის მუხლით იჯდა, აცხადებს, რომ ის აიძულეს, მისი მეგობრის, ბიზნესმენ ზურა ჩახუნაშვილის წინააღმდეგ მიეცა ჩვენება და ის იმ დანაშაულში ემხილებინა, რომელიც არ ჩაუდენია.

„ჩემი დაკავების მომენტიდან ჩემგან პირდაპირ მოითხოვდნენ, რომ ზურაბ ჩახუნაშვილი მემხილებინა იმ დანაშაულში, რომელიც მას არ ჩაუდენია. საუბარი იყო ჩახუნაშვილის მიერ ნარკოტიკის რეალიზაციაზე. მეუბნებოდნენ, რომ ამის სანაცვლოდ საპროცესო შეთანხმებას გამიფორმებდნენ. ამაზე უარი ვთქვი. ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც მიმაცემინეს ჩვენება, რომ თითოს მან შეისყიდა სხვისგან ნარკოტიკი. მე მომატყუეს, რადგანაც არ ვიცოდი, რომ ეს ჩვენება მის წინააღმდეგ მაინც იქნებოდა გამოყენებული“, **– აცხადებს დემეტრაშვილი.**

„მხოლოდ ქალთა ციხეში, სულ ცოტა, 35 მსჯავრდადებულია, რომელიც ამ მახეში გაება. ოპერატიულ ინფორმაციებს რომ გადახედოთ, იქ ნახავთ მის აგენტურულ მეტსახელებს: „ზოია ტბილისკი“, „მსუქანი ზოია“ და ა.შ.“

კონკრეტულად ამ ჩვენების საფუძველზე ცრუ მოწმემ გიორგი დემეტრაშვილმა პროკურატურისგან 17 წლის ნაცვლად 3-წლიანი სასჯელი მიიღო. ბიზნესმენი ზურა ჩახუნაშვილი კი დღესაც იხდის სასჯელს რუსთავის დაწესებულებაში.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ამერიკიდან დაბრუნებული „საეჭვოდ“ გასუქებული სოფო ნიჟარაძე ჭორებს ეხმაურება

„წინ ბევრი სიურპრიზი მაქვს. სულ ვმალავ, რა ხდება“

გიორგი ხაბურზანია: „საკმარისია, ვინმე ახსენო, რომ მაშინვე ამბავი ატყდება“

შესაძლოა, სოფო „X ფაქტორის“ ჟიურიში ვიხილოთ EXCLUSIVE

my View
თამარ გონგაძე

ერთწლიანი განშორების შემდეგ ამერიკიდან სამშობლოში სოფო ნიჟარაძე დაბრუნდა, მაღალკვალიფიციური მომღერლის რანგში. ნიუ- იორკში ბროდვეის სამსახიობო სკოლის ორი კურსი გაიარა. როგორც მომღერალმა „პრაიმტაიმს“ განუცხადა, იქ მასტერკლასის ჩატარება თვით მეტრმა – რონ შეტლერმაც კი სთხოვა. „შეტლერ სტუდიოს“ კურსს ჰოლივუდის ყველა ის მსახიობი გადის, ვინც მიუზიკლში თუ მუსიკალურ სპექტაკლებში თამაშობს. მომღერალი მიღებული გამოცდილებით კმაყოფილია. საკმარისი იყო სოფოს გამოჩენა, რომ ახალი ჭორების ტალღამ გადაუარა თბილისს. „რუსთავი 2“-ის მიერ მოწყობილ საახალწლო კონცერტზე, სხვა ბევრ მომღერალთან ერთად, ახალი წლის ღამეს, მაყურებელმა სოფო ნიჟარაძეც იხილა. ყველამ ერთხმად აღიარა – ნიჟარაძე საგრძნობლად გასუქებული დაბრუნდა ამერიკიდან, ალბათ, ორსულად არისო. მანამდე, სოფო სოციალურ ქსელში თავისი ამერიკული ცხოვრების ამსახველ ფოტოებს აქვეყნებდა. წონაში მატება ფოტოებიდანაც შესამჩნევი იყო. მოკლედ, თემა გაჩნდა – „ისეა მომატებული, სოფო ნიჟარაძე ორსულად იქნება“. გასული წლის ზაფხულში თბილისში იმაზე ჭორაობდნენ, როგორ უყიდა ორ მილიონად ბინა მანჰეტენზე ნიჟარაძეს ყოფილმა პრეზიდენტმა. წყვილის რომანზე ბოლო დროს ბევრი ითქვა და დაიწერა კიდეც. ჟურნალ „რეიტინგს“ ამის გამო მომღერალი უჩიოდა კიდეც. მოგვიანებით სააგენტოები ექსპრეზიდენტისა და მომღერლის ფოტოს აქვეყნებდნენ, სადაც ნიუ-იორკის მუსიკისა და დრამის თეატრში (New York City Center) ლინკოლნის ცენტრის ფესტივალზე ერთად არიან დაფიქსირებულნი. დაიწერა, რომ ფოტო სოციალურ ქსელებში გავრცელდა.

„სიდნეის თეატრი დაუბრუნდა ლინკოლნის ცენტრის ფესტივალს, სადაც გაიმართა ჟან ჟენეს გახმაურებული პიესის „მოსამსახურეების“ ჩვენება, რომელშიც მთავარ როლებს კეიტ ბლანშეტი, იზაბელ იუპერი და ელიზაბეტ დებიცკი თამაშობენ“ – წერდა თეატრის ვებგვერდი. სოფომ კი მათ, ვინც მანჰეტენზე 2 მილიონად შეფასებულ ბინაზე უვრცელებდა ჭორებს, სოციალური ქსელში დადებული ფოტოთი უპასუხა: „ეს არის ის „ორ მილიონიანი“ 15 კვადრატული მეტრის სიდიდის ოთახი, რომელშიც ამჯერად ვიმყოფები ამერიკაში, ერთი პატარა სტუდიოა, ერთ ჩვეულებრივ სახლში, რომელსაც ვქირაობ! თუმცა, ალბათ, ის თანხა, რომელიც ამ აბსურდული სტატიის შეკვეთაში გადაიხადეს, ნამდვილად მაცხოვრებდა ერთი წელი უდარდელად მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, ბინაც საყიდლად მომივიდოდა“.

გავრცელებული ხმის თანახმად, „X ფაქტორის“ მეორე სეზონის ჟიურის წევრებს შორის სოფოსაც ვიხილავთ. ამას ნაწილობრივ პროექტის მთავარი პროდიუსერიც ადასტურებს და თავად მომღერალიც. თუმცა გადაჭრით ჯერ – ვერც ერთი. სოფომ ინტერვიუში ექსკლუზიურად გაგვიმხილა, რომ ეკრანზე ხშირად გამოვჩნდებიო.

„სოფოს კანდიდატურაზე ვერც კის გეტყვით და ვერც – არას. ჯერ არ ვართ ჩამოყალიბებული, რადგან ამ თემაზე არ გვილაპარაკია. „ნიჭიერის“ გრანდიოზული ფინალის დასრულების შემდეგ დავსხდებით და მშვიდად ვილაპარაკებთ. საკმარისია, ვინმე ახსენო, რომ მაშინვე ამბავი ატყდება. რთულია, ჯერ ჟიურის კანდიდატურებზე წინასწარ ლაპარაკი. ჯერ არც ჟიურის წევრებზე და არც კატეგორიებზე არ გვილაპარაკია“,– **გვითხრა გიორგი ხაბურზანიამ.**

„საზოგადოება მინდა დავაწყნარო, შვილს არ ველოდები. ყველაფერს გაიგებთ. არაფრის მალვას არ დავიწყებ. შვიდი კილო მქონდა მომატებული. ამერიკაში წონაში ყველა იმატებს. სტუდენტურად ვცხოვრობდი, სად რას ვჭამდი, კაცმა არ იცის“

ბროდვეის სამსახიობო სკოლა

სოფო ნიჟარაძე: არსად არ მითქვამს, რომ მე ამერიკაში საცხოვრებლად მივდიოდი. სასწავლებლად ვიყავი, სწავლა დავასრულე და ჩამოვედი. ბროდვეის აკადემიაში ორი კურსი დავხურე, ეს დაახლოებით ერთ წლამდე გამოვიდა. გავიარე – დრამა, ვოკალი, მუსიკალური თეატრის საგნები. მე ძირითადად დრამაზე ვიყავი ორიენტირებული. მოსკოვშიც სამსახიობო სკოლა მაქვს დამთავრებული, ეს ჩემი პროფესიაა. ამერიკაში კი მაინც სხვა მიმდინარეობით ვსწავლობდი, მაინტერესებდა კვალიფიკაციის ამაღლება. ახალ ტექნიკას ვეუფლებოდი და ძალიან დიდი გამოცდილება შევიძინე. ბევრი სიახლე შევითვისე. თუ ადრე ქართულენოვან და რუსულენოვან სპექტაკლებში ვიყავი დაკავებული, ახლა უკვე ინგლისური ენა ისე ძალიან დავხვეწე, რომ შემიძლია ინგლისურენოვან სპექტაკლში ვითამაშო. სპეციალური კურსი გავიარე – უცხოელი სტუდენტებისთვის აქცენტის დახვენის კურსია. ამერიკულ აქცენტს გიყენებენ და ეს მნიშვნელოვანია იგივე სიმღერისთვისაც. თუ ადრე მეგონა, რომ ინგლისურად კარგად ვლაპარაკობდი და უაქცენტოდ ვმღეროდი, ნიუ-იორკში აღმოვაჩინე, რომ ასე არ ყოფილა. ენის ხარისხს დეტალურად ვხვენდი. ვოკალის კურსს ცნობილ „შეტლერ სტუდიოში“ გავდიოდი. ჰოლივუდის ყველა მსახიობი, ვისაც მიუზიკლში თუ მუსიკალურ სპექტაკლში უთამაშია, რონ შეტლერის მოსწავლე ყოფილა. შეტლერის რამდენიმე მასტერკლასი ჩამიტარდა. ამ სკოლაში მსახიობები სწავლობენ და არა პროფესიონალი მომღერლები. და ისინი როგორც მეორად პროფესიას, ისე ეუფლებიან სიმღერას.

„ეკრანზე ხშირად გამოვჩნდები – გამხდარი, ფორმაში ჩამდგარი და მომღიმარი. აი, ისეთი დავბუნდები, როგორიც ვიყავი. საკმაოდ გამხდარი მინდა გამოვჩნდე, რომ ჭორების საფუძველი არ დავტოვო“

მე ორივე პროფესია მაქვს, მსახიობიც ვარ და მომღერალიც. ამ სტუდიაში უკვირდათ, მე რომ ვსწავლობდი და უხერხულია ამის თქმა, მაგრამ გაგიმხელთ – მითხრეს, მასტერკლასების ჩატარებაში თუ დაგვეხმარებით, კარგი იქნებაო. ასეთი კომპლიმენტიც მივიღე.

– ხომ არ ჩაგიტარებია მასტერკლასი?

– არა, არ ჩამიტარებია.

ჭარბი წონა – ბურგერები და ჭორები

– შენ ფოტოებს „ფეისბუქსა“ და „ინსტაგრამზე“ ვნახულობდით, ხშირად პარკებში ველოსიპედით გადაღებულს...

– კი, აქტიურად დავდიოდი ველოსიპედით. ამერიკაში კვების პრობლემაა. რაც არ უნდა ეცადო, წონაში მაინც იმატებ. მე ამ პრობლემის წინაშე ნამდვილად დავდექი.

– დამასწარი. შენ წონაში მომატებას, აქ, შენ სავარაუდო ორსულობაზე ჭორი მოჰყვა.

– (იცინის) ეკრანიც ამატებს კილოგრამებს. საზოგადოება მინდა დავაწყნარო, არც ისე ბევრი მაქვს მომატებული. შვილს არ ველოდები. ყველაფერს გაიგებთ. არაფრის მალვას არ დავიწყებ. რაც არის ეგ არის. შვიდი კილო მქონდა მომატებული. ამერიკაში წონაში ყველა იმატებს. ცუდი პროდუქტი კი არ არის, გენმოდიფიცირებულია. დიდი რაოდენობით შეიცავს შაქარს. ბიოპროდუქტი უნდა მიიღო, თუ არადა, სუქდები. მე სტუდენტურად ვცხოვრობდი, სად რას ვჭამდი, კაცმა არ იცის. მარტო დავდიოდი, ბურგერებს გეახლებოდით. ხანდახან ფასტფუდების ჭამაც მიწევდა. სასწავლებელში სულ ფეხით დავდიოდი, 40 წუთის სავალ გზაზე. მაგრამ ამის მიუხედავად მაინც მოვიმატე. ახლა შემიძლია ყველა გავახარო. ორი კვირაა, რაც საქართველოში ვარ და უკვე 4 კილო დავიკელი. კიდევ კარგი, მეტი არ მაქვს მომატებული. თანდათან ვდგები ფორმაში, ეკრანზე უნდა გამოვჩნდე. შემოქმედებით ცხოვრებას ვუბრუნდები.

„X ფაქტორი“

– „X ფაქტორში“ უნდა გამოჩნდესო...

– ვნახოთ, ჯერ ვერაფერს გეტყვით. რაღაც მოლაპარაკება მიმდინარეობს. მომავალ გეგმებს არ ვაწყობ ხოლმე. შეიძლება ისეთი რამ მოხდეს, მერე სულ გადამეწყოს.

– თვალისცემის გეშინია?

– არა, არ მჯერა. იმაზე ლაპარაკი, რაზეც ბოლომდე არ არის შეთანხმება, სწორად არ მიმაჩნია.

– აქ ცხელი ზაფხულის ცხელი ჭორი იყო – მანჰეტენზე სახლი უყიდა ყოფილმა პრეზიდენტმაო.

– ამ ყველაფერზე პასუხი გაცემული მაქვს და მგონია, რომ ამომწურავიც. უკან დაბრუნებას აღარ ვაპირებ.

– და მაშინ წინ რა არის?

– წინ ბევრი სიურპრიზი მაქვს. წინასწარ ამაზე საუბარი რომ არ მიყვარს, ეს შენ იცი, ჩვენ დიდი ხნის ურთიერთობა გვაკავშირებს. სულ ვმალავ, რა ხდება. ჭორები გავრცელდა ჩემს სამომავლო გეგმებთან დაკავშირებითაც. ძალიან მალე დაინახავს საზოგადოება ბევრ კარგ რამეს. ეკრანზე ხშირად გამოვჩნდები – გამხდარი, ფორმაში ჩამდგარი და მომღიმარი. აი, ისეთი დავბუნდები, როგორიც ვიყავი. მინდა კიდევ უფრო მინუსებში წავიდე, ტელევიზიით ისეთი მომატებული რომ არ ვჩანდე. საკმაოდ გამხდარი მინდა გამოვჩნდე, რომ ჭორების საფუძველი არ დავტოვო.

– პირადში რა სიახლე გაქვს?

– არაფერი ისეთი მნიშვნელოვანი, რაზეც შეიძლება ვილაპარაკოთ. ყველაფერი ძველებურად.

– ძველებურად კარგად და სტაბილურად?

– ყველაფერი ძველებურად... როგორც კი მექნება სიახლე, შეგატყობინებთ.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

თამარ ჩიკვაიძე: „უმუშევრობა არის ნომერ პირველი პრობლემა, მე ასე ვფიქრობ“

ხათუნა მგალობლიშვილი

„პრაიმტაიმის“ მიერ გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ ხელისუფლების საქმიანობის შესახებ მეტი დეტალური ინფორმაციის მიღება სურთ. თანაც მათ ურჩევნიათ სიახლეების, გაკეთებული საქმეებისა თუ გადადგმული ნაბიჯების შესახებ უშუალოდ სამთავრობო წრიდან იღებდნენ ინფორმაციებს, ვიდრე, მაგალითად, ოპოზიციისგან. რაც შეეხება პრობლემებს, თითოეულ მათგანს მიაჩნია, რომ ყველაზე სერიოზული პრობლემა კვლავ უმუშევრობაა, ხოლო ყველაზე წარმატებული სფერო – ჯანდაცვა, რომლის შედეგიან მუშაობასაც ისინი საკუთარ თავზე გრძნობენ...

ვარდენ შალამბერიძე: „ჩვენამდე, ჩვეულებრივ მოქალაქეებამდე, მეტ-ნაკლებად მოდის მთავრობის მუშაობის შესახებ ინფორმაციები“

თამარ ჩიკვაიძე, 48 წლის:

– უმუშევრობა არის ნომერ პირველი პრობლემა, მე ასე ვფიქრობ. ძალიან ბევრი მართლაც ჭკვიანი ადამიანი უსამსახუროდ დადის. გამოცდები ჩატარდა უსამართლოდ. აი, მაგალითად მე, 23 წელი ვასწავლიდი აგრარულ უნივერსიტეტში, რასაც ვაკეთებდი 15 წლის განმავლობაში, რაშიც ნამდვილად პროფესიონალი ვიყავი, ზუსტად ვიცი, რომ გამოცდა ჩავაბარე, მაგრამ შედეგად მომივიდა პასუხი, გამოცდა ვერ ჩააბარეთო. გასაჩივრება არც კი მიცდია, რა აზრი ჰქონდა? 1999 წლიდან ვმუშაობდი რეესტრში, ვასწავლიდი უნივერსიტეტში, შემდეგ სპეციალობა, რომელსაც ვასწავლიდი, საერთოდ გააუქმეს ნაციონალებმა. აღმოჩნდა, რომ საქართველოში მინის რესურსების მართვა არავის სჭირდება. აგრარულ ქვეყანაში მინის რესურსების მართვის სპეციალობა გააუქმეს. სწორედ ნაციონალების წყალობით ვარ დღეს უმუშევარი, იმდენი ცუდი საქმე აქვს წინა ხელისუფლებას გაკეთებული, მათი გამართლება წარმოუდგენელია. ვფიქრობ, პრობლემად რჩება უსამართლობა, რადგან ახალ ხელისუფლებას არ გამოუძიებია ნაციონალების მიერ ჩადენილი დანაშაულები. სამართლიანობის აღდგენას მართლაც ველოდებოდით, მართლაც გვჯეროდა, რომ დამნაშავეები დაისჯებოდნენ, მაგრამ ჯერჯერობით გაკეთებულს ვერაფერს ვხედავ. თუმცა არის სფერო, რომლის შედეგიან მუშაობასაც საკუთარ თავსა და ოჯახზე ვგრძნობთ. დედა პენსიონერია და ჯანდაცვის სფეროს მუშაობით ძალიან კმაყოფილები ვართ. რაც დაგვჭირდება, ყველაფერი უსასყიდლოდ მივიღეთ, შეუძლებელია, არ დაინახო ის, რაც კეთდება. მესმის, ძნელია ქვეყნის წინ მოტრიალება, როდესაც ამდენი წელი უკან მიდიოდა, ძალიან ძნელია, მაგრამ კეთება სწორედ რომ შიგნიდან უნდა დაიწყონ და, პირველ რიგში, ნაციონალების მიერ ჩადენილი დანაშაულები გამოიძიონ, დამნაშავეები დასაჯონ.

ვარდენ შალამბერიძე, 82 წლის:

– ჩვენამდე, ჩვეულებრივ მოქალაქეებამდე, მეტ-ნაკლებად მოდის მთავრობის მუშაობის შესახებ ინფორმაციები, მაგრამ კიდევ ბევრი უნდა გაკეთონ და კიდევ ბევრი უნდა გაგვაგებინონ. არ არის საკმარისი ის, რაც ჩვენამდე მოდის. აი, მე, მაგალითად, პენსიონერი ვარ, მთელ პენსიას, რასაც ვიღებ, გაზის, დენის, წყლის გადასახადებში მიდის. სიგარეტისთვის ფული ძლივს მრჩებოდა და ახლა ესეც გაძვირეს. ყველაფერი ძვირდება. ასე იყო, გლეხისთვის მთავრობა არასდროს ყოფილა. არადა ახალმა ხელისუფლებამ თავიდან კარგად დაინყო, დაგვპირდა პენსიების გაზრდას, ცოტათი კი გაზარდეს, მაგრამ ფასებმაც რომ მოიმატა? კარგით, მოიმატოს ფასებმა, მაგრამ პენსია გაზარდონ, რომ ყიდვა შევძლოთ. 5-10 ლარს რომ უმატებენ, ეს ძალიან ცოტაა.

გოგი ხოშტარია, 76 წლის:

– უნდა ითქვას, რომ მთავრობა ხანდახან პიარში აგვიანებს, მეტის თქმაა საჭირო. მთლიანობაში ბევრი რამ აკლია ქვეყანას, მაგრამ იმასაც გეტყვით, რომ ჯერჯერობით დამოუკიდებელი ქვეყნის ისტორიაში არც ერთი ხელისუფლება არ მომწონს. არც ერთი არ იყო ის, რომელიც ხალხს წაადგებოდა და ქვეყანას წინ წაწევდა. ახლა ცოტა უფრო თავისუფლად სუნთქავს ადამიანი, ტერორის განცდა აღარ არის. განსაკუთრებით სანდრო გირგვლიანისა და სხვა ახალგაზრდების მკვლელობებმა ჩემზე ძალიან დამთრგუნველად იმოქმედა და იმ სიტუაციის გამეორება საშინლად არ მინდა. ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ მსურს, ნაცები დაბრუნდნენ. თუმცა ფაქტია, რომ ახალ ხელისუფლებასთანაც ბევრი პრეტენზია აქვს მოსახლეობას. პირველ რიგში, ქმედითუნარიანობა. ყველაზე დიდი პრობლემა სტაგნაციაა, ქვეყანა გაჩერებულია, უმუშევრობა ერთ-ერთი უსერიოზულესი პრობლემაა. მშიერ კუჭზე დემოკრატიაზე საუბარი წარმოუდგენელი ამბავია. რაც შეეხება დასავლურ ორიენტაციას, ამაში საფრთხეს ნამდვილად ვერ ვხედავ, მაგრამ საგარეო საქმეთა სამინისტროს თანმიმდევრული ქმედებები არ ჩანს. ის შანსი, რომელიც ქვეყანას ჰქონდა უკრაინაში განვითარებული მოვლენების დროს... სწორედ მათთვის უნდა მიგვება ჩვენთან მიმდინარე პროცესები, უნდა გვეთქვა, ჩვენც იგივე გადავიტანეთ, მით უფრო, რომ ჩვენ უფრო პატარა ქვეყანა ვართ, პირველი დარტყმა ჩვენ მივიღეთ...

გულნარა ჩემისენაშვილი: „ჯანდაცვის სფერო ყველაზე წარმატებულია, ამას საკუთარ თავზეც ვგრძნობთ ადამიანები“

გულნარა ჩემისენაშვილი, 50 წლის:

– გაკეთებულს ჯერ ვერაფერს ვხედავ, ჯანდაცვის სფერო ყველაზე წარმატებულია, ამას საკუთარ თავზეც ვგრძნობთ ადამიანები. მაგრამ ყველას სჯობია, სამსახურებს მიხედონ, სამათხოვრო რომ არ გვქონდეს ადამიანებს, სამუშაო ადგილები შექმნან. ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა. მთავარი და პირველი პრობლემა სამუშაო ადგილებია, რომ ხალხმა იმუშაოს და პურის ფული მაინც იშოვოს. ეს ნამდვილად არ აქვთ მოგვარებული. ადრეც იყო ეს პრობლემა, არც ნინა ხელისუფლებამ უშველა უმუშევრობას და არც ეს ხელისუფლება აგვარებს. მე პირადად გარემოვაჭრედ ვმუშაობ, მთელი დღე გარეთ ვარ, ვიყინები, რომ სახლში ორი თეთრი შევიტანო.

– ფიქრობთ, რომ ხელისუფლება მუშაობს ამ მიმართულებით?

– შეიძლება მუშაობს კიდეც, მაგრამ ჩვენამდე არ მოდის არანაირი ინფორმაცია. არ ვიცი, რას აკეთებენ იმისთვის, რომ უმუშევრობა შემცირდეს. უმუშევრობა ბევრი უბედურების მიზეზია. ახალგაზრდებს სამსახურები რომ ჰქონდეთ, დილიდან საღამომდე დაკავებულები იქნებოდნენ და ათას სისულელეზე აღარ იფიქრებდნენ.

შოთა, 25 წლის:

– ჩემთვის არაფერი შეცვლილა და ვერც ვხედავ, რომ ბევრისთვის რამე შეცვლილიყოს, არც ის გვესმის მოსახლეობას, მთავრობისგან გაკეთებული რა არის, რაზე მუშაობენ, რის გამოსწორებას ცდილობენ. ხელისუფლებამ უნდა ილაპარაკოს მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე, გაკეთებულ საქმეებზე. ხალხმა უნდა გაიგოს, რას აკეთებს მთავრობა ხალხისთვის. ახალგაზრდების ყველაზე დიდი პრობლემა უმუშევრობაა, უმუშევარი ახალგაზრდობა ინვევს ბევრ პრობლემას, მათ შორის კრიმინალის გაზრდასაც...

გოგი ხოშტარია: „უნდა ითქვას, რომ მთავრობა ხანდახან პიარში აგვიანებს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სააკაშვილი ბრუნდება?

ბოლო დღეებში ნაციონალები და მისი ფანები, განსაკუთრებით კი ეს უკანასკნელნი, აქტიურად საუბრობენ სააკაშვილის დაბრუნებაზე. თავად ექსპრეზიდენტმაც სოციალურ ქსელებში რამდენჯერმე დაწერა, რომ სულ მალე დაბრუნდება. დაბრუნების დროდ კულუარებში გაზაფხული სახელდება. იმასაც ამბობენ, რომ ხელისუფლება სააკაშვილის დაკავებას ვერ გაბედავს.

ექსპერტი ლევან ალაფიშვილი აცხადებს, რომ ასეთი ხმები ნაციონალებსა და სააკაშვილს იმიტომ დასჭირდათ, რომ ახალი წლების დღეებში სხვა თემა, რომლის აჟიტირებაც შესაძლებელი გახდებოდა, ან რომლის მიმართაც სხვადასხვა განწყობები დაფიქსირდებოდა, არ იყო, ამიტომაც მოიფიქრეს სააკაშვილის დაბრუნება. ამავე დროს, ექსპერტი მიიჩნევს, რომ დაბრუნების შემთხვევაში ექსპრეზიდენტს ხელისუფლება აუცილებლად დააკავებს: მე კრიტიკული ვიქნები. თუ ბრალდება წაუყენეს და გარკვეული პროცედურები წარმართეს, მაშინ უნდა დააკავონ კიდეც, – აღნიშნა მან.

კვიტაშვილის უკრაინული სკანდალი – მინისტრი ხალხის დაჭერას ითხოვს

უკრაინის ჯანდაცვის მინისტრის პირველი ხმაურიანი განცხადება. სანდრო კვიტაშვილს სამკურნალო კლინიკა „ოხმატდეტ“-ის მშენებლობასთან დაკავშირებით კითხვები აქვს და ის იმ სამშენებლო ფირმის დასჯას ითხოვს, რომელმაც მშენებლობა ბოლომდე არ მიიყვანა და თანხები „გაანიავა“. „მე ასე მოვიქცეოდი – შევამოწმებდი იმას, რა აშენდა და სად წავიდა ფული. ჩავსვამდი იმათ, ვინც მოიპარა და დავაბრუნებინებდი მოპარულ ფულს და ამ ფულით „ოხმატდეტ“-ის ახალ კორპუსს ავაშენებდი. ჩემთვის სულ ერთია, რამდენ ხანს ისხდებიან ისინი – 10, 20 თუ 30 წელი. ჩემთვის მთავარია, რომ მათ ფული დააბრუნონ. ასე იყო საქართველოში და დიდი იმედი მაქვს, უკრაინაშიც ასე იქნება. მე ამას თქვენ გეუბნებით, როგორც უკრაინის ახალი მოქალაქე“. – განაცხადა სანდრო კვიტაშვილმა. მისივე თქმით, ომიანობის დროს საბიუჯეტო თანხების გაფლანგვა სამშობლოს ღალატია.



ოპოზიცია ქულებს არშექმნილი საგამოძიებო კომისიით იწერს

საყდრისთან დაკავშირებით ოპოზიციამ პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნა ნაადრევად იზეიმა. უფრო სწორად სანამ გადახტებოდნენ, ჰოპლა მანამდე დაიძახეს და მეტიც, ერთმანეთში კამათი იმაზე დაიწყეს, ვისი გამარჯვება იყო საგამოძიებო კომისიის შექმნა. წარმატებას საკუთარ ქულებად ითვლიდა „ნაციონალური მოძრაობა“, მაშინ როდესაც ირაკლი ალასანიას გუნდი ირწმუნებოდა, კომისიის შექმნის ინიციატორები სწორედ ჩვენ ვიყავითო.

ნინო გოგუაძე, „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი: „ეს საზოგადოების წარმატებაა, სწორედ ამ საზოგადოების ინტერესებშია, გაირკვეს, რა მოხდა სინამდვილეში საყდრისში“.

ასეთივე სიამაყით იყო შეპყრობილი ფორუმელი ანი მიროტაძე, რომელიც სრულიად საზოგადოებას პირობას აძლევდა: დადასტურებულად შემიძლია გითხრათ, რომ ამ საკითხზე მსჯელობას პარლამენტში აუცილებლად მოვითხოვთო. განცხადებების შემდეგ ბრძოლა იმაზე დაიწყეს, რომელი პარტიის წარმომადგენლებით უნდა დაკომპლექტებულიყო საგამოძიებო კომისია. ადგილები აქაც წინასწარვე დაჯავშნეს. ბიუროზე კი, სანამ კენჭისყრა დაიწყებოდა, საგამოძიებო კომისიის შექმნის მომხრე დეპუტატებმა კომისიის დაჩქარებულად დაკომპლექტება და პარლამენტის მიერ იმავე დღეს დამტკიცება მოითხოვეს, რაზეც უარი მიიღეს.

საპარლამენტო ოპოზიცია უკან არ იხევს და დარწმუნებულები არიან, რომ კომისიის შექმნას მაინც აიძულებენ უმრავლესობას, თუმცა, დავით უსუფაშვილის განცხადებით, მიზნის მიღწევას მინიმუმ 76 ხმა სჭირდება, რაც ასე იოლი მისაღწევი მოქმედ პარლამენტში ნამდვილად არ არის.

პოროშენკო იარაღით ვაჭრობს?

სოციალურ ქსელებში მოულოდნელად გაჩნდა თემა, რომელიც პოროშენკოს პატრიოტიზმს ეჭვქვეშ აყენებდა. უკრაინამ ნიგერიას მოდერნიზებული „მი-24“ მიაწოდა, ესე იგი პოროშენკო კი არ იბრძვის, იარაღით ვაჭრობს და დასავლეთის დახმარებას ბიზნესად იყენებსო. ამ კონტექსტში გიხსენეს დავით კეზერაშვილი, რომელსაც მედიაში ასევე უყენებდნენ იარაღით ვაჭრობის ბრალდებას.

პოროშენკოს დამცველებიც გამოუჩნდნენ, მათი არგუმენტით ეგ „მი-24“ ადვილად გამოვიდოდა წყობიდან, ამიტომაც ის პოროშენკომ გაყიდა იმისთვის, რომ უკეთესი შეიძინოს.

სხვათა შორის, პოროშენკოს მიმართ კითხვის ნიშნები იმ ლტოლვილებსაც ჰქონდათ, ვინც უკრაინაში ომს გამოექცა და საქართველოში დაბინავდა დროებით. მათი აზრით, პოროშენკო ოლიგარქია, რომელსაც მოსკოვში მოქმედი სერიოზული ბიზნესები აქვს და, შესაბამისად, ის პუტინის მიმართ ლოიალურიც იქნება. პუტინის გარეშე ის ხელისუფლებაში ვერც მოვიდოდაო...

მოკლედ, როგორც წესი, მოვლენა ერთია, მის მიმართ დამოკიდებულება კი – საკმაოდ მრავალფეროვანი.

„მართვის პულტთან არ გვიშვებენ“

ეს ფრაზა რესპუბლიკელმა დავით ზურაბიშვილმა სოციალურ ქსელებში დაწერა. რესპუბლიკელების წინააღმდეგ ბრალდებები არ წყდება. ზოგი მათ უმოქმედობაში ადანაშაულებს, ზოგიც მიიჩნევს, რომ ისინი ყველას ფეხებში ებლანდებიან. დავით ზურაბიშვილმა დაწერა, რომ მათ მართვის პულტთან არ უშვებენ. ეს ფრაზა არ დაუკონკრეტებია და არც ის განუმარტავს, რატომ არ ითვლება მართვის პულტად პარლამენტის თავმჯდომარის პოსტი.

facebook

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

ფოტო: თინა თუთისანი

მაკა ზამბახიძე

ნინა წკრიალაშვილი

დემნა ჯაფარიძე და ზურა ბალანჩივაძე

ვანიკო თარხნიშვილი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

paparazzi

აჩი ფურცელაძე და თამუნა მუსერიძე



სანდრო მარგალიტაშვილი

აჩიკო სოლოღაშვილი

გიორგი ხაბურზანია

ია ფარულავა

ნიკა გრიგოლია

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ვფიქრობ, არსებობს კვლევები, რომელიც ამ შედეგს გვიჩვენებს, მაგრამ ჯერჯეროობით ეს დღის სინათლეს ვერ პოულობს“

ქეთი ხატიაშვილი

საქართველოში ხელისუფლებაზე მეტად ყოველთვის არსებობდა ოპოზიციის პრობლემა. უკვე ოც წელზე მეტია ოპოზიციაში პოპულარულია ორი ფრაზა: ვადამდელი არჩევნები და გადადგეს!!!! ასევე, ერთი ქმედება – მიტინგობა... მათ არსენალშია ასევე პროვოკაციების მოწყობა – რამდენადაც ეს შესაძლებელია...

EXCLUSIVE

„ალასანიამ უნდა გამოამჟღავნოს ის თვისებები, რომელიც მის მამართ არსებულ კითხვებს მოხსნის, იმიტომ რომ ეს კითხვები შენც გაქვს, მეც მაქვს და სხვებსაც აქვთ. ალასანიას პოლიტიკურ თამაშს დაიწყებს და რომ ის ერთგვარი მაგნიტის როლს ითამაშებს...“

ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე მიიჩნევს, რომ ქართული ოპოზიცია ძალიან სუსტია და ასეთი მოთხოვნების წამოყენებით მხოლოდ საკუთარი პერსონის აქტუალიზაციას ახდენს.

ქართული ოპოზიციის თავისებურებებზე, ალასანიაზე, როგორც ლიდერზე, ნაციონალებზე, როგორც ოპოზიციაზე, და ახალ პოლიტიკურ ტენდენციებზე „პრაიმტაიმს“ ესაუბრა ექსპერტი ხათუნა ლაგაზიძე:

– საქართველოში ხელისუფლებები კი არ იყო ძლიერი, მაგრამ ის ძლიერი ჩანდა სწორედ სუსტი ოპოზიციის ხარჯზე. ანუ საქართველოში ხელისუფლებაში ყოფნის ვადას ოპოზიციის სისუსტე განსაზღვრავდა.

ოპოზიციის ზოგად მახასიათებლად შეიძლება დასახელდეს ძლიერი ნების არმქონე პარტიები, რომლებსაც კონკრეტული პოლიტიკური მიზანი არ აქვთ. შესაბამისად, ისინი იყვნენ და ნაწილობრივ ახლაც არიან:

ან პარტიები, რომლებისთვისაც პოლიტიკა საკუთარი სოციალურ-ეკონომიკური ყოფის გაუმჯობესების საშუალებაა, ასეთი პარტიების სიჭარბე განსაკუთრებით იგრძნობოდა.

ან ერთკაციანი პარტიები, რომლებსაც არ ჰქონდათ ორგანიზაციული სტრუქტურა, ანუ პარტიული ქსელი...

ან პარტიები, რომლებსაც არ ჰყოფნიდათ ინტელექტი და ადამიანური რესურსი იმისთვის, რომ რეალური მიზნებისთვის ებრძოლათ.

ან პარტიები, ვისაც ინტელექტი ჰყოფნიდათ, მაგრამ დასახული მიზნისკენ სვლის ნებელობა არ გააჩნდათ. მაგალითად, იგივე რისკი, რომელიც პოლიტიკაში აუცილებელია. შესაბამისად, ისინი რჩებოდნენ კლუბურ პარტიებად... საუკეთესო შემთხვევაში, ისინი პარლამენტში წარმოდგენილი იყვნენ რომელიმე ორთქმავლის დახმარებით...

რა თქმა უნდა, ხელისუფლებას ჰქონდა რესურსი, განხეთქილება შეეტანა ოპოზიციაში...

დღესაც იგივე რეალობის წინაშე ვდგავართ.

დღეს, როგორც არასდროს, სიკვრცე გახსნილია იმისთვის, რომ პარლამენტში მრავალპარტიული სპექტრი იყოს წარმოდგენილი, თუმცა, ეს სპექტრი ძალიან სუსტია.

შესაბამისად, ერთი და იგივე მოთხოვნები ვადამდელი არჩევნებისა თუ გადადგომის მოთხოვნით, ესეც მათი სისუსტის მაჩვენებელია. სხვა რომ ვერაფრით ახდენენ საზოგადოების თვალში საკუთარი თავის აქტივაციას, ასეთი თემები შემოაქვთ... ეს თემები საზოგადოებაში აჩენს შფოთსა და ქაოსს. ამით ისინი აქტუალურები ხდებიან და არა საჭიროები. ისე, ღირსები არიან, ხვალ დაუნიშნო არჩევნები და ვნახავ, ვინ რა შედეგს დადებს... საზოგადოების მანიპულირება არ შეიძლება. დღეს ოპოზიციას პროვოკაციების თავიც არ აქვს...

რაც შეეხება დღევანდელ სურათს: „ნაციონალური მოძრაობის“ პრობლემაა – რაც არ უნდა საინტერესო და ხალხისთვის აქტუალურ თემებსაც არ უნდა აჟღერებდეს ის, ცხრაწლიანი მმართველობის გამო, ელექტორატის დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ მას მორალური უფლება არ აქვს, იყოს წამყვანი ოპოზიციური ძალის რანგში, ამიტომაც მისი მხარდამჭერები 15%-ის ფარგლებში მერყეობენ.

პროდასავლურ ფლანგს ოპოზიციაში განსაკუთრებულად უჭირს – არ ჰყავს ისეთი ლიდერი, რომელიც შეძლებს, სათავეში ჩაუდგეს... ეს იმ ფონზე, როცა, ფაქტობრივად, პრორუსული ინფორმაციული ნაკადი დომინირებს და ხალხისთვის პროდასავლური იდეების შეთავაზება მნიშვნელოვანია. დღეს პროდასავლური ფლანგი ყველაზე სუსტია, როცა საქართველოს, ისევე როგორც მთელ ევროპას ერთი პრობლემა უდგას: რუსული საინფორმაციო და ფსიქოლოგიური იდეოლოგიის ნაკადის შეუზღუდავი შემოსვლა და დომინირება. ამ დროს ალტერნატიული ძალები არ ჩანს.

არის ალასანია, მან, ერთი მხრივ, უნდა ჩაანაცვლოს „ნაციონალური მოძრაობა“ დასავლეთში ფავორიტის როლზე – სხვაგვარად აქ წარმატებას ვერ მიაღწევს, მეორე მხრივ კი, მან უნდა გააცოცხლოს და გააქტიუროს დასავლეთი, როგორც



ღირებულება - ქვეყნის შიგნით. მისთვის ეს რთული ამოცანაა.

– რთულია თუ შეუძლებელი?

– თავისი არსით რთულია მისთვის. არ ვიცი, ეს მის პიროვნულ თვისებებზეც არის დამოკიდებული.

– „ნაციონალური მოძრაობა“ ალასანიას მისცემს საშუალებას, მის ალტერნატივად ჩამოყალიბდეს?

– ეს არის ზუსტად, ნებელობისა და რისკის ნაკლებობაზე რომ ვსაუბრობთ. ანუ, რამდენადაც ძლიერები არიან ინტელექტით, იმდენადვე აქვთ რისკის ნაკლებობა. ეს წარმატების მიღწევაში ხელს უშლით. თუ ლიდერი ხარ, საკითხის ასე დასმა საჭირო არ უნდა იყოს... განსაკუთრებით მაშინ, როცა პროდასავლური სივრცე ამდენად ცარიელია, ჟურნალისტს შენთან მიმართებაში – ასეთი კითხვები, ექსპერტს კი ასეთი ეჭვები არ უნდა უჩნდებოდეს. ეს არის ლიდერის მთავარი თვისება.

– მე ვერ ვხედავ ლიდერს ალასანიაში, შენ ხედავ?

– ეს არის ზუსტად. მან უნდა გამოამჟღავნოს ის თვისებები, რომელიც მის მამართ არსებულ კითხვებს მოხსნის, იმიტომ რომ ეს კითხვები შენც გაქვს, მეც მაქვს და სხვებსაც აქვთ. ალასანიას პოლიტიკური გზა დღემდე უფრო რაფინირებული დიპლომატის გზა იყო, ვიდრე რისკიანი პოლიტიკოსისა. ამ შემთხვევაში რისკი სასიცოცხლოდ აუცილებელია. შეძლებს თუ არა ის ამას, მიჭირს განსაზღვრა, თუმცა სურვილი დიდი მაქვს.

– შეცდომას ხომ არ უშვებ, მაშინ როცა ცარიელ პროდასავლური სივრცეზე საუბრობ ოპოზიციაში... „ნაციონალური მოძრაობა“ ამ ნიშას მყარად იკავებს ...

– არა, მე ვამბობ იმას, რომ ნაციონალებს ჰყავთ თავისი მყარი ელექტორატი, რომელიც 15 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. პროდასავლური ელექტორატი კი გაცილებით მეტია. შეიძლება ეს აღარ იყოს 90% ან 60% – რეალობას თვალებში უნდა შევხედოთ. რეგიონებში, სოციალური გამოკითხვის გარეშეც შეიძლება იმის თქმა, რომ დასავლეთის მიმართ იმედგაცრუებულთა წილობრივი მაჩვენებელი დღითი დღე იზრდება. ანუ დასავლეთით იმედგაცრუებულთა და რუსეთისკენ მომზირალთა პროცენტული მაჩვენებელი იზრდება...

– ასეთი კვლევები არსებობს?

– ვფიქრობ, არსებობს კვლევები, რომელიც ამ შედეგს გვიჩვენებს, მაგრამ ჯერჯერობით ეს დღის სინათლეს ვერ პოულობს. მე, პირადად, ასეთი კვლევები არ მინახავს. თუმცა რეგიონებში ეს განწყობები შემაშფოთებლად თვალსაჩინოა.

თემას რომ მივუბრუნდე, დასავლეთის მიმართ ნიჰილიზმი იზრდება, თუმცა პროდასავლური ნიშა მაინც დიდია და გაცილებთ დიდი, ვიდრე ნაციონალების 15%... სწორედ იმ დანარჩენს არ ჰყავს პატრონი... „ნაციონალებს“ რესურსი არ აქვს, რომ ის აითვისოს და არც არავინ ჩანს ძლიერი, ვინც აითვისებს.

– შეიძლება ეს როლი მარგველაშვილმა ითავოს? იყო საუბრები იმაზეც, რომ საქართველოს პრეზიდენტი დამოუკიდებელ პოლიტიკურ თამაშს დაიწყებს და რომ ის ერთგვარი მაგნიტის როლს ითამაშებს...

– მარგველაშვილს არც პარტიის ჩამოყალიბების სურვილი აქვს და არც პოლიტიკურ ბრძოლაში შესვლის...

– ამიტომაც გკითხე პოლიტიკური მაგნიტის ფუნქციაზე...

– არა მგონია, მან ამ მაგნიტის როლის შესრულება ისურვოს.. თუმცა, ჩვენ არ ვიცით მთავარ კითხვაზე პასუხი - სურს თუ არა მეორე ვადით პრეზიდენტობა. თუ მას სურს, გაიხანგრძლივოს პოლიტიკური მომავალი, მაშინ უნდა შეეცადოს და პოლიტიკური სივრცის კონსტრუირება საკუთარი თავის გარშემო მოახდინოს.

– ანუ მთელი იმედები ალასანიაზეა?

– მიჭირს პროგნოზის გაკეთება, სხვა ჯერ არავინ ჩანს...

საინტერესო ტენდენცია გაჩნდა და ეს ახალი ტენდენციაა, ახლა ოპოზიციაში არადასავლური ფლანგის ნაწილის პოზიციების სიძლიერეს პროდასავლურების სისუსტე განაპირობებს. ეს ახალი ტენდენციაა. დასავლეთის მიმართ ანტაგონისტურად განწყობილი ბურჯანაძისა თუ ინაშვილი-თარხან-მოურავის პარტიების პოზიციების სიძლიერეს განაპირობებს პროდასავლელების სისუსტე. ანუ პირველად შეიძლება მივიღოთ პარლამენტი, სადაც დასავლეთის მიმართ დიდი იმედების არმქონე და რუსეთისკენ მომზირალი ძალები საკმაოდ სოლიდურად იქნებიან წარმოდგენილნი.

ხათუნა ლაგაზიძე: „მარგველაშვილს არც პარტიის ჩამოყალიბების სურვილი აქვს და არც პოლიტიკურ ბრძოლაში შესვლის...“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ჩვენ არასოდეს უარვყოფდით, რომ ბიძინა ივანიშვილს მნიშვნელოვან საკითხებზე ვესაუბრებით“

ხათუნა მგალობლიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი, გია ვოლსკი დარწმუნებულია, რომ მთავრობაში ცვლილებები არ იქნება. დეპუტატი იმ მარტივი ლოგიკიდან გამოდის, რომ 2014 წელს მის გუნდს არც ერთი წარუმატებელი სფერო არ ჰქონია. რაც შეეხება 2015 წელს, ვოლსკი გამოუყენებელი რესურსის ათვისებას უსურვებს კულტურის სფეროს. მიაჩნია, რომ პრობლემა სწორედ აქ არის... უცნაურია, რადგან ეს არის სფერო, რომელმაც ნამდვილი გარღვევა მოახდინა ქვეყნის ისტორიაში – ერთდროულად ორი ქართველი რეჟისორის ფილმი მოხვდა ოსკარზე წარსადგენ 9 ფილმს შორის. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ კულტურის სფერო ნომერ პირველი იყო 2014 წელს წარმატებულთა შორის. ვოლსკი ასე ნამდვილად არ თვლის...

EXCLUSIVE

„ვფიქრობ, პირველ რიგში, თავად რესპუბლიკელებს არ აწყობთ არანაირად კოალიციური ერთობიდან გამიჯვნა“

გია ვოლსკი, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი:

– ოპონენტებს რომ მოვუსმინოთ არც ერთ სფეროს არ მიიჩნევენ წარმატებულად, ჯანდაცვა საერთოდ მასხრად აიგდეს. დაუსაბუთებელი კრიტიკა ისმის მათგან. აქედან გამომდინარე, თვითონ საზოგადოებაშიც, პოლიტიკურ სპექტრშიც დამოკიდებულება მნიშვნელოვნად დამახინჯებულია და დამოკიდებულია პროპაგანდის ატმოსფეროზე. არადა საზოგადოება თავად გრძნობს, რა არის გაკეთებული ენერგეტიკის მიმართულებით, თუმცა აცხადებენ, რომ საჭიროა პიარი იმისთვის, რომ ყველამ გაიგოს, რა გაკეთდა ამ კონკრეტულ სფეროში. შესაძლოა, თითოეული მოქალაქისთვის მთავრობიდან დახმარება მცირეა, თუმცა, საბოლოო ჯამში, სოციალურ სფეროზე 120 მილიონი გამოიყო ბიუჯეტიდან, რაც თავისთავად სერიოზული ციფრია. ასევე, თითქოს ცოტაა პენსიის ზრდა ათი ლარით, მაგრამ არავინ ახსენებს აბსოლუტურ ციფრს, რომელიც ბოლო ორ წელიწადში 400 მილიონით გაიზარდა და მილიარდ 390 მილიონს გადააჭარბა. გარდა ამისა, უამრავი სხვა შეღავათი აქვს დაუცველ ფენას. არც ერთი სფერო არ არსებობს, რომელსაც თავისი კონკრეტული მიღწევა არ ჰქონია. არ არის დარგი, რომელზეც ნეგატიურად ვისაუბრებდი.

– მაშინ ასე დაგისვამთ კითხვას – რომელი სფეროს გაძლიერებას ისურვებდით 2015 წელს?..

– ვფიქრობ, ასეთი დარგი იქნება კულტურა – მას დიდი გამოუყენებელი რესურსი აქვს. კულტურა არის სფერო, რომელიც ძნელბედობის ჟამსაც კი თავის მაღალ დონეს ინარჩუნებდა. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან დიდი რესურსია, რომელიც უნდა გამოვიყენოთ.

– თქვენ განაცხადეთ, რომ სოციალურ დახმარებებზე გათვლილი ბიუჯეტი ქვეყანას შესაძლოა, მაქსიმუმ ორჯერ ჰქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანა ვეღარ გაუძლებს და ეკონომიკა განადგურდებაო...

– რასაკვირველია, ეს თემა ნამდვილად არსებობს, თუმცა ხელისუფლების პოლიტიკაა ასეთი. პრობლემას ვხედავთ, სწორია შენიშვნები, თუმცა ვითარება შეიქმნა ისეთი, როდესაც საზოგადოების დიდი ნაწილი დაუსაქმებელი და სოციალურად დაუცველია. სახელმწიფო ატარებს სოციალურად, ფიზიკურად გადარჩენის პოლიტიკას.

– ეს იმისთვის კეთდება, რომ საზოგადოების უკმაყოფილება არ გაძლიერდეს და უმართავი შედეგი არ მიიღოთ?

– არავითარ შემთხვევაში, ეს არის პოლიტიკა, რომელსაც თავისი პროგრამის შესაბამისად ახორციელებს „ქართული ოცნება“. ეს არ არის მადლიერების მიღების მცდელობა. მორალური ვალდებულებები უფროა ჩვენს შემთხვევაში, ვიდრე პოლიტიკური გათვლებით გადადგმული ნაბიჯები.

– მართალია, თქვენ უარყოფთ, თუმცა აქტიურად საუბრობენ, რომ მთავრობაში ცვლილებები იქნება, ისიც კი ითქვა, რომ მაისში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნება...

– ეს ყველაფერი პოლიტიკური ინსინუაციებია, რაც, თავის მხრივ, განვითარების სტადიაში მყოფი დემოკრატიისთვის დამახასიათებელი დაპირისპირებებია. ამერიკაში, ევროპის განვითარებულ დემოკრატიას აქვს ის ფუფუნება, რომ ესოდენ მწვავე იყოს პოლიტიკოსების გამონათქვამები, დაპირისპირებები, განცხადებები, მაგრამ საქართველოში ეს არაჯანსაღ ფორმას იღებს ხოლმე. ფაქტია, რომ ერთი პოლიტიკური ძალა ცდილობს ძალაუფლების უკან დაბრუნებას და ამისთვის მას დასაშვებად მიაჩნია სიტუაციის მიზანმიმართულად დაძაბვა და წყლის ამღვრევა.

– ანუ ცვლილებებს გამორიცხავთ?

– მე არ ვარ მომხრე, კატეგორიულად უარვყო რაიმე. ხომ გაგიგიათ, არასოდეს თქვა არასოდეს. თუმცა ვერ ვხედავ ცვლილებების საჭიროებას. როდესაც ამბობენ, რომ მართვის სადავეები ხელში აქვს ყოფილ პრემიერს, ეს თემაც ძალიან უტრირებულია. ჩვენ არასოდეს უარვყოფდით, რომ ბიძინა ივანიშვილს მნიშვნელოვან საკითხებზე ვესაუბრებით, თუნდაც იმიტომ, რომ ის ყოფილი პრემიერია და დიდი გამოცდილება აქვს.

„რომ გადახედოთ სამინისტროების მიერ წარმოდგენილ და დაგეგმილ პროექტებს, დარწმუნდებით, რომ მთავრობა საკმაოდ ეფექტურად მუშაობს“

– სწორედ ამას ამბობენ ოპონენტები, რომ, თუ ასეა, მაშინ ივანიშვილმა პასუხისმგებლობაც უნდა აიღოს... გქონდათ მასთან გუნდს საუბარი ამ საკითხზე?

– მასთან საუბარი იყო და არც არასდროს დაუმალავს, რომ არსადაც არ წასულა და საკმაოდ დიდი ვალდებულებები აიღო თავის თავზე თუნდაც იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობით. პროგრამა, რომელიც მან წარმოადგინა, საკმაოდ მნიშვნელოვანი და ღირებულია. შესაბამისად, გამორიცხულია, რომ მასთან კონსულტაციები არ იყოს. რაც შეეხება პასუხისმგებლობას, მთავრობას, ალბათ, უფრო მეტი გამჭვირვალობა მართებს წლიური ანგარიშების ჩაბარებისას. რომ გადახედოთ სამინისტროების მიერ წარმოდგენილ და დაგეგმილ პროექტებს, დარწმუნდებით, რომ მთავრობა საკმაოდ ეფექტურად მუშაობს.

– რაც შეეხება რესპუბლიკელებს, ექსპერტები აცხადებენ, რომ დავით უსუფაშვილის გუნდი მხოლოდ ფორმალურადაა კოალიციაში. როგორ ფიქრობთ, რამდენად მალე მოხდება მათი ოფიციალურად გამოყოფა?

– ვფიქრობ, პირველ რიგში, თავად რესპუბლიკელებს არ აწყობთ არანაირად კოალიციური ერთობიდან გამიჯვნა.

– ანუ მათი რეიტინგი ისეთივე დაბალია, როგორიც კოალიციამდე იყო?

– ეს მათ საკმაოდ დააზიანებს. თუმცა რაც შეეხება მათ კრიტიკულ შეფასებებს, პირადად მე ხვალინდელ პოლიტიკურ საქართველოს სწორედ ასეთს ვხედავ. ერთ კოალიციაში მყოფი პოლიტიკური ძალები სწორედ რომ განსხვავებული შეფასებებითა და იდეებით გამოდიან სხვადასხვა საკითხებთან მიმართებაში – ეს დემოკრატიაა. ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი ასპექტები საკმაოდ მყიფეა, ის საკმაოდ ადვილად ზიანდება და, შესაბამისად, ძალიან ადვილად გაუჩენს საზოგადოებას სხვა განწყობებს, როგორც კი ამას მცირედი ჩრდილი მიადგება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამაში პოზიტიურს არავინ ხედავს, მუდმივად ეძებენ ამაში უფრო უარყოფითს, ვიდრე დადებითს. ხშირ შემთხვევაში გამაღიზიანებელია, თუმცა რას იზამ. მიმაჩნია, რომ საჭიროა მეტი შიდა კონსულტაციები ბევრ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ამაში ტრაგიკულს ნამდვილად ვერაფერს ვხედავ.

– მიხეილ სააკაშვილი სოციალურ ქსელში, საკუთარ გამოსვლებში ხშირად აღნიშნავს, რომ 2015 წელს საქართველო შეხვდება სერიოზული ცვლილებებით. რა გეგმა შეიძლება ჰქონდეთ ნაციონალებს და ელოდებით თუ არა, რომ ყოფილი პრეზიდენტი კვლავ შეეცდება რევოლუციის მოწყობას?

– 2007 წლის დეკემბერში სააკაშვილმა განაცხადა, რომ რამდენიმე კვირაში შეიძლებოდა ცხინვალის რეგიონი დანარჩენი საქართველოს ტერიტორიას დაბრუნებოდა, ხოლო 2008 წლის ზამთარში გაცილებით უკეთესი კლიმატური პირობები იქნებოდა. მისი ეს განცხადებები დაკავშირებული იყო გარკვეულ პოლიტიკურ კონიუნქტურასთან, ან თავად გახდა გარკვეული კონსპირაციის მსხვერპლი, ან კიდევ თავად იყო კონსპირაციის ნაწილი. ასე რომ, მას მსგავსი განცხადებები ახასიათებს, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე.

– არარეალურად მიგაჩნიათ?

– შეიქმნა ვითარება, როდესაც სააკაშვილზე საკმაოდ არგუმენტირებული ბრალდებები გამოაქვეყნეს საგამოძიებო ორგანოებმა, პოლიტიკურ კამათში საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა „ნაციონალური მოძრაობა“ და პირადად სააკაშვილი. სხვა განცხადებას არც მოველოდი მისგან ყურადღების მისაქცევად, სხვას რას იტყოდა, აბა? მას არ უყვარს თავის მართლების პოზიციაში ჩადგომა. ეს არის შეტევითი სტრატეგია, რომელიც მან აირჩია. სხვა პასუხი მას ევროპის სისხლის სამართლის ვერდიქტისადმი არც ექნებოდა, რომელიც პირდაპირ ადებს ხელს სააკაშვილს, როგორც გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით, ასევე არ აქვს სხვა პასუხი იმ ბრალდებებზე, რომელიც არა მარტო საგამოძიებო სტრუქტურებს, არამედ ქართველ საზოგადოებას აქვს. აქედან გამომდინარე, ადვილი გასათვლელი იყო, რომ ის მსგავს განცხადებას გააკეთებდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კარგად იცნობ

my View
თამარ გონგაძე

რამდენად კარგად იცნობს ცოლ-ქმარი ერთმანეთს – ამ რუბრიკის მთელი არსი ამაში მდგომარეობს. ამისთვის ცალ-ცალკე „ვკითხავ“ ერთსაც და მეორესაც და ამას ვამოწმებ. პირველად ცოტნე ცოტაშვილ-ად წოდებული გიორგი ბახუტაშვილი დავკითხე და გამოვცადე, მერე მისი ცოლი – თაკო შოშიაშვილი. დასკვნები თავად გამოიტანეთ.

„ახლა სანტა კლაუსი ახატია ფრჩხილზე. ზოგადად მხიარულ ფერებს ისვამს. ისე, მე დალტონიკი ვარ“

„პირველი სამი თვე ყველაფრის სუნი აღიზიანებდა. მწნილები ისედაც უყვარს და ახლა გამძაფრებულად უნდება ხოლმე. ალუჩა ძალიან მოუნდა. აქ ვერ ვშოულობდი. გაიგო, ბაქოში იყიდებაო, მაგრამ არ წავედი“

რამდენად კარგად იცნობს გიორგი ბახუტაშვილი ცოლს?

ვცდი გიორგი ბახუტაშვილს.

– რა ეცვა თაკოს თქვენი გაცნობის დღეს?

გიორგი: თაკოს ეცვა სპორტული შარვალი, შავი კედები და შავი ზედა.

თაკო: მეცვა შავი კედები, შავი ნაქსოვი ზედა და სპორტული შარვალი.

– ყავაში რამდენ შაქარს იყრის?

გიორგი: უშაქრო ყავას სვამს.

თაკო: უშაქროს ვსვამ.

– ორსულობის დროს რაიმეს სუნი თუ აღიზიანებს ან რაიმე საჭმელს თუ ითხოვს?

გიორგი: სამი თვე ყველაფრის სუნი აღიზიანებდა. მწნილები ისედაც უყვარს და ახლა გამძაფრებულად უნდება ხოლმე. ტოქსიკოზმა გაუარა. ალუჩა ძალიან მოუნდა. აქ ვერ ვშოულობდი. გაიგო, ბაქოში იყიდებაო, მაგრამ არ წავედი.

თაკო: ამ შეკითხვაზე მეცინება. ბავშვობიდან ორსულის თვისებები მაქვს. ანუ მიყვარს მწნილები, რაღაც მზიზღდებოდა, მერე შემიყვარდებოდა. ახლახან ჩემმა დაქალმა თქვა, ახლა ალუჩას შევჭამდიო და მის მერე სულ ალუჩა მელანდება.

– რა კრემს ხმარობს?

გიორგი: სტრიეებისთვის ხმარობს კლარინსის ფირმის კრემს, ამერიკაში დამაბარა და ამიტომ მახსოვს.

თაკო: კრემს იშვიათად ვხმარობ. თუ დამაყარა მის გასაქრობად თუ წავისვამ. ყოველდღე ვისვამ ტანის დამატენიანებელ კრემს. არ მინდა ორსულობის დროს სტრიები გამიჩნდეს.

– როგორც მოდელს, საყვარელი მოდელი თუ ჰყავს?

გიორგი: არა მგონია, საყვარელი მოდელი ჰყავდეს. შეიძლება ადრიანა ლიმა მოსწონს.

თაკო: ლამაზი მოდელების ჩამოთვლა ბანალური იქნება. ლიმა და კემპბელი მომწონს.

– რა ფერის ლაქს ისვამს?

გიორგი: ახლა სანტა კლაუსი ახატია ფრჩხილზე. ზოგადად მხიარულ ფერებს ისვამს. ისე, მე დალტონიკი ვარ.

თაკო: ყოველდღიურად ხრცისფერს ვისვამ. ახლა წითელი მისვია და გიორგიმ სანტა კლაუსი დამახატა.

– ხალი სად აქვს?

გიორგი: ძალიან ბევრი ხალი აქვს, მარტო სახეზე ერთი 40 ხალი ექნება. ტანზეც ბევრი.

თაკო: ბავშვობაში მომწონდა ხალები. მითხრეს, თუ დაითვლი, გაგიმრავლდებაო, მეც ვიჯექი სარკესთან და ვითვლიდი...

– თავისუფალ დროს რისი კეთება უყვარს?

გიორგი: თუ ორივეს თავისუფალი დრო ემთხვევა, ერთად ყოფნა გვიყვარს.

თაკო: ვისვენებ ან მეგობრებთან ერთად ვართ.

– კბილის რომელ პასტას ხმარობს?

გიორგი: „ქოლგეით უაითს“. მეც მაგას ვხმარობ.

თაკო: ახლა „ქოლგეითი“ გვაქვს. ისე ვცვლით ხოლმე.

– ყველაზე მეტი რა არის თაკოს გარდერობში?

გიორგი: ზედები.

თაკო: ზედები, „ბლუზკები“.

– სახლის საქმეებიდან რისი კეთება უყვარს?

გიორგი: ვერ იტანს დაულაგებელ სახლს. ახალ წელს გუდაურში მივდიოდით. წინა ღამე გავათენეთ და მეორე დღეს 5 საათზე გავიღვიძეთ. უნდა წავსულიყავით გუდაურში, არადა, სახლი ძალიან გადასალაგებელი იყო. სამი საათი სახლი მალაგებინა, ახალ წელს ასეთ სახლში ვერ შემოვალო. ლამის გზაში შევხვდით ახალ წელს, 12-ს ხუთი წუთი აკლდა გუდაურში სასტუმროში რომ შევედით. მოყინული იყო გზა და ბუქსირებით აგვიყვანეს.

თაკო: ვერ ვიტყვი სახლის საქმეებზე ვგიჟდები-მეთქი, მაგრამ აყრილ და არეულ სახლს ვერ ვიტან და ვალაგებ. არ მიყვარს ჭურჭლის რეცხვა.

– რა საჭმელი უყვარს?

გიორგი: ლიმონი და მარილი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ჩვენთვის იასამნისფერს აქვს დატვირთვა. გიორგი რომ გავიცანი რამდენიმე დღეში სპექტაკლზე – „მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი“ დამპატიჟა და იასამანმა და მისმა ფერმა სიმბოლური დატვირთვა შეიძინა. ჯვრისწერის დღეს სახლში იასამნებით მომაკითხა“

„პრაიმტაიმი“ თაკოს და ბაჩუტას გამოცდას უწყობს

EXCLUSIVE

თაკო: შემწვარი კარტოფილი მიყვარს. გიორგი დამცინის და ყველას ეუბნება, რომ ლიმონი მიყვარს.

გამოცდას თაკო შოშიაშვილი აბარებს.

– ხელი როგორ გთხოვა გიორგიმ?

თაკო: ხელი ოფიციალურად არ უთხოვია. მეგობრის აგარაკზე ვიყავით. რამდენიმე დღეში მოსკოვის მოდის კვირეულზე მივდიოდი. იქ მოვილაპარაკეთ, მოსკოვიდან რომ ჩამოვიდოდი, უნდა გვექორწინა. ვეღარ ვძლებ და ჯვარი დავინეროთო. მერე ისე აღმოჩნდა, რომ მოსკოვში არ წავედი და წავედი იტალიაში.

გიორგი: აღარ შემიძლია უშენოდ, მოსკოვიდან რომ ჩამოხვალ (ჩვენებაზე მიდიოდა) ჯვარი დავიწეროთ-მეთქი, ვუთხარი. მოსკოვში ვერ წავიდა, მაგრამ სამაგიეროდ ფლორენციაში გაემგზავრა. ერთი კვირით როგორ მიმაგდო, კი იცით.

– როგორ პოზაში უყვარს ძილი შენს ქმარს?

თაკო: მთელი ღამე ბორგავს, მოძრაობს. ერთ ადგილას ვერ ისვენებს. მე როგორც დავიძინებ, იმ პოზაში ვიღვიძებ.

გიორგი: ვბორგავ ხოლმე.

– მისი საყვარელი ფერია?

თაკო: ჩვენთვის იასამნისფერს აქვს დატვირთვა. გიორგი რომ გავიცანი რამდენიმე დღეში სპექტაკლზე – „მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი“ დამპატიჟა და იასამანმა და მისმა ფერმა სიმბოლური დატვირთვა შეიძინა. ჯვრისწერის დღეს სახლში იასამნებით მომაკითხა.

გიორგი: მწვანეს ვერ ვხედავ, დალტონიკი ხომ ვარ?! ამიტომ მწვანე მიყვარს. ეს ხუმრობით. იასამნისფერი მიყვარს. მწვანეს მართლა ვერ ვხედავ.

– „ჩემი ცოლის დაქალებიდან“ რომელი სერია უყვარს?

თაკო: მე მგონია საყვარელი სერია არ აქვს.

გიორგი: მე რომელშიც არ ვარ, იმ სერიებს ყველაზე დიდი ინტერესით ვუყურებ.

– მისი საყვარელი მსახიობია...?

თაკო: ჯეკ ნიკოლსონი.

„მე მგონი პირველი ადამიანია, ვისაც შემწვარი კარტოფილი არ უყვარს, პიურეზე და კატლეტზე გიჟდება“

გიორგი: ჯეკ ნიკოლსონი.

– კატლეტთან ერთად გარნირად რას მიირთმევს?

თაკო: მე მგონი პირველი ადამიანია, ვისაც შემწვარი კარტოფილი არ უყვარს, პიურეზე და კატლეტზე გიჟდება.

გიორგი: პიურე და კატლეტი ყველაფერზე მეტად მიყვარს.

– როგორ იგინება?

თაკო: ხშირად არ იგინება, მაგრამ როცა „უწევს“, ძალიან სასაცილოდ იგინება. პირველად რომ მესმის, ისეთ სიტყვებს იგონებს და მეცინება.

„ხშირად არ იგინება, მაგრამ როცა „უწევს“, ძალიან სასაცილოდ იგინება. პირველად რომ მესმის, ისეთ სიტყვებს იგონებს“

გიორგი: როცა ვიგინები ძალიან გულით ვიგინები.

– რამდენი ძმაკაცი ჰყავს?

თაკო: დიდი სამეგობრო წრე ჰყავს. კლასელებთან კარგი ურთიერთობა აქვს. უნივერსიტეტის მეგობრებიც ჰყავს. ვერ ჩამოვთვლი, ბევრი მეგობარი ჰყავს.

გიორგი: კლასელებიდან ოთხნი ვართ, პლუს ამას ინსტიტუტის, თეატრის მეგობრები...

– რა სუნამოს ხმარობს ახლა?

თაკო: სანამ დავორსულდებოდი რაღაც სუნამო იყიდა, და რამდენჯერმე მოასწრო მისი დასხმა. ახლა მაღიზიანებს მისი სუნი, სპეციფიკურ სუნს ვერ ვიტან და აღარ ისხამს.

გიორგი: „დიზელის“ ძალიან მაგარი სუნამო მაქვს, რომელიც ერთიორჯერ დავისხი და ვეღარ ვისხამ, ვერ იტანს სუნამოს სუნს.

– რა ფერის წინდებს იცვამს?

თაკო: შავს და ნაცრისფერს.

გიორგი: შავს და ნაცრისფერს.

– ბოლოს რა წაიკითხა?

თაკო: რაც ერთად გადმოვედით, სულ სცენარებს კითხულობს.

გიორგი: ველბეკის „ელემენტარული ნაწილაკები“ წავიკითხე.

– რა სიზმარი მოუყოლია შენთვის?

თაკო: გუშინ მომიყვა ორსულად იყავი და მშობიარობა დაგეწყოო.

გიორგი: დამესიზმრა მშობიარობა დაეწყო. ფართხა-ფურთხში გამეღვიძა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ქუჩაში სიგარეტის გადაგდების შემთხვევაში 120 ლარით დაჯარიმდება

მირიან ბოქოლიშვილი

გამოცდილებამ აჩვენა, რომ საქართველოში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა რთულია, თუ ის კონკრეტული სანქციებითა და ჯარიმებით არ იქნება გამყარებული. ამის საილუსტრაციოდ ავტომობილებზე უსაფრთხოების ღვედის გამოყენებაც კმარა. ამიერიდან, ქუჩაში სიგარეტის ნამწვებსაც, წესით, იშვიათად უნდა შევხვდეთ, რადგან 15 იანვრიდან ძალაში შედის ნარჩენების მართვის კოდექსი, რომელიც ქუჩაში სიგარეტის, ან სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენის გადაგდებაზე სოლიდურ ჯარიმას აწესებს. ამ თემაზე უფრო დეტალურად საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ლევან მაჭავარიანი გვესაუბრა, თუმცა გეტყვით, რომ განვითარებულმა ქვეყნებმა ნარჩენების მართვის სფეროში წარმატებას მიაღწიეს არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ძალიან უნდოდათ, ან სწორად გათვლილი რეფორმები გაატარეს, არამედ იმიტომაც, რომ საზოგადოება ამისთვის მზად იყო და ახლაც მზად არის, დამატებითი გადასახადები გადაიხადოს უფრო ჯანსაღ და სუფთა გარემოში საცხოვრებლად. ამასთანავე, არ ამბობენ უარს ნარჩენების სეპარაციაზე, რომელიც დამატებით დროსა და ძალისხმევას მოითხოვს მაშინ, როცა საქართველოს მოსახლეობის ნაწილს რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაც ეძნელება უახლოეს ურნასთან მისასვლელად, რომ არაფერი ვთქვათ ავტოტრანსპორტიდან გადაგდებულ და ბუნებაში დაყრილ ნარჩენებზე. სპეციალისტების ვარაუდით, ახალი რეგულაციები და ჯარიმები, საზოგადოებას ნაგვის ურნებთან მისვლას „აიძულებს“.

15 იანვრიდან ნარჩენების მართვის კოდექსი ძალაში შედის

ლევან მაჭავარიანი: „დროა, ჩვენი თვითშეგნება ამაღლდეს და არ ვიყოთ იმ ქვეყნების რიგში, სადაც დაბინძურებული ქუჩები ჩვეულებრივი მოვლენაა. ეს არის ნორმა, რომელიც მოქმედებს ევროპის უმეტეს ქვეყნებში“

ლევან მაჭავარიანი, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე:

– დიახ, 15 იანვრიდან ძალაში შედის „მყარი ნარჩენების მოძრაობის კოდექსი“. ეს კანონი არეგულირებს ნარჩენებთან დაკავშირებულ საკითხებს, დაგროვებას, მოძრაობას, დასაწყობებას და მათ შორის, ნარჩენებით გარემოს დაბინძურებას. ახალ რეგულაციაზე კონტროლი დაევალა ადგილობრივ თვითმმართველობებს და გარემოს დაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურს. საპატრულო პოლიციას ეკისრება ნაწილი ამ ვალდებულებებიდან. საუბარია იმ შემთხვევებზე, როდესაც მოძრავი ავტომობილიდან ხდება გარემოს დაბინძურება კვების, ან სხვა სახის ნარჩენებით. ასევე, ჩვენს კონტროლს ექვემდებარება სამშენებლო მასალების არასათანადო ადგილას დასაწყობება. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, როდესაც საპატრულო პოლიცია დაინახავს, რომ ადამიანი ცდილობს, მოიცილოს ნარჩენები და ის გადაყაროს ქუჩაში, საპატრულო პოლიცია უფლებამოსილია, მიიღოს ზომები, ანუ ეს პიროვნება დააჯარიმოს. რა თქმა უნდა, ჩვენი მხედველობის არეში მოხვდება ის ავტომობილები, საიდანაც ხდება ნარჩენების გადაყრა, იქნება ეს სიგარეტის ნამწვი, საკვების პროდუქტები თუ ა.შ.

– და რა რაოდენობის ჯარიმა დაწესდება ამ შემთხვევაში?

– ჯარიმის ოდენობა იქნება 120 ლარი.

– ეს ცვლილებები ევროკავშირის რეკომენდაციის საფუძველზე ხორციელდება?

– რა თქმა უნდა. ალბათ, დამეთანხმებით და თქვენც ხშირად შეგიმჩნევიათ, რომ ავტომობილიდან ადამიანი აგდებს სიგარეტის ნამწვებს, პირდაპირ მაგისტრალზე ისვრის საზამთროს ქერქებს და სხვა მსგავსი შემთხვევები. 21-ე საუკუნეში უფრო მეტი მოეთხოვებათ მძღოლებსაც, მგზავრებსაც და ზოგადად, საზოგადოებას. დროა, ჩვენი თვითშეგნება ამ დონემდე ამაღლდეს და არ ვიყოთ იმ ქვეყნების რიგში, სადაც დაბინძურებული ქუჩები ჩვეულებრივი მოვლენაა. ეს არის ნორმა, რომელიც მოქმედებს ევროპის უმეტეს ქვეყნებში.

– თქვენი ვარაუდით, დაწესებული ჯარიმები შეამცირებს გარემოს დაბინძურებას?

– ყველა საქმეს აქვს თავისი წესი. ჩვენი მიზანია, ადამიანებმა იცხოვრონ ჯანმრთელ და უსაფრთხო გარემოში. თითოეულ ჩვენგანს გვაკისრია რაღაც ვალდებულებები და დროა, ეს ვალდებულებები უფრო მეტად გავაცნობიეროთ. იგეგმება საინფორმაციო კამპანიის წამოწყება, რათა მოსახლეობა უფრო მეტად იყოს ინფორმირებული ახალი რეგულაციების შესახებ.

გარემოს დამცველები ხელისუფლებას აქტიური საინფორმაციო კამპანიის დაწყებისკენ მოუწოდებენ, რათა მოსახლეობას განემარტოს, რას ნიშნავს და რა შეიძლება იყოს სახიფათო ნარჩენი. ძალიან ბევრს არ ეცოდინება საქართველოში, რომ თერმომეტრი, ძველი ტელევიზორი, საათის ბატარეა, ეკონომიური ნათურა, პრინტერის კარტრიჯი ან თმის საღებავი სახიფათო ნარჩენების კატეგორიას მიეკუთვნება. ასეთი ნარჩენებისთვის აუცილებლად უნდა იყოს გამოყოფილი სპეციალური ურნები, სადაც მათი ცალკე განთავსება იქნება შესაძლებელი. ამის გაკეთება აუცილებელია და დღეს ან ხვალ მაინც მოგვიწევს ამაზე ფიქრის დაწყება.

ევროპის განვითარებულმა ქვეყნებმა ეს ეტაპი უკვე გაიარეს. მაგალითად, გერმანიაში არსებობს რამდენიმე ფერის ურნა: მწვანე, ლურჯი, ყვითელი, ყავისფერი და ნაცრისფერი. ძირითადად გამოიყოფა ნარჩენების შემდეგი ჯგუფები: ბიოლოგიური ნარჩენები (ბოსტნეული, კვერცხის ნაჭუჭები, ძველი პური, გამხმარი ყვავილები და სხვა), შუშა (ყველა სახის ცარიელი ბოთლი: ღვინის, ზეთის და სხვა), ქაღალდი (ფურცლები, წიგნები, გაზეთები და სხვა), პროდუქტების შეფუთვები (შამპუნის ცარიელი ბოთლები, პოლიეთილენის პარკები, პაკეტები და სხვა) და დანარჩენი საყოფაცხოვრებო ნარჩენები (ტექნიკა, ნაგავი, ნაცარი, სიგარეტის ნამწვი და სხვა). უფრო მეტიც, ურნის სხვადასხვა ჭრილში თავსდება ყავისფერი, მწვანე და გამჭვირვალე შუშები. ცალკე სპეციალური ურნებია გამოყოფილი ბატარეებისთვის, რომელიც სახიფათო ნარჩენია. ძველი ავეჯის თავიდან მოსაშორებლად საკმარისია მათი ქუჩაში გამოტანა, რადგან მათი წაღების მსურველი ძალიან მალე გამოჩნდება. აქ ნარჩენების სეპარაციის იმდენად რთული სისტემაა და დიდ დროსაც მოითხოვს, რომ ადამიანი იწყებს ფიქრს, როგორ დარჩეს დღის ბოლოს, რაც შეიძლება ნაკლები ნარჩენი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„მითითებულ ნომერზე დავრეკე და მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ ზარი ფასიანი იყო“

„ინფოსერვისის“ თანამშრომელი: „ფასები შეიცვალა ახალი წლიდან. პირველ იანვრამდე ღირდა ერთი ლარი, პირველი იანვრის შემდეგ კი გახდა ორი ლარი“

ხათუნა მგალობლიშვილი

ინტერნეტთაღლითებმა, თავისუფლად შეიძლება ითქვას, რეკორდი მოხსნეს. დანაშაულის აღმოჩენისას ყოველ ჯერზე ფიქრობ, კიდევ რა შეიძლება მოიფიქრონ, მაგრამ შემთხვევები უფრო და უფრო „იხვეწება“. ამჯერად „შარში“ ერთი ჩვეულებრივი მოქალაქე გაეხვია, რომელიც ბინის დაქირავებას ცდილობდა. შედეგად კი სატელეფონო დავალიანების კოლოსალური თანხა მიიღო და დიდხანს ვერც გაერკვია, საიდან დაგროვდა აღნიშნული დავალიანება.

„ინფოსერვისის“ მომხმარებელი:

– ბინას ვეძებდი, ბუნებრივია, ძიება ინტერნეტიდან დავიწყე. „saqme.ge“-ზე იყო განცხადებები, სადაც ერთ- და ოროთახიანი ბინები წარმოუდგენლად დაბალ ფასებში ქირავდებოდა, თანაც ისეთ ადგილებში, სადაც, როგორც წესი, საკმაოდ ძვირია ბინის დაქირავება. მაგალითად, საბურთალოზე, ვაჟა-ფშაველაზე. ბუნებრივია, მითითებულ ნომერზე დავრეკე და მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ ზარი ფასიანი იყო. ისეთი პატარა ასოებით ეწერა ღირებულების შესახებ, რომ, კარგად თუ არ დააკვირდებოდი, ვერც დაინახავდი...

ზარის ღირებულება, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ერთი ლარი იყო. ფასი საახალწლო „სიურპრიზად“ ორ ლარამდე გაიზარდა და თანაც ისე, რომ განცხადებებს აღნიშნული ინფორმაცია დართული არ აქვს. „ინფოსერვისის“ წარმომადგენლის განცხადებით, ორგანიზაცია უკვე ხუთი წელია ფუნქციონირებს და მისი მომსახურება პირველივე დღიდან ფასიანია. ბუნებრივია, ეს დანაშაული არ არის, თუმცა, კანონდარღვევაა, როდესაც ზარის ღირებულება ან მინიშნებულია და საკმაოდ ნვრილი შრიფტით, ან სულაც არ არის მინიშნებული.

„ინფოსერვისის“ მიერ „saqme.ge“-ზე დადებული განცხადების თავდაპირველ ვარიანტში ღირებულება იმდენად პატარა შრიფტით არის მითითებული, რომ ადვილად შეიძლება მხედველობიდან გამოგრჩეთ.. ამას თავად ორგანიზაციის წარმომადგენელიც ადასტურებს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას. მამაკაცმა, რომელმაც საკუთარი სახელისა და გვარის გამხელა არ ისურვა, რჩევა მოგვცა, თუ კარგად დააკვირდებით, ჩვენს განცხადებას აწერია, რომ ზარი ფასიანიაო... რაც შეეხება განცხადების ბოლო ვერსიას, იქ უბრალოდ მითითებულია, რომ ზარი ფასიანია, თუმცა ღირებულება არ წერია, რაც, თავის მხრივ, ასევე, კანონდარღვევაა.

„ინფოსერვისის“ თანამშრომელი:

– თუ კარგად დააკვირდებით, მითითებულია, რომ ზარი ფასიანია და ყოველთვის იყო მითითებული. თქვენ კორპორაციული ნომრიდან მირეკავთ და ჩვენ კორპორაციულ ნომრებს არ ვემსახურებით. მითხარით, ვინ დარეკა პრეტენზიით და გეტყვით, რამდენჯერ აქვს დარეკილი...

– ამას არ აქვს მნიშვნელობა, რამდენჯერ აქვს დარეკილი. ჩვენთან დარეკა მოქალაქემ და განაცხადა, რომ ღირებულება არ იყო მითითებული, შესაბამისად, თქვენთან ბევრჯერ დარეკვის შემდეგ საკმაოდ დიდი გადასახადი მიუვიდა...

– თქვენ ახლა დაუზუსტებელ ინფორმაციას მეუბნებით...

– დაზუსტებული ინფორმაციაა, კონკრეტული ადამიანი გვყავს ჩაწერილი, რომელიც აცხადებს, რომ თავდაპირველად არ იყო მითითებული ფასიანი ზარის შესახებ, შემდეგ კი ისეთი პატარა ასოებით ეწერა, რომ თითქმის არც ჩანდა.

– მითითებული იყო ფასიანი ზარის შესახებ, თუ კარგად დააკვირდებოდით.

– რა ღირს თქვენთან ზარის განხორციელება?

– ფასები შეიცვალა ახალი წლიდან. პირველ იანვრამდე ღირდა ერთი ლარი, პირველი იანვრის შემდეგ კი გახდა ორი ლარი. თუ რამე გჭირდებათ, დარეკეთ სატელეფონო კომპანიებში და იქ მოგცემენ ინფორმაციას. თუ ვინმეს პრეტენზია აქვს, შეიტანოს საჩივარი მარეგულირებელ კომისიაში. ჩვენ ხუთი წელია ამ საქმიანობას ვეწევით...

– თქვენი სახელი და გვარი მითხარით, თუ შეიძლება.

– არა, ბატონო, მე ვერ მოგცემთ ჩემს სახელსა და გვარს...

ფასიანი ზარის მითითების შესახებ მოთხოვნაც, როგორც გაირკვა, თავად „saqme.ge“-ის ეკუთვნოდა. იურისტ ლევან ალაფიშვილის განცხადებით, აღნიშნულ წესებს სამოქალაქო კოდექსი და რეკლამის შესახებ კანონი არეგულირებს. კანონის მიხედვით, სარეკლამო განცხადებაში, რომელიც მომსახურებას ან კონკრეტული პროდუქტის რეკლამას ეხება, აუცილებელია, დაფიქსირებული იყოს მომსახურებისა თუ პროდუქტის ღირებულება.

ლევან ალაფიშვილი, იურისტი:

– სამოქალაქო კოდექსში დეტალურად არის მითითებული, რომ ინფორმაცია სრულად უნდა მიეწოდოს მომხმარებელს, იქნება ეს მომსახურება თუ პროდუქტი. გარდა ამისა, ამავე სფეროში არის კომუნიკაციების კანონმდებლობა, რომელიც ასევე იძლევა გარკვეულ წესებს აღნიშნულ სფეროში მომუშავე ორგანიზაციებისთვის.

– ანუ ფასი უნდა იყოს მითითებული?

– სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, როდესაც ინფორმაცია წინასწარ განუსაზღვრელ წრეს მიეწოდება, ფასი აუცილებლად უნდა იყოს მითითებული.

– საიტი, რომელზეც დარღვევით დევს განცხადება, პასუხისმგებელია მასზე?

– რა თქმა უნდა, პასუხისმგებელია ნებისმიერ შემთხვევაში. თუმცა ცალკე თემაა, რა იგულისხმება პასუხისმგებლობაში და ვის წინაშეა პასუხისმგებელი. როგორც ვთქვი, ეს არის სამოქალაქო კანონით განსაზღვრული რეგულაცია და, შესაბამისად, დავის შემთხვევაში განხილვა მოხდება კონკრეტულ შემთხვევაში მომხდარ დარღვევაზე. სარეკლამო სფერო კიდევ ცალკე კანონით რეგულირდება – რეკლამის შესახებ კანონით, რომელიც ცალკე რეგულაციებს ითვალისწინებს. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა გადანაწილებულია შემკვეთზე, დამამზადებელსა და გამანაწილებელზე, იმის მიხედვით, რა პროდუქტი მიიღო საბოლოოდ გამავრცელებელმა.

თავის მხრივ, „saqme.ge“-ც პასუხისმგებელია, რადგან კანონდარღვევით შედგენილი განაცხადი სწორედ მათ საიტზეა განთავსებული, მაგრამ ისინი ვერც კანონდარღვევას ხედავენ და მეტიც, მიაჩნიათ, რომ „ინფოსერვისის“ ფასიანი მომსახურის გარკვევა მათივე კლიენტების პრეროგატივაა და თუ ვერ გაარკვევენ, არც ეს არის მათთვის დიდი უბედურება.

„პრაიმტაიმთან“ საუბრისას არც „saqme.ge“-ს წარმომადგენელმა ისურვა ვინაობის დასახელება...

„saqme.ge“-ს თანამშრომელი:

– „ინფოსერვისი“ ჩვენთან აკეთებს ფასიან რეკლამას. ჩვენ მოვითხოვეთ მათგან, რომ მიეთითებინათ იმის შესახებ, რომ ზარი იყო ფასიანი, მაგრამ ზარის ღირებულება ნამდვილად არ დაიდება. კლიენტის სურვილის მიხედვით, გადაწყდება, დარეკავს თუ არა ამ კონკრეტულ შემთხვევაში მითითებულ ფასიან ნომერზე.

– გასაგებია, მოქალაქის სურვილის მიხედვით რომ მოხდება დარეკვა, მაგრამ ღირებულების მითითებას კანონი გავალდებულებთ ამ შემთხვევაში...

– მაშინ თვითონ უნდა მიუთითონ, ჩვენ ხომ არ მივუთითებთ?

– თქვენ რამდენად გქონდათ უფლება, მიგეღოთ განცხადება, რომელიც, თავის მხრივ, კანონდარღვევით არის შედგენილი?

– რატომ არის კანონდარღვევით ეს განცხადება? ვერ გეტყვით, ჩვენი მოვალეობაა, შემოსული განცხადება დავარედაქტიროთ და საიტზე განვათავსოთ... თუ „ინფოსერვისის“ სხვა განცხადებებს თვალს გადაავლებთ, ნახავთ, რომ მითითებულია, რომ ზარის ღირებულება არის ერთი ლარი.

– იყო მითითებული, მაგრამ ახლა უკვე ორი ლარი ღირს ზარი და თანხა არ არის მითითებული...

– სამწუხაროდ, ჩვენ ვერ დავრეკავთ ყველა კლიენტთან, რომელიც აღნიშნულ ნომერზე აპირებს დარეკვას და ვერ გავაფრთხილებთ, რომ ამა და ამ ნომერზე დარეკვა ღირს ორი ლარი.

– ბუნებრივია, რომ ამას ვერ გააკეთებთ. მე სხვა რამეს გეკითხებით, როდესაც კანონდარღვევით შემოდის თქვენთან განაცხადი, რამდენად გაქვთ უფლება, რომ ის განათავსოთ?

– სად წერია ეს, ან ასეთი კანონი სად არსებობს?

– ამას არეგულირებს რეკლამის შესახებ კანონი და ადმინისტრაციული კოდექსი...

– ვერაფერს გეტყვით...

ლევან ალაფიშვილი: „სამოქალაქო კოდექსში დეტალურად არის მითითებული, რომ ინფორმაცია სრულად უნდა მიეწოდოს მომხმარებელს, იქნება ეს მომსახურება თუ პროდუქტი“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

კონფლიქტისპირა სოფლიდან კახეთში

ერეკლე სტურუა

გორის რაიონის სოფელი ფლავი რუსების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიას ესაზღვრება. ადგილობრივმა მოსახლეობამ იქ საკუთარ თავზე იწვნია 2008 წლის მთელი ტრაგედია. იქაურ ბავშვებს დღემდე უამრავი პრობლემა აქვთ. ალბათ, სწორედ ამ ყველაფერმა გამოუმუშავა მათ თანადგომის საოცარი უნარი. რამდენიმე დღის წინ „იმედის კვირაში“ გასული რეპორტაჟის შემდეგ, ფლავის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეები კახეთში, სოფელ ბოდბისხევში მდებარე ხანდაზმულთა პანსიონატს ესტუმრნენ და მოხუცებს დახმარების ხელი გაუწოდეს.

კლასში დაწყებული დისკუსია საქველმოქმედო აქციით დასრულდა. მოსწავლეებმა უბან-უბან შემოიარეს სოფელი ფლავი და მოსახლეობას დახმარებისკენ მოუწოდეს...

„ვგრძნობთ, რომ თუნდაც კილომეტრების დაშორებით არიან ასეთი პატარა ბავშვები, რომლებსაც შეუძლიათ თანადგომა და ასაკოვანი ხალხისთვის დახმარების ხელის გაწვდენა“

იდეა ქართულის გაკვეთილზე დაიბადა, როდესაც პედაგოგმა ბავშვებს სათნოების შესახებ თემის მომზადება დაავალა. ამ თემაზე კლასში დაწყებული დისკუსია საქველმოქმედო აქციით დასრულდა. მე-10 კლასის მოსწავლეებმა სკოლის ყველა მოსწავლეს შეატყობინეს, რომ აპირებდნენ ბოდბისხევში მყოფი მოხუცების დახმარებას, უბან-უბან შემოიარეს სოფელი ფლავი და მოსახლეობას დახმარებისკენ მოუწოდებდნენ... ტკბილეული, ხილი, სურსათი სკოლის ერთ ოთახში შეგროვდა, ბავშვებმა საკუთარი სახსრებით სამარშრუტო ტაქსი დაიქირავეს და კახეთისკენ აიღეს გეზი.

კონფლიქტისპირა სოფლიდან ახალგაზრდების ჩასვლამ „უზრუნველი სიბერის“ ბენეფიციარები განსაკუთრებით გაახარა. მოსწავლეების საქველმოქმედო აქცია თავშესაფრის ერთ-ერთი მოხუცის დაბადების დღეს დაემთხვა.

ლიანა ფაშალიშვილი, თავშესაფრის ბენეფიციარი:

„ჩვენ, აქ მყოფ მოხუცებს, ნამდვილად არ გვაქვს საწუწუნო, რადგან გვესმის ჩვენზე მეტად გაჭირვებული ხალხის მდგომარეობა. თუნდაც ეს ბავშვები, რომლებმაც ომი და ათასი უბედურება გამოიარეს, შეწუხდნენ და ჩვენთვის მოიცალეს. ეს თითოეული ჩვენგანისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, რადგან ამ დროს ვგრძნობთ, რომ თუნდაც კილომეტრების დაშორებით არიან ასეთი პატარა ბავშვები, რომლებსაც შეუძლიათ თანადგომა და ასაკოვანი ხალხისთვის დახმარების ხელის გაწვდენა. თითოეულს მინდა კიდევ ერთხელ მოვეფერო თქვენი გაზეთის მეშვეობით და მადლობა გადავუხადო მათ მშობლებს ასეთი კარგი შვილების გაზრდისთვის“.

სოფელ ბოდბისხევში ჩასულ მოსწავლეებს სკოლის რამდენიმე პედაგოგიც ახლდათ, რომლებიც ასევე აქტიურად უჭერდნენ მხარს ბავშვების ამ წამოწყებას.

ნანა რაზმაძე, პედაგოგი:

– ჩვენი სოფელი მდებარეობს ე.წ. საზღვარზე, რამდენიმე მეტრის იქით ოკუპირებული ტერიტორია იწყება. ჩემმა მოსწავლეებმა ნახეს ინგა გრიგოლიას გადაცემაში ბოდბისხევის მოხუცთა თავშესაფრის შესახებ ინფორმაცია. ძალიან განიცადეს და თავად გაუჩნდათ სურვილი დახმარების. ბავშვებმა, რომლებიც თავად ცხოვრობენ საკმაოდ საშიშ ზონაში და თავად საჭიროებენ საზოგადოების ყურადღებას, გადაწყვიტეს კახეთის ამ სოფელში მცხოვრებ უმწეო მოხუცებს დახმარებოდნენ. სკოლაში კლასებში დაიარეს, ყველას შესთავაზეს, რომ აწყობდნენ ასეთ აქციას და ვისაც რისი საშუალება ექნებოდა, ამ მოხუცებს დახმარებოდნენ. მართლაც, ზოგმა ფულადი თანხა გაიღო, ზოგმა საკვები პროდუქტი მოიტანა, ზოგმა ხილი, ტკბილეული და ა.შ. ეს ყველაფერი სკოლაში შევაგროვეთ, შემდეგ მიკროავტობუსი დაიქირავეს და კახეთში გავემგზავრეთ.

– იდეა როგორ დაიბადა?

– იდეა დაიბადა ქართულის გაკვეთილზე, როდესაც სათნოებასთან დაკავშირებით უნდა დაეწერათ თემა. ეს თემა ამ ბავშვებისთვის უცხო არ არის, რადგან რამდენიმე მათგანი ომის დროსაც არ გასულა სოფლიდან და ბოლომდე იცავდა საკუთარ სახლს, ოჯახთან ერთად. ასევე, ეხმარებოდნენ სხვებს. ზოგს ჯერ თბილისის, შემდეგ კი გორის სკოლებში სწავლა მოუწია. ახლა კი უბან-უბან დაიარეს და ისე შეაგროვეს პროდუქტი, რომელიც მოხუცებს ჩავუტანეთ. ჩვენი იქ ჩასვლა ერთ-ერთი მოხუცის დაბადების დღეს დაემთხვა და ძალიან გაიხარეს.

ელგა გიუნაშვილი, სასწავლო ნაწილის გამგე:

„ქართულის გაკვეთილზე დაებადათ ბავშვებს ეს იდეა. შეაგროვეს პროდუქტები და მცირე ფინანსები, დაიქირავეს სამარშრუტო ტაქსი და ამ მოხუცებს ჩააკითხეს. ძალიან გულისხმიერი და, ამ კუთხით, მეტად აქტიური ბავშვები არიან. ალბათ, იმიტომ, რომ მათ თავის თავზე ძალიან ბევრი ტკივილი გადაიტანეს, მიუხედავად მათი ასაკისა. ამით ძალიან გაახარეს მოხუცები, რომელთათვისაც ელემენტარული ყურადღებაც კი უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს“.

ლეილა ბოქოლიშვილი, „უზრუნველი სიბერის“ დირექტორი:

– მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ფლავის საჯარო სკოლას, ამ ბავშვებს, მათ მშობლებსა და პედაგოგებს ასეთი ახალგაზრდების აღზრდისთვის. მათ ასაკში კი არა, გაცილებით ზრდასრული ადამიანები ვერ აცნობიერებენ იმას, რას ნიშნავს მოხუცებისთვის ასეთი თანადგომა და ყურადღება. ბავშვებს საკუთარი ხელით შეუგროვებიათ ტკბილეული და პროდუქტები, ჩამოვიდნენ კახეთში და მოუტანეს აქ მყოფ მოხუცებს. ამ ადამიანებისთვის მათი დანახვა, ელემენტარული ყურადღება ძალიან მნიშვნელოვანია.

სოფელ ბოდბისხევის მოხუცებულთა თავშესაფარში სტუმრობამ ერთ-ერთ პედაგოგს ლექსის დაწერაც შთააგონა. ლია გოჩინაშვილმა ლექსი „უზრუნველი სიბერის“ ბენეფიციარებს მიუძღვნა.

„არ გემღერებოდა და მაინც გამღერეთ, რაღაც გიკლავდა გულს,
სულში ხელების ფათური დაგიწყეთ და ამან დამძაფრა სულ.
მგონი, რაღაც დაგრჩათ ჩვენთვისაც უთქმელი, ამ ფიქრს ვერ ვიცილებ თავიდან,
გული მიკვნესის და ცრემლებს ვერ ვიკავებ, ღმერთო, ასეთი განაჩენი რად გინდა.
ვინ იცის, როგორი იყავით წლების წინ, ვინ იცის, რამდენი გეტრფოდათ მალულად,
თუ ბედის მაწერალი ამას გიმზადებდათ, ოჯახიც ნუ გყოლოდათ, არ ღირდა“!

ფლავის საჯარო სკოლის პედაგოგი ლია გოჩინაშვილი – „ვუძღვნი შვილებისგან მიტოვებულ მოხუცებს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

??უხერხული კითხვები??

my View
თამარ გონგაძე

„პრაიმტაიმი“ რამდენიმე ახალ რუბრიკას გთავაზობთ. მათ შორისაა „უხერხული კითხვები“. ადამიანები ხშირად გაურბიან „ისეთ“ კითხვებზე პასუხების გაცემას, თუმცა უნევთ ხოლმე. ან თანამდებობრივი ვალდებულების გამო, ან უბრალოდ იმიტომ, რომ ცნობილები არიან და როცა საჯარო პირი გქვია, საზოგადოების ინტერესი უნდა დააკმაყოფილო. ახალი არაფერი მითქვამს, „ორჯერ ორის“ ჭეშმარიტებაა. რუბრიკის პირველი მსხვერპლი ნინა წკრიალაშვილია. ნინას ჩაწერა ჟურნალისტებს გვიყვარს – სულ მოგყვება, „გისწორებს“, რა ამპლუასაც სთავაზობ, შენიანია. მოკლედ, „უხერხული კითხვების“ უხერხული პასუხები.



ნინა წკრიალაშვილი: „კაცის „ახევა“ რომ შემძლებოდა, ახლა სულ მარტო კი არ ვიქნებოდი“

EXCLUSIVE

„შარვალში ტანგა მაცვია. არ არის ლამაზი შარვალში ტრუსიკის ტოტები გეხატოს, „ტეხავს“

– ნინა, თავს „ნაშად“ მიიჩნევ?

– მე „ნაშას“ ფორმაში მყოფ ყველა ქალს ვეძახი. როცა მოვლილი და ფორმაში გახლავართ, მამაკაცების 100 პროცენტიდან 80-ის ყურადღებას ვიქცევ. ამას მივეჩვიე, არც ვაქცევ ყურადღებას. ალბათ, „ნაშად“ მათ ვეჩვენები. თორემ მე არ მივიჩნევ და ამის თვითმიზანი არ მაქვს. ასე გამოდის.

– როგორ ფიქრობ, პლასტიკური ოპერაციები რამდენად წარმატებულად გაქვს გაკეთებული?

– ცხვირი მაქვს მოჭრილი და ტუჩი გადიდებული. ვთვლი, რომ წარმატებულად მაქვს გაკეთებული. არ ვიცი, ვის მოსწონს თუ არ მოსწონს. რაც მთავარია, მე მომწონს და აღარ მაქვს მარცხენა პროფილის კომპლექსი, რომელსაც სულ ვმალავდი. ახლა სულ თავისუფლად ვარ. ვთვლი, რომ აუცილებლად უნდა გამეკეთებინა. სულ მეჩვენება, რომ რაღაცის გაკეთება მჭირდება. ახლა სახეზე ვიკეთებ პროცედურებს. ოპერაციები ათი წელი არ დამჭირდება და მერე, სახის აწევა იქნება თუ სხვა რამ, გავიკეთებ. ამას ვინმესთვის კი არ ვიკეთებ, მე თვითონ ვარ კომფორტულად, როცა ისე გამოვიყურები, როგორც მე მინდა. ქალმა თავს უნდა მიხედო. ღამე არ უნდა ჭამო, არ უნდა გასუქდე, უნდა ივარჯიშო. მე სულ ვაკონტროლებ თავს, რომ დიდხანს გამოვიყურებოდე კარგად. როცა თავი მოგწონს, საქმეც ადვილად გამოგდის, სამსახურსაც ადვილად შოულობ. და კარგ ხასიათზე ხარ...

– სამსახურის საშოვნელად გარეგნობა გამოგიყენებია?

– მე არა, თვითონ მთავაზობენ. ვაღიარებ, რომ ლამაზი არ ვარ. მოვლილი ადამიანები ყველგან საჭიროა, მით უმეტეს – შოუბიზნესში. ტელევიზიაში რომ სამსახური იპოვო, ან კარგ ფორმაში უნდა იყო, ან გენიოსი უნდა იყო. მე გენიოსი ვერ ვარ. ამიტომ კარგად უნდა გამოვიყურებოდე და უნდა ვიცოდე ჩემი საქმე. მსოფლიოში ასეა – გარეგნობა იყიდება. მე ვიცი რა ჩავიცვა, როგორ გამოვიყურებოდე.

– როგორ თეთრეულს ანიჭებ უპირატესობას?

– მაღალი ხარისხის, დაღლილი რომ დაწვები და გემრიელად დაგაძინებს. ან შავ-თეთრი მაქვს, ან წითელი, ჭრელაჭრელა და ყვავილებიანი არ მიყვარს.

– ნინა, საცვალს ვგულისხმობ.

– აა, გასაგებია, თეთრეული მირჩევნია ცოტა და ხარისხიანი. პირველ რიგში ჯანმრთელობას ვაყენებ. საცვალს კანთან აქვს კონტაქტი და საუკეთესო უნდა მეცვას. საქართველოშიც არის ისეთი მაღაზიები, სადაც შეგიძლია კარგი საცვალი იყიდო. ვიცვამ გიპიურისას და კოტონისას. თუ ძალიან ცივა ან სავარჯიშოდ მივდივარ კოტონის საცვალი მაცვია, ძირითადად კი გიპიურის. საცვლებსაც სამ ფერში ვიძენ – შავს, თეთრს და წითელს. შარვალში ტანგა მაცვია. არ არის ლამაზი შარვალში ტრუსიკის ტოტები გეხატოს, „ტეხავს“.

– რა ზომის მკერდი გაქვს?

– ხან სამი და ხან ოთხი ზომის მკერდი მაქვს. მეექვსე კლასიდან გამეზარდა და სულ მრცხვენოდა და ვმალავდი. წარმოიდგინეთ, სკოლაში ვმალავდი მკერდს და ახლა არ ვმალავ.

– ბოლო დროს შორენა ბეგაშვილთან დამეგობრდი. კლიპშიც ერთად გადაგიღეს. მოგწონს თუ კონკურენტად აღიქვამ და ამიტომ „დაიმეგობრე“?

– შორენა ჩემი მეგობარია, მიყვარს, კარგი გოგოა. მართლა დავმეგობრდით. ერთმანეთს რჩევებს ვაძლევთ, ჩასაცმელზე აქსესუარებს ვუხამებთ. ძალიან მომწონს, ვფიქრობ, იშვიათად ლამაზი ქალია. არ მიჭირს ლამაზი ადამიანების აღიარება ქალია თუ მამაკაცი. რასაც ჩემს თავს ვუსურვებ, იმას ვუსურვებ მასაც. ფანტასტიკური ადამიანია. რა კონკურენტი? ეგრე თუ შევხედე და ყველა კონკურენტად აღვიქვი – სისულელეა. ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ.

„სულ „ტრუსიკში“ ვერ ვირბენ. ამ ასაკიდან გავდივარ“

– გოგოსთვის გიკოცნია? (ეს კითხვა შენმა ბოლო კლიპმა შვა)

– რა მიკოცნია? სად შემიძლია? კლიპის გადაღების დროს მე და შორენა სიცილით ვიხოცებოდით. იმდენი კადრი გავაფუჭეთ. ორივეს გაგვიჭირდა ქალზე მოალერსე ქალის თამაში. ზედაპირული ამიტომ არის, თორემ ჩანაფიქრით უფრო მძაფრი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერც ერთმა ვერ გავაკეთეთ. ვხარხარებდით. გადაღების დროს „კიკალა“ გავამწარეთ.

– შენთვის ლესბოსური ურთიერთობა მისაღებია?

– ჩემში კაცი არ ჭარბობს, თორემ ვისაც რა უნდა ის აკეთოს. ვერ, თორემ რომ იყოს ვიტყოდი.

– შენი ბოლო დროის ფოტოებზე კომენტარები ვნახე, ბრიჯიდ ბარდოს გამსგავსებენ. ეთანხმები?

– არ წამიკითხავს. გამიხარდა. ბარდო ორმეტრიანი ქალი იყო. თუ ვინმეს მოვეჩვენე ბარდოდ, რა სჯობს. ვაიმე, დიდი მადლობა, მომერიდა.

– შენი კარიკატურა რომ დაგეხატა, რას გააზვიადებდი?

– დაუხატავთ ჩემი კარიკატურა, და ამ ნახატებზე ტუჩები და მკერდი მაქვს დიდი და წელი წვრილი. და ვიცინი. მთელ ცხოვრებას იუმორით უნდა უყურო.

– შენი როგორც ქალის ხიბლი და კოზირი რა არის?

– დამიჯერე – გულწრფელობა. ჩემი ენის ტლიკინი ხშირად მღუპავს ხოლმე, მაგრამ ამ თვისებას ბევრჯერ გადავურჩენივარ კიდეც. არ იძაბები, როდესაც გულწრფელ ადამიანთან ურთიერთობ. დანაშაულს რომ ჩაიდენ, იმის აღიარება თუ შეგიძლია, უკვე ძალიან კარგი ადამიანი ხარ.

– მამაკაცი წაგირთმევია ვინმესთვის?

– ჩემი წართმეული მამაკაცი არ გაიშვას! სად შემიძლია? ჩემი ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ორ ბიჭს მოვწონდი. ორივე ახალი გაყრილი იყო ცოლს. დედას გეფიცები, იმდენი ვეჩიჩინე ორივეს, რომ შევარიგე ცოლს. რაც შენი არ არის, არ შეგრჩება. შემთხვევით არ უნდა ისარგებლო და ერთი თვის ცოლს გაშორებულ კაცზე არ უნდა ინადირო. თუ დიდხანს არის გაყრილი, შეგიძლია სცადო. ზოგადად, კაცები უფრო განიცდიან ოჯახის დანგრევას, ვიდრე ქალები. ან უნდა დაიჭირო და შენკენ გადმოქაჩო, ან სწორი რჩევა მისცე და გონება გაუნათო. ყველა კმაყოფილი რჩება. ამას რა სჯობს. კაცის „ახევა“ რომ შემძლებოდა, ახლა სულ მარტო კი არ ვიქნებოდი? არ მინდა, სხვაზე „ასახევი“ არაფერი მჭირს.

– ყველაზე ინტიმური საჩუქარი რა მიგიღია?

– სად იციან ქართველმა კაცებმა ინტიმური საჩუქრის გაკეთება? ან სუნამოს გჩუქნიან, ან ყვავილს. ან თვითონ კარნახობ რა გინდა. ხან მანქანაზე მიწერენ მიყვარხარო, ხან – ეზოში, ამ 200 წლის გოგოს. მე თვითონ ვჩუქნი ჩემს თავს ინტიმურ საჩუქარს.

– რამდენი მეგობარი მამაკაცი გყოლია?

– ორი ქორწინების გარდა ორჯერ მქონდა სიმპათია...

– მაღალჩინოსან მამაკაცთან?

– ჩინოვნიკებთან არ მქონია ურთიერთობა. არ შემიძლია ისეთი მამაკაცებთან ურთიერთობა, რომელთათვის მთავარი სამსახურია. ძნელია ასეთ კატეგორიასთან ურთიერთობა. ჩემი ქმარი იყო პოლიციელი, არასდროს ეცალა და ერთმანეთი რომ გვენახა ბოლოს პოლიციაში მეძინა. არ შემიძლია 24-საათიანი ლოდინი და რეკვა – სად ხარ? როდის მოხვალ-მეთქი? მივხვდი, რომ ასეთ დისკომფორტს ჩემს თავს არასდროს შევუქმნი.

– ათბალიანი სისტემიდან შენ თავს, როგორც მომღერალს, რამდენი ბალით შეაფასებ?

– როდესაც პაპსა კონცერტებია, ათი ბალიდან ათ ბალს დავუწერ. მე სცენაზე ბოლომდე ვიხარჯები. ვცდილობ შოუც ვაჩვენო, ვიცეკვო. ორკესტრთან ერთად კონცერტს რაც შეეხება, ჩემზე კარგი ვოკალი სხვა მომღერლებს აქვთ ხოლმე. აკადემიურ კონცერტებს თავს ვარიდებ, ვიცი, რომ შესაფერისი რეპერტუარი არ მაქვს. ჩემი თავის შეფასება რეალურად შემიძლია. ნელ-ნელა დავიწყე ფიქრი ჩემთვის შესაფერის რეპერტუარზე. სულ „ტრუსიკში“ ვერ ვირბენ. ამ ასაკიდან გავდივარ და სადღაც 5 წელში ეს საინტერესო არ იქნება. მოდის ახალი, კარგი თაობა. ბევრი მომწონს. ამიტომ რეპერტუარი უნდა გავასერიოზულო.

„ხან სამი და ხან ოთხი ზომის მკერდი მაქვს. სკოლაში ვმალავდი და ახლა არ ვმალავ“

– ბოლოს რა წაიკითხე?

– ბოლო დროს ფილმის ნახვა მირჩევნია წაკითხვას. სცენარს ვკითხულობ. ფილმში შემოთავაზება მაქვს.

ახალგაზრდა ბიჭები იღებენ. ორი როლია და რომელშიც უფრო დავინახავ თავს, იმას ავირჩევ. სიამოვნებით ვითამაშებდი ტრაგიკულ პერსონაჟს. მეყოფა სულელი გოგოს თამაში.

– „ჩემი ცოლის დაქალებში“ დოდოშკას როლი რატომ შემოგთავაზეს?

– ვგიჟდები ამ როლზე. გადასაღებ მოედანზე ერთად შევქმენით ეს პერსონაჟი. მინდოდა სულელი ქალის თამაში, რომელიც არაფერს არ აკეთებს და მხოლოდ ამბიციები და პრეტენზიები აქვს. მგონი გამოგვივიდა. საქართველოში ცოტა მუშაობს. უმეტეს წილად საქმე რომ აქვთ, ჭორაობენ და განიკითხავენ. დოდოშკა ბოროტი არ არის, შტერია. ტანსაცმელი და „გულაობა“ აინტერესებს. თუმცა მოძღვარი ჰყავს. იცის, საჭიროა და კარგ ტონად ითვლება.

– პირდაპირ მოწებებული გქონდა „ნაციონალების მომღერლის“ იარლიყი, გაუარათ ნინასადმი ამ დამოკიდებულებამ?

– ბოლომდე არ გაუვლია. ვინც გამორჩეულად მხარს ვუჭერდით ნაცმოძრაობას სახელმწიფო კონცერტებზე, ახალი წლის კონცერტზე არ გვქონდა შემოთავაზება. არც მიკვირს. ერთი ნაწილი მეუბნება – შვილო, რა მართალი ყოფილხარო. მეორე ნაწილი ამბობს, რა კარგი გოგო ხარ და რას წიოდიო.

„სად შემიძლია გოგოსთვის კოცნა? კლიპის გადაღების დროს მე და შორენა სიცილით ვიხოცებოდით. იმდენი კადრი გავაფუჭეთ. ორივეს გაგვიჭირდა ქალზე მოალერსე ქალის თამაში“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ცხელი სპორტული

მაგდა კლდიაშვილი

2015 წელი საქართველოს სპორტულ და არამარტო სპორტულ ცხოვრებაში საკმაოდ გამორჩეული იქნება. წლის სპორტული კალენდარი საკმაოდ შთამბეჭდავად გამოიყურება. ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი ამ წელს ისეთ ღონისძიებებს უმასპინძლებს, როგორიც ევროპის ახალგაზრდული ფესტივალი და უეფას სუპერთასია. გარდა ამისა, წელსვე იმართება ფეხბურთის ფედერაციის არჩევნები, რომელიც წინასწარი ვარაუდით, საკმაოდ ხმაურიანი უნდა გამოდგეს. რა მნიშვნელოვანი ღონისძიებები იგეგმება და როგორი იქნება ქვეყნის სპორტული წელიწადი, რომლითაც საქართველო მსოფლიოს ყურადღების ეპიცენტრში იქნება მოქცეული - „პრაიმტაიმი“ 2015 წლის სპორტულ კალენდარს ადგენს.

საქართველოს დედაქალაქი 26 ივლისიდან პირველი აგვისტოს ჩათვლით ევროპის ახალგაზრდულ ფესტივალს მასპინძლობს

ქრონოლოგიას არ მივყვეთ და სპორტული ღონისძიებების მნიშვნელობით დავალაგოთ ჩვენი კალენდარი. ამ სიაში კი პირველ ადგილს „თბილისი 2015“ იკავებს. საქართველოს დედაქალაქი 26 ივლისიდან პირველი აგვისტოს ჩათვლით ევროპის ახალგაზრდულ ფესტივალს მასპინძლობს. გარდა ღონისძიების მასშტაბურობისა, ამ ფესტივალს პრესტიჟს ისიც მატებს, რომ სწორედ თბილისში გათამაშდება რიოს 2016 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიებიც.

თბილისს, ფესტივალის ფარგლებში, 49 ქვეყნის 3 000-ზე მეტი წარმომადგენელი, სპორტსმენი, ოფიციალური დელეგაცია თუ გულშემატკივარი ესტუმრება. „თბილისი 2015“ წლის საორგანიზაციო კომიტეტი კი უკვე დიდი ხანია ამ გრანდიოზული ღონისძიებისთვის ემზადება. როგორც გაზეთ „პრაიმტაიმთან“ საუბარში, საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა, ალექსი ახვლედიანმა განაცხადა, ფესტივალის გახსნის გრანდიოზული ღონისძიება „დინამო არენაზე“ გაიმართება, საბერძნეთიდან კი საქართველოში ოლიმპიურ ცეცხლს შემოიტანენ. წამმზომი 31 დეკემბერს ჩაირთო, „თბილისი 2015“-სთვის მზადება უკვე ბოლო ფაზაში შედის.

მძლეოსნობა, კალათბურთი, ხელბურთი, ძიუდო, ჩოგბურთი, ტანვარჯიში, ველოსპორტი, ფრენბურთი და ცურვა - სწორედ სპორტის ამ ცხრა სახეობაში იქნება შეჯიბრი, საუკეთესოები კი მედლებს დაეუფლებიან. ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ამ სპორტული დღესასწაულისთვის დედაქალაქში ინფრასტრუქტურა და ოლიმპიური სოფელი შენდება თბილისის ზღვაზე, რაც ფესტივალის დასრულების შემდეგაც გამოადგება ქვეყანას და გამართულ, მაღალი ხარისხის ინფრასტრუქტურას დაუტოვებს. თუ რა მოგებას მოუტანს „თბილისი 2015“ ქვეყანას, ალბათ, ახსნა-განმარტებებს არ საჭიროებს.

რიგით მეორე გრანდიოზული ღონისძიება, რომელსაც 2015 წლის აგვისტოში საქართველო უმასპინძლებს, უეფას სუპერთასია, სადაც ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგის და ევროპის ლიგის გამარჯვებულები დაუპირისპირდებიან. ამ გუნდების ვინაობა მხოლოდ მაისში გახდება ცნობილი, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში საქართველოს დედაქალაქს ორი მსოფლიო დონის საფეხბურთო გრანდი ესტუმრება, რაც საქართველოში უამრავი სტუმრის, ტელევიზიის და გულშემატკივრის ჩამოყვანას ნიშნავს. ღონისძიებისთვის მზადება დიდი ხანია დაიწყო. არც ისე დიდი ხნის წინ, გადაწყდა, რომ ამ გრანდიოზულ სპორტულ შეჯიბრებას „დინამო არენა“ უმასპინძლებს, რომელიც უეფას სტანდარტების შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი.

2014 წლის 11 დეკემბერს სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში სტადიონის ხელმძღვანელობის, ფეხბურთის ფედერაციის, სუპერთასის საორგანიზაციო კომიტეტის, დედაქალაქის მერიის, მასმედიის, გულშემატკივრებისა და თბილისის „დინამოს“ წარმომადგენელთა შორის შეხვედრა გაიმართა, სადაც გაცხადდა სწორედ, რომ არენას რეკონსტრუქცია ჩაუტარდება.

ტექნოლოგიური განვითარების ფონდმა ხელშეკრულება გააფორმა შპს „დინასტიასთან“, რომელსაც არჩილ ქურდიანი ხელმძღვანელობს. არქიტექტურულ ცვლილებებს სწორედ ეს ჯგუფი მოამზადებს. ასევე, გადაწყდა, რომ სტადიონი ორ ფერში გადაიღებება, ტრიბუნებზე გამოსახულ ჯვარზე დაჯდომა კი თურმე სათაკილო ყოფილა და მორწმუნეთა უფლებებს ბღალავსო. მოკლედ, სუპერთასისთვის, „დინამო არენას“ ტრიბუნები ლურჯსა და თეთრ ფერში იქნება გადაწყვეტილი.

პრესის სამუშაო ადგილი ცალკე აშენდება, რომელიც ამ მომენტში ღია ცის ქვეშ არის განთავსებული და არანაირი პირობა არ არის იმისთვის, რომ მედიის წარმომადგენლებმა სრულფასოვნად იმუშაონ. როგორც ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები ამბობენ, უეფას სუპერთასისთვის დედაქალაქი მაქსიმალურად კარგად მოემზადება. აგვისტოს თვეში თბილისში საინტერესო მოვლენები განვითარდება.

აგვისტოში სპორტული ტემპერატურა მაღლა აიწევს არა მარტო ამ მოვლენების გამო, არამედ იმის გამოც, რომ ფეხბურთის ფედერაციაში არჩევნებია დანიშნული. იმის გათვალისწინებით, თუ თავის დროზე როგორ მოხდა ამჟამინდელი პრეზიდენტის, ზვიად სიჭინავას ფედერაციაში მოყვანა, შემდეგ კი სპორტის მინისტრს, ლევან ყიფიანსა და მას შორის გაუთავებელი კონფლიქტები, სიჭინავასთვის პოსტის დატოვების მოთხოვნა და ა.შ. ფეხბურთის ფედერაციის არჩევნებმა მშვიდ გარემოში ნამდვილად არ უნდა ჩაიაროს.

უკვე ცნობილია, რომ ფედერაციის მოქმედი ხელმძღვანელობიდან, პრეზიდენტის პოსტზე კენჭს რევაზ არველაძე იყრის, რომელიც არც თუ დიდი მხარდაჭერითა და სიყვარულით სარგებლობს საზოგადოებაში. თავისი კანდიდატი ჰყავს მინისტრ ყიფიანსაც. უკვე წლებია, მას ამ თანამდებობაზე საკუთარი ფავორიტი ჰყავს მიხეილ ყაველაშვილის სახით, მაგრამ ამ გადასახედიდან, ვეტერანი ფეხბურთელის შანსები მიზერულია. მიხეილ მესხის ძეგლის გახსნაზე, ზვიად სიჭინავამ ჟურნალისტებთან განცხადება გააკეთა, რომ მომავალ არჩევნებზე შესაძლოა მან თავისი კანდიდატურაც დააყენოს. პრეზიდენტობა სურს ვეტერან ფეხბურთელს, ვლადიმერ გუცაევსაც, თუმცა მის შანსებზე სასაუბროდ დროს არ დაგაკარგვინებთ და, რაც მთავარია, უკვე დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლევან კობიაშვილმა, საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილმა წევრმა და კაპიტანმა, რომელიც ამჟამად ბერლინის „ჰერტაშია“ დასაქმებული, გადაწყვიტა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მარათონში ჩაებას. სწორედ ლევან კობიაშვილი



თბილისს, ფესტივალის ფარგლებში, 49 ქვეყნის 3 000-ზე მეტი წარმომადგენელი, სპორტსმენი, ოფიციალური დელეგაცია თუ გულშემატკივარი ესტუმრება

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ჰრაიმტაიმი“ წლის მნიშვნელოვანი ღონისძიებების სიას ადგენს

მძლეოსნობა, კალათბურთი, ხელბურთი, ძიუდო, ჩოგბურთი, ტანვარჯიში, ველოსპორტი, ფრენბურთი და ცურვა - სწორედ სპორტის ამ ცხრა სახეობაში იქნება შეჯიბრი, საუკეთესოები კი მედლებს დაეუფლებიან

29 მარტს საქართველოში მსოფლიო ჩემპიონი, გერმანიის საფეხბურთო ნაკრები ჩამოდის. მატჩი ევროპის 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ფარგლებში გაიმართება

იქნება უმთავრესი კონკურენტი არველაძე-სიჭინავას წყვილს შორის (საინტერესოა, მოქმედი ხელმძღვანელობის პირობებში, ორი კანდიდატი არჩევნებამდე ერთად როგორ იმუშავებს, ან ორივე თუ იყრის საბოლოოდ კენჭს), თავის მხრივ, კობიაშვილს მხარდაჭერა ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ აღუთქვა, თუმცა თავად „კობის“ სურს, რომ კალაძის „მფარველობიდან“ გამოვიდეს, რადგან მას, როგორც პიროვნებას, აქვს ლეგიტიმური უფლება და გაკეთებული, რომ ამ პოსტზე პრეტენზია გამოთქვას. არჩევანი საარჩევნო სუბიექტებმა უნდა გააკეთონ, ხალხის აზრი კი აშკარად ლევან კობიაშვილის მხარესაა. ვნახოთ, როგორ დასრულდება ფეხბურთის ფედერაციის არჩევნები, თუმცა სავარაუდოა, რომ ეს ამბავი წყნარად არ ჩაივლის.

29 მარტს საქართველოში მსოფლიო ჩემპიონი, გერმანიის საფეხბურთო ნაკრები ჩამოდის. მატჩი ევროპის 2016 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ფარგლებში გაიმართება. ქართველებისთვის ამ შეხვედრას ღირსების გარდა, არანაირი დატვირთვა არ აქვს, რადგან ევროსარბიელზე გასვლის შანსები დიდი ხანია დავკარგეთ. მთავარი მოვლენა კი სწორედ გერმანიის საქართველოში ჩამოსვლაა. ამ მატჩში შედგება „ჯვაროსნების“ ახალი თავკაცის, კახა ცხადაძის დებიუტიც ნაკრებში და ყველაზე მთავარი კი ის იქნება, რაც შეიძლება ნაკლები ანგარიშით წავაგოთ მსოფლიო ჩემპიონთან. ტრიბუნები რომ სავსე იქნება გერმანელი ვარსკვლავების სანახავად, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

2015 წელი მნიშვნელოვანია ქართული ფუტსალისთვისაც. ფუტსალის ეროვნულ ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი თამაშები ლიტვაში, ქალაქ კაუნასში ჩატარდება. ქართველთა მეტოქეები ესტონეთის, შვეიცარიისა და ლიტვის ეროვნული ნაკრები გუნდები იქნებიან. ჯგუფიდან გასვლის შემთხვევაში ფუტსალის ნაკრებს მეინ-რაუნდის თამაში მოუწევს რუმინეთში, სადაც გასვლის შემთხვევაში, მეტოქეები რუმინეთი, ყაზახეთი და პორტუგალია იქნებიან. იმ შემთხვევაში, თუკი ქართველები ჯგუფში პრიველ ადგილს დაიკავებენ, პირდაპირ მოხვდებიან ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. გარდა ამისა, ზაფხულში მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრაც გაიმართება, შესარჩევი მატჩები კი შემოდგომით დაიწყება.

აპრილის თვეში, საქართველოს დედაქალაქი ძალოსნობაში ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს, მაისში კი ძიუდოს გრან-პრი გათამაშდება, სპორტულ ღონისძიებას სპორტის სასახლე უმასპინძლებს.

ზაფხულში, ტრადიციულად, ქართული გუნდები ევროპის ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზებენ. ჯერჯერობით, უცნობია და მხოლოდ ვარაუდი შეიძლება იმ გუნდების, ვინც ევროსაგზურს მოიპოვებენ, თუმცა, იმედი დავიტოვოთ, რომ 2014 წლისგან განსხვავებით, ქვეყნის ფლაგმანად წოდებული თბილისის „დინამო“ რომელიმე ყაზახურ გუნდთან წელს მაინც არ შეირცხვენს თავს.

2015 წელი მნიშვნელოვანია ქართველი კალათბურთელებისთვისაც. მათ გასულ წელს ევრობასკეტზე თამაშის უფლება მოიპოვეს. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, რომ წარმატებები ვუსურვოთ ქართველ სპორტსმენებს ყველა სფეროში.

რიგით მეორე გრანდიოზული ღონისძიება, რომელსაც 2015 წლის აგვისტოში საქართველო უმასპინძლებს, უეფას სუპერთასია, სადაც ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგის და ევროპის ლიგის გამარჯვებულები დაუპირისპირდებიან

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ნიჭიერის“ ფინალის

my View
თამარ გონგაძე

„ნიჭიერი“ „დამკაში“ გავიდა. უკვე მეგა შოუს ფინალია. საუკეთესო ფინალისტებს საუკეთესო გამარჯვებული ეყოლება და ამას მაყურებელი თავად გადაწყვეტს. რამდენიმე ფავორიტს შორის ერთის ამორჩევა მართლაც საგონებელში ჩავარდნის ტოლფასია. პროდიუსერები გრანდიოზულ ფინალს გვპირდებიან. ასეც იქნება. ყველაზე სახალხო პროექტი დაუვიწყარი ფინალით!

„ბის სკამები, რაზეც ავედი, არის ჩვეულებრივი, ზედმეტი მაქინაციების გარეშე. კომენტარები მოჰყვა თითქოს ლურსმნებით იყო დამაგრებული. არა, ეს იყო უბრალო სკამები. ეს ნომერი დიდ ბალანსსა და კონცენტრაციას მოითხოვს“

გასულ კვირას შოუში სულ 26 331 ზარი შევიდა. ჟიურის გადაწყვეტილებით ნახევარფინალში ტატიანა კუნდიკი გადავიდა, მაყურებლის გადაწყვეტილებით ფინალისტი გიორგი გოგობერიშვილი გახდა, ხოლო LG-ს მეხუთე რჩეული „ტიტლიკანა კაცები“ - გიორგი და პაპუნა გახდნენ. შოუ სანახაობრივი ნომრებით მრავალფეროვანი იყო. აკრობატები, მძლეოსნები, მოცეკვავეები... მეგაპროექტს რამდენიმე სეზონის არსებობის მანძილზე ნამდვილად ბევრი საინტერესო ადამიანი ჰყავს აღმოჩენილი. სამწუხაროა ის, რომ ეს ადამიანები ვერც ამ შოუში გამოჩენის მერე საქმდებიან და ისევ ჩვეულ ცხოვრებას უბრუნდებიან.

ერთმანეთზე შეწყობილ ექვს სკამზე ასვლით 27 წლის გია გოგობერიშვილმა ყველა გაგვაოცა. გია წარმოშობით გუდაუთიდან არის. აფხაზეთის ომამდე ერთი თვით ადრე მამა დაეღუპა. ომი რომ დაიწყო 5 წლის იყო. გაუჩნდა პატარა ძმა და სამშობლოში დევნილმა ოჯახმა ბებიასთან და ბაბუასთან, ქუთაისში შეაფარა თავი. დღესაც იქ ცხოვრობს.

აკრობატიკით ექვსი წლიდან არის დაკავებული. თუმცა დიდი პაუზა ჰქონდა. სააკრობატო სკოლის ათწლიანი სწავლების დასრულების შემდეგ ექვსწლიანი პაუზა გამოუვიდა. დღემდე პედაგოგის გარეშე აკრობატიკის სპორტულ დარბაზში დამოუკიდებლად ვარჯიშობს.

გია გოგორიშვილი: ყოველდღიურად დღეში 5 საათს ვვარჯიშობ. ეს ჩემი საყვარელი საქმეა, მის გარდა არაფერი გამომდის. თავიდან დედამ შემიყვანა ამ სკოლაში. მერე უკვე ეს ჩემს ყოველდღიურობად იქცა. 12 წლის ვიყავი სამუშაოდ ჰოლანდიაში რომ წავედი. ორწლიანი კონტრაქტით ჰოლანდიური ცირკით გადავდიოდით გერმანიაში, ბელგიაში. იყო პერიოდი რამდენიმე კვირა ქართულ ცირკშიც ვმუშაობდი. ამერიკაშიც ვიყავი სამუშაოდ. მაგრამ, სამწუხაროდ, ის გუნდი დაიშალა, ვისთან ერთადაც ვიყავი წასული. საზღვარგარეთ გამგზავრებას აღარ ვაპირებ. მინდა ამ პროფესიით ჩემს ქვეყანაში ავიდგა ფეხი.

ტატიანა კუნდიკი: „ვიმედოვნებ, რომ საქართველოშიც მომიწევს მუშაობა. მადლობა ღმერთს, რომ აქ ჩამოსასვლელად ვიზა არ მჭირდება“

– „ნიჭიერში“ რატომ მიხვედი?

– მინდოდა მეჩვენებინა, რომ არსებობს ასეთი ლამაზი სპორტის სახეობა, რომელსაც ყურადღება არ ექცევა. ეს გულდასაწყვეტია. მინდოდა მაყურებელს ენახა ეს ნომრები. შოუში წარმოდგენილ პირველ ნომერზე ხუთი წელია ვმუშაობდი, ბოლო ნომერი კი ორ კვირა-ნახევარში დაიდგა.

– თუ შეიძლება ბოლო ნომრის სიტყვით ტექნიკური ახსნა?

– ის სკამები, რაზეც ავედი, არის ჩვეულებრივი, ზედმეტი მაქინაციების გარეშე. კომენტარები მოჰყვა თითქოს ლურსმნებით იყო დამაგრებული. არა, ეს იყო უბრალო სკამები. ეს ნომერი დიდ ბალანსსა და კონცენტრაციას მოითხოვს. ორ კვირა-ნახევარში ამის გაკეთება რთული იყო, მაგრამ ღმერთის ნებით მე ეს გამომივიდა.

– რაიმე ხარვეზი გქონდა?

– მქონდა. პირველივე ილეთზე სკამი გამიცურდა, მაგრამ თავის შეკავება შევძელი, გადავრჩი, შეუმჩნეველი დარჩა.

„საზღვარგარეთ გამგზავრებას აღარ ვაპირებ. მინდა ამ პროფესიით ჩემს ქვეყანაში ავიდგა ფეხი“

გია გოგობერიშვილი: „ის სკამები, რაზეც ავედი, არის ჩვეულებრივი, ზედმეტი მაქინაციების გარეშე. კომენტარები მოჰყვა თითქოს ლურსმნებით იყო დამაგრებული. არა, ეს იყო უბრალო სკამები. ეს ნომერი დიდ ბალანსსა და კონცენტრაციას მოითხოვს“

უკრაინელი გულისსწორი ანტალიაში მუშაობის დროს გაიცნო. ეს იყო სამსახურებრივი რომანი. კატერინა ზახარშენკოსთან ორწლიანი რომანი აქვს.

„კატერინა მოცეკვავეა და ერთ სასტუმროში ვმუშაობდით. 45-წუთიან შოუ პროგრამაში ორივე ვმონაწილეობდით. მე ერთი აკრობატი ვიყავი, დანარჩენები ცეკვავდენენ. კატერინამ თავი მაპოვნინა. ძალიან გვიყვარს ერთმანეთი. ის ჩემია. ჯერჯერობით ცხოვრებაში ქორწინების მხრივ არაფერს ვცვლით. თბილისში პირველად ზაფხულში იყო. ახლა ჩემს საგულშემატკივროდ მეორედ ჩამოვიდა“.

– ფინალში რომ გადახვედი მისი პირველი კომენტარი რა იყო?

– შენ საუკეთესო ხარ, შენით ვამაყობო, მითხრა. სამი კვირაა ქუთაისში ვართ. მე ვვარჯიშობ, კატერინა გვერდით მიდგას, მამხნევებს. ფინალში სახიფათო ნომერს შემოგთავაზებთ. თავიდან უბრალოდ მონაწილება მინდოდა, ახლა უკვე აზარტში ვარ. მაყურებელს მოსწონს და ეს სტიმულს მიღვიძებს. მინდა კმაყოფილი დავტოვო მაყურებელი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ტეხის ბოლო კრეხული

„ფინალში სახიფათო ნომერს შემოგთავაზებთ. თავიდან უბრალოდ მონაწილეობა მინდოდა, ახლა უკვე აზარტში ვარ“

„აქ ჩამოსვლა სულ მინდოდა“

უკრაინელმა ტატიანა კუნდიკ-მა ჟიური შოკში ჩააგდო. ფეხზე ამდგარი უკრავდნენ ტაშს.

15 წლიდან აკრობატია. სამი წელია ვარჯიშობს იმ ნომერზე, რომელიც „ნიჭიერის“ ნახევარფინალში წარმოადგინა. მან გაგვიმხილა, რომ უკრაინული „ნიჭიერის“ მონაწილე იყო, მაგრამ ფინალში ვერ მოხვდა.

ტატიანა კუნდიკი: საქართველო ყოველთვის მომწონდა. აქ ჩამოსვლა სულ მინდოდა. მოვასწარი დათვალიერება, ფოტოების გადაღება. და ასე შესანიშნავად გამოვიდა, ჩემი პროფესიით მომიხდა ჩამოსვლა, თანაც სპონტანურად. ფინალისტობა მინდოდა და ბედნიერი ვარ, რომ ფინალში მოვხვდი. კარგი კონკურენციაა, გია გოგობერიშვილი ძლიერი კონკურენტია, დრიფტერი გოგონა მომწონდა.

– სად მუშაობთ?

– ჩემს ქვეყანაში არ ვმუშაობ. რვა ქვეყანაში მიმუშავია. ვნახოთ, როგორი იქნება შემდეგი წელი. ვიმედოვნებ, რომ საქართველოშიც მომიწევს მუშაობა. მადლობა ღმერთს, რომ აქ ჩამოსასვლელად ვიზა არ მჭირდება.

– თქვენი ნომრის სირთულე რა არის? საოცრად დაეშვით ბაგირიდან.

– დაშვება სირთულეს არ წარმოადგენს. რთული ასვლაა. მთავარია დამუხრუჭება.

– საიდან სწავლობთ ნომრებს?

– ინტერნეტიდან, კოლეგა მეგობრებისგან. ტრენერი არ მყავს. მეგობრები ერთმანეთს ვაკვირდებით და ერთმანეთისგან ვსწავლობთ.

– ქართულ „ნიჭიერზე“ რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?

– ძალიან შეკრული ჯგუფია. არ ყვირიან, ყველას თავისი საქმე აქვს და იმას აკეთებს. არ შევსწრებივარ, რომ ეჩხუბათ და ეკამათათ. მაგარი გუნდი აკეთებს ამ მეგა შოუს. ყველა – დირექტორია თუ უბრალო სცენის მუშა, ბოლომდე იხარჯება. ერთი შეკრული მექანიზმივით აქვთ მთელი პროექტი აწყობილი.

„ფარ-ხმალს არ დავყრი“

პავლოვიჩი „ნიჭიერის“ „კოლორიტია“. ნახევარფინალში პავლოვიჩმა სანახაობა შექმნა. თუმცა შალვა ჩონიაშვილს ფინალში ვერ იხილავთ.

პავლოვიჩი: მე ყოველთვის მაყურებლისთვის ვაკეთებ ყველაფერს. ისინი ძალიან მიყვარს. მთავარი შედეგია. ვარ მიზანდასახული და ამბიციური. მზად ვიყავი ფინალისთვის. მადლობა, ვინც მხარი დამიჭირა. ფარ-ხმალს არ დავყრი და კიდევ უფრო მაგარ რამეებს დავგეგმავ.

ჩრდილების ტანგო

თაკო კეკელიძე და გიორგი ბარნაძე შეყვარებულები არიან და ამიტომაც გამოუვიდათ ასე შთამბეჭდავად ჩრდილების ტანგო. წლებია ცეკვავენ. უნივერსიტეტ სეუს ბაზაზე ჩრდილების თეატრში არიან და ნახევარფინალში ცეკვის იდეა სწორედ გიორგის და თაკოს მოუვიდათ. სამწუხაროდ, წყვილი ფინალში ვერ მოხვდა.

გიორგი: „ნიჭიერში“ ცეკვის იდეა ჩვენ გვეკუთვნის. და შევუდექით იდეის განვითარებას. ჩვენი შედეგი ამ მეგა-პროექტის ნახევარფინალია. დიდი შრომა ჩავდეთ, ღამეები ვათენეთ.

თაკო: ემოცია უნდა დაიჭირო. უნდა გრძნობდე პარტნიორს. ჩრდილისა და საკუთარი მოძრაობის ერთმანეთზე დამთხვევა რთულია.

ბექა მაქაცარია (ხელმძღვანელი): დიდი ხანია შეყვარებულები არიან. მოცეკვავე წყვილის სულები ერთმანეთს უკავშირდება. ნომერიც მეტად ეფექტური და ემოციურია.

„ყველა – დირექტორია თუ უბრალო სცენის მუშა, ბოლომდე იხარჯება. ერთი შეკრული მექანიზმივით აქვთ მთელი პროექტი აწყობილი“

„ვოგის“ ქართველი მოცეკვავე

თეონა მანაგაძე ამერიკული ცეკვის სტილით „ვოგით“ გაეცნო ნიჭიერის მაყურებელს. გრაფიკული დიზაინერია, „ვოგი“ მისი ჰობია.

თეონა ნიჟნინოვგოროდში 4 წლიდან ცეკვავს. სამი წლის წინ „ვოგიმ“ გაიტაცა და დაიწყო ცეკვის შესწავლა. ამისთვის ყველაზე ხელმისაწვდომი ინტერნეტი აღმოჩნდა. მერე მასტერკლასი მეგობარმა გაატარა.

თეონა მანაგაძე: „იუთუბზე“ ვნახე და დავინტერესდი ამ ცეკვით. ძალიან აღიარებულმა ბენი ნინჯამ მოსკოვში „ვოგის“ მასტერკლასი ჩაატარა და ჩემი მეგობარი დაესწრო. ბენის „ვოგის“ სახლიც აქვს. მერე მე ნატაშამ მასწავლა ცეკვა. აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ მინდოდა „ვოგის“ პოპულარიზაცია. ცეკვა მე დავდგი. აჩიკო სოლოღაშვილი დამეხმარა. მინდა უკეთ დავეუფლო და მერე სტუდიაც გავხსნა.



„პირველივე ილეთზე სკამი გამიცურდა, მაგრამ თავის შეკავება შევძელი, გადავრჩი, შეუმჩნეველი დარჩა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მსოფლიოს მეგავარსკვლავები - „არტპალას

მაგდა კლდიაშვილი

„მან სიახლე შემოიტანა, კარგი და დადებითი. ვიცი, რომ ძნელია ამის დაწყება, მაგრამ ნახეთ, რა კარგი შედეგი აქვს უკვე ამ წამოწყებას. ყველანი ვცდილობთ, რომ გვერდში ამოვუდგეთ „არტპალასს“, რაც შეგვიძლია, რადგან ეს კეთდება საქართველოს ხელოვნებისთვის და ეს წინ გადადგმული ნაბიჯია“

კომპანია „არტპალასმა“ კაჭრეთის სასტუმრო-კომპლექს „ამბასადორში“ 7 იანვარს გრანდიოზული საშობაო საღამო გამართა. ღონისძიების მუსიკალური პროგრამა რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდა. კაჭრეთში შეკრებილმა მსმენელმა მსოფლიოს ცნობილ საოპერო შემსრულებლებს, სიმფონიური ორკესტრის კონცერტსა და ახალგაზრდა ქართველ შემსრულებლებს მოუსმინა. რაც მთავარია, „არტპალასის“ ხელმძღვანელობამ დადო პირობა, რომ საშობაო საღამო ტრადიციად იქცევა და ყოველწლიურად გაიმართება.

თამარ ივერი, მედეა ამირანაშვილი, ანიტა რაჭველიშვილი, ოთარ ჯორჯიკია, დავით ალადაშვილი, , დანიელე აჯიმანი, ნანი ბრეგვაძე, ირაკლი კახიძე, თეონა დვალი, ახალგაზრდა ქართველი შემსრულებლები - ლევან მასპინძელაშვილი, ნიკო ბერიძე, ლუკა ზაქარიაძე, სალომე ჩიტაძე, თიკო ანდღულაძე, ელენე კალანდაძე ნინა სუბლატი, მაკა ზამბახიძე, ეს იმ ვარსკვლავების ჩამონათვალია, რომლებმაც შობის ღამე გაულამაზეს ქართველ მსმენელს. შობის საღამოს სპეციალური სტუმრები ნანი ბრეგვაძე და პაატა ბურჭულაძე იყვნენ.

საღამოს მუსიკალური პროგრამის პირველი ნაწილი კლასიკური მუსიკის შემსრულებლებს, თამარ ივერს, ოთარ ჯორჯიკიას, ირაკლი კახიძეს და თეონა დვალს დაეთმოთ. სიმფონიური ორკესტრის კონცერტს სპეციალურად მოწვეული მაესტრო, ჯუზეპე ვერდის სახელობის მილანის კონსერვატორიის პროფესორი და ჯაკომო როსინის სახელობის სიმფონიური ორკესტრის მთავარი დირიჟორი, დანიელე აჯიმანი ხელმძღვანელობდა. ცნობილმა მაესტრომ, არა მხოლოდ ორკესტრს უდირიჟორა, არამედ მაყურებელიც აიყოლია და დამატებითი მუხტი შესძინა საღამოს.

გრანდიოზული კონცერტის ნამდვილი მშვენება ანიტა რაჭველიშვილი გახლდათ, რომელმაც პოპულარულ ახალგაზრდა ქართველ პიანისტთან, ჯულიარდის სკოლის კურსდამთავრებულ დავით ალადაშვილთან ერთად, მის მიერ შექმნილი ახალი პროგრამა წარმოადგინა. მუსიკოსები ამ პროგრამით 4 წლის განმავლობაში წარსდგებიან მაყურებლის წინაშე.

როგორც ცნობილმა მეცო-სოპრანომ მედიასთან საუბარში განმარტა, შობის დღესასწაულზე საქართველოში დიდი ხანია არ ყოფილა, „არტპლასმა“ კი მას ამ დღესასწაულზე შინ დაბრუნების შანსი მისცა. ანიტა რაჭველიშვილის თქმით, ის მზადაა, სახელოვნებო კომპანიას ყოველთვის გვერდით დაუდგეს.

ანიტა რაჭველიშვილი:

„პირველ რიგში, ყველას მინდა შობა მივულოცო. ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში ვხვდები შობის დღესასწაულს. ძალიან დიდი ხანია შობას სამშობლოში არ ვყოფილვარ, ამიტომ ჩემთვის ეს ორმაგი ბედნიერებაა. ეს საღამო, რომელიც „არტპალასმა“ გვაჩუქა, ასეთ ლამაზ დღეს, არის ქართული ხელოვნების ზეიმი და მადლობა „არტპალასის“ პრეზიდენტს, გია ანდღულაძეს ამ საღამოსთვის. ბედნიერი ვარ იმით, რომ საქართველოში რაღაც კეთდება ასეთი მასშტაბის, რაც გვინდა, რომ ტრადიციად იქცეს და ყოველთვის გვერდით დავუდგები „არტპალასს“.

თავის დროზე, „არტპალასის“ საზეიმო გახსნაზე კრის ბოტი იყო მოწვეული. საზეიმო კონცერტის ორგანიზება „არტპალასმა“ „იავნანასთან“ ერთად მოახდინა.

შობის საღამოს ესწრებოდა საქველმოქმედო ფონდის პრეზიდენტი, პაატა ბურჭულაძე, რომელიც ამბობს, რომ „არტპალასის“ წამოწყებული საქმე საქართველოს ხელოვნებისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია.

პაატა ბურჭულაძე:

„გეტყვით ერთ რამეს - ბედნიერი ვარ, რომ საქართველოში გაჩნდა ისეთი ორგანიზაცია, როგორიც „არტპალასია“. მან სიახლე შემოიტანა, კარგი და დადებითი. ვიცი, რომ ძნელია ამის დაწყება, მაგრამ ნახეთ, რა კარგი შედეგი აქვს უკვე ამ წამოწყებას. ყველანი ვცდილობთ, რომ გვერდში ამოვუდგეთ „არტპალასს“, რაც შეგვიძლია, რადგან ეს კეთდება საქართველოს ხელოვნებისთვის და ეს წინ გადადგმული ნაბიჯია“.

„არტპალასის“ დამფუძნებელი და პრეზიდენტი, გია ანდღულაძე აცხადებს, რომ საშობაო შეხვედრებს „არტპალასი“ ტრადიციად აქცევს და სხვა ბევრ სიახლეებსაც ჰპირდება საზოგადოებას. რაც შეეხება საშობაო კონცერტს, ანდღულაძის განმარტებით, მსგავსი ფორმატის საღამო საქართველოში არასდროს ჩატარებულა.

გია ანდღულაძე:

„საქართველოში მსგავსი ფორმატის საღამო არასდროს ჩატარებულა. ევროპაში კი ეს კარგად დამკვიდრებული ტრადიციაა - საშობაო შეხვედრები. „არტპალასი“ ცდილობს სიახლე შემოიტანოს - ეს არის საშობაო საღამოები სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. ამდენი ვარსკვლავი, რაც დღეს იქნება წარმოდგენილი, ძნელი სანახავია. მნიშვნელოვანია, როგორც საოპერო, ისე საესტრადო ნაწილი სიმფონიურ ორკესტრთან ერთად და იმედია, ეს კიდევ ბევრ სიახლეს დაამკვიდრებს. ეს არის პირველი ნაბიჯი ჩვენს შემოქმედებით საქმიანობაში.

„არტპალასის“ კრეატიული სამსახურის უფროსი, ნიკა წულუკიძე, რომელიც შობის გრანდიოზული კონცერტის წამყვანიც იყო, ბედნიერია იმით, რომ კომპანიამ ასეთ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი და მსოფლიო დონის მეგავარსკვლავები შეკრიბა საშობაო საღამოსთვის.

ნიკა წულუკიძე:

„ჩვენ გვინდა, რომ ეს ღონისძიება ტრადიციული გახდეს, რადგან ყველგან ტარდება საშობაო შეხვედრები და მეჯლისები და რატომ არ უნდა იყოს ეს საქართველოში. მით უფრო, როდესაც ასეთი ვარსკვლავები გვყავს, მსოფლიო მნიშვნელობის და მიხარია, რომ ჩვენთან ერთად არიან მეგავარსკვლავები და საზოგადოებას ახალ, სრულიად განსხვავებულ სახელოვნებო პროდუქტს ვთავაზობთ, ტრადიციის დანერგვის მიზნით“.

„საქართველოში მსგავსი ფორმატის საღამო არასდროს ჩატარებულა. ევროპაში კი ეს კარგად დამკვიდრებული ტრადიციაა - საშობაო შეხვედრები. „არტპალასი“ ცდილობს სიახლე შემოიტანოს - ეს არის საშობაო საღამოები სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. ამდენი ვარსკვლავი, რაც დღეს იქნება წარმოდგენილი, ძნელი სანახავია“

საშობაო კონცერტის მესამე ნაწილი ორიგინალური პროგრამისგან შედგებოდა, რომელიც საზოგადოებას ახალგაზრდა ქართველმა შემსრულებლებმა კამერული ორკესტრისა და მუსიკალური ბენდის

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ი“ - შოუბიზნესის მიღება კაჭრეთის „ამბასადორში“

EXCLUSIVE

„ძალიან დიდი ხანია შოუბიზნესში არ ვყოფილვარ, ამიტომ ჩემთვის ეს ორმაგი ბედნიერებაა. ეს საღამო, რომელიც „არტპალასმა“ გვაჩუქა, ასეთ ლამაზ დღეს, არის ქართული ხელოვნების ზეიმი და მადლობა „არტპალასის“ პრეზიდენტს, გია ანდღულაძეს ამ საღამოსთვის. ბედნიერი ვარ იმით, რომ საქართველოში რაღაც კეთდება ასეთი მასშტაბის, რაც გვინდა, რომ ტრადიციად იქცეს და ყოველთვის გვერდით დავუდგები „არტპალასს“

„ჩვენთან ერთად არიან მეგავარსკვლავები და საზოგადოებას ახალ, სრულიად განსხვავებულ სახელოვნებო პროდუქტს ვთავაზობთ, ტრადიციის დანერგვის მიზნით“

თანხლებით შესთავაზეს. ლუკა ზაქარიაძე, ელენე კალანდაძე, მაკა ზამბახიძე, ლევან მასპინძელაშვილი, თიკო ანდღულაძე, ნინა სუბლატი, ნიკო ბერიძე - ამ ახალგაზრდა შემსრულებლებს საშუალება ჰქონდათ, მსოფლიოს მეგავარსკვლავების გვერდით ემღერათ. მესამე ნაწილის მუსიკალური ხელმძღვანელი კი დავით მაზანაშვილი გახლდათ. გრანდიოზული შოუს რეჟისურა კი დავით საყვარელიძეს ეკუთვნის.

ნიკო ბერიძე:

„ყველას ვულოცავ დღევანდელ დღესასწაულს. მიხარია, რომ ამ გენიალურ დღეს აქ ვარ და ვმღერი ჩემს კოლეგებთან ერთად. „არტპალასს“ ძალიან კარგი სტაფი ჰყავს და ძალიან მაგარი კონცერტი გამოვიდა“.

ნინა სუბლატი:

„ვულოცავ შობას ჩვენს ქვეყანას, სასიამოვნო სიახლეებს ვუსურვებ. კონცერტი კი ძალიან კარგი გამოვიდა, იმიტომ, რომ ძალიან ცნობილი ვარსკვლავები დ ჩემი მეგობრები მონაწილეობდნენ. მსმენელიც კარგი იყო და ყველაფერმა წარმატებულად ჩაიარა“.

ამ ღონისძიებით „არტპალასი“ საფუძველს უყრის საშობაო საღამოების გამართვის ტრადიციას საქართველოში, რომელიც ევროპის მრავალ ქვეყანაშია დამკვიდრებული.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლონდონი ფონდი cARTveli-ს გამოფენას მასპინძლობს

ნანა შონია

ლონდონი ფონდი cARTveli-ს მულტიმედია ხელოვნების პროექტ „მემკვიდრეობის“ გამოფენას მასპინძლობს.

გამოფენა, რომელიც ფონდი cARTveli-ს, RichMix-ის და Dash Arts-ის, ერთობლივი, წარმატებული თანამშრომლობის შედეგია, 7 იანვარს გაიხსნა და ერთ თვეს გასტანს.

„მემკვიდრეობა“ ეს არის, ლევან მინდიაშვილის, ტატო ახალკაციშვილის, უტა ბექაიას, ირაკლი ბუგიანისა და ქრისტიან ტონჰეიზერის ერთობლივი პროექტი. დიდი ხნის მეგობრებმა, ხელოვანებმა, დაიწყეს ისტორიულ, სოციალურ და კულტურულ საფუძვლებთან დაკავშირებული კვლევა და იმის შესწავლა თუ როგორ ყალიბდება ეს საფუძვლები ინდივიდის ბიოლოგიური, გონებრივი და ფიზიკური მემკვიდრეობის განუყოფელ ნაწილად. ლევან მინდიაშვილმა, რომელმაც თავისი შემოქმედება მიუძღვნა იდენტურობის საკითხს, გამოფენისთვის შეიმუშავა კონცეფცია. როგორც ქართველისთვის, მისთვის ბუნებრივი იყო მუდმივად ეფიქრა მისი სამშობლოს იდენტობაზე, რაც საკუთარი თავის გადაფასების აქტიურ პროცესს წარმოადგენს და დამახასიათებელია ყოფილი საბჭოთა ქვეყნების უმრავლესობისთვის, ებრძვის დეზინტეგრირებულ და ხანდახან საწინააღმდეგო ღირებულებით სისტემას. ირაკლი ბუგიანი უფრო მეტად დაინტერესებულია კოლექტიური მეხსიერების პრობლემით, იკვლევს საბჭოთა არქიტექტურას და დარწმუნებულია, რომ ადამიანის მიერ გარდაქმნილი გარემო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანის სულიერი სამყაროს ფორმირებაში. ტატო ახალკაციშვილი ყურადღებას ამახვილებს თავდაუღწევლობის კლაუსტროფობიულ გრძნობაზე, რაც ლეიტმოტივად გასდევდა მის თაობას თინეიჯერულ ასაკში, უშუალოდ საბჭოთა კავშირის დაშლამდე. უტა ბექაია, იღებს გაცნობიერებულ გადაწყვეტილებას არ განიხილოს თავი კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტში, შეისწავლოს მემკვიდრეობის კონცეფცია უნივერსალური პერსპექტივიდან და ადამიანის გამოცდილების ციკლური ხასიათიდან გამომდინარე. ქრისტიან ტონჰაზერი, რომელიც შთაგონებულია არგენტინელი პოეტის ალეხანდრა პიზარნიკის შემოქმედებით, ყურადღებას ამახვილებს ოჯახურ ურთიერთობებზე და საკრალურ მნიშვნელობას ანიჭებს ამ კავშირებს. არსებობს დინამიკური ურთიერთდამოკიდებულება კერძოსა და სახელმწიფოს, პირადსა და უნივერსალურს, ემფატიკურსა და შეუბრალებელს შორის, იმასთან დაკავშირებით თუ როგორი მიდგომა აქვს ამ ხელოვანებს და როგორ იკვლევენ ისინი წარსულს. მინდიაშვილი, ბუგიანი, და ახალკაციშვილი ყურადღებას ამახვილებენ საქართველოს უახლოეს წარსულზე, გვიანდელ საბჭოთა ეპოქასა და დამოუკიდებლობის პირველ წლებზე; ეს წლები სავსე იყო იმედგაცრუებებით, შეცდომებითა და პერიოდულად სტაგნაციით. ამ გამოფენის მიზანია წინა პლანზე წამოსწიოს თვითანალიზის, სოციალური და კულტურული გამოცდილებების კრიტიკული შეფასების აუცილებლობა და ყურადღება გამახვილოს ინდივიდუალური აღქმის ჩამოყალიბებაში მათ ადგილზე.

გამოფენის გახსნაზე ნაჩვენები იქნა თამუნა ქარუმიძის ფილმი „ზაჰესი 708“ და უტა ბექაიას ვიდეო პერფორმანსი „ფუასია ტატასია“.

როგორც „პრაიმტაიმთან“ საუბარში, გამოფენის ორგანიზატორი, ფონდ cARTveli-ს დამფუძნებელი ელისაბედ ჩაჩხიანი ამბობს, ეს ფონდისთვის მეოთხე წარმატებული პროექტია.

ელისაბედ ჩაჩხიანი, ფონდ cARTveli-ს დამფუძნებელი: თანამედროვე ხელოვნების გამოფენა „მემკვიდრეობა“, რომელიც ლონდონში RICH MIX-ში ტარდება, გუშინ გაიხნა და 31 იანვრამდე გაგრძელდება. ეს არის ჯგუფური გამოფენა, სადაც 4 ქართველი და ერთი არგენტინელი მხატვარია წარმოდგენილი. ეს არის სხვადასხვა მედიაში შესრულებული ექსპოზიცია, რომელიც სანახაობრივად საინტერესოა. ლონდონში გამოფენამდე იყო თბილისი; 2013 წელს მხატვართა ამ ჯგუფმა გამოფენა სახელწოდებით „მემკვიდრეობა“ პირველად საქართველოში გამართა. ლონდონის პროექტისთვის შეიძლება ითქვას, რომ ნამუშევრების უმეტესობა ახალია. ჩვენ მადლობა გვინდა გადავუხადოთ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, თიბისი ბანკს, სადაზღვევო კომპანიას „არდი“, NES გალერეას და კერძო დონორებს, რომელთა მხარდაჭერის გარეშე „მემკვიდრეობა“ ლონდონში ვერ შედგებოდა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდეს, რადგან ეს ქართული თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციას უწყობს ხელს.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი მხარდაჭერა მომავალშიც გაგრძელდეს, რადგან ეს ქართული თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციას უწყობს ხელს“

თითოეული პროექტი, სადაც ქართველი მხატვრები დასავლელი კურატორების, არტკრიტიკოსებისა და გალერისტების წინაშე წარსდგებიან, ქართველი ხელოვანების აღიარებისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია. ლონდონი, თანამედროვე ხელოვნების ევროპული ცენტრია, სადაც თავს იყრიან ამ სფეროს პროფესიონალები, რომლებიც ქმნიან თანამედროვე ხელოვნების ახალ ტენდენციებს, მიმართულებებს და კარნახობენ გემოვნებას.

ტერეზა კანდელაკი (ფონდ cARTveli-ს დამფუძვნებელი): ფონდ ქართველის სახელით, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო თითოეულ სპონსორს, საქართველოს კულტურის სამინისტროს, თიბისი ბანკს, სადაზღვევო კომპანიას „არდი“ და „ნეს“ გალერის. ასევე თითოეულ კერძო დონორს, ვისი დახმარებითაც შესაძლებელი გახდა დღევანდელი ღონისძიება გაკეთებულიყო.

ეკა მონიავა (ფონდ cARTveli-ს დამფუძვნებელი): მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც იჩენს მხარდაჭერას ფონდი cARTveli-ს მიმართ. ეს ჩვენი ფონდისთვის მეოთხე გამოფენაა და ძალიან მოხარულები ვართ დამთვალიერებლების რაოდენობის ზრდით. ფონდი cARTveli-ს მიზანია საქართველო დააკავშიროს საერთაშორისო ხელოვნების სამყაროს და გლობალურ აუდიტორიას შესაძლებლობა მისცეს გაეცნოს ქართულ თანამედროვე ხელოვნებას. ამ პროცესში ჩვენი როლია ქართველი მხატვრები დავაკავშიროთ თანამადროვე ხელოვნებაში წინსვლისთვის ინსტიტუტებს, არტ კურატორებს, კრიტიკოსებს და საგამოფენო ინსტიტუტებს. კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მხარში უდგას ამ საქმეს.

ლევან მინდიაშვილი (მხატვარი): პროექტი მემკვიდრეობა არის ჩვენი მცდელობა, მასში მონაწილე მხატვრების მცდელობა, გავიაზროთ ის აქტუალური მდგომარეობა, თუ სად ვართ ახლა ჩვენ, როგორც პიროვნებები, როგორც საზოგადოების წევრები, როგორც ადამიანები და ზოგადად, როგორც მთლიანი საზოგადოება. ჩვენ გვინდა იმ უახლოესი წარსულის გაანალიზება, რომელშიც დავიბადეთ და რომელშიც ჩამოვყალიბდით პიროვნებებად. ამ პროექტში მონაწილეობს 5 ხელოვანი, მათ შორის 4 ქართველი და ერთი მოწვეული სტუმარი არგენტინიდან, ბუენოს აირესიდან; გვაინტერესებდა, ამ პროექტში ყოფილიყო, არა მხოლოდ ლოკალური ხედვა, არამედ უფრო მეტი, ეს უნდა გასცდენოდა ამ ჩვენს ლოკალურ იდეებს, რომ უფრო ფართოდ გაგვეშუქებინა იდენტობის და მემკვიდრეობის თემა.

უტა ბექაია (მხატვარი): ჩემი ნამუშევარი უფრო პირად გამოცდილებაზეა დაყრდნობილი, ვიდრე რამე სხვაზე. ჩემი ოჯახის წევრები არიან სამეგრელოდან და მე ბავშვობაში მახსოვს ბებიაჩემი როგორ მიკეთებდა შელოცვებს, როცა ავად ვხდებოდი, ან როცა კბილები მტკიოდა. ეს შელოცვები იყო მეგრულ ენაზე და ზუსტად ეს სიტყვები გადმოვიტანე ტილოზე, ასე ვთქვათ, ჩემი ნამუშევრები არის სამგანზომილებიანი, უკანა ფენა, რომელიც არის დახატული, ქანდაკება, გამჭვირვალე ფარდა, რომელიც მის წინ კიდია.



ტატო ახალკაციშვილი (მხატვარი): ნამუშევრებს რაც შეეხება, ეს არის ერთგვარი მცდელობა სხვადასხვა მეტაფორებით გამოხატო ადამიანის მდგომარეობა, რომელიც მენტალურად იმყოფება ერთგვარ იზოლაციაში. თვალს ვერ უსწორებს რეალობას და აქედან გამომდინარე, ის პოულობს გზებს, რომ გათავისუფლდეს, ამ მენტალური ჩაკეტილობისგან.

თამარ კირვალიძე (თიბისი ბანკის საგარეო ურთიერთობებისა და მედია კომუნიკაციების დირექტორი): დღეს იხსნება ძალიან საინტერესო გამოფენა ლონდონში, „რიჩ მიქსის“ გალერეის სივრცეში 4 ქართველისა და ერთი არგენტინელი ხელოვანის ნამუშევრებით. ეს „ფონდ ქართველთან“ ჩვენი თანამშრომლობის პირველი მცდელობაა; ის დაფუძნებულია ბრიტანეთში და ხელს უწყობს ახალგაზრდა ხელოვანების ნამუშევრების გატანას საერთაშორისო ასპარეზზე და ჩვენთვის ეს პროექტი ორი ნიშნით არის ძალიან საინტერესო, პირველი ის, რომ ეს ქართველი არტისტები არიან უკვე კარგად ცნობილი საერთაშორისო ასპარეზზე და ისინი უკვე დიდი ხანია იფინებიან ევროპისა და ამერიკის გალერეებში და მეორეს ის, რომ ეს პროექტი ერთხელ უკვე იყო გამოფენილი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ის ფაქტი, რომ სახელმწიფო მუზეუმი სივრცეს უთმობს თანამედროვე ხელოვნებას, უკვე დიდი მნიშვნელობას ანიჭებს თვითონ პროექტს.

რევაზ გაჩეჩილაძე (საქართველოს ელჩი დიდ ბრიტანეთში): საქართველოს საელჩო და მთლიანად ჩვენი საგარეო საქმეთა სამინისტრო მაქსიმალურად დაინტერესებულია, რომ ქართული კულტურის ექსპორტი მოხდეს საზღვარგარეთ. ქართველი მხატვრების ნახატების გამოფენა უკვე მოეწყო ლონდონის ცენტრში და მას დაახლოებით 500 კაცი დაესწრო, როგორც ქართული დიასპორა, ასევე ბრიტანელებიც, ისინი, ვინც დაინტერესებულნი არიან ხელოვნებით.

ჟოზეფინ ბარტონი, DASH ART-ის სამხატვრო დირექტორი: აღფრთოვანებული ვარ ამ გამოფენით. ეს არის არაჩვეულებრივი მიქსი.

„პროექტი მემკვიდრეობა არის ჩვენი მცდელობა, მასში მონაწილე მხატვრების მცდელობა, გავიაზროთ ის აქტუალური მდგომარეობა, თუ სად ვართ ახლა ჩვენ, როგორც პიროვნებები, როგორც საზოგადოების წევრები, როგორც ადამიანები და ზოგადად, როგორც მთლიანი საზოგადოება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

როდის ეწყება დისკომფორტი პირად ურთიერთობებში ვერიკო ტურაშვილს

რა კავშირი აქვს ვერიკო ტურაშვილს მსოფლიოში განთქმულ მკვლელებთან

ნინო მჭედლიშვილი

ვერიკო ტურაშვილი ცოტა ხნის წინ მეორე შვილის დედა გახდა. ლიზას მერე მომღერალმა მეორე ქალიშვილი, ნატაშკა გააჩინა.

ჩვენ მომღერლის ასტროლოგიური დახასიათება ასტროლოგ დავით ბუტიკაშვილს ვთხოვეთ, რომელსაც მხოლოდ მომღერლის დაბადების წელი, თვე, რიცხვი, საათი და სქესი ვუთხარით, რის მიხედვითაც მან ვერიკოს დახასიათება შეძლო. ინტერვიუს ბოლომდე ასტროლოგმა არ იცოდა ვისზე საუბრობდა.

- მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანი დაბადებულია ქალწულის ზოდიაქოს ნიშნით, ამომავალი ზოდიაქო მისი დაბადების მომენტში იყო ლომი. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ეს ადამიანი ხშირად არის ყურადღების ცენტრში. თუმცა მისი ძლიერი მხარე საწინააღმდეგოა. მას ურჩევნია იყოს ჩრდილში, იქიდან აკეთოს საქმე და მისი საქმიანობა იყოს წარმატებული. მისთვის კარგი არ არის საკუთარი უპირატესობების აფიშირება. ამან შეიძლება გაუჩინოს ფარული მტრები.

- საკუთარი უპირატესობების აფიშირება უყვარს?

- უყვარს ყურადღების ცენტრში ყოფნაც და უპირატესობების აფიშირებაც. მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს არ არის მისი ძლიერი მხარე. მას ჩრდილში ყოფნა და იქიდან საქმის კეთება ურჩევნია.

- რას საქმიანობს?

- ის დაკავშირებულია იურისპრუდენციასთან ან ხელოვნებასთან. ეს ორი სფერო მისთვის ასტროლოგიურად კარგია. არ გამოვრიცხავ გადაკვეთას პუბლიცისტიკასთან, ჟურნალისტიკასთან. ყველაზე დადებით გავლენას მის ცხოვრებაზე ახდენენ წყლის სტიქიის ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ადამიანები: მორიელები, თევზები და კირჩხიბები. არ არის აუცილებელი ამ ადამიანებთან ახლობლური ურთიერთობა ჰქონდეს, მაგრამ ერთი რამ უნდა იცოდეს, როდესაც მის გარშემო ეს ადამიანები აწრიალდებიან, უფრო ხშირად ხვდებიან ცხოვრების გზაზე, ე.ი. სამყაროში ხდება რაღაც ისეთი, რამაც შეიძლება წარმატება მოუტანოს. ამიტომ უნდა მიენდოს მათ.

- რაც შეეხება პარტნიორ მამაკაცს...

- მშვილდოსანი მამაკაცები მას ისეთ სიტუაციაში ახვედრებენ, სადაც შეუძლია ენერგია პოზიტიურად დახარჯოს. სასწორი მამაკაცებიც დადებით როლს ასრულებენ მის ცხოვრებაში. არ გამოვრიცხავ, რომ სასწორი მამაკაცი მის ცხოვრებაში იყოს მამა, ნათესავი ან უბრალოდ მამაკაცი, რომელიც მას მფარველობს. ქალწული მამაკაცები მის ფინანსურ და მატერიალურ მხარეზე ახდენენ დადებით გავლენას.

- რომელი ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ დაბადებულ ქალებთან გრძნობს თავს კომფორტულად?

- მორიელებთან.

- ცნობისმოყვარეა?

- ცნობისმოყვარეა, მაგრამ ამას ვერ შეატყობთ. მასთან ინფორმაცია თავისთავად მოდის. ამ გრძნობის გამომჟღავნება არ უწევს.

- ხასიათის სხვა თვისებებზე რას მეტყვით?

- მამაკაცი რომ იყოს გეტყოდით, რომ მოერიდოს ჩხუბს, კონფლიქტებს. მთვარე მორიელში მიუთითებს იმაზე, რომ ნებისმიერი კონფლიქტი მის ცხოვრებაში წარმოქმნის ძალიან სახიფათო ტენდენციას. ასეთი ადამიანების კონფლიქტები სახიფათოა არა მხოლოდ მისთვის, არამედ მისი გარშემომყოფებისთვისაც.

- კონფლიქტურია?

- საშინლად. შეუძლია მსოფლმხედველობის, შეხედულებების, თუნდაც რელიგიური შეხედულებების გამო შევიდეს კონფლიქტში ნებისმიერ ადამიანთან, ვინც მის აზრს ეწინააღმდეგება. შეურაცხყოფილად გრძნობს თავს, როცა რჩევას აძლევს ვინმეს და ეს უგულებელყოფილი რჩება. შეურაცხყოფილია, როცა მის ავტორიტეტს ეხებიან... როგორც გითხარით მას მთვარე აქვს მორიელში. მთვარე მორიელში ჰოროსკოპებში ჰქონდათ მსოფლიოში განთქმულ მკვლელებს: დანტესს, რომელმაც დუელში მოკლა პუშკინი, ჩიკოტილოს, რომელსაც 56 სადისტური მკვლელობა აქვს ჩადენილი. ასე რომ, მოერიდოს შარს, კონფლიქტებს! არ ვიცი თქვენ გჯერათ თუ არა რეინკარნაციის, მაგრამ მე მაინც გეტყვით, რომ ეს ქალი, წინა ცხოვრებაში იყო ადამიანი, რომელიც ძალიან ბევრს მუშაობდა, ბევრს შრომობდა და ძალიან ცოტა ანაზღაურებას იღებდა. ამიტომ ამ ცხოვრებაში გადმოჰყვა შიში, რომ „უფასო ყველი მხოლოდ ხაფანგშია“. როცა მის ცხოვრებაში რაიმე იოლად მოდის, უჩნდება გარკვეული შიში, ხომ არ იმალება აქ გარკვეული ხიფათი. ეს მისი უარყოფითი თვისებაა, უნდა ნასწავლ განჭვრიტოს, მოსალოდნელი ხიფათები.

- ინტუიცია აქვს?

- საკმაოდ ძლიერი და ვურჩევ, მიენდოს ინტუიციას. მაგრამ ამ შემთხვევაში ინტუიცია მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ მოსალოდნელ პრობლემაზე და ეს უკარგავს გარემოებებზე რეაგირების იმ აუცილებელ ტემპს, რაც მისთვის წარმატების მომტანია. ასეთი ადამიანისთვის საუკეთესო ფორმულაა მისდიოს ცხოვრებას. ის ზის ნავში, სადაც ნიჩბები არ არის საჭირო. მისდიოს დინებას და ის აუცილებლად მიიყვანს საუკეთესო ნაპირთან. ოღონდ ყოველგვარი ეჭვის გარეშე უნდა მიენდოს ნაპირებს, სადაც დინება მიაყენებს. როგორც კი ეცდება ნიჩბები მოუსვას, დაამუხრუჭებს წარმატების შანსს.

- მის პირად ცხოვრებაზე რა შეგიძლიათ მითხრათ?

- თუ 30 წლის ასაკამდე დაოჯახებული იყო, მისი ოჯახური ურთიერთობები იქნებოდა საკმაოდ რთული. 2011-12 წლებში მან გამოცდები გაიარა ოჯახურ ურთიერთობებში და ამის შემდგომ მისი ოჯახური ურთიერთობები პრობლემური აღარ იქნება. ასეთ ადამიანებს ასტროლოგები ურჩევენ, 30 წლის შემდეგ დაოჯახებას.

- რთულია სასიყვარულო ურთიერთობებში?

- საკმაოდ. ახასიათებს წვრილმანების გაზვიადება. კრიტიკულია პარტნიორის შერჩევისასაც, მაგრამ როგორც კი მივა იმ კონდიციამდე, რომ მზად არის ყველაფერი დათმოს პარტნიორის გულისთვის, მოსალოდნელია იმედგაცრუება გამოიწვიოს მასში. რადგან ყურადღებას ამახვილებს წვრილმანებზე, დეტალებზე და რაც ნამდვილად ყურადსაღებია, შეიძლება სწორედ ის გამორჩეს. ის ეძებს სრულყოფილებას, რაც არ არსებობს დედამიწაზე.

- იპოვნის?

- თუ დაოჯახებული არ არის, ყველაზე კარგი მეუღლე მისთვის იქნება მშვილდოსანი. ქალწულიც, რომელიც ასევე წვრილმანებს მიაქცევს ყურადღებას და ისე წარუდგენს თავს, რომ მოეწონოს, ასევე სასწორი.

- როგორი მშობელია?

- ანებივრებს შვილებს, მაგრამ საოცარი გავლენა აქვს მათზე. შეიძლება ბავშვს არ წამოარტყას, მაგრამ თუ საყვედურს ეტყვის, გააკრიტიკებს, ბავშვის ცნობიერებაში ეს ძალიან დიდხანს რჩება. ამიტომ ვურჩევ, არ აკრიტიკოს ბავშვი, ამით შესაძლოა დააკომპლექსოს. მას შეუძლია ბავშვი აღზარდოს შექებით, თუნდაც იმ თვისების შექებით, რომელიც ბავშვს რეალურად არ აქვს. ეს ბავშვს სტიმულს მისცემს და განავითარებს. მოკლედ რომ ვთქვათ, ფსიქოლოგიური კავშირი აქვს შვილებთან და დომინანტია ამ მხრივ.

- ჯანმრთელობასთან როგორ აქვს საქმე?

- მიდრეკილება აქვს ქალური დაავადებებისადმი. ჯანმრთელობით ჰგავს დედას და დედის მხრიდან წინაპრებს.

- როგორი იქნება 2015 წელი მისთვის?

- წლის პირველ ნახევარში, 12 აგვისტომდე, უნდა გაამახვილოს ყურადღება ჯანმრთელობასთან და სამსახურთან დაკავშირებულ საკითხებზე. 21 მარტიდან 20 აპრილამდე მოსალოდნელია სიახლეები, რომელიც გააუმჯობესებს მის სამუშაო პირობებს. ეს ტენდენცია დაიწყო 2014 წლის მეორე ნახევრიდან და გაგრძელდება 2015 წლის 12 აგვისტომდე. 12 აგვისტოს შემდგომი პერიოდი სასიკეთო იქნება მისთვის ფინანსური შემოსავლების კუთხით, მიზნებისა და სურვილების რეალიზების კუთხით. ნეგატიური პერიოდი აქვს 20 აპრილიდან 20 მაისამდე, ამ პერიოდში გაზრდილი იქნება კონფლიქტების ალბათობა. შეიძლება კონფლიქტი მოხდეს ფინანსურ საკითხთან დაკავშირებით. ამიტომ ამ პერიოდში მოერიდოს ფინანსურ ხელშეკრულებებს, ბანკიდან კრედიტის გამოტანას. 12 აგვისტომდე, თუ უკიდურესი ვალდებულება არ აქვს, მოერიდოს ფინანსურ ვალდებულებებს. 12 აგვისტომდე მოერიდოს ასევე უცხოეთში ვიზიტებსაც. წლის ბოლოს 22 ნოემბრიდან 21 დეკემბრამდე ფრთხილად იყოს ყიდვა-გაყიდვასთან. საერთოდ მოერიდოს რისკს. ამავე პერიოდში უცხოეთში მგზავრობისას დიდი იქნება ხიფათის ალბათობა. არ ვიცი ეს ადამიანი თხილამურებზე დგას თუ არა, მაგრამ ამ პერიოდში კატეგორიულად არ ვურჩევ თხილამურებზე დადგომას.

- არაფერი გვითქვამს მის სექსუალურობაზე.

- მამაკაცთან კომფორტულად მხოლოდ მაშინ იგრძნობს თავს, როდესაც ინტიმური მხარე არის უმაღლეს დონეზე. საკმარისია ამ სფეროში გაჩნდეს პრობლემა, იწყება დისკომფორტი ურთიერთობაში.

- ისღა დამრჩენია, მისი ვინაობა გაგიმხილოთ. ეს ადამიანი არის ვერიკო ტურაშვილი.

- სასიამოვნოა. იმედი მაქვს კმაყოფილი დარჩება.

- ამას შემდეგ ნომერში გავიგებთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„გლობალ სტანდარტმშენის“ ხელმძღვანელი ტენდერის ჩაშლას „პრაიმტაიმს“ აბრალებს

EXCLUSIVE

მაგდა კლდიაშვილი

ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუდმივმოქმედმა სატენდერო კომისიამ ბათუმის სპორტული ბაზის, ანგისის მშენებლობაზე გამოცხადებული ტენდერი შეაჩერა. ამის შესახებ ინფორმაცია 6 იანვარს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსდა. ანგისის ბაზის მშენებლობაზე გამოცხადებულ ტენდერში არსებულ ხარვეზებზე გაზეთი „პრაიმტაიმი“ მე-300 ნომერში წერდა, რომელიც 19 ნოემბერს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრის მეგობრის, დავით ნოზაძის კომპანიამ, „გლობალ სტანდარტმშენმა“ მოიგო. „გლობალ სტანდარტმშენის დირექტორი, დავით ნოზაძე, ბათუმის ტენდერის ჩაშლას „პრაიმტაიმს“ აბრალებს და გაზეთისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს.

„კომისიის წევრმა, ვლადიმერ ხინთიბიძემ, სატენდერო კომისიას მოახსენა, რომ ქ. ბათუმის მერიის მიერ გამოცხადებულ, ანგისის დასახლებაში სპორტული ბაზის მშენებლობის ელექტრონულ ტენდერში (SPA 40027696), ტენდერის გამოცხადების ეტაპიდან 28/11/2014. 17:48) წინადადების მიღების დამთავრების ეტაპამდე (19.12.2014.15:00). სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე დასახელებული ტენდერის კითხვა-პასუხის რეჟიმში, სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ პირობებთან და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებით, დაინტერესებული პირებისა და პოტენციური პრეტენდენტების მიერ დაისვა კითხვები, რასაც შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან გაეცა შესაბამისი პასუხები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემდგენი ორგანიზაციის მოწოდებული ინფორმაციისა და განმარტებების საფუძველზე. ერთ-ერთი პოტენციური პრეტენდენტის მიერ, რომელიც მონაწილეობას არ იღებდა აღნიშნულ ელექტრონულ ტენდერში (შპს „ხაგი“), გამოითქვა ვარაუდი, რომ „ტექნიკური და ფინანსური პირობები მორგებული იყო ერთ კერძო კომპანიაზე“. აღნიშნული მოსაზრება გავრცელდა საგაზეთო პუბლიკაციებშიც.

ქ. ბათუმის მერიის მუდმივმოქმედი სატენდერო კომისია განმარტავს, რომ ანგისის დასახლებაში სპორტული ბაზის მშენებლობის ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია მომზადებულია კანონმდებლობის სრული დაცვით, არ იყო მორგებული არც ერთ კერძო კომპანიაზე, მაგრამ კითხვა-პასუხის რეჟიმში ჩამოყალიბებული შენიშვნების, მოსაზრებების და წინადადებების გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ საჭიროებს გადამოწმებას, ტექნიკური პირობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემდგომ დახვეწას და კიდევ უფრო სრულყოფას დამატებით წინასწარი გაუთვალისწინებელი გარემოებებიდან გამომდინარე.

„ტენდერის შეწყვეტასთან დაკავშირებით კომენტარი, აჭარის მთავრობაში უნდა გაკეთდეს. ჩვენ არც დასაწყისში გვქონია შეხება ტენდერთან და მით უმეტეს, თუ ჩაიშალა, არც ამ ბოლო ფაქტთან. ჩვენი უფლებამოსილება ვერ გავრცელდება ამაზე“

აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია, შეწყდეს ქ. ბათუმის მერიის მიერ გამოცხადებული, ანგისის დასახლებაში სპორტული ბაზის მშენებლობის ელექტრონული ტენდერი, ხოლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია გადაეგზავნოს შემსრულებელ ორგანიზაციის პოტენციური პრეტენდენტების და ელექტრონულ ტენდერში არამონაწილე კომპანიების შენიშვნებისა და წინადადებების საფუძვლიანი შესწავლისა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შემდგომი გათვალისწინების მიზნით (პროექტი სრულყოფილად უნდა მოიცავეს შესყიდვის ობიექტის ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების სრულ აღწერას, მათ შორის, შესაბამის ტექნიკურ სპეციფიკაციებს, გეგმებს, ნახაზებსა და ესკიზებს. გარდა ამისა, სატენდერო კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, ეთხოვოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას პროექტში გამოყენებული მასალების (ბუნებრივი და ხელოვნური საფარი, განათება და სხვა) შესაბამისობის დადგენა FIFA-ს სტანდარტებთან“, - წერია ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუდმივმოქმედი სატენდერო კომისიის სხდომის ოქმში.

„პრაიმტაიმი“ ამჯერადაც დაუკავშირდა კომპანია „გლობალ სტანდარტმშენის“ დირექტორს, დავით ნოზაძეს, რომელმაც ჟურნალისტის მისამართით გამოთქმულ უცენზურო გამონათქვამებზე მოიბოდიშა, მაგრამ მაინც თვლის, რომ გაზეთი კომპანია „ხაგის“ წარმომადგენელმა, გიორგი გოგოლაძემ გამოიყენა და ის, რომ ბათუმის სპორტული ბაზის მშენებლობის ტენდერი ჩაიშალა, „პრაიმტაიმის“ ბრალია.

დავით ნოზაძე, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრთან, ლევან ყიფიანთან მეგობრობასაც უარყოფს და აცხადებს, რომ მინისტრთან მხოლოდ ნაცნობობა აკავშირებს, თუმცა ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ლევან ყიფიანის ძმა, ნიკა, მათ კომპანიაში მუშაობს გაყიდვების მენეჯერის თანამდებობაზე:

- ლევან ყიფიანი ჩემი მეგობარი არ არის და მეორეც - ლევან ყიფიანის მეგობრობა და ტენდერის მოგება-არმოგება ერთმანეთთან დაუკავშირებელი თემებია. არანაირი შეხების წერტილი არ აქვს სპორტის სამინისტროს ტენდერთან, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ატარებს. არ და ვერ ჩაერევა სპორტის სამინისტრო ამაში. ლევან ყიფიანის მეგობრობას რაც შეეხება, მასთან არც ძმაკაცობა, არც მეგობრობა არ მაკავშირებს. შეიძლება გვავქვს რაღაც ნაცნობობა, იმიტომ, რომ წლებია ამ სფეროში ვმუშაობ და სპორტული ობიექტების მშენებლობაში ვარ ჩართული. აქედან გამომდინარე თუ შეიძლებოდა ლევანს გადავკვეთოდით, რადგან ის მთელი ცხოვრებაა სპორტულ სტრუქტურებში მუშაობს. ესაა და ეს, მეტი არაფერი.

- ლევანის ძმა, ნიკა ყიფიანი თქვენს კომპანიაში გაყიდვების მენეჯერის პოსტზე მუშაობს...

- მისი ძმა, ნიკუშა, მუშაობს ჩვენთან. იყო პერიოდი, როდესაც ნიკა იყო ჩემი დირექტორი, მას სხვა ფირმა ჰქონდა, სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის, შემდეგ დაიშალა და მე ჩამოვაყალიბე და მოვიწვიე სამუშაოდ ჩემთან.

- თქვენი ოპონენტები ფიქრობენ, რომ ბათუმის ანგისის ბაზის მშენებლობის სატენდერე პირობები თქვენს კომპანიაზე იყო მორგებული, როგორ უპასუხებთ ამ ბრალდებებს?

- საქართველოში ნაკლებად არის, რომ ვინმე ერკვეოდეს ამ კონკრეტულ სფეროში. ამიტომ საპროექტოები ეძებენ ანალოგებს და საბოლოო ჯამში, არც საპროექტომ იცის რა მიიღოს და არც დამკვეთმა. ამ ქვეყანაში ასეთი მშენებლობების გამოცდილება ნაკლებია, ამიტომ, როცა ვინმე რამეს აკეთებს, ეძებს ანალოგებს, რა გაკეთებულა საქართველოში. ფეხბურთის მიმართულებით თუ ვიტყვით, ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი, რაც ბოლო 4-5 წლის განმავლობაში საქართველოში გაკეთდა, ეს იყო თბილისის „დინამოს“ საწვრთნელი ბაზა და აკადემია, რომელიც კერძო ინვესტიციით გაკეთდა. მაშინაც შიდა დახურული კონკურსი ჩატარდა და გაკითხვით მოხდა ჩვენს კომპანიაზე არჩევანის გაკეთება. „დინამო არენაზეც“ რეკონსტრუქცია ჩვენი კომპანიის გაკეთებულია. აქედან გამომდინარე, როცა ახალი პროექტების კეთება იწყება, ცდილობენ ანალოგი აიღონ საიდანმე. საუბარი იყო თურქული განათების ანძებზე, რაც „დინამოს“ ბაზაზე და აკადემიაშიც არის დამონტაჟებული და ყველას შეუძლია ამის ნახვა.

„თქვენი გაზეთის ფურცლებიდან, მეც მოგიხადეთ პირადად ბოდიში ჩვენს შორის არსებულ გაუგებრობასთან დაკავშირებით თქვენი გაზეთიდანაც, რომ ბოდიში მოუხადოთ ლევან ყიფიანს და ბათუმელ გულშემატკივარს, რომელსაც სავარაუდოდ გული დასწყვიტეთ“

- რა გგონიათ ბათუმის ტენდერის ჩაშლის მიზეზი?

- რატომ ჩაიშალა ტენდერი? - ჩემდა სამწუხაროდ, თუ წაიკითხეთ ბათუმის მერიის სატენდერო კომისიის ოქმი, გამოყოფილად წერია, რომ საგაზეთო პუბლიკაცია გახდა.

- ოქმში ასევე წერია, რომ ოპონენტების მიერ გაჩენილი კითხვებიც გახდა ამის მიზეზი...

- ოპონენტი არა, პოტენციური მონაწილისგანო. პოტენციური მონაწილე როგორ არის გუშინ ჩამოყალიბებული

სატენდერო კომისია: „მიზანშეწონილია, შეწყდეს ქ. ბათუმის მერიის მიერ გამოცხადებული, ანგისის დასახლებაში სპორტული ბაზის მშენებლობის ელექტრონული ტენდერი“

ელექტრონული ტენდერი

სატენდერო განცხადების ნომერი: **SPA140027696**

ტენდერის გამოცხადების თარიღი: 28.11.2014

ნინდადებების მიღების ვადა: 19.12.2014

შემსყიდველი: **თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერია**

შესყიდვის კატეგორია: 45200000-მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქ

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: **2`500`000.00** ლარი

ტენდერი შეწყვეტილია
ტენდერში მონაწილეთა რაოდენობა - 1

ტენდერი შეწყვეტილია
ტენდერში მონაწილეთა რაოდენობა - 1

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ენდერი ჩაიშალა

„პრაიმტაიმში“ დაბეჭდილი პუბლიკაციის შემდეგ ბათუმის სპორტული ბაზის ტენდერი ჩაიშალა

ფირმა. მოთხოვნა იყო, რომ 3-4 წელი, მინიმუმ, გამოცდილება უნდა გქონოდა, მატერიალურ ტექნიკური ბაზა, ვინც ამას ჩიოდა, თქვენ გამოგიყენათ ბოროტ იარაღად.

- ჩვენ თქვენც დაგიკავშირდით და ბატონ მინისტრსაც, თუმცა მაშინ თქვენ ჩვენთან ურთიერთობის სხვა გზა არჩიეთ. აპირებთ ხელახლა ტენდერში მონაწილეობას?

- რასაკვირველია, ვაპირებ იმდენად, რამდენადაც არ მინდა, რომ გული დავწყვიტო ბათუმელებს და ბათუმის „დინამოს“. ლირიული გადახვევა მაქვს, თუ შესაძლებელია და ეს თქვენი გადასაწყვეტია, თქვენი გაზეთის ფურცლებიდან, მეც მოგიხადეთ პირადად ბოდიში ჩვენს შორის არსებულ გაუგებრობასთან დაკავშირებით, თქვენი გაზეთიდანაც რომ ბოდიში მოუხადოთ ლევან ყიფიანს და ბათუმელ გულშემატკივარს, რომელსაც სავარაუდოდ გული დასწყვიტეთ.

- ოქმში გარკვევით წერია, რომ იყო ხარვეზები, თქვენ თვლით, რომ ტენდერის შეწყვეტის გადაწყვეტილება „პრაიმტაიმმა“ მიიღო?

- არანაირი ხარვეზები არ იყო. ბათუმის სატენდერო კომისიამ თავის თავზე ვერ აიღო ეს საქმე. ისეთ გაზეთში წერთ, რომ თქვენი დანერილი სიტყვა, შესაძლოა ტყვიასავით გასროლილი აღმოჩნდეს.

- მედიას რომ ზემოქმედების ბერკეტი აქვს, ეს კარგია, მაგრამ ტენდერის ჩაშლა „პრაიმტაიმის“ ბრალი ნამდვილად არ არის.

კომპანია GTG იყო სწორედ „გლობალ სტანდარტმშენის“ პარტნიორი კომპანია, რომელსაც ბათუმის სპორტულ ბაზაზე, განათება უნდა დაემონტაჟებინა. კომპანიის კომერციული დირექტორი, გიორგი ჩილაჩავა განმარტავს, რომ სატენდერო დოკუმენტაციაში საუბარი არ ყოფილა კონკრეტული ფირმის განათებაზე, იქ იყო საუბარი ანალოგზე, ალტერნატიულზე.

გიორგი ჩილაჩავა, ჯი-თი-ჯი-ს კომერციული დირექტორი: „კონკრეტულად, არანაირ თურქულ განათებაზე არ ყოფილა საუბარი. ეს იყო ბოძები და ნახაზი იყო დატანილი დოკუმენტაციაში. განათების პროექტი



გაკეთებულია „ფილიპსის“ პროექტით და სატენდერე დოკუმენტაციაში მითითებული იყო, ანალოგი ან ალტერნატიული. ის მასალები, რაც კომპანია „ხაგმ“ მოგცათ, მცდარია. თბილისის „დინამოს“ მოედნების მოწყობა, არც ხელოვნურის და არც ბუნებრივის, ამ კომპანიას არ განუხორციელებია და როდესაც ბათუმის მერიამ, „გლობალ სტანდარტმშენის“ სავარაუდო კონკურენტად „ხაგი“ დაასახელა, სამწუხაროა. რაც შეეხება დავით ნოზაძისა და ლევან ყიფიანის მეგობრობას, სიცრუეა. ლევანის ძმა, ნიკა არის „გლობალ სტანდარტმშენის“ თანამშრომელი, გიდასტურებთ ამას, მაგრამ ის ამ კომპანიაში 2012 წლიდან მუშაობს და „გლობალ სტანდარტმშენმა“ დიდი ხნის წინ დაიწყო ამ სფეროში საქმიანობა“.

ჩილაჩავა, დავით ნოზაძისგან განსხვავებით, ტენდერის ჩაშლის მიზეზად კომპანია „ხაგის“ წარმომადგენლის, გიორგი გოგოლაძის მიერ გაჩენილ შეკითხვებს უკავშირებს და იმასაც დასძენს, რომ წყალტუბოს სტადიონთან „გლობალ სტანდარტმშენს“ და არც მის კომპანიას არანაირი შეხება არ აქვს და არც კონტრაქტია გაფორმებული.

გიორგი ჩილაჩავა:

„ერთადერთი მიზეზი, რაც ტენდერის შეწყვეტაზე აზრად მომდის, გიორგი გოგოლაძის მიერ გაჩენილი აბსურდული კითხვებია. მერიამ, ამ გადაწყვეტილებით, კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არავის მხრიდან არ მომხდარა დაინტერესება და გოგოლაძეს და სხვა კომპანიებს შანსს აძლევს. მე რა ინფორმაციაც მაქვს, ორი წლის წინ, ამ პიროვნებას ბათუმის „დინამოს“ პრეზიდენტობა სურდა და ახლა პიროვნული ბოღმა ახრჩობს“.

„პრაიმტაიმი“ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ეკა კვიტაშვილსაც დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, რომ სამინისტროს ბათუმში გამოცხადებულ და ჩაშლილ ტენდერთან მიახლოებითი შეხებაც კი არ აქვს. რადგან ეს კონკრეტულად აჭარის რესპუბლიკასა და ბათუმის მერიის მესვეურებს ეხებათ.

„ტენდერის შეწყვეტასთან დაკავშირებით კომენტარი აჭარის მთავრობაში უნდა გაკეთდეს. ჩვენც არც დასაწყისში გვქონია შეხება ტენდერთან და მით უმეტეს, თუ ჩაიშალა, არც ამ ბოლო ფაქტთან. ჩვენი უფლებამოსილება ვერ გავრცელდება ამაზე“, - განაცხადა ეკა კვიტაშვილმა.

სპორტის სამინისტრო LLC KHAGI-ის კომპანიის წარმომადგენელს სიცრუეში ადანაშაულებს

ირინა ქვილითაია

გაზეთ „პრაიმტაიმის“ 22 დეკემბრის ნომერში გასულ სტატიას, რომელიც საფეხბურთო კლუბ ბათუმის „დინამოს“ ბაზის - „ანგისის“ მშენებლობაზე გამოცხადებულ ტენდერს და წყალტუბოს სტადიონის რეკონსტრუქციის პროექტს ეხებოდა, სპორტის სამინისტრო ეხმაურება. „პრაიმტაიმის“ რესპონდენტი LLC KHAGI-ის წარმომადგენელი გიორგი გოგოლაძე ლევან ყიფიანს კომპანია „გლობალ სტანდარტმშენის“ ლობირებაში ადანაშაულებდა. თემაზე მომუშავე ჟურნალისტი ლევან ყიფიანს პირადად დაუკავშირდა და კომენტარი სთხოვა, თუმცა მინისტრმა განაცხადა, რომ კომენტარს ვერ გააკეთებდა, რადგან დაკრძალვაზე იმყოფებოდა. ჩვენ, არაერთი სატელეფონო ზარით, ვცადეთ მინისტრის პოზიციის მოსმენა, რადგან ამ შემთხვევაში გაუგებრობას, რომელიც სტატიასთან დაკავშირებით შექმნა, ადგილი აღარ ექნებოდა. ჩვენ ახლაც მზად ვართ დავუთმოთ გაზეთი სამინისტროდან მიღებულ წერილს, რომელსაც აქვე შემოგთავაზებთ.

„22 დეკემბრის „Prime Times“-ში დაიბეჭდა სტატია სათაურით „რა აკავშირებს ლევან ყიფიანს სტადიონების მშენებლობის ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან“, სადაც სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და კერძოდ, მინისტრის ლევან ყიფიანის მიმართ გაჟღერდა სრულიად დაუსაბუთებელი ბრალდებები და ცილისწამება.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ სტატიაში მოყვანილი ფაქტები აბსოლუტურად არ შეესაბამება სიმართლეს.

საქართველოს
სპორტისა და ახალგაზრდობის
საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF SPORT AND
YOUTH AFFAIRS OF
GEORGIA

100179775927313

KA100179775927313

საქართველო, თბილისი, 0162 ჩოლოყაშვილის გამზ. N9; ტელ: 223 02 03; 223 50 06; ფაქსი: 229 20 49;
9 Cholokashvili Ave. 0162 Tbilisi, Georgia; www.msy.gov.ge / pr@msy.gov.ge

№07/1252

27 / აპრილი / 2013 წ.

სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის დირექტორს
ბატონ ი.ოზაშვილს

თქვენი 2013 წლის 19 აპრილის # 231/6 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას, კანონმდებლობით გათვალისწინებული კომპეტენციის ფარგლებში გაგიწიოთ შესაბამისი რეკომენდაციები თქვენს წერილში დასმულ საკითხთან დაკავშირებით.

წარმოგიდგენთ ტიპიურ პროექტებს როგორც ბუნებრივი ასევე ხელოვნური საფარიანი საფეხბურთო მოედნების მოწყობასთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე

თამაზ თევზაძე

დანართი 2

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის N 296 განკარგულებით (დანართი 1) შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიას“ დაევალა წყალტუბოს სტადიონის რეკონსტრუქციის საპროექტო მომსახურება, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს რეკომენდაციების (მხოლოდ ტექნიკურ-სპორტული სახის) შესაბამისად. სამინისტროს მიერ აღნიშნული რეკომენდაციები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონსულტაციის შედეგად მომზადდა და გაიცა 2013 წლის 27 აპრილს (დანართი 2).

რაც შეეხება ქ.ბათუმის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს არავითარი შეხება არ ჰქონია და არც შეიძლება ჰქონოდა თვითთმმართველი ერთეულის მიერ გამოცხადებულ ტენდერთან.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ გაზეთის რესპონდენტი ტყუის, რისი დამადასტურებელი ფაქტებიც ქვევით მოგვყავს:

სტატიაში ნათქვამია: „მოულოდნელად აღმოჩნდა, რომ სპორტის სამინისტრომ ამ საკითხზე კონსულტაციები „გლობალ სტანდარტმშენთან“ დაიწყო, ხელშეკრულებაც მასთან დადო“ - პასუხად ვაცხადებთ, რომ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს „გლობალ სტანდარტმშენთან“ არანაირი კონსულტაციები არ უწარმოებია და არანაირი ხელშეკრულება აღნიშნულ შპს-თან არ გაფორმებულა.

გაზეთის რესპონდენტის კითხვაზე - „რაში სჭირდება მინისტრის სარეკომენდაციო წერილი ტენდერში მონაწილე კომპანიას...“ - ვაცხადებთ, რომ არანაირი სარეკომენდაციო წერილი სამინისტროს ან მინისტრის სახელით „გლობალ სტანდარტმშენისთვის“ არ გაცემულა“. - ნათქვამია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ გამოგზავნილ წერილში.



2

საქართველოს მთავრობის განკარგულება

N296 2013 წლის 28 მარტი ქ. თბილისი

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 27 ივლისის №1453 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 27 ივლისის №1453 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) კომპანიამ უზრუნველყოს ქ.წყალტუბოში შემდეგი სამუშაოების და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა:“;

ბ) მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ე) წყალტუბოს სტადიონის რეკონსტრუქციის საპროექტო მომსახურება, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად;“;

გ) მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) კომპანიამ ამავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა“, „ა.ბ“, „ა.გ“, „ა.დ“, „ა.ვ“ და „ა.ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები განახორციელოს სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მომზადებული საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე;“;

დ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით და მე-2 პუნქტის „ა.გ“, „ა.დ“, „ა.ე“, „ა.ვ“ და „ა.ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებებისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.“.

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი

01 2837/01/02 04 3

დანართი 1

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიო ხუციშვილის ცხო

my View

თამარ გონგაძე

რუბრიკაში „ცხოვრების გზა“ რესპონდენტები „პრაიმტაიმის“ მკითხველს თავისი ცხოვრების ყველა ეპიზოდზე მოუყვებიან. ამ ორ გვერდზე ბევრ საინტერესო და ჯერ არ გაგებულ ამბავს შეიტყობთ. ალბათ, ცოტამ თუ იცით, რომ გიო ხუციშვილი თავისი ცხოვრების რამდენიმე წელი ალკოჰოლზე იყო დამოკიდებული და აფხაზეთის ომიდან დაბრუნების შემდეგ რადიკალურად შეცვალა თავისი ცხოვრება. ნაკლებად გეცოდინებათ ისიც, რომ პროფესიით კინორეჟისორია და მის ფილმს უკრაინაში პრიზიც აქვს აღებული. ეს ის რუბრიკაა, ჩაჯდომით რომ უნდა წაიკითხო.



„მაია ჯორჯაძე ამ დროს შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში. გაცნობა არც მახსოვს. სულ ერთად ვართ, უკვე 25 წელია. სიმღერამ დაგვაახლოვა“

„მამას თანამდებობა ეჭირა და პრივილეგიები გვქონდა. მაგრამ ცხოვრება რთული და ცვალებადია. 47 წლის ასაკში გულით დაიღუპა. 18 წლის ვიყავი. ერთ დღეში დაინგრა ყველაფერი. დიდი დარტყმა იყო“

პირველად ნამღერი

„ლაღი ბავშვობა მქონდა. პლეხანოვზე დავიბადე, მერე საბურთალოზე გადავედით და მე და ჩემი და ხათუნა პატარა სახლში ვიზრდებოდით. ახლა ვაკეში ვცხოვრობ და ვამბობ, თბილისი ჩემი სახლია-მეთქი. პლეხანოვის სახლი კარგად მახსოვს, კულტურული ძეგლია. ახლა ჩემი მამიდაშვილი ცხოვრობს იქ. მოხატული სადარბაზო ჰქონდა. ჩვენ ჩაშენებული ბუხარი გვქონდა, გერმანელების აშენებული იყო. მშობლები მღეროდნენ და ბავშვობა სულ სიმღერაში მაქვს გატარებული. მამა, ნოდარ ხუციშვილი მოქეიფე კაცი იყო და ყოველდღე სტუმარი გვყავდა სახლში. ბაბინაზე ჩემი ბავშვობის ნამღერი იყო ჩაწერილი, მერე სიდიზე გადავიტანე. ზუკაზე მაღალი ხმა მქონდა. მახსოვს, მამა და გია ყანჩელი მოვიდნენ ღამით, გაგვაღვიძეს, ჩემი და როიალთან დასვეს და მე მამღერეს. ეს ჩაიწერეს. ანსამბლები მშობლებს ჩემზე სთხოვდნენ - მოიყვანე, ვამღეროთო, მაგრამ სცენაზე დგომა არ მინდოდა. ჩემი და მღეროდა. იყო ასეთი დუეტი - ხათუნა ხუციშვილი და ნანა გელოვანი. ოქროს ფონდშია მათი ნამღერი. ამ დუეტის კონცერტზე ვიყავი ხელოვნების მუშაკთა სახლში. მახსოვს, წინა რიგში ვიჯექი, პუტკუნა, შორტებში. ვიღაცამ წერილი მომანოდა, წამყვანს გადაეციო. მეც მივაწოდე და წამყვანმა რომ წაიკითხა, ხელი მომკიდა. თურმე წერია, ეგ ბავშვი არ გამოუშვა, ამღერეო. დარბაზში აჟიოტაჟი ატყდა - აქეთ მე სცენიდან ჩამოსვლა მინდა, ვინევი. ძალიან შემრცხვა და მაინც მამღერეს - „მე ვარ თამადა“. აი, ასეთ სიმღერებს ვმღერი ბავშვობიდან.

მამას დიდი სამეგობრო წრე ჰყავდა. სულ სხვანაირი იყო მაშინდელი თბილისი და მისი უბნები. ეს ქალაქურობა თავიდანვე გაჯდა ჩემში. წიგნი დაიწერა ჩვენს ოჯახზე. მამაზე ერთი ეპიზოდი წერია. მატერიალურად რომ გაუჭირდა ძმაკაცს, ნოდარ ქორიძეს მისცა ბრილიანტის ბეჭედი, გაყიდეო. ნოდარმაც ფული მოუტანა. მაგრამ ჩემი და 17 წლის რომ გახდა ნოდარმა (ხათუნას ნათლია იყო) ეს ბეჭედი მისცა, ანუ დაგვიბრუნა. თურმე არ გაუყიდია, შეუნახავს და მამაჩემისთვის თავისი ფული მოუტანია. აი, ასეთი ურთიერთობები ჰქონდათ. დედა ცისანა გრიგორაშვილი რეპრესირებული ოჯახიდან იყო. 1937 წელს ყველა დაუხვრიტეს. ბებია ციმბირში ნლები იყო გადასახლებული. რომ დაბრუნდა გათხოვდა და დედას და გაუჩნდა. მამამ დედა რომ ცოლად შეირთო, ოჯახში სტალინის სურათი ეკიდა და დედამ ჩამოახსნევინა, ეგ სურათი არ დამანახოთო. ჩხუბობდნენ ამ თემაზე, ეს მახსოვდა და საბჭოთა რეჟიმზე დამოკიდებულება მაშინ ჩამომიყალიბდა. მე-60 სკოლაში მე და მაია ჯაბუა პირველ მერხზე დაგვსვეს. ორივე პატარები ვიყავით და რომ გამოვჩენილიყავით წინ ვისხედით. მერე 54-ში გადამიყვანეს. დედა ისტორიას ასწავლიდა და გვერდზე რომ ვყოლოდი და არ მემაიმუნა, წამიყვანა“.

დარტყმა - მამის გარდაცვალება

„მამას თანამდებობა ეჭირა და პრივილეგიები გვქონდა. ორჯონიკიძის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე იყო. კარგად ვცხოვრობდით, მაგრამ ცხოვრება რთული და ცვალებადია. 47 წლის ასაკში გულით დაიღუპა. სამსახურში ნაბახუსევზე წავიდა და გულმა უმტყუნა. 18 წლის ვიყავი. ერთ დღეში დაინგრა ყველაფერი. დიდი დარტყმა იყო. დედასთვის მამაჩემი ძმაც იყო, ქმარიც და მამაც. მთელი ცხოვრება გაჭირვებაში უცხოვრია. მამა რომ დაიღუპა, ტირილი რომ დაიწყო და ძაძები ჩაიცვა, მას შემდეგ მის სახეზე მხიარულება არ ყოფილა. კაცი მე დავრჩი ოჯახში. ოჯახი ჩემ იმედად აღმოჩნდა. ნათურის გამოცვლა იყო, ონკანი გაფუჭდებოდა თუ კაცის საქმე იყო, მე უნდა გამეკეთებინა. სხვა გზა არ დამრჩა. მაგრამ დადგა პერიოდი ამ ყველაფერს ვერ გავუძელი და ბოჰემურად დავიწყე ცხოვრება. ვსვამდი, თანაც მაგრად. სულ ვქეიფობდი. ამ დროს, 19 წლის ასაკში ცოლი შევირთე. მე და ლელა ბაკურაძეს ორი შვილი გაგვიჩნდა. მაგრამ მაშინ იარაღს გაისვრი, ყანწს დალევ და ეგ არის შვილის გაჩენა. იმ ასაკში, გიჟურ ყოფაში ვერ გავაცნობიერე მამის პასუხისმგებლობა. თან პრივილეგირებულად გაზრდილი რომ ხარ და უცებ განვება პასუხისმგებლობა - გაურბიხარ. ეს გაქცევა სასმელსა და ქეიფში იყო. არც მახსოვს, რატომ გავშორდი ცოლს. თუმცა რვა წელი ვიცხოვრეთ ერთად. სკანდალების გარეშე გავშორდით. მე სხვა რამ მინდოდა, ერთი თვე სახლში არ მივდიოდი, გადაბმულად ვქეიფობდი, ბათუმში მივდიოდით... ვერ აღვიქვი ის, რაც უნდა გამეკეთებინა. შვილი უნდა აღზარდო, ხე დარგო, სახლი ააშენო... ამაზე არ ვფიქრობდი. რომ გავიყარეთ, სულ რაღაცის ძიებაში ვიყავი, მაინც არეული ვიყავი“.

ბოჰემა - უფსკრული

„უფსკრულის პირას რომ მივიდოდი და უნდა გადავვარდნილიყავი, სულ რაღაც მაჩერებდა. ბოლომდე თავი არასდროს დამიკარგავს. ეს იყო რაღაც შინაგანი ძალა. მეგობრები ყოველთვის გვერდით მედგნენ, მაგრამ შენ თუ თვითონ არ მოინდომე, სხვა ვერ გიშველის. სვამ და თან ფიქრობ, რომ ყოველთვის მაგარი ხარ! ფრაზები - „ცხოვრების ბრალია, რომ ასე ვარ“, „ცხოვრება ასე უნდა გავიდეს“ და ცოლსაც ეჩხუბები და დედასაც. მაგარი ტიპი გგონია თავი. მაგრამ ამ დროს ძალიან სუსტი ხარ. იმიტომ რომ რაღაცებს ვერ გავუძელი, მატერიალურად გვიჭირდა და ვერაფერს ვაკეთებდი. არც ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა. დედა მუშაობდა და მამაჩემის მეგობრები, ბიძაჩემი გვეხმარებოდნენ. ყველას თავისი ცხოვრება აქვს. თუ ვინმე ვეღარ მოვიდა, საწყენი არაფერია. შენ შენი თავის იმედი უნდა გქონდეს. მაგრად ვნანობ იმ გადაბმულ სმას და ტყუილად დაკარგულ წლებს, რაც ძალიან ბევრი იყო“.

- წამალი?

- წამალს სასმელით ავცდი. ცდუნებები იყო და არ ვმალავ, რაღაცები მაქვს გასინჯული, მაგრამ დამოკიდებული არ გავმხდარვარ. ღვინომ, გიტარამ და ქეიფმა ოცი კაცი აგვაცილა ნარკომანობას. მერე შვილები ჩვენ ავარიდეთ ამ უბედურებას. რომ გვიყურებდნენ როგორ ვქეიფობდით ისინიც გართობისკენ - სიმღერისკენ და ქალებისკენ წამოვიდნენ. ამ საგიჟეთი ცხოვრების გადამკიდე - ნამლისგან, სასმელისგან, ნერვიულობისგან ბევრი წავიდა ამქვეყნიდან. ყველა არეული იყო, ნიჭიერი უფრო არეული იყო, სპორტსმენი იყო თუ მხატვარი. წყალბურთზე დავდიოდი, წყალი არ ესხა აუზში. დაკარგული თაობაა, აბა, სხვა რა ჰქვია? დაჭრები რომ წავიდა, ეს ის თაობაა, რომელიც ყოველდღე ავტომატს და წამალს უყურებდა სახლში. 6 წლის ბიჭი რომ უყურებს სახლში რვა მთვრალ თუ კაიფში მყოფ კაცს ან ქუჩაში აფეთქებებს, სროლას, როგორი გაიზრდება? ზუკა რომ დაიბადა ერთ ნავთის ღუმელზე ვხარშავდით ფაფას მთელი უბანი. ვიღაცას ნავთი ჰქონდა, ვიღაცას კერასინი, გადავდიოდით და ასე გაგვქონდა თავი. აქეთ ფიდერი, იქით ხაზი მოიპარე. ამ ქაოსში ჯაბა იოსელიანთან მხედრიონში წავედით გულანთებული ბიჭები. სამშობლო რა განსაცდელის დღეში იყო?! როგორ უნდა გვეყურებინა იმ ყველაფრისთვის, რაც ხდებოდა. ისეთი კარტი დაარიგეს, ვინ ვის ესროდა და რა ხდებოდა ვერც მიხვდებოდი. წლების მერე გავათვითცნობიერეთ, სად ჩაგვითრიეს და წელინად-ნახევარი გვათამაშეს პაიკებივით. თამაში იყო თუ რაც იყო, ომი ომია. გმირობის ომი იყო. ისეთი გენოფონდი გაწყდა... თუ რომელიმე ქალაქში და სოფელში ვაჟკაცი ბიჭი იყო, ყველა იქ ომობდა გულით. სამამულო ომი იყო. ვეტერანები ყველაზე დასაფასებელი ხალხია. რეაბილიტაცია ყველამ ვერ გადაიტანა. ამიტომ ჩვენი თაობა აფხაზეთის ომის მერე გაწყდა. გადარჩენილებიც ომის სინდრომით დაღუპულად ჩათვალეთ.

აფხაზეთის ომში

„წყნეთში ვიყავით, ზუკას „პილონკა“ მოვხსენი, კისერში გავიკეთე და ომში წავედი. ავტომატი პირველად მეჭირა ხელში, მაგრამ იქ ყველაფერს სწავლობ. თავის გადარჩენაზე ხარ. ისეთ ადგილებში ვიყავით სპეცრაზმი არ ავიდოდა. გაგრაში კურსანტები რომ დახოცეს, ჩვენ გამოვიყვანეთ. ჯილდოც მივიღე. ორჯერ დავიჭერი. ჩამოვედი, ვიმკურნალე და ისევ წავედი. სოხუმში, ოჩამჩირეში, ყველა ცხელ წერტილში ვიბრძოლე. რთული გასახსენებელია და იუმორით ვიხსენებ. იქაც იუმორით ვიყავი, ვმღეროდი კიდეც. ამიტომაც თანამებრძოლები სულ მე მეძებდნენ, გიო სად არისო. ნუ ყვირით ჩემს სახელს, გიო მეთაური ეგონებათ და არ ჩამომკიდონ და არ გამატყაონ-მეთქი. რომ ჩამოვედი, 1993 წელი იყო, მანდ მოხდა ჩემი ცხოვრების გადაფასება. მივხვდი, რომ ან უნდა მოვმკვდარიყავი ან მთლიანად შემეცვალა ყველაფერი. სახლში ჩავიკეტე ორი კვირა, მარტო პურზე და ნყალზე ვიყავი. და სხვა გიო გამოვედი. აღარც დამილევია, არც გავგიჟებულვარ. თორემ მანამდე მეც მქონდა სინდრომის გამოვლინება, რამდენს დავლევდი ვინყებდი - ჩვენ ომში ვიყავით... გიჟურად ყვები ომის ამბებს, გელანდება რომ ალყაში ხარ. სამჯერ სახლში ყოფნისას ისე ამერია - სხვაგან ვიყავი, ისევ იქ, ომში... დაიძინებ და ისევ იქ ხარ, ბორგავ. ვიეტნამის სინდრომს ეძახიან. ვიეტნამში ნაბრძოლმა ამერიკელებმა ავტობუსებში თავი აიფეთქეს, თავი ალყაში მოელანდათ. ამას კლინიკა და ნამლები უნდა, იზოლირებაა საჭირო. სახლში ავტომატები რომ გიდევს, ოფიციალური გიჟი ხარ. ერთეულები უძლებენ ამას. მე ჩემს თავს თვითონ ვუშველე. 9 წელი ლუდიც აღარ დამილევია, ყველაფერი შევცვალე. მივხვდი, რომ ოჯახი და მაია იდგა პირველ ადგილას, რომელმაც ჩემ გვერდით ამ საგიჟეთს გაუძლო. რვაჯერ გაიქცა და დაბრუნდა. ყველაფერი ნანახი აქვს. გაგრიდან დაჭრილი რომ ჩამოვედი (ფეხში, ზურგში), ვიმკურნალე და



„ვერც სიდუხჭირემ გამაბოროტა, ვერც ომმა. ჩემი ცხოვრებაა, ვისთვის გადამებრალებინა? ღმერთმა რომ ორჯერ დაგიფარა - სიკვდილს თვალებში ჩახედავ და აღარ გაშინებს, საგიჟეთში იცხოვრებ და ბოჰემაში გახვეული ფეხებზე იკიდებ ყველაფერს - მერე უკვე აზრზე უნდა მოხვიდე“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვრეგის ბოჰემური გზა

EXCLUSIVE

„ბაბუოგამ გამათბო. სხვა ტიპი ხდები. 52 წლის ვარ, მაგრამ იგივე ვარ, როგორიც 18 და 30 წლის ასაკში ვიყავი. კიდევ გავიპრანჭები. იშვიათად ვქეიფობ. აღარ ვბუნტაროობ. უკვე დავწყნარდი და ვმღერი“

„წამალს სასმელით ავცდი. ცდუნებები იყო და არ ვმალავ, რაღაცები მაქვს გასინჯული, მაგრამ დამოკიდებული არ გავმხდარვარ“

„ამ ყველაფერს ვერ გავუძელი და ბოჰემურად დავიწყე ცხოვრება. ვსვამდი, თანაც მაგრად. სულ ვქეიფობდი. ვერ გავაცნობიერე მამის პასუხისმგებლობა. თან პრივილეგირებულად გაზრდილი რომ ხარ და უცებ გაწვება პასუხისმგებლობა - გაურბიხარ. ეს გაძცევა სასმელსა და ქეიფში იყო“

დამირეკეს, უნდა წავიდეთო. ძლივს ავდექი, ჩავიცვი და აეროპორტში მაიამ მიმიყვანა, საჭესთან იჯდა. გზაში მითხრა, ხმას არ ამოვიღებ, არაფერი არ მინდა, ოლონდ არ წახვიდეო. მეოლდებიან, არ არსებობს-მეთქი, ვუთხარი. აღარც ტკივილგამაყუჩებელი დამილევია, არც სასმელი. ყველა რომ გადავრჩით და ჩამოვედი, რადიკალურად შევცვალე ყველაფერი“.

პირველი თანამდებობა

„ავტომატი გადავდე და ქუჩაში მგელივით საშოვარზე გამოვდიოდი, პამპერსი რომ მეყიდა და საჭმელი მიმეტანა. ყველა სამუშაოს ვასრულებდი. ქარხნიდან პური გამომქონდა და მაღაზიებში ვაბარებდი. ფულის სანაცვლოდ მანქანებს სომხეთში ვაცილებდით, რომ არ დაეყაჩაღებინათ. მოსკოვში სასმელი წავიღე, ორი კაპიკი გავაკეთე და მანქანა ვიყიდე. მერე ძმაკაცი იკა მეძმარიაშვილი კრწანისის რაიონის გამგებლად დაინიშნა. მე წამიყვანა მოადგილედ. ნიკო ლეკიშვილი მამაჩემისგან გამომდინარე გვერდით დამიდგა. არსად არ მქონდა ნამუშევარი. მაგრამ მენდობოდნენ და მე გავუმართლე. შემხედა რომ თავის გადარჩენაზე ვიყავი გადასული. დედამ სახლი გაყიდა და ოროთახიანში ვიყავით. ჩემი და ამერიკაში წავიდა. ჰალსტუხიც არ მქონდა რომ სამსახურში მივსულიყავი. პერანგთან ერთად დიდმა დათო ყიფიანმა მაჩუქა წინა დღეს. დილას 24-მა რომ მომაკითხა, უბანი ფიქრობდა, მხედრიონელი უცებ ჰალსტუხით სად მიჰყავთ, ხომ არ გაგიჟდაო. პირნათლად ვმუშაობდი. ასე ნელ-ნელა ავმუშავდი. მერე გავიგე, რომ ნოდარიკოს და ელენეს გაზრდა უნდათ, შვილები არიან. ასე ყველაფერი დალაგდა“...

კინორეჟისორი

„სტუდენტობის პერიოდს დავუბრუნდები. წყალბურთს ვთამაშობდი. მაგრამ ისეთი დრო იყო აუზებში წყალი არ იყო და ან სპორტი უნდა ამერჩია ან ხელოვნება. მე ეს უკანასკნელი ვარჩიე და 16 წლისამ კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე ჩავაბარე. პირველად გაიხსნა ეს ფაკულტეტი - მხატვრული, დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული და ერთ ადგილას 30 კაცი მოდიოდა. პედაგოგები რეზო ჩხეიძე, თენგიზ აბულაძე, გურამ ჟვანია, გია ჭუბაბრია იყვნენ. ჩემთან ერთად სწავლობდნენ - ოთარ ლიონანიშვილი, ლევან ერისთავი, ოთარ შამათავა, ირაკლი ტრიპოლსკი, გოდერძი ჩოხელი, ტატო კოტეტიშვილი, ერეკლე ბადურაშვილი, ლევან ანჯაფარიძე, დიტო ცინცაძე. ბევრს ვსწავლობდი მათგან, მაგრამ, როგორც 16 წლის სკოლიდან მისულს, გაცდენისკენ და ქუჩისკენ მეჭირა თვალი. ვერ ვაცნობიერებდი, სად ვსწავლობდი. ყველაზე პატარა ვიყავი. იმ დროს რაც მტკიოდა, იმავეზე ვწერდი. სცენარს და ჩანახატს იმ თემატიკაზე ვაკეთებდი. ეს იყო ბიოგრაფიული. რომ დავამთავრე დოკუმენტალისტიკაზე დავრჩი. გამაფორმეს დოკუმენტური ფილმების სტუდიაში „მემატიანე“, პლეხანოვზე. ჭაბუა ამირეჯიბი იყო დირექტორი. მივედი 20 წლის ბიჭი და ვხედავ აქეთ რეზო თაბუკაშვილი ამონტაჟებს თავის ფილმს... და მე ისევ ასეთ ხალხში აღმოვჩნდი. ფილმი გადავიღე „ბებია ფენია“ სკოლის უკრაინელ მარტოხელა დამლაგებელზე, რომელიც სკოლაში ცხოვრობდა. არდადეგები მისთვის ტრაგედია იყო, მარტო რჩებოდა. ამ ფილმმა უკრაინაში პრიზი აიღო. გადავიღე დოკუმენტური ფილმი ხელნაწერთა ინსტიტუტში წიგნებს როგორ აღადგენენ. მამის მამა იქ მუშაობდა და სახლშიც მოჰქონდა წიგნები. როგორ უკეთებდნენ ტყავის ყდებს ამ ყველაფერს ვუყურებდი. და ვიღებდი იმაზე, რასაც ვხედავდი, ფილოსოფიურად კი არ ვაზროვნებდი. ერთი დოკუმენტური ფილმი გურიის ეკლესია-მონასტრებზე გადავიღე. გადავიღე ფილმი აბორტების საწინააღმდეგოდ - „დედა-შვილობა“. სტუდენტებს ფილმებს მოსკოვში გვაჩვენებდნენ. ფილმები რუსებს მოპარული ჰქონდათ. იქ ვნახეთ „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა“ დიდ ეკრანზე, შოკი იყო. 17 წლის ვიყავი, სად იყო ჯერ ვიდეოები, ორი არხი არსებობდა. „ილუზიონი“ კვირაში ერთხელ. დიდი სკოლა გავიარეთ. ყველა წარმატებული რეჟისორი და სცენარისტი გამოვიდა. ბევრი რამ მომცა და იმას ვაკეთებდი, რაც მსიამოვნებდა. ეგ მაგარი რამაა. მერე ცხოვრებაში იმდენი რამ ვაკეთე, რაც არ მინდოდა, მაგრამ უნდა მეკეთებინა რომ მეცხოვრა... მერე ხომ ისედაც დაინგრა ყველაფერი, კინოს გადაღება კი არა. გული მწყდება კი არა, ჩემთვის ძალიან რთული პერიოდი იყო კინოს სახლში შრომის ნიგნაკის გამოსატანად რომ მივედი. თითქოს ცხოვრების ის ნაწილი დაინგრა“.

როლები და მაია

„სტუდენტურ ფილმებში ყველა კურსელი მიღებდა. სულ ვთამაშობდი. მე და ნიკუშა შენგელაია მეგობრები ვართ. ბავშვობიდან ერთად მოვდივართ. დიღმაში მასთან ვრჩებოდი ხოლმე. თან თეატრალურში ვსწავლობდი. გიორგი შენგელაიამ იცოდა ჩემი ნიჭი, იუმორი. და პირდაპირ წამიყვანა ფილმში გადასაღებად. 16 წლის ვარ „სიყვარული ყველას უნდაში“. ძალიან დიდი პრაქტიკა მივიღე. მერე იყო „ხარება და გოგია“. მერე ბაადურ წულაძესთან „ჩვენი ჯერია, ბიჭებო“. ქეთი დოლიძის „სანამ წვიმა გადივლიდეს“ - მედეა ჯაფარიძე და თენგიზ არჩვაძე. თენგიზი მამაჩემის მეგობარი იყო“.

- პოპულარობამ რა მოიტანა?

- ესეც ბოჰემაა. გოგონები გეპრანჭებიან, ეპრანჭები. უმღერი, მაგრამ მერე იმათაც აღარ უნდათ ეგეთი არასტაბილური ტიპი. დღეს აქ ვარ, ხვალ იქ ვარ... მაია ჯორჯაძე ამ დროს შემოვიდა ჩემს ცხოვრებაში. გაცნობა არც მახსოვს. სულ ერთად ვართ, უკვე 25 წელია. სიმღერამ დაგვაახლოვა. მართლა ძალიან მაგრად მღეროდა, პუშკინის კვარტეტი ცნობილი იყო. ოთხივეს გავუვლიდი ნასვამი, ჩავისვამდი მანქანაში, ვიქეიფებდით და მეც სულ შარებში ვიყავი. კარგი სიმთვრალე არასდროს მქონია. ბუნტისთავი ვიყავი, ვაღიარებ. წლების განმავლობაში თემა იყო - ვაიმე, გიო სვამსო და იცოდნენ, შარში ვიყავი. ცუდ სიმთვრალეს ცხოვრებაში დაგროვილი ფაქტები იწვევდა.

სიმღერა

„მეგობრები ისეთები შეგვყარა ღმერთმა, რომ ყველა ვმღეროდით - მე, დათო გოგიაშვილი - თავგასა, გია გორდეზიანი, მერაბ თევზაძე, დათო გომართელი, ირაკლი ჭანტურია, ალეკო კვაშალი... ერთხელაც ქუჩაში შემხვდა მამუკა ჩარკვიანი. ყველა მღერის და არ ვანახოთ სიმღერა როგორ უნდაო? და ეს ის დროა, როცა ჩვენ ვიმღერეთ „თავისი დრო აქვს ყველაფერს, ჩემო“. თაკო ჩარკვიანმა ვიდეორგოლიც გადაიღო და დატრიალდა. მერე ნატო გელაშვილიც გამოჩნდა და ჩვენი დუეტები წავიდა. ასე დადგა საქვეყნოდ სიმღერის დროც... ჩემი და ამერიკაში საბალეტო სკოლის მუსიკალური გამფორმებელია. იქ უკრაინელ ბალერონზე გათხოვდა. ორი სახლი იყიდეს. ვაშინგტონში ცხოვრობს. ასე მოვიდა ეს დროც. თვითონ რომ გინდა რაღაც მოვიდეს, თავისით მოდის კიდეც. როგორც ფიქრობ, ცხოვრებაც ისე წამოგყვება. მკაცრია ცხოვრება. შეცდომებს მაშინ გპატიობს, ბოროტულად თუ არ მოქმედებ. ვერც სიდუხჭირემ გამაბოროტა, ვერც ომმა. ჩემი ცხოვრებაა, ვისთვის გადამებრალებინა? ჩემს თავზე ვიყავი დამოკიდებული. ადამიანმა თავისი თავი თვითონ უნდა წარმოაჩინოს და ყველაფერს მოერიოს. კაცი ხარ. ღმერთმა რომ ორჯერ დაგიფარა - სიკვდილს თვალებში ჩახედავ და აღარ გაშინებს, საგიჟეთში იცხოვრებ და ბოჰემაში გახვეული ფეხებზე იკიდებ ყველაფერს - მერე უკვე აზრზე უნდა მოხვიდე. თუ არადა, ადვილია, როგორ ადვილადაც წავიდა ცხოვრებიდან ნახევარი საქართველო იმ პერიოდში. დედა ექვსი წლის წინ გარდაიცვალა და იმას ვფიქრობდი, ამ ქალს ძველი ცხოვრება დავუბრუნე და სიბერეში მაინც იყო კარგად-მეთქი. ნეტავ კიდევ ეცოცხლა-მეთქი, ვნატრობდი...“

ხელის გულზე

„სადაც დავიწყე მუშაობა, ყველგან წარმატება მქონდა. დიდი ხანი ვიმუშავე თბილისის საბაჟოზე. ვცდილობდი ისე მემუშავა, რომ ჩემს შვილებს წინ არ დახვედროდათ წამოძახება - მებაჟე მამაშენიო. ყოველთვის ისე ვაკეთებდი, რომ მოვალეობებისთვის არ გადამემეტებინა. მერე მივედი „თელიან ველში“ და ისე დავქოქეთ, რომ ხუთი წლის მერე დღესაც მირეკავენ - იქნებ ივენთი გავაკეთოთო. მქონდა რაგბის კლუბის პერიოდი. ტურნირები მოვიგეთ. საქართველოს ჩემპიონები გავხდით, თასი ავიღეთ. და „აჭარა ჯგუფი“, სადაც დღემდე ვარ. ბევრ კარგ რამეს ვაკეთებთ. სპორტის სასახლის დირექტორი რომ ვარ, ესეც ამის ნაწილია. თბილისელი კაცისთვის ეს თანამდებობა ძალიან მაგარი გრძნობაა. მინდა ამ ქალაქში ყველას ყველაფერი კარგად ჰქონდეს. ბევრი რამ გადავიტანეთ და სულ სტრესში ვართ. ბევრი დაიბოღმა, ვერ გაუძლო. მაგრამ მე მაინც მინდა ყველა კარგად იყოს. კარგად ხარ, როცა შვილები კარგად გყავს. ზუკა ამერიკიდან ჩამოვიდა და საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტოკოლში დაიწყო მუშაობა. ნოდარიკო წვალობს. ელენესგან შვილიშვილი მყავს, 2 წლის კატო. ასე, ძალა უნდა მოიკრიბო და იმ ადამიანს ეფერო, რომელიც გვერდით გყავს. ხელის გულზე უნდა ატარო. ამას გვიან ხვდები, მაგრამ საერთოდ რომ ხვდები, უკვე კარგია. კაცებს სულ ვეუბნები, ქალთან „ბლატაობით“ ლაპარაკი არ გინდათ-მეთქი. ვის უმტკიცებ? წადი და საქმით დაუმტკიცე. ქალმა უნდა იგრძნოს, რომ კაცი ჰყავს გვერდით“.

წარმატების საიდუმლო

- რაშია ადამიანის წარმატების საიდუმლო?

- თავის თავში უნდა იპოვოს ადამიანმა წარმატების საიდუმლო. არავის უნდა გადააბრალო. პრობლემებს თვითონ იგონებ. გაურბიხარ და ბოჰემურად იწყებ ცხოვრებას. ამ დროს იმატებს პრობლემა. იქვე უნდა გადაჭრა. უნდა თქვა, რომ ახალ ცხოვრებას იწყებ, მაგრამ შენი თავი არ უნდა მოატყუო. სულ საკუთარ თავს ატყუებს ადამიანი. ამ დროს ტყუილის გარეშე ცხოვრება ძალიან ადვილია. არ უნდა დაეცე, სულ ფეხზე უნდა იდგე და შეუტიო ყველაფერს. კარგი შვილები უნდა გაზარდო, ქვეყნის პატრიოტი უნდა იყო, ცოლი ხელის გულზე ატარო, სახლი ააშენო და ხე დარგო. ეს გავაკეთე. ბედნიერი ვარ, როდესაც ვიღაც მხვდება და მეუბნება, შენი შვილი ვნახე და რა მაგარი ბიჭია, ან რა მაგარი გოგოაო, მე მეტი არაფერი მინდა. ბაბუობამ გამათბო. სხვა ტიპი ხდები. სხვანაირად ფიქრობ ცხოვრებაზე. 52 წლის ვარ, ვერ ვგრძნობ. შეიძლება რაღაცებისგან დაიღალო, მაგრამ იგივე ვარ, როგორიც 18 და 30 წლის ასაკში ვიყავი. გადაფასება მოხდა, მაგრამ გულით და სულით იგივე ვარ. კიდევ გავიპრანჭები, აუცილებლად. ეს სტიმულია. იშვიათად ვქეიფობ. თუმცა მოქეიფის სახელი კი მაქვს შერჩენილი. მხოლოდ დღესასწაულებზე ვსვამ და აღარ ვბუნტაროობ. თუმცა მაინც ეშინიათ. მე უკვე დავწყნარდი და ვმღერი. ეგ არის მთელი ფილოსოფია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რას სთავაზობს რუსეთი საქართველოში მცხოვრებ რომანოვებს?

მარიამ ნადირაძე

ძალიან საინტერესო დამთხვევასთან გვაქვს საქმე: მას შემდეგ, რაც საქართველოში მედიამ რუსეთის პრეზიდენტს დედა, ვერა პუტინა აღმოუჩინა, წლები გავიდა და თავად ვლადიმერ პუტინმა, ისევ საქართველოში, კერძოდ კი გურიაში აღმოაჩინა ქალი, რომელზეც განცხადა, რომ ის იყო რუსეთის უკანასკნელი სამეფო ოჯახის ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი წევრი, ანასტასია რომანოვა. ამ უკანასკნელმაც არ უარყო ეს ამბავი და მისთვის პრეზიდენტის მიერ შეთავაზებული სამეფო მემკვიდრეობა ისევ პუტინს გადასცა საკუთრებაში...

„რომანოვების ქონება იმდენად დიდია, რომ მას 3 სახელმწიფოს შენახვა შეუძლია“

ამ ისტორიასთან იქნებ პირდაპირ კავშირშიც იყოს სულ სხვა ისტორიაც:

როდესაც პრეზიდენტი ბუში და ვლადიმერ პუტინი ერთმანეთს პოლონეთში შეხვდნენ, შეხვედრის შემდეგ ბუშმა უთხრა პოლონეთის პრეზიდენტს, – შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ვესაუბრებოდი რუსეთის მეფეს. ჩვენ ის დავკარგეთ, როგორც პრეზიდენტიო...

ჩვენი დღევანდელი პუბლიკაციით არ ვაპირებთ, განვავრცოთ რუსეთის ამჟამინდელი თავკაცის შესაძლო საიმპერატორო ზრახვები, თუმცა რუსულ ზრახვებზე კი ნამდვილად მოგახსენებთ, რომლის შესაბამისადაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ რომანოვებთან დაიგზავნა წერილები შეთავაზებით – მიეღოთ რუსეთის მოქალაქეობა, სამაგიეროდ კი ისინი მიიღებდნენ ამ სახელმწიფოს მფარველობას, ჩანაცვლებულ მემკვიდრეობას და შესაბამის შეღავათებს. ერთი ასეთი წერილი რამდენიმე წლის წინათ საქართველოში, კერძოდ კი აბაშაში ჩამოსულა...

დანარჩენს „პრაიმტაიმის“ მკითხველს ჩვენი რესპონდენტი, მარიკო წიქორიძე უამბობს, რომელიც სამეფო გვარის ერთ-ერთი ხაზის წარმომადგენლის, აწ უკვე გარდაცვლილი რაისა რომანოვას შვილიშვილი გახლავთ:

– გურიაში აღმოჩენილი ანასტასია რომანოვას შესახებ რას ამბობდა ბებია?

– ბებია იმ დროს უკვე გარდაცვლილი იყო, ამიტომაც ამაზე საუბარი არ გვქონია. ვერ გეტყვით, რატომ ჩათვალა გურიაში მცხოვრები ქალი ანასტასია რომანოვად. ამის დადასტურება ძალიან რთულია. მას შემდეგ რაც გაირკვა, რომ ეს გოგონა გადარჩა, 30 ანასტასია რომანოვა გამოჩნდა... სხვათა შორის, რომანოვების ქონება იმდენად დიდია, რომ მას 3 სახელმწიფოს შენახვა შეუძლია. რომანოვებმა გვარის მეთაურად დანიშნეს ნიკოლოზ რომანოვი ბენ, რომელიც შვეიცარიაში ცხოვრობს და მას შეუძლია ამ ქონების განკარგვა. თუკი პუტინს სურდა, ამხელა სიმდიდრეს დაუფლებოდა, ჯერ მისთვის უნდა ეკითხა და მერე ეძებნა გურიაში ანასტასია რომანოვა. საინტერესოა, საიდან აქვს ამ ქალს ეს ქონება, რომელიც შეუძლია პუტინს გადასცეს... რომანოვები თავის ქონებას ასე ადვილად არავის მისცემენ. ერთ მაგალითს გეტყვით: ბებიაჩემს ჰქონდა ერთი ძველი ჩაიდანი, რომელიც ვერავის აჩუქა. უფრო მეტიც, სხვა უსარგებლო ჭურჭელთან ერთად ჰქონდა შენახული, ვინმეს ძვირფასს ნივთად რომ არ აღექვა...

– თუმცა, რამდენადაც ვიცი, ამ ჩაიდნის გარდა, თქვენს ოჯახს აქვს დედოფლის ბეჭდის ასლი ბეჭედიც, რომელიც უმცროს ქალიშვილებზე გადაეცემა თაობებს...

– დიახ... ეს მხოლოდ ასლია, რომელიც ნიკოლოზ მეფის დედას ეკუთვნოდა. ბებია მიიჩნევდა, რომ თუ ოდესმე მართლაც გამოჩნდებოდა ანასტასია რომანოვა, მას აუცილებლად ექნებოდა ნივთი, რომელიც მის იდენტობას დაადასტურებდა და ეს ნივთი სწორედ დედოფლის ბეჭედი შეიძლებოდა ყოფილიყო...



– ამ ისტორიით ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ ვერსიაზე, რომ დასახვრეტად მიმავალმა დედოფალმა შვილიშვილი გააპარა და მას ეს ბეჭედი მისცა?

– ვერ გეტყვით, ფაქტია, რომ როდესაც ამ მკვლელობაზე 1993 წელს დაიწყო გამოძიება, რომანოვების მთელი ქონება აღმოაჩინეს, ამ ბეჭედის გარდა. ამიტომაც ბებია ფიქრობდა, რომ, თუ ოდესმე გამოჩნდებოდა ანასტასია, მას აუცილებლად ექნებოდა ეს ბეჭედი. ზოგადად, ბებიას არ უყვარდა ამ თემებზე საუბარი. ეს, ალბათ, იმ სტრესის შედეგი იყო, რაც მან და მისმა ოჯახმა გამოიარა. 10 წლის იყო ბებია, როდესაც მისი ოჯახი გადაასახლეს. ამიტომაც ვერ იტანდა მატარებლებს, რადგან ახსოვდა, როგორ შესვეს ის და მისი ოჯახი მატარებელში, ჟაკეტის ამარა. დედამისი ფეხმძიმედ იყო. ამბობდა, ერთმანეთს ვათბობდით, რადგან ვხედავდით, როგორ ყრიდნენ მატარებლიდან გაყინულ ბავშვებსო. მერე, როდესაც ციმბირში ერთ-ერთ დასახლებაში ჩაიყვანეს, საკუთარი ხელით გაათხრევინეს მიწურები. იქ იმშობიარა დედამაც და გარდაიცვალა. მე არ მაქვს უფლება, კიდევ ბევრ სხვა დეტალზე გესაუბროთ...

– როგორ აღმოჩნდა თქვენი ბებია საქართველოში?

– გადასახლების შემდეგ ოჯახი დნეპროპეტროვსკში წავიდა დიდ ქარხანაში სამუშაოდ. იქ მუშაობდა თურმე ბაბუაც, გრიშა ძველაია. მან ბებია ცოლად მოიყვანა და საქართველოში მასთან ერთად დაბრუნდა. კომუნისტის ცოლობა ბებიასთვის ერთგვარი ფარი იყო.

– ვიცით, რომ რომანოვების დახვრეტაზე გამოძიების დაწყების შემდეგ ბებიათქვენმა მიიღო წერილი რუსეთიდან მოქალაქეობის შეთავაზებით...

– ეს წერილები მან უპასუხოდ დატოვა, ვინაიდან ეჭვობდა, რომ ეს მხოლოდ ხერხი იყო, რომანოვები დაეთვალათ. სხვათა შორის, წერილის ავტორი თავადაც რომანოვი გახლდათ, რომელიც სახელმწიფო დუმაში მუშაობდა. ამ შეთავაზებას არ იღებდნენ სხვა რომანოვებიც, რომლებიც ამერიკაში, შვეიცარიაში და სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობდნენ.

– შესაძლოა ამ წერილის გამოქვეყნება?

– სამწუხაროდ, არა, რადგან ბებიას ერთგვარი ანდერძი არსებობს, რომლის მიხედვითაც მისი კუთვნილი ნერილები ხელშეუხებელი უნდა დარჩეს გარკვეული დროის განმავლობაში.

„რომანოვები თავის ქონებას ასე ადვილად არავის მისცემენ“

„თუკი პუტინს სურდა, ამხელა სიმდიდრეს დაუფლებოდა, ჯერ მისთვის უნდა ეკითხა და მერე ეძებნა გურიაში ანასტასია რომანოვა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლადო ბურდული ახალგაზრდა გუნდს აყალიბებს

მაგდა კლდიაშვილი

ლადო ბურდული - ყველას ვუსურვებ იმ come back-ს, რაც შარშან „სიონს“ ჰქონდა

EXCLUSIVE

ლადო ბურდულის თავკაცობით, ბოლნისის „სიონმა“ გასულ საფეხბურთო სეზონში მესამე ადგილი დაიკავა და ევროსაგზურიც მოიპოვა. შინ წაგებული და გასვლაზე მოგებული შეხვედრა ალბანეთში - რა იყო გუნდის წარუმატებლობის მიზეზი „ფლამურტართან“ და რატომ არავინ გაუწოდა ბოლნისელებს დახმარების ხელი, რატომ აიღო ახალგაზრდა სპეციალისტმა გეზი გუნდის გაახალგაზრდავებაზე, რას უკავშირდება წლევანდელი ჩავარდნა, ვინ წავიდა და ვინ დარჩა გუნდში - ლადო ბურდული მომავალ გეგმებზე „პრაიმტაიმთან“ საუბრობს.

- გასულ წელს, „სიონმა“ ევროსარბიელზე იასპარეზა და ალბანურ „ფლამურტართან“ გამოვარდა, მიუხედავად იმისა, რომ გასვლითი მატჩი მოიგეთ. ეს იყო გამოუცდელობის მიზეზი თუ ქართულ ფეხბურთში არსებული რეალობიდან გამომდინარე მოხდა?

- გამოუცდელობას ვერ დავაბრალებ, რადგან რამდენიმე ფეხბურთელის გარდა, ყველას ჰქონდა ამ ტურნირზე ბევრჯერ ნათამაშები. მწვრთნელებიდან, ჩემი დებიუტი იყო ევროსარბიელზე, მაგრამ არმაზ ჯელაძე მყავს, რომელმაც „მეტალურგით“ რამდენიმე ეტაპი რამდენჯერმე დაძლია. გამოცდილების ნაკლებობა ნამდვილად არ ყოფილა. დაგვაკლდა მოსამზადებელი პერიოდი. სეზონის დასრულებიდან მალევე მოგვიწია შეკრება და ურეკში გავემგზავრეთ. ფიზიკურად ცუდად არ ვიყავით, მაგრამ ვიცოდით, რომ მხოლოდ ფიზიკური მომზადებით შორს ვერ წავიდოდით. შეუთამაშებლობა და ტაქტიკურად გაუმართაობა, დაღლილობა დაეტყო გუნდს. ის, რაც საქართველოს ჩემპიონატში ყოფნიდა, საკმარისი არ აღმოჩნდა ევროსარბიელზე. წინა წელს, შეკრებაზე ვიყავით ზამთარში უცხოეთში, რამაც დიდი შედეგი მოიტანა; 11 თამაში წაუგებლად ჩავატარეთ და აქედან 7 მოვიგეთ, კარგი ამხანაგური მატჩები გვქონდა, სხვა სისწრაფეები და კონდიციები იყო, რაც გამოჰყვა გუნდს და მაღალ დონეზე ჩავატარეთ ჩვენს ჩემპიონატში შეხვედრები. ეს იყო პრობლემა, ვითხოვდით დახმარებას, მაგრამ ცუდია, რომ ხელშეწყობა არ გვქონდა.

- ევროსარბიელის წინ ფინანსურ დახმარებას ითხოვდით, ანუ სწორედ მხარდაჭერის არქონა გახდა გუნდის წარუმატებლობის მიზეზი?

- მაშინ ბოლნისში გამგებელი ქალი იყო, რომელმაც გამოგვიცხადა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში საკრებულოს ბიუჯეტი დახურული იყო და ღიაც რომ ყოფილიყო, მათ არ ჰქონდათ საჭირო თანხები „სიონისთვის“. მივმართეთ სპორტის სამინისტროს დახმარებისთვის, რომ მთავრობა მაინც დაგვხმარებოდა, მაგრამ ვერ მოიძებნა სახსრები; ფაქტია, რომ არავინ დაგვხმარებია. თავადვე მოვიფიქრეთ გამოსავალი ამ სიტუაციიდან. აღმოჩნდნენ კეთილი ადამიანები, მათ შორის „ქართუ“ ბანკის მაშინდელი პრეზიდენტი, ნოდარ ჯავახიშვილი და კომპანია „აირზენას“ მფლობელი, თამაზ გაიაშვილი. ევროსაგზურის მოპოვებისთვის უეფადან სამონაწილეო გვეკუთვნოდა - 120 ათასი ევრო, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დაგვიწერა საგარანტიო ნერილი, რომ ნამდვილად მივიღებდით ამ თანხას დეკემბერში და „ქართუ“ ბანკმა 100 ათასი ევროს კრედიტი გაგვიკეთა. ალბანეთში ჩვენი ოფიციალური გადამზიდი „აირზენა“ იყო, რომელმაც ნახევარ ფასში გაგვიკეთა ჩარტერული რეისი და ორ გადასხდომას აცდა გუნდი, რისთვისაც თამაზ გაიაშვილს ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო. ძალიან ცოტა დაგვაკლდა, თორემ გაჭირვების პირობებშიც შეიძლებოდა ამ ეტაპის დაძლევა.

- მიმდინარე სეზონში ჯერ მხოლოდ 14 ქულა აქვს „სიონს“ მოპოვებული, რამ გამოიწვია ჩავარდნა?

- ბევრმა ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო. ჩავარდნა იმითაც იყო განპირობებული, რომ „ფლამურტართან“ თამაშის შემდეგ ისევ ორი კვირა დავისვენეთ, შეკრება აღარ გაგვიღია, რომლის არც დრო იყო და არც სახსრები. ერთჯერადი ვარჯიშებით მოგვიწია ეროვნულ ჩემპიონატზე შეხვედრა. პირველ ტურში, საჩხერესთან არაჩვეულებრივი თამაში ვანახეთ, მაგრამ შემდეგ იყო გადაღლილობა, მოტივაცია დაიკარგა. ბევრმა მოთამაშემ, ალბათ, ამოწურა კიდეც პოტენციალი, სპორტული მიდგომა დააკლდათ. სამი-ოთხი თვე ხელფასები არ აუღიათ ბიჭებს. ახალგაზრდა ფეხბურთელს ათამაშებ ენთუზიაზმზე, მაგრამ, როდესაც გამოცდილი მოთამაშე გყავს, რომელსაც ოჯახი ჰყავს სარჩენი, ძნელია რამე მოსთხოვო. თუმცა, ბევრ შეხვედრაში წაგებას არ ვიმსახურებდით.

- ბევრ შეხვედრაში „სიონს“ არ უნდა წაეგო, თუმცა ხშირ შემთხვევაში საგოლე მომენტების რეალიზებასაც ვერ ახერხებდით. იყო საკამათო მომენტებიც, მსაჯობას ჰქონდა თქვენს მატჩებზე გავლენა?

- ჩემს თავთან დავდე პირობა, რომ მსაჯებზე აღარ ვისაუბრებ და ნერვებს აღარ მოვიშლი. იყო მართლაც ფაქტები, შეიძლება ადამიანი ერთხელ და ორჯერ შეცდე, მაგრამ ახლაც მგონია, რომ მიზანმიმართულად ხდებოდა ეს ყველაფერი. დაგვაკლდა იღბალიც, მესამე ტურში სირაძე დაგვემტვრა და 5-6 თამაში გამოტოვა, შემდეგ კი კონდიციების აღდგენა გაუჭირდა. ვქმნიდით მომენტებს, მაგრამ რეალიზებას ვერ ვახერხებდით. გასულ სეზონში უარესი შედეგი გვქონდა და ფეხზე დავდექით, წაუგებლად ვიასპარეზეთ. ბოლნისში რომ გვეთამაშა, უმეტესობას მოვიგებდით, როდესაც საკუთარ მოედანზე თამაშობ, შენი გულშემატკივრის რიდი მსაჯსაც აქვს და ვერ გწირავს ისე ძალიან. მოხარული ვარ, რომ დადებითად გადაწყდა ბოლნისში სტადიონის რეკონსტრუქციის საკითხი. მალე მუნიციპალიტეტი სტადიონის პროექტზე ტენდერს გამოაცხადებს და როგორც ვიცი მარტიდან საფარის გამოცვლა დაიწყება. გადაწყდა, რომ ხელოვნურის ნაცვლად, ბუნებრივი მინდორი გვექნება და წელს ვერა, მაგრამ ახალ სეზონს „სიონი“ საკუთარ კედლებში დაიწყებს.

- ვინ წავიდა გუნდიდან და ვინ დაიმატეთ?

- პირველ რიგში, თქვენი გაზეთის საშუალებით, მინდა ჩემს ძველ კოლექტივს გადავუხადო დიდი მადლობა იმ ორი წლისთვის, რაც ერთად გავატარეთ. კარგები ვიყავით თუ ცუდები, ვფიქრობ, რომ მაყურებელი ცოტათი მაინც გავახარეთ, რადგან ბოლო 8 წლის განმავლობაში „სიონის“ უმაღლეს ლიგაში დარჩენის ბედი ბოლო ტურში წყდებოდა. ქართული ფეხბურთის ისტორიაში კი ვინ დაიკვეხნის, ზედიზედ ორჯერ „დინამოს“ დამარცხებას მისსავე სტადიონზე? მესამე ადგილზე დავასრულეთ სეზონი და ეს ძალიან კარგი შედეგი იყო. გული მწყდება დღესაც, რომ ბევრი მათგანი გუნდში ვერ დარჩება, რადგან ბიუჯეტი ძალიან შეგვიმცირდა და რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელის გარდა, „სიონი“ ახალგაზრდა ფეხბურთელებით დაკომპლექტდება. ასეთია ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოთხოვნა და 10-11 მოთამაშე სწორედ ბოლნისიდან იქნება. გამოცდილებიდან დარჩებიან მეკარეები, მერლანი და ბათიაშვილი, დაჩი ფოფხაძე, დავით სვანიძის დარჩენაც პრაქტიკულად გადაწყვეტილია, ცხადაია, გოგობერიშვილი. ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ისეთი დონის მოთამაშეებს, როგორებიც არიან სირაძე, კანდელაკი და კვარაცხელია, ამ ბიუჯეტით რამე შევთავაზოთ. დავიმატეთ დათა სიჭინავა, გიორგი მიქაბერიძე, გადაწყვეტილია საჯაია, გურეშიძე და გეზი გუნდის გაახალგაზრდავებისკენ გვაქვს აღებული.

- მეორე წრეში რა მიზნები გაქვთ?

- მთავარი მიზანი მებრძოლი, კარგი გუნდის გაკეთებაა. ორი წლის წინ გადარჩენა დაგვისახეს მიზნად, შემდეგ ექვსეული და ძალიან კარგად გავართვით თავი. ახლაც ასეა, ექვს გუნდში უნდა ვიტრიალოთ. მებრძოლი გუნდის გაკეთება გვინდა და თუ ღმერთის ნებაც იქნება, ისევ გავიმეორებთ იმ შედეგს, რაც გასულ წელს გვქონდა. მჯერა, რომ ის ფეხბურთელები, რომლებიც ჩვენთან გადმოვიდნენ, გააძლიერებენ „სიონს“ და კარგ კოლექტივს ჩამოვაყალიბებთ.

- ბოლო პერიოდში ბევრს საუბრობდნენ თქვენს გადასვლაზე ხან თბილისის „დინამოში“, ხან „ზესტაფონში“, გაიზარდა ლადო ბურდულზე მოთხოვნა?

- მინდა, რომ ჩემი სახით კარგი მწვრთნელი ჩამოყალიბდეს. ბევრს ვმუშაობ საკუთარ თავზე, მიყვარს ხალხის აზრის გათვალისწინებაც, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ რასაც მეტყვიან, ყველაფერს ვაკეთებ. ჯიუტი ადამიანი ვარ, მაგრამ ვისმენ გამოცდილი ხალხის აზრს. ჩემ ირგვლის ბევრი ადამიანი ტრიალებს და უმეტესობას სიმართლის თქმა უჭირს. ადვილია თქვა, რა მაგრად მოუგე „დინამოზე“, შვიდი თამაში ზედიზედ მოიგე, ამან შეიძლება მოგცეს საბაბი, რომ ზრდა შეაჩერო და დაკმაყოფილდე საკუთარი თავით. მოგებულ თამაშშიც უნდა ეძებო ხარვეზი, რისი გამოსწორებაა შესაძლებელი. მოვა დრო, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ეროვნულ ნაკრებში დამიძახებს, თბილისის „დინამო“ ან „ზესტაფონი“ თავიანთ კლუბებში. გასულ სეზონში საუკეთესო მწვრთნელად დავსახელდი და ბავშვივით მიხაროდა, მაგრამ ახლა ვიძახო, ყველაზე მაგარი მწვრთნელი ვარ-მეთქი, ასე არ არის. აღმართს დაღმართი მოსდევს და პირიქით.

- ჩემი ინფორმაციით, ბოლნისში სტუმრად სპორტის მინისტრის ლევან ყიფიანის მეგობარი და სფფ-ს მომავალ არჩევნებზე ფავორიტი კანდიდატი, მიხეილ ყაველაშვილი იმყოფებოდა. კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ ყაველაშვილს თქვენი პოსტის დაკავება სურს. რამე ინფორმაციას ფლობთ ამასთან დაკავშირებით?

- ვიცი, რომ შეხვედრა შედგა. მასთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს, გვითამაშია ერთად და მწვრთნელიც ყოფილა მერაბ ჟორდანიასთან ერთად ორ შეხვედრაში. მიშა ბოლნისელია, იქ დაბადებული, სკოლაც იქვე დაასრულა. ვიცი, რომ ბევრი მეგობარი ჰყავს და ბოლნისის ამჟამინდელი გამგებლის კლასელია. როგორც გავიგე, მეგობრებს შეკრება ჰქონდათ. კარგი რაღაცებიც გადაწყდა. ის, რომ ჩვენს მოედანზე ბუნებრივი დაიგება, აზრი მიშამაც გამოთქვა. კონკურენცია ყველგან არის. მჯობნის მჯობი არ დაილევა. ბოლო შეხვედრისას, გამგებელმა აღნიშნა, რომ სურს, ჩემი ცოდნა მოვახმარო ბოლნისს და ამ სეზონის დასრულების შემდეგ გრძელვადიან ურთიერთობაზე დავილაპარაკებთ. ბოლნისი შინაური მხარე გახდა ჩემთვის და პირობაც დავდე, რომ თუკი რამე სიახლე იქნება, მე მათ პირველი ვეტყვი. არ მინდა ცუდი სახელი დავტოვო, პირიქით. ზოგიერთს კი ვეტყოდი, რომ, რაც არ უნდა ეცადონ, ჩემი სახელი „სიონში“ ცუდად არ დარჩება და ყველას ვუსურვებ იმ „Come Back“-ს, რაც ჩვენ შარშან გავაკეთეთ.

„ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ისეთი დონის მოთამაშეებს, როგორებიც არიან სირაძე, კანდელაკი და კვარაცხელია, ამ ბიუჯეტით რამე შევთავაზოთ“

„არ მინდა ცუდი სახელი დავტოვო, პირიქით. ზოგიერთს კი ვეტყოდი, რომ, რაც არ უნდა ეცადონ, ჩემი სახელი „სიონში“ ცუდად არ დარჩება და ყველას ვუსურვებ იმ „Come Back“-ს, რაც ჩვენ შარშან გავაკეთეთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time

N1 (302) ორშაბათი, 12 იანვარი, 2015 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

უხერხული კითხვები

ნინა წკრიალაშვილი: „კაცის „ახევა“ რომ შემძლებოდა, ახლა სულ მარტო კი არ ვიქნებოდი“

exclusive

რამდენად კარგად იცნობს გიორგი ბახუტაშვილი ცოლს?

„ახლა სანტა კლაუსი ახატია ფრჩხილზე. ზოგადად მხიარულ ფერებს ისვამს. ისე, მე დალტონიკი ვარ“

exclusive



ლონდონი ფონდი cARTveli-ს გამოფენას მასპინძლობს

exclusive

ISSN 1987-7404

9 771987 740005

შპს „ასავალ-დასავალის სტამბა“

„ნიჭიერის“ ფინალისტების ბოლო კრებული

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება